საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
17 – 23 თებერვალი, 2016
№6 (335)
# საქართველო და მსოფლიო
ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru



## 14 წაართმევს თუ არა «ქართული ოცნება» გლეხებს მიწას და გაიზრდება თუ არა თხილის ფასი?




ჯეფრი სილვერმანი:

# ამ ვირუსების გავრცელება საქართველოში მხოლოდ ნაწილია რეგიონში განსახორციელებელი დიდი სამხედრო ოპერაციებისა 4

## «გრიპის ვირუსის აფეთქების დრო საქართველოში, რუსეთსა და უკრაინაში, აგრეთვე, დონბასის რეგიონში ძალიან საეჭვოდ ემთხვევა ერთმანეთს»



«შესაძლოა, ეს იყოს უკრაინისა და თურქეთის დაზვერვის სამსახურების კომბინირებული ოპერაცია... საყურადღებოა ვირუსების გავრცელება რუსეთსა და სამხრეთ თურქეთში მცხოვრებ ქურთ მოსახლეობას შორის... მოსალოდნელია აფეთქება ჩრდილოეთ სირიაში, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს, როგორც თურქეთის მოსამზადებელი ეტაპი ქურთების წინააღმდეგ»

ირმა ნაკანი:

რაც ეს ლაბორატორია აშენდა, ფანჯრებს ვერ ვაღებთ, რადგან საშინელი სუნი ტრიალებს. უბანში მცხოვრებთაგან ბევრია სიმსივნით დაავადებული, რომლებიც დასნეულებას სწორედ ამ ლაბორატორიას აბრალებენ. მე თავბრუ მეხვევა, საშინელი თავის ტკივილები დამეწყო და ყველაფერს ამ სუნს ვაბრალებ

ეთერ სიხარულიძე:

ლაბორატორიის ოთხი თანამშრომელი ცხოვრობდა ჩვენს უბანში, ფილიპინელები იყვნენ, სწორედ მე დავეხმარე, ბინა ექირავებინათ. სულ ცუდად იყვნენ და ორი მათგანი გარდაიცვალა კიდეც, დარჩენილი ორი უცებ გააქრეს



დალი შელეგია: ერთ დღეს, როდესაც ფეხსაცმელს ვაცმევდი, მოხუცი მოულოდნელად თმაში მწვდა და კანიანად მომაგლიჯა 12

«პარლამენტის თავმჯდომარე კონსტიტუციაში ცვლილების შეტანაზე ჭოჭმანობს, ვერ გადაუწყვეტია, მოაწეროს თუ არა ხელი იმას, რომ ოჯახი ქალისა და მამაკაცის ერთობაა» 8



«დედაქალაქის მერია ხელისუფლების აქილევსის ქუსლად იქცა» 9



«ასეთი საგნის სწავლება სკოლებში მოზარდი თაობის ფსიქიკის შეუქცევად დეგრადაციას გამოიწვევს» 9

ამბები

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## გრიპის შემთხვევები კვლავ მოსალოდნელია

**დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელ ამირან გამყრელიძის განცხადებით, საქართველოში ვირუსული ინფექციით 16 ადამიანი გარდაიცვალა.** „გრიპის ვირუსის პიკი იყო მიმდინარე წლის მეოთხე კვირა, როცა 100 000 მოსახლეზე 357 დადასტურებული შემთხვევა გვქონდა. მეხუთე კვირაში დაიწია მაჩვენებელმა და უკვე 100 000 მოსახლეზე 310 შემთხვევა აღირიცხა. რაც შეეხება მეექვსე კვირას, უკვე აღრიცხულია 284 შემთხვევა. სტაციონარში მიმართვის რაოდენობა შემცირებულია, მაგრამ ეს არ გვაძლევს დამშვიდების საფუძველს. თებერვალში გრიპის შემთხვევები კიდევ იქნება“, — განაცხადა ამირან გამყრელიძემ. დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელის განმარტებით, H1N1-ის, ე.წ. ღორის გრიპის ვირუსით გარდაიცვალა 15 ადამიანი, ხოლო H3N2-ის ვირუსით — ერთი.






ლევან ვასაძე:

## სანიკიძის მოადგილეები «ჩესტზე» უდგანან ევროხელმძღვანელობას

**ბიზნესმენმა ლევან ვასაძემ ტელეკომპანია „იმედისთვის“ მიცემულ ინტერვიუში სხვა საკითხებთან ერთად განათლების მინისტრსა და მის მოადგილეებზეც ისაუბრა.**

„თქვენ მართლა გგონიათ, თამუნა სანიკიძე მართავს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს?! ერთი კარგი გოგოა, თუმცა ადამიანურად მეცოდება. თამუნა იძულებულია, დაუჯეროს თავის მოადგილეებს — ქალბატონ გიგაურსა და სხვებს, რომლებიც რასაც ეტყვიან, ის უნდა გააკეთოს. ისინი, თავის მხრივ, „ჩესტზე“ უდგანან და უჯერებენ თავიანთ ევროხელმძღვანელობას“, — განაცხადა ბიზნესმენმა ლევან ვასაძემ ტელეკომპანია „იმედის“ ეთერში.



## ავსტრიაში ჩასულ საქართველოს მოქალაქეებს თავშესაფარზე უარს ეტყვიან

**ავსტრიის ხელისუფლებამ გადაწყვიტა, საქართველო ე.წ. უსაფრთხო ქვეყნების სიაში შეიყვანოს, რაც ნიშნავს, რომ ავსტრიაში ჩასულ საქართველოს მოქალაქეებს თავშესაფარზე უარს ეტყვიან. ამის შესახებ განცხადება ავსტრიის შინაგან საქმეთა სამინისტრომ გაავრცელა.** ავსტრიის მთავრობის გადაწყვეტილებით, საქართველოს გარდა, ამ სიაში შეყვანილია ალჟირი, განა, მაროკო, მონღოლეთი და ტუნისი.



## გალში მცხოვრებ ქართველებს საზღვრის გადაკვეთა საშვის გარეშე შეეძლებათ

**„აფხაზეთის დე ფაქტო მთავრობის გადაწყვეტილებით, გალის რაიონში მცხოვრებ ქართველებს საზღვრის გადასაკვეთად სპეციალური საშვი აღარ დასჭირდებათ. საზღვრის გადაკვეთა მათ უკვე ქართული პასპორტითა და აფხაზეთში მცხოვრები პირის დამადასტურებელი საბუთის ჩვენებით შეეძლებათ“, — იუწყება „ქუთაისიპოსტი“.**

მაგრამ გალში მცხოვრებლები ამბობენ, რომ მათთვის უცნობია, რამდენ ხანს გაგრძელდება ახალი შეღავათი, რადგან ოკუპირებულ ტერიტორიაზე გადაადგილებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები ხშირად იცვლება.



გიორგი კვირიკაშვილი:

## უმაღლესი განათლების სისტემაში გერმანული მოდელის დანერგვა იგეგმება

**გიორგი კვირიკაშვილმა დაგეგმილ რეფორმებზე საუბრისას განათლების სისტემის რეფორმას გაუსვა ხაზი და აღნიშნა, რომ იგეგმება გერმანული მოდელის დანერგვა, რომელიც ძალიან ეფექტიანია არა მხოლოდ გერმანიაში, არამედ სხვა ქვეყნებშიც. „გერმანულს იმიტომ ვამბობ, რომ ამ ქვეყანამ დაუდო სათავე განათლების სისტემას“, — განაცხადა კვირიკაშვილმა.**

პრემიერის თქმით, სახელმწიფო უმაღლეს განათლებაში რესურსს გაანაწილებს კონკრეტული მოთხოვნების გათვალისწინებით და ეს არ იქნება მხოლოდ და მხოლოდ ახალგაზრდების მოთხოვნებიდან გამომდინარე, ეს განხორციელდება იმ კონკრეტული მოთხოვნების გათვალისწინებით, რომლებიც 5-წლიან პერსპექტივაში ქვეყანაში იარსებებს.

**„ეს მნიშვნელოვანია იმიტომ, რომ დღეს ჩვენ, ფაქტობრივად, ვაწარმოებთ პოტენციურად დაუსაქმებელ ადამიანებს; ყოველწლიურად ვუშვებთ ხუთჯერ, ათჯერ უფრო მეტ ბანკირს, ვიდრე ამის მოთხოვნა არის საბანკო სექტორში“**, — განაცხადა კვირიკაშვილმა და ამ კონტექსტში მან საგარეო ურთიერთობები და იურიდიული მიმართულება დაასახელა. გიორგი კვირიკაშვილის თქმით, დღეს ჩვენ არ გვყავს, მაგალითად, ვეტერინარები, კვების მრეწველობის ტექნოლოგები.

**„ასეთ ადამიანებს ბიზნესი თავისი სახსრებით გზავნის ევროპაში, გადაამზადებენ და შემდგომ ასაქმებენ თავიანთ კომპანიებში. არადა, სახელმწიფო საბიუჯეტო რესურსს ყოველწლიურად ხარჯავს იმ ადამიანებზე, რომლებიც ზუსტად ვიცით, რომ დაუსაქმებლები იქნებიან, ან მათაც უნდა შეიცვალონ კვალიფიკაცია, რეალური სამუშაო ადგილი რომ მოძებნონ“**, — განაცხადა საქართველოს პრემიერმინისტრმა.



მაიკლ კოფმანი:

## ახლო პერსპექტივაში საქართველოსთვის მაპის მინიჭება არარეალურია

**კენანის ინსტიტუტის მკვლევარის — მაიკლ კოფმანის შეფასებით, ახლო პერსპექტივაში საქართველოსთვის მაპის მინიჭება არარეალურია. ამის შესახებ კოფმანმა "ამერიკის ხმის" ქართული სამსახურისთვის მიცემულ ინტერვიუში, აშშ-ის დაზვერვის ეროვნული სამსახურის დირექტორის — ჯეიმს კლაპერის ყოველწლიურ მოხსენებაზე საუბრისას განაცხადა.**

**„საქართველო გარკვეულ სიგნალებს ეძებს, რომ ჩრდილოატლანტიკური ალიანსი მას სამოქმედო გეგმას მიანიჭებს, რაც, როგორც იცით, ალიანსში მიწვევას ნიშნავს. ეს საკმაოდ არარეალური სცენარია ახლო პერსპექტივაში. ნაცვლად ამისა, ნატო ცდილობს, საქართველოსთვის ინტეგრაციის სხვა საშუალებები წამოსწიოს წინ და ეს ქვეყანა უფრო მნიშვნელოვანი შეღავათებით უზრუნველყოს, რაც, ერთგვარად, იქნება ასახვა მიდგომისა „გაერთიანება, ფაქტობრივი გაერთიანების გარეშე“. აშშ-ის დაზვერვის ეროვნული სამსახურის დირექტორმა ჯეიმს კლაპერმა კი ივარაუდა, რომ, რადგან ნატოში გაწევრების პერსპექტივით საქართველოს მოსახლეობა იმედგაცრუებულია, საქართველო მომავალში შეიძლება დაადგეს დასავლეთთან ინტეგრაციის საპირისპირო გზას და ერთადერთი ალტერნატიული ორბიტა აქ მხოლოდ რუსული ორბიტაა“**, — განაცხადა კოფმანმა.

აშშ-ის დაზვერვის ეროვნული სამსახურის დირექტორმა ჯეიმს კლაპერმა სენატში ყოველწლიური მოხსენებით გამოსვლისას აღნიშნა, რომ რუსეთის ზეწოლის პირობებში თბილისმა, შესაძლოა, დასავლური ორიენტაცია შეიცვალოს.

## რატომ არავინ გამოეხმაურა ლუგარის ლაბორატორიის წინ 300 ხის გაჩეხვას?

**დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის სამეცნიერო საბჭოს ხელმძღვანელი პაატა იმნაძე ციხისძირში ხეების გადარგვის სამუშაოების გარშემო განვითარებულ პროცესებს გამოეხმაურა:**

**„3 ხის გადარგვა პრობლემა რომ გახდა, 300 ხის გაჩეხვას ლუგარის ლაბორატორიის წინ (აეროპორტის გახრიოკებულ გზასთან) რამდენიმე საათში, იმიტომ, რომ კარგი შენობა ტრასიდან არ ჩანსო, რასაც, ფაქტობრივად, ჩემი ჩამოცილებაც მოჰყვა ამ ლაბორატორიიდან (ღიად განვაცხადე ამერიკელ პარტნიორებთან, ამ უგუნურებას მე როგორ გავაკეთებდი-მეთქი), არავითარი გამოხმაურება არც ერთი „ბუნების დამცველისგან“ რომ არ მოჰყოლია? უნდა მჯეროდეს ახლა ამ ბუნების დამცველების?“** — წერს პაატა იმნაძე სოციალურ ქსელში.







## მარილის ფალსიფიკატორებს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა დაეკისრათ

**ბრალდებულები აფასოებდნენ არაიოდიზებულ მარილს და ბაზარში ასაღებდნენ, როგორც იოდიზებულს.**

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა საკვები პროდუქტის ფალსიფიკაციის გამო სამი პირი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცა. გამოძიებით დაადგენილია, რომ მეწარმეები — **თეიმურაზ თავაძე, გიორგი ნადირაძე** და **ზვიად ხუბულური**, რეგულარულად ეწეოდნენ ფალსიფიცირებული მარილის რეალიზაციას. კერძოდ, აფასოებდნენ არაიოდიზებულ მარილს და საცალო ბაზარზე ასაღებდნენ, როგორც იოდიზებულს. სამივე მოქალაქეს ბრალი წარედგინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 197-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულით, რაც სასჯელის სახით 1-დან 3 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

## ჯონ ბრენანი: ცსს-მ იცოდა, რომ პარიზში ტერაქტები იგეგმებოდა



**აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს დირექტორმა ჯონ ბრენანმა აღიარა, რომ მისმა უწყებამ იცოდა საფრანგეთში დაგეგმილი ტერაქტების შესახებ, მაგრამ მოკავშირეების გაფრთხილება საჭიროდ არ ჩათვალა.** მიუხედავად იმისა, რომ აშშ და ევროკავშირი ერთობლივი ძალებით ებრძვიან საერთაშორისო ტერორიზმს, აშშ-ს არ სურს, თავის ევროპელ პარტნიორებს მოპოვებული სადაზვერვო მონაცემები გაუზიაროს, რასაც სავალალო შედეგები მოაქვს. როგორც ჯონ ბრენანმა ტელეარხ CBS News-ისთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, პარიზში ტერორისტული აქტების სერიამდე ცენტრალურ სადაზვერვო სამსახურს ჰქონდა ინფორმაცია, რომ „ისლამური სახელმწიფო“ რაღაცას ამზადებდა“. ძნელი მისახვედრი არ არის, რომ ეს „რაღაც“ (სწორედ ასე თქვა ცსს-ს შეფმა) პარიზში ხეების დარგვა არ იყო, მაგრამ ამის თაობაზე ამერიკელებს არ გაუფრთხილებიათ ფრანგები. შედეგად დაიღუპა 130 ადამიანი, 350-ზე მეტი — დაიჭრა. **ჯონ ბრენანის განცხადება მიუთითებს იმაზე, რომ აშშ-ს არ ჰყავს მოკავშირე, რომელთანაც თანასწორუფლებიანი თანამშრომლობა ექნებოდა.**

ამბები

www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# «კორუფციის კულტურა» აშშ-ში

## როგორ ხარჯავს გადასახადების გადამხდელთა ფულს აშშ-ის პირველი ოჯახი

**ბარაკ ობამა, როგორც გაირკვა, არა მხოლოდ სუსტი პრეზიდენტია, არამედ კორუფცირებულიც. კორუფცია არა მხოლოდ საქართველოში, არამედ ყველგან არის, მაგრამ ამ სენს ყველგან თავისი შეფერილობა აქვს. მაგალითად, აშშ-ში კორუფცია ხდება კულტურულად. სწორედ ამ საკითხს ეძღვნება აშშ-ში ახლახან გამოცემული წიგნი „კორუფციის კულტურა (Culture of Corruption), რომლის გარეკანზეც ბარაკ ობამაა გამოსახული. წიგნში მოთხრობილია, როგორ ხარჯავს სახელმწიფოს თანხებს აშშ-ის პრეზიდენტის ცოლი — მიშელ ობამა.**

2010 წლის 4 აგვისტოს, როდესაც აშშ-ის პრეზიდენტს 49 წელი შეუსრულდა, მისი მეუღლე მიშელი და ქალიშვილი საშა ესპანეთში, მალაგაში, ჩავიდნენ დასასვენებლად. **ნომერში, რომელშიც დაბინავდა აშშ-ის პირველი ლედი, იყო აბრეშუმის ზეწრები და მარმარილოთი მოპირკეთებული ტუალეტი. ამ ნომერში ცხოვრება დღე-ღამეში 6 ათასი დოლარი ღირდა. მიშელ ობამასა და მის 9 წლის გოგონას ახლდა მომსახურე პერსონალი და საიდუმლო აგენტები: სპეციალურად დაქირავებული 250 ესპანელი და აშშ-დან ჩამოყვანილი 8 პირადი მცველი.**






მიშელ ობამა თავისი ქმრის თვითმფრინავით ჩაფრინდა ესპანეთში. ვაშინგტონიდან მალაგაში და უკან მგზავრობა აშშ-ის ბიუჯეტს **150 ათასი დოლარი დაუჯდა.**



მიშელ ობამა მალაგაში

აშშ-ის 44-ე პრეზიდენტი წელიწადში 2-ჯერ ისვენებს — ზაფხულში და შობა-ახალი წლის დღეებში. მისი პრეზიდენტობის 7 წლის განმავლობაში აშშ-ის პირველი ოჯახის დასვენება ამერიკელ გადასახადის გადამხდელებს 74 მილიონი დოლარი დაუჯდათ.

2014 წელს, როდესაც ობამას ოჯახმა ჰავაიზე დაისვენა, მხოლოდ დაცვისა და თვითმფრინავის გადაფრენის ხარჯებმა 5,3 მლნ დოლარი შეადგინა. არადა, ეს თანხა სიცოცხლის ბოლომდე თავისუფლად ეყოფოდა ასეულობით ახლო აღმოსავლელ ლტოლვილს, ანუ თუნდაც ამერიკელ გადასახადის გადამხდელს.

აღსანიშნავია, რომ სწორედ იმ მომენტში, როდესაც მიშელ ობამა და მისი ქალიშვილი მალაგაში — **პაბლო პიკასოსა** და **ანტონიო ბანდერსის** მშობლიურ ქალაქში ისვენებდა, 131 ათასი ამერიკელი სამსახურიდან დაითხოვეს, შესაბამისად, მათ საარსებო წყაროც დაკარგეს.

ისე, **ქართველებს არ უნდა გაგვკვირვებოდა სააკაშვილის ორგიები, ძვირად ღირებული მასაჟისტების ჩამოყვანა და სახელმწიფო ბიუჯეტის უკონტროლოდ ხარჯვა — ამერიკელების მიერ „დემოკრატიის შუქურად“ შერაცხილი მიშა ხომ უფრო დიდი „დემოკრატიის შუქურისგან“ იღებდა მაგალითს.**



## პუტინისა და ობამას სატელეფონო საუბარი სირიისა და უკრაინის საკითხებზე

**„ამერიკელთა ინიციატივით რუსეთის ფედერაციისა და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტებს შორის სატელეფონო საუბარი გაიმართა“, — იუწყება რუსეთის სახელისუფლო ვებგვერდი Kremlin.ru.**

ვლადიმერ პუტინმა და ბარაკ ობამამ ყურადღება გაამახვილეს სირიის კონფლიქტის მოგვარებაზე. მათ დადებითად შეაფასეს მიუნხენში 11-12 თებერვალს გამართული სირიის მხარდამჭერი ჯგუფების მუშაობის შედეგები, რომელმაც განამტკიცა გაეროს რეზოლუციის (№2254) მიდგომები როგორც ჰუმანიტარულ ასპექტში, ისე ცეცხლის შეწყვეტისა და რეალური პოლიტიკური პროცესის დაწყების საკითხში.

რუსეთის პრეზიდენტმა აქცენტი გააკეთა ერთობლივი ანტიტერორისტული ფრონტის შექმნისა და ორმაგი სტანდარტების უარყოფაზე და ხაზი გაუსვა აშშ-ისა და რუსეთის თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელთა შორის კონფლიქტის დამყარებაზე, რომელიც ორივე მხარეს საშუალებას მისცემდა, წარმატებით ებრძოლა „ისლამური სახელმწიფოსა“ და სხვა ტერორისტული დაჯგუფებების წინააღმდეგ.

რუსეთისა და ამერიკის პრეზიდენტებმა, აგრეთვე, ისაუბრეს უკრაინაში შექმნილ ვითარებაზე და 2011 წლის 12 თებერვალს მინსკში მიღწეულ შეთანხმებებზე. პუტინმა გამოთქვა იმედი, რომ ოფიციალური კიევი, ბოლოს და ბოლოს, გადადგამს პრაქტიკულ ნაბიჯებს თავისი ვალდებულებების შესასრულებლად.

# მერკელი განრისხებულია. ბუნდესვერის გენერალმა რუსეთი სირიაში სამხედრო ოპერაციის გამო შეაქო

**გერმანიის კანცლერის — ანგელა მერკელის ადმინისტრაცია ხელქვეითების საქციელმა განარისხა. ჯერ იყო და, ბავარიის პრემიერმინისტრი ჰორსტ ზეეჰოფერი ეწვია რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინს, ახლახან კი გერმანიის შეიარაღებული ძალების ყოფილმა მთავარმა ინსპექტორმა ჰარალდ კუიატმა სირიაში რუსეთის სამხედრო ოპერაცია შეაქო. რა თქმა უნდა, ოპონენტისთვის ჭიქებისა და საფერფლეების სროლამდე საქმე არ მისულა, მაგრამ მერკელის ხელქვეითები ძალიან გაღიზიანებული არიან.**

ბუნდესვერის (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის შეიარაღებული ძალები) ყოფილი ინსპექტორის მიერ რუსეთის სამხედრო ოპერაციის შექებას გერმანიის მთავრობამ თავის გადაქნევით უპასუხა: „ასეთ რაღაცებზე ჩვენ დროს არ ვხარჯავთ, — განაცხადეს ქვეყნის თავდაცვის სამინისტროში, — ყოფილი გენერლის პლაკატური თეზისების ადგილი თოქშოუებშია და არა სერიოზულ პოლიტიკურ სცენაზე“, — წერს გერმანული გამოცემა „შპიგელი“.

ყველაფერი დაიწყო ჰარალდ კუიატის ინტერვიუთი, რომელიც მან გამოცემა Passauer Neue Presse-ს მისცა. **„მხოლოდ რუსეთის სამხედრო ჩარევის შემდეგ შეიქნა შესაძლებელი ამ ქვეყანაში (სირიაში — რედ.) სამშვიდობო პროცესის დაწყება. არც ამერიკელებსა და არც ევროპელებს სირიაში მშვიდობის დამყარების სტრატეგია არ ჰქონდათ, ისინი არც ამ საქმეში აქტიური მონაწილეობისთვის იყვნენ მზად. ეს გააკეთეს რუსებმა და ამით პრობლემის პოლიტიკური გზით მოგვარების ფანჯარა გაალეს“,** — განაცხადა გენერალმა.

კუიატის ინტერვიუდან ციტატები გამოაქვეყნეს გერმანიის წამყვანმა მედიასაშუალებებმა, მათ შორის, ახალი ამბების ტელეარხმა „n-tv“-მ, რომელმაც, მერკელის ადმინისტრაციასთან დაახლოებული „შპიგელისგან“ განსხვავებით, ბუნდესვერის გენერლის ბევრი გამონათქვამი გაუშვა სატელევიზიო ეთერში და კომენტარებიც დაურთო:

„კუიატმა უარყო ვარაუდი იმის შესახებ, რომ პრეზიდენტი პუტინი ცდილობს, ალეპოს დაბომბვით ვითარება გაამწვავოს. სირიაში რუსეთი თავისი სტრატეგიული გეგმით მოქმედებს — მხარს უჭერს სირიის სამთავრობო ჯარების ოპერაციას „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ, ალეპო კი ამ გზაზე სტრატეგიულად მნიშვნელოვანი პუნქტი იყო, რადგან დაპყრობილი ჰქონდა ოპოზიციას“.



ჰარალდ კუიატი

ამასთანავე, როგორც ტელეარხი იუწყება, კუიატი სირიაში ნატოს სამხედრო ძალების ჩართვის წინააღმდეგ გამოვიდა: „ჩვენ არ გვაქვს უფლება, ამ კონფლიქტში რამე მოვიმოქმედოთ, ვიდრე არ განვსაზღვრავთ, როგორი იქნება შემდეგი ნაბიჯი და რას მივიღებთ საბოლოოდ. ნატოს წევრმა სახელმწიფოებმა ჯერ საკუთარ თავს უნდა დაუსვან კითხვა: რას სურთ, მიაღწიონ, რომელი სტრატეგიული მიზნებისკენ მიილტვიან?“

გენერლის განცხადებით, რომელიც Deutsche Welle-ს მოჰყავს, **„რომ არა რუსეთის ჩარევა, სირია რამდენიმე კვირაში გამოიფიტებოდა, შემდეგ კი ქვეყანას „ისლამური სახელმწიფო“ ჩაიგდებდა ხელში. შემდეგი მიზანი კი იქნებოდა ლიბანი, მას მოჰყვებოდა ისრაელი“.**

აღსანიშნავია, რომ გადამდგარი გენერალი ბერლინელმა მაღალჩინოსნებმა მას შემდეგ შერისხეს, როცა განაცხადა: „უკრაინაში რუსეთის რეგულარული ჯარები არ არიან“, და დასავლეთს მოუწოდა, ემოქმედა „პუტინთან ერთად და არა პუტინის წინააღმდეგ“.



### ფილიპ ჰამონდი:

## პლანეტაზე არსებობს ადამიანი, რომელსაც შეუძლია ერთი ზარით დაასრულოს სამოქალაქო ომი სირიაში

**ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ფილიპ ჰამონდმა ბი-ბი-სი-სთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ პლანეტაზე არსებობს ადამიანი, რომელსაც შეუძლია, ერთი ზარით დაასრულოს სამოქალაქო ომი სირიაში და ის არის ვლადიმერ პუტინი.** ჰამონდი დარწმუნებულია, რომ ბაშარ ალ-ასადის პრეზიდენტობა რუსეთის მხარდაჭერაზეა დამოკიდებული. **„ასადი პრეზიდენტად დარჩება თუ წავა, დამოკიდებულია იმაზე, არის თუ არა რუსეთი მზად, გამოიყენოს თავისი გავლენა ხელისუფლებიდან მის ჩამოსაშორებლად“,** — განაცხადა დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა.

ვერსია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„შესაძლოა, ეს იყოს უკრაინისა და თურქეთის დაზვერვის სამსახურების კომბინირებული ოპერაცია „ღორის გრიპის“ ვირუსის მიღების მიზნით. ამით შეიძლება აიხსნას ვირუსის „აფეთქება“ უკრაინაში. მხოლოდ კიევში ათი დღის წინათ 200 კაცი გარდაიცვალა, ხოლო დონბასში გარდაცვლილთა რაოდენობა დაუთვლელია. საყურადღებოა ვირუსების გავრცელება რუსეთსა და სამხრეთ თურქეთში მცხოვრებ ქურთ მოსახლეობას შორის... და მოსალოდნელი აფეთქება ჩრდილოეთ სირიაში, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს, როგორც თურქეთის მოსამზადებელი ეტაპი ქურთების წინააღმდეგ“.



# ჯეფრი სილვერმანი: გრიპის ვირუსის აფეთქება საქართველოში, რუსეთსა და უკრაინაში, აგრეთვე, დონბასის რეგიონში ძალიან საეჭვოდ ემთხვევა ერთმანეთს...

**რიჩარდ ლუგარის სახელობის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრალური რეფერალური ლაბორატორიის შესახებ გაზეთ „საქართველო და მსოფლიოში“ არაერთი წერილი გამოქვეყნებულა. მიუხედავად იმისა, რომ ლაბორატორიისგან მომდინარე საფრთხეებს უარყოფს მისი ხელმძღვანელობა, ამ დაწესებულების ირგვლივ დაარსების დღიდან არ წყდება მითქმა-მოთქმა. ამ თემაზე ჩვენს გაზეთთან ამერიკელმა ჟურნალისტმა, სააკაშვილის ყოფილმა მრჩეველმა ჯეფრი სილვერმანმაც არაერთხელ ისაუბრა. მიმდინარე წლის იანვარში მან „საქართველო და მსოფლიოს“ განუცხადა, რომ ორი წლის წინათ ლუგარის ლაბორატორიის თანამშრომლებიც კი მოიწამლნენ და ისინი პირველ კლინიკურ (ე.წ. არამიანცის) საავადმყოფოში გადაიყვანეს, მაგრამ ინფორმაცია დღემდე მკაცრადაა გასაიდუმლოებული. ჯეფრი სილვერმანის განცხადებით, მას ეს ინფორმაცია მიაწოდეს საავადმყოფოს თანამშრომლებმა, რომლებსაც დაემუქრნენ, მომხდარზე არავისთვის არაფერი ეთქვათ. „ლუგარის ლაბორატორიიდან რამდენიმე ადამიანი საავადმყოფოში გადაიყვანეს. მათ სუნთქვის პრობლემები ჰქონდათ, ვინაიდან ლაბორატორიის მილგაყვანილობიდან მოხდა გაჟონვა. მადლობა ღმერთს, ყველა ცოცხალი გადარჩა. საავადმყოფოს ხელმძღვანელობაც გააფრთხილეს, ამ ამბის შესახებ არავისთან ესაუბრათ“, — განაცხადა სილვერმანმა. სტატიის გამოქვეყნების შემდეგ ალექსეევკის მკვიდრი დაგვიკავშირდა და გვიამბო, რომ ლაბორატორიის თანამშრომლები 4 წლის წინათაც მოიწამლნენ და, სამწუხაროდ, ამ შემთხვევამ ორი ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა. მან თვითონ გამოთქვა საუბრის სურვილი, მაგრამ ინტერვიუს გამოქვეყნებამდე დაგვიკავშირდა და გვთხოვა, მისი სახელი და გვარი არ გვეხსენებინა, — ჩემს ტელეფონს უსმენდნენ და თქვენთან საუბრის შემდეგ დამირეკეს და დამემუქრნენო, ამიტომ ინტერვიუს რესპონდენტის ინიციალებით გთავაზობთ:**

**„ვ.რ.:** — ალექსეევკაში ლაბორატორიის პირდაპირ ვცხოვრობ. ჩვენს კორპუსში 4 წლის წინათ ლაბორატორიის 4 თანამშრომელი ცხოვრობდა, დაახლოებით 30-დან 40 წლამდე მამაკაცები, აზიური გარეგნობის. არ ვიცი, რა ხდებოდა ლაბორატორიაში, მაგრამ გეტყვით, რაც ჩემი თვალით ვნახე. **თითქმის ყოველ დამეს ოთხივე ისე ცუდად ხდებოდა, რომ სასწრაფოს ვიძახებდით. ერთ დღეს კი ოთხივე მამაკაცი უგონოდ ვნახეთ, ძირს ეყარნენ და პირზე დუჟი ჰქონდათ მომდგარი. სასწრაფო დახმარება გამოვიძახეთ, მაგრამ ორი მათგანი გარდაიცვალა.**

მოვიდნენ ჟურნალისტები, უშიშროების სამსახურის თანამშრომლები... უშიშროების ჩარევის შემდეგ დავრწმუნდი, რომ ლაბორატორიაში მართლაც რაღაც საეჭვო ხდებოდა. როგორც ჩანს, ყველა გააფრთხილეს, ეს ამბავი არ გახმაურებულიყო. შემთხვევის ადგილიდან ჟურნალისტები გაყარეს და ეს ამბავი არსად გაშუქებულა. როგორც ვიცი, იმ 4 მამაკაციდან ორი გადარჩა, მაგრამ სად წაიყვანეს, დღემდე უცნობია, ლაბორატორიაში აღარ დაბრუნებულან და მას შემდეგ არც ერთი აღარ მინახავს.




## «ამ ვირუსების გავრცელება საქართველოში მხოლოდ ნაწილია რეგიონში განსახორციელებელი დიდი სამხედრო ოპერაციებისა»




**ქვეყანაში ასეთი ლაბორატორიის არსებობა უდიდესი დანაშაულია. მე მფრინავი ვარ, ბევრ ქვეყანაში ვყოფილვარ და ანალოგიური ლაბორატორია პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან მხოლოდ ყაზახეთში ვნახე, ისიც 120 კმ-ით არის დაშორებული დასახლებული პუნქტიდან, ლუგარის ლაბორატორია კი თბილისში, ფაქტობრივად, შუა ქალაქში, ხალხით დასახლებულ ადგილზე ააშენეს.** რადიაციის საკითხებში ვერკვევი და ვიცი, დასახლებულ ადგილზე ლაბორატორიის აშენება ყოვლად დაუშვებელია. ეს უდიდესი დანაშაული იყო.

**— ცნობილია, რომ ადგილობრივი მოსახლეობა უკმაყოფილებას გამოთქვამდა ლაბორატორიის დაფუძნების გამო. ხელისუფლებას თუ მიმართეთ?**

— დიახ, მოსახლეობა უკმაყოფილოა, რადგან **ბევრი უჩივის თავის ტკივილს, სისუსტეს, წნევას, მოთენთილობას და სხვ. აქ რომ ჩამოიაროთ და მცხოვრებლები გამოჰკითხოთ, გეტყვიან, რომ თითქმის ყველა ცუდად გრძნობს თავს.** ეს, შეიძლება, ლაბორატორიის ბრალი არ არის, მაგრამ ფაქტია, არავინ არაფერს იკვლევს და ისიც ცხადია, რომ ასეთი ლაბორატორია ხალხით დასახლებულ ადგილზე არ უნდა აეშენებინათ. გაფიქრებაც არ მინდა, მაგრამ, მიწისძვრა რომ მოხდეს, დავიღუპებით...

ხელისუფლება სად გვყავს?! საჩივარიც შეიტანა ბევრმა, მაგრამ რეაგირება არ ყოფილა. აქციებიც მოვაწყვეთ, ხალხი გამოვიდა, მაგრამ შედეგი არც ჩვენს პროტესტს მოჰყოლია.

**— ფიქრობთ, რომ ლაბორატორიაში საშიში ცდები მიმდინარეობს?**

— ათასი პროცენტით ვარ დარწმუნებული, რომ ასეა. შესაძლოა, ვირუსებზე დაკვირვებაც მიმდინარეობს, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ახალ ვირუსების გამოყვანაზეც მუშაობენ“.

საქართველოში ცოტა ხნის წინათ ე.წ. ღორის გრიპის (H1N1) გავრცელებისას, რომელმაც, სამწუხაროდ, რამდენიმე ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, კვლავ ახსენეს ლუგარის ლაბორატორია. ამ ვირუსის გავრცელება მეზობელმა სომხებმა სწორედ საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის კვლევით ცენტრს დაუკავშირეს, ვინაიდან, მათი აზრით, ამ ადგილას ბიოლოგიური იარაღი იქმნება და ადამიანებსა და ცხოველებზე სახიფათო ექსპერიმენტები ტარდება. ლაბორატორიის ხელმძღვანელობა კი ამ ინფორმაციას კატეგორიულად უარყოფს და სიცრუეს უწოდებს.

საქართველოში ვირუსული ინფექციების ანალოგიური „აფეთქება“ ორიოდე წლის წინათაც მოხდა. იმხანად გაზეთ „საქართველო და მსოფლიოში“(№19 (254). 2014 წ.) გამოქვეყნდა სტატია სათაურით „რამ გამოიწვია ვირუსების უეცარი გავრცელება საქართველოში და უქმნის თუ არა საფრთხეს ქვეყანას ლუგარის ლაბორატორია?“. აღსანიშნავია, რომ იმ პერიოდში საქართველოში უცნობი დაავადებაც აღმოაჩინეს, ▶

მოკლედ

## ავსტრიის პოლიცია მიგრანტის მიერ 10 წლის ბიჭის გაუპატიურების ფაქტს მალავდა

**ავსტრიის პოლიციამ განაცხადა, რომ ერაყელი ლტოლვილის მიერ 10 წლის ბიჭის გაუპატიურების ფაქტს მსხვერპლის დაცვის მიზნით მალავდა.** ერაყელმა ლტოლვილმა დანაშაული ჩაიდინა 2015 წლის 2 დეკემბერს, ინფორმაცია კი მედიასაშუალებებში რამდენიმე დღის წინათ გავრცელდა. ლტოლვილმა ბიჭი ვენის ერთ-ერთი საცურაო აუზის გასახდელში გააუპატიურა და არც კი უცდია მიმალვა, მშვიდათ განაგრძო ცურვა. ბავშვმა მომხდარის შესახებ პოლიციას შეატყობინა.

მოძალადემ დაკითხვისას განაცხადა, რომ სექსუალური ურთიერთობა დიდი ხნის განმავლობაში არ ჰქონია და სურვილი ვერ მოთოკა(?!).



## „მოსახლეობა უკმაყოფილოა, რადგან ბევრი უჩივის თავის ტკივილს, სისუსტეს, წნევას, მოთენთილობას და სხვ. აქ რომ ჩამოიაროთ და მცხოვრებლები გამოჰკითხოთ, გეტყვიან, რომ თითქმის ყველა ცუდად გრძნობს თავს. ეს, შეიძლება, ლაბორატორიის ბრალი არ არის, მაგრამ ფაქტია, არავინ არაფერს იკვლევს და ისიც ცხადია, რომ ასეთი ლაბორატორია ხალხით დასახლებულ ადგილზე არ უნდა აეშენებინათ. გაფიქრებაც არ მინდა, მაგრამ, მიწისძვრა რომ მოხდეს, დავიღუპებით“.

ვერსია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ რომლის ანალოგიც მსოფლიოში არ არსებობს...

**ლუგარის ლაბორატორიის საქმიანობაზე ამერიკელმა ჟურნალისტმა ჯეფრი სილვერმანმა არაერთხელ განაცხადა. ის შიშობდა, რომ ლაბორატორიაში ბიოლოგიური იარაღის შექმნას აპირებდნენ.**

**ბატონი ჯეფრი ამჟამადაც ეჭვობს, რომ ვირუსების მასშტაბური გავრცელება სწორედ ლუგარის ლაბორატორიას უკავშირდება.**

— გრიპის ვირუსის აფეთქების დრო საქართველოში, რუსეთსა და უკრაინაში, აგრეთვე, დონბასის რეგიონში ძალიან საეჭვოდ ემთხვევა ერთმანეთს, — **აცხადებს ჟურნალისტი,** — ახლა უკვე ცნობილია, რომ ლუგარის ლაბორატორიის პროექტი უკავშირდება აშშ-ის სამხედრო სამსახურს, ხოლო ლაბორატორიაში მომუშავე უცხოელი პერსონალი, როგორც ჩანს, თავის საქმეს „კარგად“ აკეთებს.

**— დღეს ვირუსით დაავადებული ბევრი ადამიანი მკურნალობს საავადმყოფოში, სამწუხაროდ, რამდენიმე მათგანი გარდაიცვალა და ამის შესახებ ინფორმაციაც გავრცელდა. რატომ ფიქრობთ, რომ ხელისუფლება ცდილობს ინფორმაციის დამალვას?**

— ოფიციალური სტატისტიკა — რამდენი ადამიანია ავად და რამდენი გარდაიცვალა, ჩვენთვის უცნობია. რეალურ რაოდენობას მალავენ. მაგალითად, მე **ვესაუბრე მედიცინის დოქტორს (ის ჩემი სტუდენტია), რომელიც სახელმწიფო ჰოსპიტალში მუშაობს. მან მითხრა, რომ გრიპის ვირუსის გართულების შედეგად რამდენიმე პაციენტი დაიღუპა კიდეც, მაგრამ მათი სიკვდილი ოფიციალურად არსად გახმაურებულა.** ასე რომ, გარდაცვლილთა რაოდენობა გაცილებით მეტი უნდა იყოს და არამხოლოდ თბილისის მასშტაბით.

მახსოვს ახალგაზრდობაში ჩემი სამხედრო სამსახურში დანიშვნა აშშ-ის ხელისუფლების მიერ. ჩემი საქმიანობა დაკავშირებული იყო ბიო და ქიმიურ იარაღთან და ვიმყოფებოდი ირაღის სპეციალურ საწყობში. მიჰყევით ჩემს ჰიპოთეაზას და მიხვდებით, რატომ მალავენ სიმართლეს. **ამ ვირუსების გავრცელება საქართველოში მხოლოდ ნაწილია რეგიონში განსახორციელებელი დიდი სამხედრო ოპერაციებისა.**

შესაძლოა, ეს იყოს უკრაინისა და თურქეთის დაზვერვის სამსახურების კომბინირებული ოპერაცია „ღორის გრიპის“ ვირუსის მიღების მიზნით. ამით შეიძლება აიხსნას ვირუსის „აფეთქება“ უკრაინაში. მხოლოდ კიევში ათი დღის წინათ 200 კაცი გარდაიცვალა, ხოლო დონბასში გარდაცვლილთა რაოდენობა დაუთვლელია. საყურადღებოა ვირუსების გავრცელება რუსეთსა და სამხრეთ თურქეთში მცხოვრებ ქურთ მოსახლეობას შორის... და მოსალოდნელი აფეთქება ჩრდილოეთ სირიაში, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს, როგორც თურქეთის მოსამზადებელი ეტაპი ქურთების წინააღმდეგ.



# «შესაძლოა, ეს იყოს უკრაინისა და თურქეთის დაზვერვის სამსახურების კომბინირებული ოპერაცია!»

**ეთერ სიხარულიძე, ალექსეევკის დასახლებაში მცხოვრები:**

— ჩემი და ბევრი ამ უბნის მაცხოვრებლის ჯანმრთელობა ბოლო პერიოდში საგრძნობლად გაუარესდა. ამ ქუჩაზე ყველას ერთი და იგივე დაავადება გვაწუხებს. მაგალითად, ხუთიოდე დღის წინათ ისე ცუდად ვიგრძენი თავი, იძულებული შევიქენი, კარდიოლოგი გამომეძახებინა. **ვუჩივი თავის ტკივილებს, თავბრუს ხვევას, მაღალ წნევას. ისეთი საშინელი სუნია უბანში, ზაფხულის განმავლობაში ფანჯარა თითქმის არ გაგვიღია. თუ ქარია, ეს სუნი განსაკუთრებით მძაფრად იგრძნობა ხოლმე.**

**— ამ ყველაფერს რატომ უკავშირებთ ლაბორატორიას?**

— ყოფილი ბორტგამცილებელი ვარ და არასდროს არაფერი მაწუხებდა, სრულიად ჯანმრთელი ვიყავი, მაგრამ ბოლო ორი წელია, ძალიან გამიჭირდა. ყველაფერი ერთად დამემართა. **მხოლოდ მე რომ მჭირდეს, ვიტყოდი, მეჩვენება-მეთქი, მაგრამ ამ უბანში თითქმის ყველა ასეა. ბავშვებიც კი თავს ცუდად გრძნობენ, მოხუცებულებზე საუბარიც აღარ არის. 65 წლის კაცს მეორედ დაემართა წითელა ბატონები და გადაჰყვა კიდეც ავადმყოფობას.**

რას აკეთებენ ამ ლაბორატორიაში კაცმა არ იცის, დახურული სივრცეა. **რამდენიმე წლის წინათ ლაბორატორიის ოთხი თანამშრომელი ცხოვრობდა ჩვენს უბანში, ფილიპინელები იყვნენ, სწორედ მე დავეხმარე, ბინა ექირავებინათ. სულ ცუდად იყვნენ და ორი მათგანი გარდაიცვალა კიდეც, დარჩენილი ორი უცებ გააქრეს.** მართალია, ლაბორატორიის ხელმძღვანელობა აცხადებს, საშიში არაფერიაო, მაგრამ ასე იმიტომ ამბობენ, რომ ჯერ კიდევ მიხეილ სააკაშვილის მმართველობის პერიოდში ამ ლაბორატორიის ასაშენებლად დიდძალი ფულია გადახდილი. ნუთუ არ შეიძლება ამ ლაბორატორიის დახურვა?! **შეიძლება ითქვას, რომ უიარაღო ომი მიმდინარეობს...**

**ირმა ნაკანი, ალექსეევკის დასახლებაში მცხოვრები:**

— რაც ეს ლაბორატორია აშენდა, ფანჯრებს ვერ ვაღებთ, რადგან უბანში საშინელი სუნი ტრიალებს. უბანში მცხოვრებთაგან ბევრია სიმსივნით დაავადებული, რომლებიც დასნეულებას სწორედ ამ ლაბორატორიას აბრალებენ. მე თავბრუ მეხვევა, საშინელი თავის ტკივილები დამეწყო და ყველაფერს ამ სუნს ვაბრალებ.

**— ლაბორატორიის წინააღმდეგ მოსახლეობამ საპროტესტო აქციებიც გამართა, ვინმე თუ გამოგეხმაურათ ან ხელისუფლებიდან ან ლაბორატორიიდან?**

— რეაგირება არავისგან ყოფილა. მართალია, სამგორის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი **გულიკო ზუმბაძე** შეგვხვდა, მაგრამ ფაქტია, ლაბორატორია ისევ განაგრძობს მუშაობას. სხვათა შორის, ამ უბანში სხვა ორი პატარა ქარხანაც იყო და ყოველდღიურად დიდი შავი გამონაბოლქვი ტრიალებდა ჰაერში, მაგრამ ჩვენი პროტესტის გამო, იძულებული შეიქნენ, დაეკეტათ, ლუგარის ლაბორატორიას კი ვერაფერი მოვუხერხეთ. როგორც ჩანს, განსაკუთრებით ღამე მუშაობენ, რაღაც ხმები გამოდის ხოლმე. **როდესაც საპროტესტო აქცია გავმართეთ, ლუგარის ლაბორატორიის თანამშრომლები დაგვემუქრნენ, — იმდენი ფულია გადახდილი, ამ ლაბორატორიას არავინ დახურავს და ისეთი ხალხი დგას მის უკან, ბიძინა ივანიშვილი კი არა, ვინც უნდა მოვიდეს ხელისუფლებაში, ვერავინ შეეხებაო.**

**დავუკავშირდით დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელ ამირან გამყრელიძეს, რომელმაც ინფორმაცია ლუგარის ლაბორატორიიდან მომდინარე საფრთხის შესახებ კატეგორიულად უარყო.**

**— ბატონო ამირან, ლუგარის ლაბორატორიის დაარსების დღიდან მითქმა-მოთქმა არ წყდება. ალექსეევკის დასახლებაში მცხოვრებნი ამბობენ, რომ უჩივიან სისუსტეს, თავის ტკივილს, ცუდ სუნს და ამ ყველაფერს ლაბორატორიას უკავშირებენ. ამის გამო მათ საპროტესტო აქციებიც კი გამართეს...**

— ასეთ ინფორმაციაზე კომენტარს ვერ გავაკეთებ იმიტომ, რომ ყველაფერი სიცრუეა. ლუგარის ლაბორატორია — ეს არის უმაღლესი დონის ბიო-სამედიცინო კვლევების სამეცნიერო ცენტრი, რომლის მსგავსიც რეგიონში არ არსებობს. რა სუნზეა ლაპარაკი?! **ეს ლაბორატორია ქვეყნის სიამაყეა, იქ ისეთი კვლევები მიმდინარეობს და ისეთი სამეცნიერო მიღწევები გვაქვს... ვიღაც სილვერმანს ვუსმინოთ, რომელსაც ამით უნდა პოპულარობის მოპოვება და თავის გამოჩენა საქართველოში და თქვენც ხელს უწყობთ?!**

**— ამ ყველაფერზე არა მხოლოდ ჯეფრი სილვერმანი, არამედ მოსახლეობაც საუბრობს. ისინი ამბობენ, რომ ლაბორატორიის თანამშრომლები მოიწამლნენ და ორი მათგანი გარდაიცვალა კიდეც...**

— როგორ გეკადრებათ, რა ზღაპრებია, ხალხს ნუ აგიჟებთ. ასეთი დონის უმაღლესი ბიო-სამედიცინო კვლევების ლაბორატორია რეგიონში მხოლოდ საქართველოშია და ეს უნდა გვეამაყებოდეს.

ჩვენ გვაქვს ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ აკრედიტებული სამი ლაბორატორია, რომლებშიც მიმდინარეობს ახალაღმოჩენილი ვირუსების, ბაქტერიული ინფექციების დროული დიაგნოსტიკა, გენომის კვლევები... ეს ვიღაცებს შურთ და სწორედ ამის გამოა ამხელა აჟიოტაჟი ატეხილი.

**ბატონი ამირან გამყრელიძისგან განსხვავებით, მოსახლეობის უკმაყოფილების შესახებ ინფორმაცია აქვს თბილისის საკრებულოს „ადამიანის უფლებათა და სამოქალაქო ინტეგრაციის“ კომისიის თავმჯდომარეს — გულიკო ზუმბაძეს. როგორც ქალბატონი გულიკო ამბობს, ადგილობრივმა მცხოვრებლებმა ლაბორატორიის შესახებ მას მართლაც შესჩივლეს.**

**გულიკო ზუმბაძე:**

— როცა მოსახლეობას მათ პრობლემებზე სასაუბროდ შევხვდი, ლუგარის ლაბორატორიაზეც შემომჩივლეს. იქ მცხოვრებთა აზრით, მათი ავადმყოფობის მიზეზი სწორედ ეს ლაბორატორიაა. მოსახლეობასთან შეხვედრის შემდეგ მოვიძიე ინფორმაცია და, როგორც გავარკვიე, ლუგარის ლაბორატორია მოქალაქეების ჯანმრთელობას საფრთხეს არ უქმნის.

ამას გარდა, მახსოვს, რომ წლების წინათ ამ ლაბორატორიის მშენებლობას „მწვანეთა პარტიის“ ლიდერი **გიორგი გაჩეჩილაძე** აპროტესტებდა, მაგრამ ის დღეს ხელისუფლებაშია და ჩუმადაა, რადგან, როგორც ჩანს, ლაბორატორიის არსებობის უვნებლობაში ისიც დარწმუნდა.

ვფიქრობ, ადამიანებს უნდობლობა და რწმენა, რომ ლაბორატორია მათ ჯანმრთელობაზე მავნე ზემოქმედებას ახდენს, იმიტომ გაუჩნდათ, რომ ქვეყანაში არ არსებობს სანიტარული ზედამხედველობის სისტემა, ქვეყანას მთავარი სანიტარი არ ჰყავს. ადამიანები უნდობლად არიან განწყობილი, რადგან არ აქვთ ინფორმაცია. არადა, მოსახლეობას, კანონმდებლობის თანახმად, უფლება აქვს, კომპეტენტური ორგანოსგან მოისმინოს სარწმუნო განცხადება, თუ რას წარმოადგენს ეს ლაბორატორია და არის თუ არა საფრთხის შემცველი საზოგადოებისთვის.

**მოამზადა შორენა ციცქარაშვილმა**



## დიმიტრი მედვედევი: ცივი ომის დროში დავბრუნდით

**რუსეთის პრემიერის — დიმიტრი მედვედევის შეფასებით, რუსეთისა და ნატოს წევრი ქვეყნების ურთიერთობა ახალი ცივი ომის ფორმას იღებს.**

„თითქმის ყოველდღე გვადანაშაულებენ, რომ ევროპას საფრთხეს ვუქმნით, გადაიღეს ფილმი, რომელშიც რუსეთი ბირთვულ ომს იწყებს. ხანდახან ვეკითხები თავს — 2016 წელია თუ 1962?“ — განაცხადა მედვედევმა. მედვედევის მოსაზრებით, აუცილებელია ინტენსიური დიალოგი მხარეებს შორის, რომელიც ამჟამად თითქმის მთლიანად შეწყვეტილია.

გასულ კვირას ამერიკული დაზვერვის ხელმძღვანელმა ჯეიმს კლეპერმა რუსეთი ცივი ომის გაღვივებაში დაადანაშაულა. რუსეთისა და ნატოს ურთიერთობები უკრაინაში რუსეთის აგრესიისა და სირიაში ასადის რეჟიმის მხარდაჭერის გამო დაიძაბა.



## მალიში ექვსი მშვიდობისმყოფელი დაიღუპა

**მალიში „ბოევიკთა“ თავდასხმის შედეგად გაეროს 6 მშვიდობისმყოფელი დაიღუპა და 30-მდე დაშავდა. დაღუპულები გვინეის მოქალაქეები არიან.** თავდასხმა მალის ჩრდილოეთში მდებარე ქალაქ კიდალში მოხდა. „ბოევიკებმა“ მშვიდობისმყოფელთა ბაზასთან ჯერ დანაღმული ავტომობილი ააფეთქეს, შემდეგ კი ბაზის ტერიტორია დაცხრილეს. ტერორისტულ აქტზე პასუხისმგებლობა „ალ ქაიდას“ ფილიალმა, დაჯგუფება „ანსარ ად-დინმა“ დაიკისრა.

გაეროს გენერალურმა მდივანმა პან გი მუნმა თავდასხმას სამხედრო დანაშაული უწოდა და დასძინა, რომ გაერო ისლამისტებთან ბრძოლაში მალის მთავრობის დახმარებაზე უარს არ იტყვის.

მოკლედ

## ბრაზილიაში ზიკას ვირუსით, შესაძლოა, 4 000 ჩვილი იყოს დაავადებული

**ბრაზილიაში ზიკას ვირუსთან ბრძოლის ფარგლებში 200 000 ჯარისკაცს ვირუსით გამოწვეული საფრთხეების შესახებ მოსახლეობის ინფორმირება დაევალა. ბრაზილიის პრეზიდენტ დილმა რუსეფის განცხადებით, ამ ეტაპზე ეს არის ერთადერთი გამოსავალი ვირუსის გავრცელების შესაჩერებლად, რადგან ვაქცინა ჯერჯერობით არ არსებობს.**

ზიკას ვირუსით ბრაზილიაში უკვე სამი ადამიანი გარდაიცვალა. ყველაზე დიდ საფრთხეს ზიკა ფეხმძიმე ქალებისთვის წარმომადგენს, რადგან ვირუსი პათოლოგიებს, კერძოდ ახალშობილთა მიკროცეფალიას იწვევს. ბრაზილიის ჯანდაცვის სამინისტროს ცნობით, უკვე აღრიცხულია ჩვილთა მიკროცეფალიის 462 შემთხვევა, მედიკოსები ვარაუდობენ, რომ კიდევ 4 000 ჩვილი, შესაძლოა, ზიკას ვირუსით იყოს დაავადებული.



დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**როდესაც ამა თუ იმ პოლიტიკის ფარგლებში პოზიტიური პერსპექტივა არ ჩანს და შედეგის მიღწევა შეუძლებელი ხდება, მისი გამტარებლის გავლენა და ავტორიტეტი მცირდება. ეს ჩიხია –შესაძლოა, სწორედ მას აღწერს ამერიკული დაზვერვა კორექტული, „შემარბილებელი“ ფორმულირებების გამოყენებით და ქვეყნის ხელმძღვანელობას კვეტექსტში ახალი პოლიტიკის შემუშავების აუცილებლობაზე მიანიშნებს.**

# ამერიკული დაზვერვა და ევროპული წინსვლა საქართველოში

**გასულ კვირას ქართული საზოგადოების ყურადღება ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნული დაზვერვის ყოველწლიურმა ანგარიშმა მიიპყრო, რომელიც მისმა დირექტორმა ჯეიმს კლაპერმა სენატორებს 9 თებერვალს წარუდგინა. ეს დოკუმენტი საკმაოდ საინეტერესო შეფასებებს შეიცავს და საქართველოს დღევანდელ მდგომარეობაზე სასაუბროდ კარგ საბაბს გვაძლევს.**

ამ თემაზე პირველი აქტიური მსჯელობა თბილისში 2011 წელს გაიმართა. მაშინ სააკაშვილის რეჟიმის ჩრდილოკავკასიური პოლიტიკის კრიტიკისთვის ოპოზიციამ ამერიკული დაზვერვის ანგარიშიდან ერთ-ერთი მონაკვეთი გამოიყენა. იქ ნათქვამი იყო, რომ რეგიონში დაძაბულობას ხელს უწყობს არა მხოლოდ „მოსკოვის სამხედრო ყოფნა საქართველოს სეპარატისტულ რეგიონებში, სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში და პოლიტიკურ-ეკონომიკური კავშირები მათთან და, ამასთან ერთად, საქართველოს უკმაყოფილება სტატუს-კვოთი“, არამედ ოფიციალური თბილისის საჯარო მცდელობებიც — „კავშირები დაამყაროს რუსეთის ჩრდილოეთ კავკასიაში სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფთან“, რომელიც, მოხსენების თანახმად, „ასევე უწყობს ხელს ამ დაძაბულობას“. ამან საქართველოს იმჟამინდელი ხელისუფლება, როგორც ჩანს, ძალიან გააღიზიანა, საგარეო საქმეთა მინისტრმა **გრიგოლ ვაშაძემ** „რადიო თავისუფლებისთვის“ მიცემულ ინტერვიუში თქვა: **„აბსოლუტურად არ მაინტერესებს, რას ამბობს კლაპერი“.** ეს იყო ყველაზე უხეში გამოხტომა სააკაშვილის რეჟიმისა და მისი ამერიკელი პარტნიორების ურთიერთობის ისტორიაში.

2011 და 2012 წლების მოხსენებებში საუბარი, აგრეთვე, შეეხო საკონსტიტუციო ცვლილებებსა და სააკაშვილის სავარაუდო მცდელობებს, პრემიერის სავარძელში გადამჯდარიყო, რრომელიც განიხილებოდა, როგორც დაძაბულობის ზრდის ხელშემწყობი ფაქტორი. 2013 წელს კი **ჯეიმს კლაპერმა** სენატორებს შემდეგი მოსაზრება გაუზიარა: **„ბოლოდროინდელი მოვლენები საქართველოში, საპარლამენტო არჩევნებში პრემიერმინისტრ ბიძინა ივანიშვილის პარტიის „ქართული ოცნების“ გამარჯვების შემდეგ, რუსეთ-საქართველოს ორმხრივი დაძაბულობის შერბილების ახალ იმედს გვთავაზობს. პრემიერმინისტრმა ივანიშვილმა გამოხატა რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზებით დაინტერესება და ცდილობს, მოსკოვთან დიალოგის ტონი გააუმჯობესოს. მაგრამ პრეზიდენტ სააკაშვილის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თითქმის ათწლიანი მმართველობის შემდეგ საქართველო გარდამავალი პოლიტიკური პერიოდის გამოწვევებისა და შიდაპოლიტიკური არასტაბილურობის გაზრდილი რისკის წინაშე დგას“.**

აღსანიშნავია, რომ 2008 წლის შემდეგ, ყველა მოხსენებაში რუსეთისა და საქართველოს დაპირისპირება განიხილებოდა, როგორც სერიოზული საფრთხის შემცველი ფაქტორი, და ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც დაიწყო საუბარი „ახალ იმედზე“. ყოველივე ეს „გადატვირთვის“ მიწურულს ხდებოდა, თუმცა მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა და უკრაინის კრიზისის ფონზე „ახალმა ცივმა ომმა“ იფეთქა. ალბათ, საინტერესო იქნება იმის ნახვა, როგორ შეიცვალა ამერიკული დაზვერვის შეფასებები. ასე რომ, ახლო წარსულიდან აწმყოზე გადავიდეთ.

მოხსენებაში საქართველოს შემდეგი მონაკვეთი ეთმობა: **„მიუხედავად იმისა, რომ საქართველო რეფორმების თვალსაზრისით პროგრესს განიცდის, პოლიტიკური კონკურენციის ზრდის გამო მისი პოლიტიკა თითქმის უდავოდ მერყევი იქნება. მთავარ პოლიტიკურ სისუსტედ მთავრობისთვის 2016 წლის არჩევნების წინ ეკონომიკური გამოწვევები იქცევა. მზარდი იმედგაცრუება საქართველოს ელიტებსა და საზოგადოებაში დასავლეთთან ინტეგრაციის ნელი ტემპის გამო და რუსული პროპაგანდის ეფექტიანობის ზრდა ამაღლებს იმის ალბათობას, რომ თბილისმა შეიძლება შეანელოს ან შეწყვიტოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის მცდელობები. რუსეთთან დაძაბულობა კვლავინდებურად მაღალი იქნება და, ჩვენი შეფასებით, მოსკოვი გაზრდის ზეწოლას თბილისზე, რათა მან უარი თქვას მჭიდრო კავშირზე ევროკავშირთან და ნატოსთან“.**

ამ ტექსტის გავრცელების შემდეგ ქართველი პოლიტიკოსების ნაწილმა ვაშინგტონის სავარაუდო მინიშნებების გაშიფრვას არაერთი განცხადება დაუთმო, თანაც, ჩახლართული ინტერპრეტაციების ფონზე ერთი მარტივი აზრის გატარებას ცდილობდა, რომლის მოკლე შინაარსი დაახლოებით ასეთი იყო: „დედას ვფიცავთ, პროდასავლურ ორიენტაციაზე უარს არ ვიტყვით“. აჟიოტაჟმა რამდენიმე საათში პიკს მიაღწია, **ზოგიერთი მოღვაწე ლამის კვაზირელიგიურ ექსტაზში ჩავარდა და, შესაძლოა, ამიტომ აშშ-ის ელჩის მოადგილემ ნიკოლას ბერლინერმა** საჭიროდ ჩათვალა, **ხაზი გაესვა იმისთვის, რომ საუბარია სადაზვერვო ანალიტიკოსების შეფასებაზე, რომლის მიზანი აშშ-ის ხელისუფლების ინფორმირებაა, ხოლო საქართველოს ხელისუფლების ევროატლანტიკურ მისწრაფებებში ეჭვი არავის ეპარება.**

ალბათ, **ზუსტად უნდა დავადგინოთ, რას წარმოადგენს „დასავლეთთან ინტეგრაცია“, რომელზეც ამერიკული მზვერავები წერენ. მასში, სხვა ყველაფერთან ერთად, ორი ძირითადი პროცესი შედის: ა) ინტეგრაცია ნატოში; ბ) ევროინტეგრაცია.** პირველ პროცესს ბიძგი ამერიკელებმა მისცეს, მას ვაშინგტონი



ჯეიმს კლაპერი

კურატორობს და მისი გამოყენებით საქართველოში საკუთარ ინტერესებს ატარებს; ხოლო მეორე პროცესი ევროკავშირის „ეპარქიას“ მიეკუთვნება. ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში საქართველოს გაწევრების პროცესი ჩიხში შევიდა. საქართველოსთვის „მაპის“ მინიჭება ვერ მოხერხდა, წევრობაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. სამაგიეროდ, ევროპულ მიმართულებაზე მნიშვნელოვანი ცვლილებებია — ხელი მოეწერა ასოცირების შეთანხმებას, შეიცვალა ვაჭრობის რეჟიმი, უქმდება ვიზები და ა.შ. საზოგადოდ კი, ევროპული გავლენა საქართველოში ბოლო წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა.

**ქართველი პოლიტიკოსები ვაშინგტონისა და ევროპული დედაქალაქების ინტერესებს ერთმანეთისგან, როგორც წესი, არ განასხვავებენ, ერთიანი „დასავლეთის“ ფარგლებში განიხილავენ და მათ კონკურენციას რეგიონში თითქოს საერთოდ ვერ ხედავენ.** იმისთვის, რომ კარგად გავაანალიზოთ აშშ-ისა და ევროკავშირის ურთიერთობა, სასურველია, დავაკვირდეთ ერთ საგულისხმო ინგლისურ ნეოლოგიზმს — „ფრენემი“, რომელიც ორი სიტყვის შერწმის შედეგად წარმოიქმნა, „ფრენდ“ — მეგობარი და „ენემი“ — მტერი. ქართულად ეს, ალბათ, ისმის, როგორც „მტერგობარი“. **„ფრენემებმა“ შეიძლება შეინარჩუნოს გარეგნულად მშვენიერი ურთიერთობა, გაერთიანდნენ სხვების წინააღმდეგ, მაგრამ ეს ვერ გააუქმებს კონკურენციას მათ შორის.**

საქართველოს ინტეგრაცია ნატოში დაბლოკილია „ძველი ევროპის“ ქვეყნების მიერ (ამ თემაზე საუბრისას უნდა გავმიჯნოთ ევროკავშირის წამყვანი სახელმწიფოები და აშშ-ის სატელიტები „ევროპერიფერიაზე“). მთავარ მიზეზად ტერიტორიული პრობლემები სახელდება, თანმდევად კი — რუსეთთან უმწვავესი დაპირისპირების საფრთხე (იმავე მიზეზებზე მიუთითებენ უკრაინის შემთხვევაშიც). ამერიკელები მათი წინააღმდეგობის დაძლევას ვერ ახერხებენ. ევროპელებს კი, საქართველოში პოზიციების გასაფართოებლად, თავისუფლად შეუძლიათ გამოიყენონ ვარიაციები სამეზობლო პოლიტიკის თემაზე. ეს ხანგრძლივ პერსპექტივაზე ორიენტირებული სტრატეგიაა. **თურქეთის დაახლოება ევროპულ სამყაროსთან (ევროკავშირთან და მის წინამორბედ გაერთიანებებთან) 50 წლის განმავლობაში გაგრძელდა და მასში სრულფასოვანი ინტეგრაციით არ დასრულებულა. 2015 წლის იანვარში პრეზიდენტმა ერდოღანმა განაცხადა, რომ მის ქვეყანას ევროკავშირში გაერთიანება აღარ აინტერესებს.** ზოგიერთი კომენტატორი მიიჩნევს, რომ პრობლემები, რომლებიც მის მთავრობას ბოლო ხანს შინ და გარეთ შეექმნა, სხვა ყველაფერთან ერთად, ანტიევროპული პოზიციის შედეგია. **საქართველოს ხელისუფლება თავიდანვე გააფრთხილეს, რომ ევროკავშირში გაერთიანება ძალზე შორი და ბუნდოვანი პერსპექტივაა,** ის, ამ მხრივ, სიმშვიდეს ინარჩუნებს და მიღწეული შედეგით კმაყოფილდება; სამაგიეროდ, მოუთმენლად მოითხოვს, რომ ნატოში გააერთიანონ, და ყოველი სამიტის შემდეგ ცდილობს, საზოგადოების იმედგაცრუება გაანეიტრალოს. **ნამდვილად სჭირდება თუ არა „ძველ ევროპელებს“, რომ ხელშესახებ პერსპექტივაში საქართველო ნატოში მიიღონ, ორგანიზაციაში, სადაც სწორედ რომ ამერიკელებს „მიჰყავთ პარადი“ და ამით ვაშინგტონს დამატებითი ბერკეტები საკუთარი ხელით მიაწოდონ? პლუს ამას მოსკოვთან სახიფათო დაპირისპირება დაიწყონ? თუ დასახულ მიზნებს „ევროდაახლოების“ პროცესის ფარგლებშიც მიაღწევენ?** ამ შემთხვევაში ტერმინი „ევროატლანტიკური ინტეგრაცია“, შესაძლოა, არაერთ წინააღმდეგობას ფარავს, როგორც ხალიჩა, რომლის ქვეშ ბულდოგები ჩხუბობენ და, ალბათ, მნიშვნელოვანია, მკაფიოდ გავმიჯნოთ ერთმანეთისგან ევროინტეგრაცია და ინტეგრაცია ნატოში.

ბუშის ადმინისტრაციამ საკუთარი შესაძლებლობები გადაჭარბებულად შეაფასა. მან ვერ მოახერხა ნატოს გაფართოება სამხრეთ კავკასიის მიმართულებით. სააკაშვილი ამ პერსპექტივამ ხომ საერთოდ გააგიჟა და ილუზიებში გადაასახლა. 2008 წლის აგვისტოში ყოველივე ეს საშინელი კრახით დაგვირგვინდა. **საინტერესოა, რატომ დაურეკა ბუშმა სარკოზის მაშინ, როდესაც საქართველოს დედაქალაქში რუსული ჯარის შემოსვლას ძალიან ცოტა აკლდა, და ურჩია, მოსკოვსა და თბილისში სამშვიდობო მისიით არ გამგზავრებულიყო** (სარკოზის მოგონებები ამ ეპიზოდზე თეთრმა სახლმა პირდაპირ არ უარყო და ბუნდოვანი „დამამშვიდებელი“ კომენტარით შემოიფარგლა). **იმისთვის ხომ არ დაურეკა, რომ ამერიკული პოლიტიკის წარუმატებლობით ევროპელებს არ ესარგებლათ? ევროპელებს იმ ომში მონაწილეობა არ მიუღიათ, თუმცა, შესაძლოა, სწორედ მათ მიაღწიეს მასში ყველაზე დიდ გამარჯვებას, თანაც ისე, რომ, სუნ ძის დანაბარების თანახმად, „ქარქაშიდან ხმალი არ ამოუღიათ“.**

„ძველი ევროპა“ საქართველოზე სულ უფრო დიდ გავლენას ახდენს. რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების დალაგება, ნელი ტემპის მიუხედავად, გრძელდება და კრემლი ამ პროცესის მიღმა მთელ რიგ პერსპექტივებს ხედავს. ჩინეთი უამრავ რეგიონულ პროექტში მონაწილეობს და სამხრეთ კავკასიაში პოზიციებს აფართოებს. ძია სემი კი შეჩერდა კედელთან, რომელსაც „ნატოში საქართველოს გაწევრება“ აწერია, ვერც გვერდს უვლის, ვერც მარშრუტის შეცვლას ახერხებს. ევროპელი მოკავშირეები არ ეხმარებიან, რუსებსა და ჩინელებზე ხომ ლაპარაკი ზედმეტია. **როდესაც ამა თუ იმ პოლიტიკის ფარგლებში პოზიტიური პერსპექტივა არ ჩანს და შედეგის მიღწევა შეუძლებელი ხდება, მისი გამტარებლის გავლენა და ავტორიტეტი მცირდება. ეს ჩიხია — შესაძლოა, სწორედ მას აღწერს ამერიკული დაზვერვა კორექტული, „შემარბილებელი“ ფორმულირებების გამოყენებით და ქვეყნის ხელმძღვანელობას კვეტექსტში ახალი პოლიტიკის შემუშავების აუცილებლობაზე მიანიშნებს.** აშკარაა, რომ თამაში პროცესის სხვა მონაწილეთა წინააღმდეგობებზე, თუნდაც საბედისწერო ესკალაციის ზღვარზე, წარმატებისთვის საკმარისი არ იქნება; თეთრ სახლს ახალი იდეები სჭირდება. მანამ, სანამ ის რეგიონში ახალი დღის წესრიგის ფორმირებას არ დაიწყებს, ევროპელები, ალბათ, კიდევ არაერთგზის დაამტკიცებენ, რომ გამოცდილება და გამჭრიახობა უფრო წონადი რესურსია, ვიდრე ძალა და ამბიციები. სასურველია, მათ მოქმედებებს ყურადღებით დავაკვირდეთ, რათა თანდათან აღვადგინოთ და განვავითაროთ ის პოლიტიკური უნარ-ჩვევები, რომლებიც ოდესღაც, ქართული სახელმწიფოებრიობის ოქროს ხანაში, გვქონდა.

**საქართველოში სულ უფრო ბევრი ადამიანი დაფიქრდა იმაზე, რომ დასავლეთი თვითონ ამბობს უარს საქართველოზე და ნელ-ნელა გვაჩვევს ამას. დაფიქრდნენ იმაზეც, რომ აშშ-ის დაზვერვის უფროსის მოხსენება პირდაპირ ეწინააღმდეგება ამერიკელთა დაფინანსებული კვლევების შედეგებს, რომელთა თანახმადაც ჩვენი საზოგადოების 65-70% ურყევად უჭერს მხარს ევროატლანტიკურ არჩევანს.**



**ნანა დევდარიანის საავტორო გვერდი**

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ფანტომებზე ოცნების დასასრული

**მიხეილ სააკაშვილმა მიუნხენის უსაფრთხოების კონფერენციის დარბაზი რუსეთის პრემიერმინისტრ დიმიტრი მედვედევის გამოსვლისას დემონსტრაციულად დატოვა. არავინ გაჰყოლია. ჩანს, გაერთო და დაავიწყდა, რომ, სახელმწიფოს მეთაური კი არა, სხვა ქვეყნის ერთ-ერთი ოლქის ადმინისტრაციის უფროსია. მის ყოფილ თანამოაზრეთა წრეში განწყობები სულ უფრო ჭრელდება. უკრაინაში დესანტის სახით გადასროლილმა ალექსანდრე კვიტაშვილმა ჯერ გადადგომის შესახებ დაწერა განცხადება, მაგრამ „მხარდაჭერა ვერ მიიღო" და გადაიფიქრა, მერე კი სააკაშვილს მიუბრუნდა და განაცხადა, რომ „ბოლო დროს ოდესის გუბერნატორი ყველას მისამართით უცნაურ და არასერიოზულ განცხადებებს აკეთებს".**



რა უნდა ექნა კვიტაშვილს, როცა სააკაშვილმა იგი კორუფციაში დაადანაშაულა?

**„სააკაშვილთან დაკავშირება არასდროს გამჭირვებია, მაგრამ, სიმართლე გითხრათ, ახლა არაფრის გარკვევა არ მიცდია. ვერც ვიკადრებდი მისთვის კითხვების დასმას. არ ვიცი, იაცენიუკის გუნდის წევრად რომ მომიხსენია, ეს პოლიტიკური ეჭვიანობის გამო ხდება თუ სააკაშვილს მცდარ ინფორმაციას აწვდიან"...**

საზოგადოდ, როცა პრეზიდენტს (ყოფილსაც, მათ შორის) არ გინდა, აწყენინო, ყველაზე კარგი ფორმულირებაა „მცდარ ინფორმაციას აწვდიან". მაგრამ, როგორც ჩანს, მას კი არ აწვდიან მცდარ ინფორმაციას, არამედ თვითონ აკეთებს არასწორ გათვლებს, როგორც ალექსანდრე კვიტაშვილის ამ გამონათქვამიდან ირკვევა, **„უკრაინაში სააკაშვილისთვის ოპოზიციაში გადასვლა და ამ გზით პრემიერად მოსვლა ძნელი იქნება. მოგეხსენებათ, უკრაინაში კოალიციური ხელისუფლებაა, სადაც, ძირითადად, ორი პოლიტიკური ძალის ინტერესებია გაერთიანებული. არარეალურია, რომ სიდიდით მეორე ფრაქციამ საკუთარ კვოტაზე უარი თქვას და იაცენიუკის თანამდებობაზე სააკაშვილი დაინიშნოს".**

როგორც იტყვიან, კომენტარი ზედმეტია: კვიტაშვილსაც კი ესმის, რომ სააკაშვილის უკრაინული რეინკარნაცია უტოპიაა, მხოლოდ სააკაშვილი ვერ ხვდება, რომ მიუნხენში მისი დემარში სასაცილო იყო და ახლოსაც არ იდგა პოლიტიკურ დღის წესრიგთან. იქ კითხვებს, მას კი არა, სულ სხვა პირებს უსვამდნენ. **შტაინმაიერს, ლავროვსა** და **ჰემონდს** ჟურნალისტებმა ჰკითხეს, პროცენტულად როგორ აფასებენ ძალადობის შეწყვეტის პერსპექტივას სირიაში. შტაინმაიერმა ლაკონურად უპასუხა: „51%-ით". ლავროვმა ახსნა, რომ აუცილებელია ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, კოლექტიური მოქმედება და, რაკი ეს მთლად ასე არ არის, იგი უფრო 49%-ისკენ იხრება. რა უპასუხა ჰემონდმა? სწორია, გამოცანა გერგებათ: „ყველაფერში კრემლია დამნაშავე"! გეცნობათ რიტორიკა?

თუმცა კრემლს მოგვიანებით მივუბრუნდეთ, სააკაშვილის კიდევ ერთი თანამებრძოლი **ნიკა გვარამიაც** კვიტაშვილივით აჭრელებულ განწყობაზეა და ამტკიცებს, რომ ყველაფერს საკუთარი ნიჭითა და უნარებით მიაღწია. ბოლო პერიოდში ჩვევაში გადასული „სიტყვაზე დაჭერა" ამჟამად უცნობის მიერ „სოფლელ" ჟურნალისტებზე გამონათქვამს მოჰყვა. „რუსთავი 2"-ის გენერალურმა დირექტორმა ნიკა გვარამიამ „ფეისბუქის" პირად გვერდზე პოსტი გამოაქვეყნა:

„წარმავალი კლასის წარმომადგენელ ორ ფუყე თავთავს ვეხმაურები:

1. სოხუმელი ვარ (ვიღაცის გაგებით, სოფლელი) და, რასაც მივაღწიე, ყველაფერს ჩემით მივაღწიე. არასდროს არავინ არაფერში დამხმარებია. იოტისოდენითაც კი. მიდი, აბა, შემეჯიბრე შენ და შენი ვაკელობა. მიდი, აბა, „სოფლელ" ბარბარე სამხარაძესა და გიორგი ნაკაშიძეზე უკეთ იმღერე, პრეტენზიულო და ფუქსავატო უნიჭო, ყველაფერში უნიჭო!

2. სტუდენტობაში, გაჭირვებული და ღატაკი ლტოლვილი რომ ვიყავი, ოფიციანტად მუშაობა ჩემი ოცნება იყო, აუხდენელი. თავი რომ გამომეკვება და დედისთვის მომევლო (მამაჩემი ზვიადისტობის მოტივით გადახვეწეს ამ ქვეყნიდან), სწავლის პარალელურად, ყველაფრის კეთება მიწევდა — აბიტურიენტების მომზადებით დაწყებული (სუფთა და მაღალანაზღაურებადი სამუშაო), მშენებლობებზე აგურების თრევით და ვაგზალზე სხვისი ბარგის გადატანით დასრულებული. უწესიერესი მშობლები მყავდა, რომლებმაც, რაც მთელი ცხოვრება აგროვეს აფხაზეთში, ერთიანად დაკარგეს და რა ვქნათ, შარლატანი მშობლების ფულებით თუ ვერ წავედი უცხოეთში, იქ რომ მესწავლა, ძლივს დამემთავრებინა, მერე რუსეთში გაუგებარი მანქანებით ფული მეშოვნა და ისევ გზაზე ჩემი დამყენებელი ამერიკა მეგინებინა.

მოკლედ, თქვენ თავზეც გაფიარეთ ჩვენ, სოფლელებმა და ოფიციანტებმა, თქვე დროს აცდენილო, შეუმდგარო უმომავლო ქაჯებო".

**ნიკა გვარამიას რომ არავინ არაფერში დახმარებია, იქიდანაც ჩანს, რომ, მინისტრობა-პროკურორობა-გამოვლილი, სააკაშვილმა სასწავლებლად უცხოეთში გაგზავნა და იქიდან დაბრუნებულს თვალის ჩინივით გასაფრთხილებელი «რუსთავი 2» ჩააბარა; იქიდანაც ჩანს, რომ მისი შრომის ანაზღაურება ხუთნიშნა რიცხვს არ ჩამოსცილებია არც მაშინ და არც ახლა, მაგრამ უმადურობას რას უზამ! «იოტისოდენითაც» კი არავინ დამხმარებიაო! არ მეგონა, თუ შემეცოდებოდა სააკაშვილი, მაგრამ მართლა ცოდვაა მისივე მეგობრების შემხედვარე!**

აი, ასე! **ნიკა გვარამიას რომ არავინ არაფერში დახმარებია იქიდანაც ჩანს, რომ, მინისტრობა-პროკურორობაგამოვლილი, სააკაშვილმა სასწავლებლად უცხოეთში გაგზავნა და იქიდან დაბრუნებულს თვალის ჩინივით გასაფრთხილებელი „რუსთავი 2" ჩააბარა; იქიდანაც ჩანს, რომ მისი შრომის ანაზღაურება ხუთნიშნა რიცხვს არ ჩამოსცილებია არც მაშინ და არც ახლა, მაგრამ უმადურობას რას უზამ! „იოტისოდენითაც" კი არავინ დამხმარებიაო! არ მეგონა, თუ შემეცოდებოდა სააკაშვილი, მაგრამ მართლა ცოდვაა მისივე მეგობრების შემხედვარე!**

მათი „გზაზე დამყენებელი" ამერიკა კი მათსავით აჭრელებულ განწყობებს ავლენს. აშშ-ის დაზვერვის ეროვნული სამსახურის დირექტორმა **ჯეიმს კლაპერმა** გასულ კვირას სენატში ყოველწლიური მოხსენებისას მსოფლიო საფრთხეების შესახებ ისაუბრა. საქართველოს მიმართ ყველაზე ხმამაღალი განცხადება ქვეყნის პოლიტიკური კურსის რუსეთის გავლენით შესაძლო ცვლილებას შეეხებოდა. აშშ-ის სენატში გაკეთებულ განცხადებებს ამერიკელი ანალიტიკოსები — **მაიკლ კოფმანი** და **ალექს ვატანკა** გამოეხმაურნენ.

კითხვაზე — იყო თუ არა ჯეიმს კლაპერის განცხადება ერთგვარი გაფრთხილება საქართველოს ხელისუფლებისადმი, რომ მან მეტი სიფრთხილე გამოიჩინოს, თუ რეკომენდაცია აშშ-ის მთავრობისადმი, უფრო მეტად იაქტიუროს რეგიონში რუსული გავლენების გასანეიტრალებლად, მაიკლ კოფმანი ამბობს, რომ ჯეიმს კლაპერის მიერ სენატში გაკეთებული ყოველწლიური მოხსენება მსგავსს არაფერს გულისხმობდა: „მას არაფერი ასეთი არ ჰქონია მხედველობაში. კლაპერმა ივარაუდა, რომ იმდენად, რამდენადაც ნატოში გაწევრიანების პერსპექტივით საქართველოს მოსახლეობა იმედგაცრუებულია, ფაქტობრივად, შესაძლებელია, საქართველო მომავალში შეუდგეს დასავლეთთან ინტეგრაციის საპირისპირო გზას და ერთადერთი ალტერნატიული ორბიტა აქ მხოლოდ რუსული ორბიტაა. რუსეთის გავლენა და ზეწოლის საშუალებები მეზობელ საქართველოზე საკმაოდ ძლიერია. კლაპერმაც სწორედ ეს იგულისხმა, რომ თავის დროზე, რუსეთს იქ გავლენის სრული აღდგენა არ გაუჭირდება".

ვაშინგტონის ახლო აღმოსავლეთის ინსტიტუტის წამყვან ანალიტიკოს **ალექს ვატანკას** მიაჩნია, რომ საქართველო არის ქვეყანა, რომელიც დასავლეთისა და პერიოდულად რუსეთის გავლენის ქვეშ ექცევა. **„ვფიქრობ, თუ რუსეთი გადაწყვეტს, რომ საქართველოზე მეტი ზეწოლა მიიტანოს, საქართველოს ძალიან გაუჭირდება ამის გადალახვა და დაძლევა. მიზეზი მარტივია: აშშ ომს არ დაიწყებს საქართველოში ვლადიმერ პუტინთან. სანამ ამერიკის ხელისუფლების სათავეში ბარაკ ობამაა, ეს მიდგომა დარჩება. არ ვიცი, შესაძლოა, უფრო მეტი კონცენტრირება გამოიჩინოს ამერიკის მომავალმა ადმინისტრაციამ, მაგრამ ამ ეტაპზე რუსეთი, ფაქტობრივად, მიშვებულია, გააკეთოს ის, რაც მის ინტერესებს ემსახურება სამხრეთ კავკასიაში"**.

როცა ამას მე ვამბობ, პრორუსულ განწყობებს აბრალებენ, როცა ამერიკელი ანალიტიკოსები ამბობენ იმავეს, ეს საღი აზრი და პრაგმატულობაა, თუმცა ამას უკვე ნაჩვევი ვართ და არც ის ანდაზა გაუუქმებია ვინმეს, რომ შინაურ მღვდელს შენდობა არ აქვს! **ანალიტიკოსებს ვინ ჩივის და, თვით აშშ-ის სახელმწიფო მდივანი ჯონ კერიც იმავე განწყობას ავლენს: „რა გინდათ ჩემგან? რუსებს ომი დავუწყო? ეს გინდათ?" — ასე მიმართა მან ერთ-ერთი ჰუმანიტარული ორგანიზაციის წარმომადგენელს ალეპოში შექმნილ ვითარებაზე საუბრისას.**

ასეა თუ ისე, წლების განმავლობაში არასასურველი რეჟიმების არაძალადობრივი, ხოლო სადაც ეს არ გამოდის, ძალადობრივი გზით შეცვლის სცენარი სირიაში აღარ მუშაობს და ვაშინგტონს სერიოზულად მოუწევს ნაფტალინწაყრილი ინსტრუქციების ან, სულაც, საგარეო პოლიტიკური მიდგომების შეცვლა. ბოლო გამონათქვამების შემდეგ **საქართველოში სულ უფრო ბევრი ადამიანი დაფიქრდა იმაზე, რომ დასავლეთი თვითონ ამბობს უარს საქართველოზე და ნელ-ნელა გვაჩვევს ამას. დაფიქრდნენ იმაზეც, რომ აშშ-ის დაზვერვის უფროსის მოხსენება პირდაპირ ეწინააღმდეგება ამერიკელთა დაფინანსებული კვლევების შედეგებს, რომელთა თანახმადაც ჩვენი საზოგადოების 65-70% ურყევად უჭერს მხარს ევროატლანტიკურ არჩევანს.**

გასულ კვირას **რუსეთის პატრიარქისა** და **რომის პაპის** შეხვედრა ჰავანაში ზოგმა „ისტორიულად" შეაფასა, ზოგმა — მართლმადიდებელი პატრიარქის მხრიდან ღალატად, მაგრამ ფაქტია, რომ მხოლოდ ამ ორი იერარქის შეხვედრის შემდეგ დაისვა საკითხი ახლო აღმოსავლეთის ძალადობრივი დექრისტიანიზაციის შესახებ. თუმცა **დექრისტიანიზაცია ჯერ ევროპაში დაიწყო და ახლა, მიგრანტთა არნახული მოზღვავების გამო, ეს პროცესი სულ უფრო ღრმავდება.** ფაქტობრივად, ჩვენ თვალწინ იცვლება ევროპის სახე, რომლის აღქმაც ჩვენთვის (და თავად მათთვისაც) ჩვეული იყო. **თუ ქრისტიანები აღარ იქნებიან ახლო აღმოსავლეთში და ევროპაც დემოგრაფიულად უპირატესად მუსლიმანური გახდება, რა ბედი ეწევა ევროპულ ცივილიზაციას?**

ჩასაფრებულთათვის აქვე ვიტყვი, რომ ეს არ ნიშნავს „რად გვინდა ასეთი ევროპა? აქეთ მივდივართ?". ჩემთვის საქართველო ისტორიულად უფრო იყო ევროპა მისი ღირებულებებით, ვიდრე დღევანდელი ევროპა მისი აჭრელებული ლანდშაფტით. ფაქტია, რომ უნდა შეიქმნას ახალი ნარატივები, ახალი მიდგომები, სხვაგვარად სამყაროს ამ სახით არსებობა აღარ შეუძლია. პარადოქსია, **მაგრამ დღეს ანტიგლობალისტური მოძრაობებიც უკვე გლობალურ ხასიათს იძენს. აშშ-ის ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოში დაწერილ სცენარებსა და პროექტებს დღეს უკვე მათ წინააღმდეგ იყენებენ. სანქციებს კონტრსანქციები მოჰყვება. ირანს სანქციებს უხსნიან, რუსეთს — უმკაცრებენ. ირანმა 40 წელი გაუძლო სანქციებს. რამდენს გაუძლებს რუსეთი? ალბათ, მეტსაც, როგორც ეკონომიურ-გეოგრაფიული რუკა მეტყველებს.**

ჩვენ გამო (არც უკრაინის, არც სირიის და სხვ.) რუსეთს რომ ომს არც ევროპა დაუწყებს და არც აშშ, უკვე გვითხრეს. ამაზე მე მანამდეც ვწერდი და ვამბობდი, მაგრამ ჩვენს პოლიტიკურ კლასს ამის შესმენა არ სურს. ახლა ჩვენ გარშემო სწორედ ის ვითარება შეიქმნა, როცა აქტიური მოქმედება და საკუთარი ინტერესით წინა პლანზე გამოსვლაა აუცილებელი. მზად არის ამისთვის ჩვენი ხელისუფლება? **არჩევნებამდე თვეები დარჩა. ან თავს ვანებებთ ფანტომებზე ოცნებას (ეს ჩემი ტერმინი არ არის, თინა ხიდაშელმა ახსენა მაჰზე მორიგი უარის კონტექსტში) და რეალურ ნაბიჯებს ვდგამთ, ან ამას ახალი, 2016 წელს არჩეული ხელისუფლება გააკეთებს.**

ინტერვიუ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„საბერძნეთიდან მირეკავენ ქართული დიასპორის წარმომადგენლები და მეუბნებიან, 50 ათასი ქართველი მზად არის, ხელი მოაწეროს საკონსტიტუციო ცვლილებასო; მირეკავენ რუსეთიდან და მეუბნებიან, რომ 100 ათასზე მეტი ხელმოწერის გადმოგზავნა შეუძლიათ და ამ დროს, თუ საქართველოს უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში 76 ხელმოწერა არ შეგროვდება, სულ ცოტა, სირცხვილია. მიჩნდება განცდა, რომ ღირსეული საქართველო საზღვრებს გარეთ არის გასული, აქ კი ისეთები დარჩნენ, ვისაც ქართველობასთან შეხება არ აქვთ“.**



# სანდრო ბრეგაძე: თუ ჩვენს ტრადიციებსა და იდენტობას დავკარგავთ, ავასრულებთ გიგა ბოკერიასა და თავისუფლების ინსტიტუტის ოცნებას

**„მილიონობით დოლარი შემოვიდა და ხშირად ეს არ არის გრანტები, ეს არის შავი ფული. 2015 წლის ზაფხულში შემოვიდა 5 მილიონ დოლარამდე. ეს თანხები უნდა მოხმარდეს ანტიქართულ აქციებს, მათ შორის, ლგბტ-ს პროპაგანდას, აპირებენ ადამიანების მოსყიდვას, რომლებიც წარმოადგენენ საზოგადოებისთვის ცნობილ სახეებს, რათა ის პოზიციები გამოხატონ, რომლებზეც ლაპარაკობენ ქართველოფობები“, — ამბობს მოძრაობა „ეროვნულების“ ლიდერი სანდრო ბრეგაძე და მოითხოვს, კონსტიტუციის 36-ე მუხლში შევიდეს განმარტება: ოჯახი — ეს არის მხოლოდ ქალისა და მამაკაცის ერთობა. სახელმწიფო მინისტრის მოადგილემ დიასპორის საკითხებში პარლამენტის თავმჯდომარეს ულტიმატუმი წაუყენა და 76 დეპუტატის ხელმოწერას მოითხოვს, რათა კონსტიტუციაში ცვლილებები სასწრაფოდ განხორციელდეს. გვესაუბრება მოძრაობა „ეროვნულების“ ლიდერი სანდრო ბრეგაძე.**

**— ბატონო სანდრო, რატომ შეიქნა აუცილებელი, კონსტიტუციაში ჩაიწეროს, რომ ოჯახი ქალისა და მამაკაცის ერთობაა?**

— ჩვენდა სამწუხაროდ, ქვეყანაში ქართველოფობიური ძალები მომძლავრდნენ, მათ სძულთ ყოველგვარი ქართული და ეროვნული.

**— არასამთავრობო ორგანიზაციებს გულისხმობთ?**

— გეტყვით, დასამალი არაფერი მაქვს: საქართველოს მოსახლეობის 99% ერთ პოზიციაზეა, ერთნაირსქესიანთა ქორწინება მიუღებელია და არ შეიძლება ამის დაკანონება, მაგრამ ქართველოფობები — **გიგი თევზაძე, გია ნოდია, გოგი გვახარია, ნინია კაკაბაძე, ეკა გიგაური, ნინო ლომჯარია** და უამრავი სხვა, ცდილობენ, უცხო ქვეყნიდან ქართველთა დამღუპველი რამ შემოიტანონ, ისევე, როგორც ბევრი სხვა ცუდი ჩვევა, რომლებსაც ადამიანის უფლებების დაცვას უწოდებენ. **უფლებადამცველი უწოდო ადამიანებს, რომლებიც ცხრა წლის განმავლობაში სააკაშვილის პირსისხლიანი რეჟიმის დამცველები იყვნენ, ცნება „უფლებადამცველის“ შეურაცხყოფაა. საქართველოს დაუძინებელი მტრების გზის გამგრძელებლები არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება უფლებადამცველებად მოიხსენიო.**

ვალდებულნი ვართ, მოვახდინოთ პრევენცია, რათა საქართველოში არასოდეს დაკანონდეს ერთნაირსქესიანთა შორის ქორწინება. სწორედ ამიტომ არის საჭირო, ჩაიწეროს კონსტიტუციაში და ნათლად, გარკვევით იყოს განმარტებული, რომ ოჯახი არის ქალისა და მამაკაცის ერთობა. ევროკავშირის ქვეყნებში, მაგალითად, ლატვიასა და ხორვატიაში, ასეთი მუხლი კონსტიტუციაში აქვთ შეტანილი, მაგრამ ეს მათ ევროპულ განვითარებას ხელს არ უშლის, პირიქით...

**— ქართველთა დიდ ნაწილს სურს, რომ კონსტიტუციაში ასეთი მუხლი შევიდეს, მაგრამ ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტმა, უფრო ზუსტად კი, სახელმწიფო მდივანმა ჯონ კერიმ განაცხადა, ერთნაირსქესიანთა ქორწინება მსოფლიოს ყველა ქვეყანაში უნდა დაკანონდესო. შეძლებს კი ჩვენი ხელისუფლება, წინ აღუდგეს კერის ამ განკარგულებას?**

— ჩვენი მბრძანებელი ღმერთია, სხვა არავინ! ნებისმიერ ქვეყანას თავისი სპეციფიკა აქვს, თავისი ტრადიციები. შეიძლება ამერიკელებს მოსწონდეთ ის, რაც მისაღები არ არის ფრანგებისთვის... საქართველო უნიკალური ტრადიციების ქვეყანაა, გვაქვს უნიკალური იდენტობა, რომელიც მსოფლიოს ყველა ქვეყნისგან გამოგვარჩევს. აქედან გამომდინარე, **თუ ჩვენს ტრადიციებსა და იდენტობას დავკარგავთ, ავასრულებთ გიგა ბოკერიასა და თავისუფლების ინსტიტუტის ოცნებას — იარსებოს ტერიტორიამ სახელწოდებით „საქართველო“ და აქ იცხოვრონ ადამიანებმა, რომლებსაც ქართული არაფერი სცხიათ. სააკაშვილის მმართველობის პერიოდში იყო ავადმყოფური საუბრები, სურდათ, გარეგნობითაც და სულიერადაც ყველა ქართველი გიგა ბოკერიას დამსგავსებოდა.**

თუ ქართველებმა ერთნაირსქესიანთა ქორწინების დაკანონება დავუშვით, ყოველგვარი პოლიტიკური მოღვაწეობა, საზოგადოებრივი ღვაწლი და, საერთოდ, ცხოვრება აზრს დაკარგავს.

**— ერთნაირსქესიანთა ქორწინებაზე საუბარი ბევრისთვის სირცხვილია. როგორ ფიქრობთ, თუ ადამიანი ამორალურია, მისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს, კონსტიტუციაში რა ჩაიწერება?**

— ამ ქვეყანაში არსებობდნენ, არსებობენ და იარსებებენ მეძავები. ჩვენ მათ ვკიცხავთ, მაგრამ შეუძლებელია ამის აღმოფხვრა, თუმცა ხელშეწყობაც წარმოუდგენელია. სექსუალური უმცირესობების წარმომადგენლები ჩვენი მამების თაობაშიც იყვნენ და უფრო ადრეც. ეს არავის უკვირს. იცხოვრონ, იარსებონ, მაგრამ ამის დაკანონებას ნურავინ მოითხოვს. **ერთნაირსქესიანთა ქორწინებას მეორე მოთხოვნაც მოჰყვება — ბავშვის აყვანა, ეს კი თაობებს დაღუპავს. ადამიანთა უფლებების დამცველები იმაზე რატომ არ ფიქრობენ, ირღვევა თუ არა ასეთ შემთხვევაში ბავშვის უფლებები? ხომ საშინელებაა ჰომოსექსუალების ოჯახში ბავშვის აღზრდა? ამ რეალობის წინაშეც აუცილებლად დავდგებით, თუ მოხდა სასწაული და ერთნაირსქესიანთა ქორწინება დაკანონდა.**

ბნელეთში შედივართ და იქიდან გამოსვლა ძალიან გაგვიჭირდება. დიდ ქვეყნებში ასეთი რაღაც შეიძლება ასატანი იყოს, მაგრამ ჩვენ მცირერიცხოვანი ერი ვართ, მილიონ-ნახევარი ქართველი ქვეყნიდან არის წასული და უკან დაბრუნებაზე არ ფიქრობს... **თუ ჩვენს უმძიმეს დემოგრაფიულ მდგომარეობას ერთნაირსქესიანთა ქორწინებას დავუმატებთ, პრობლემა გაღრმავდება და გაიზრდება.**

საკონსტიტუციო ცვლილების ინიციატორები ვითვალისწინებთ ყველა სახელმწიფოებრივ ასპექტს. **ჩვენი სახელმწიფოს ქვაკუთხედი არის ქართული ოჯახი და ის ტრდიციები, რომლებიც გვაქვს. თუ სახელმწიფოს ეს ქვაკუთხედი გამოეცლება, ჩათვალეთ, რომ უიარაღოდ, უსისხლოდ დაგვეცით, გავნადგურდით.** ადამიანები, რომლებიც თვლიან, რომ მათ დაჩაგვრას ვაპირებთ, სინამდვილეში თვითონ გვჩაგრავენ. ამ კონტექსტში შეხედონ ყველაფერს, იაზროვნონ სახელმწიფოებრივად. მომავლის მოსპობას არავის დავანებებთ.

**— თქვენ პარლამენტის თავმჯდომარეს ულტიმატუმი წაუყენეთ, კატეგორიულად მოითხოვთ, რომ დავით უსუფაშვილმა 76 ხელმოწერა „გააჩინოს“. რატომ გგონიათ, რომ ეს საკითხი შეფერხდება? ვინ არ მოაწერს ხელს? სიმართლე გითხრათ, ბევრი ფიქრობს, რომ კონსტიტუციაში მსგავსი ცვლილება არ შევა.**

— მე ხელისუფლების წევრი ვარ და ურთიერთობა ყველასთან მაქვს. „ქართული ოცნების“ დეპუტაციის უდიდესი უმრავლესობა თანახმაა, ხელი მოაწეროს კანონის მიღებას, მაგრამ არსებობს დამაბრკოლებელი ფაქტორები. მაგალითად, ვიცი, რომ **პარლამენტის თავმჯდომარე კონსტიტუციაში ცვლილების შეტანაზე ჭოჭმანობს, ვერ გადაუწყვეტია, მოაწეროს თუ არა ხელი, რომ ოჯახი ქალისა და მამაკაცის ერთობაა. მიმდინარეობს კულუარული დავები.**

## «პარლამენტის თავმჯდომარე კონსტიტუციაში ცვლილების შეტანაზე ჭოჭმანობს, ვერ გადაუწყვეტია, მოაწეროს თუ არა ხელი იმას, რომ ოჯახი ქალისა და მამაკაცის ერთობაა»

ერთნაირსქესიანთა ქორწინების დაკანონება არ არის ის თემა, რომელიც პოლიტიკურ ჭრილში უნდა გადავიტანოთ. ეს მორალურ-ზნეობრივი და შემდეგ უკვე პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი საკითხია. ვფიქრობ, ადამიანები, რომლებიც პარლამენტში სხედან, ბევრ რამეზე უნდა დაფიქრდნენ.

დიასპორის მინისტრის მოადგილე ვარ. **საბერძნეთიდან მირეკავენ ქართული დიასპორის წარმომადგენლები და მეუბნებიან, 50 ათასი ქართველი მზად არის, ხელი მოაწეროს საკონსტიტუციო ცვლილებასო, მირეკავენ რუსეთიდან და მეუბნებიან, რომ 100 ათასზე მეტი ხელმოწერის გადმოგზავნა შეუძლიათ და ამ დროს, თუ საქართველოს უმაღლეს საკანონამდებლო ორგანოში 76 ხელმოწერა არ შეგროვდება, სულ ცოტა, სირცხვილია. მიჩნდება განცდა, რომ ღირსეული საქართველო საზღვრებს გარეთ არის გასული, აქ კი ისეთები დარჩნენ, ვისაც ქართველობასთან შეხება არ აქვთ.**

6 თვის წინათ შესული კანონპროექტი აქამდე არ განუხილიათ, ეს პარლამენტი ამ კანონის მიღებას ვეღარ მოასწრებს. განხილვა ხლოვნურად შეფერხდა. ფაქტია, ეს პარლამენტი თავს არიდებს კანონის მიღებას.

**— იქნებ პრობლემა თქვენშია? „ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერი ნიკა რურუა თვლის, რომ ოჯახი ქალისა და კაცისაგან უნდა შედგებოდეს, მაგრამ, როგორც კი შეიტყო, რომ კონსტიტუციაში ცვლილების შეტანას თქვენ მოითხოვთ, განაცხადა, მხარს არ დავუჭერო.**

— ძალიან ცუდია, **ნიკა რურუასი** და ჩემი გუნდის ზოგიერთი წევრის მოსაზრება ერთმანეთს რომ ემთხვევა. სახელებსა და გვარებს ჯერ არ ვიტყვი, ყველაფერს ფარდა მალე აეხდება. თუ პრობლემა ჩემშია, თანახმა ვარ, ინიციატივა სხვამ მიიწეროს, ჩიორა თაქთაქიშვილის ინიციატივა დაარქვან, ოღონდ ხელი მოაწერონ, კონსტიტუციაში ცვლილება შეიტანონ, სწორ გზას არ ასცდნენ და ქვეყანა არ დაღუპონ.

**— და, მაინც რომ არ მიიღონ?**

— ყველა ვარიანტში რეფერენდუმი ჩატარდება. ახლა ხელიც რომ მოაწერონ, უკვე დაგვიანებულია, ფიზიკურად ვერ მოასწრებენ საკონსტიტუციო ცვლილების მიღებას. შეიკრიბება საინიციატივო ჯგუფი, რომელიც ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში შეიტანს მოთხოვნას რეფერენდუმის ჩატარებზე, ამის შედგომ, **გაძლევთ გარანტიას, ორ კვირაში 200 ათასზე მეტი ხელმოწერა შეგროვდება და რეფერენდუმი ჩატარდება, სადაც მთელი საქართველო თავის აზრს გამოხატავს. დარწმუნებული ვარ, მოსახლეობის 95%-ზე მეტი თანახმა იქნება კონსტიტუციაში ცვლილების შეტანაზე.**

**— თუ რეფერენდუმისთვის საჭირო თანხა სახელმწიფომ არ გაიღო?**

— ასეთ შემთხვევაში, რეფერენდუმი არჩევნებთან ერთად ჩატარდება, ასეთი მნიშვნელოვანი საკითხის გადასაწყვეტად თანხის გაღება აუცილებელია. **სულელური კონცერტებისთვის თუ ხარჯავენ ფულს, ასეთ მნიშვნელოვან საკითხზე არ უნდა დახარჯონ? საკითხი სახელმწიფოებრივია, არჩევნების პარალელურად თუ გამოკითხვასაც ჩავატარებთ, მხოლოდ ერთი ფურცლის დამატება იქნება საჭირო, ეს ქვეყანას არ დააქცევს.**

პრობლემა, იცით, რა არის? **საქართველოს საკანონმდებლო ორგანოში ხვდებიან ის ადამიანები, რომლებიც საქართველოს მოსახლეობის ნების გამომხატველები არ არიან, ისინი საპირისპიროდ მოქმედებენ, მაქინაციებით ახერხებენ მოქალაქეების ხმების მიღებას და მერე ავიწყდებათ ყველაფერი.**

დრო შეგნებულად ჭიანურდება, საარჩევნო წელია, დრო შეზღუდულია, ამ მოკლე პერიოდს როგორღაც გადააგორებენ და მერე, მომავალ პარლამენტში, დარწმუნებული ვარ, საკონსტიტუციო ცვლილებას, რომ ქალისა და მამაკაცის ერთობაა ოჯახი, ღიად დაუპირისპირდებიან; მოგვიანებით კი ერთნაირსქესიანთა ქორწინების დაკანონებასაც მოითხოვენ.

თავისუფლების ინსტიტუტის წევრები ხომ პირდაპირ აცხადებენ, ეს შეუქცევადი პროცესიაო, ერთნაირსქესიანთა ქორწინება აუცილებლად დაკანონდებაო.

ჩვენ კი გვინდა, საკონსტიტუციო ცვლილებით მსგავი რამ აღვკვეთოთ.

**აჯანყება, კონფლიქტი, ხოცვა-ჟლეტა თავიდან რომ ავიცილოთ, აუცილებელია, კანონი მივიღოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, პრობლემა ქუჩაში გადმოინაცვლებს. კანონის არ არსებობა იწვევს პრობლემებს. კონსტიტუციის 36-ე მუხლის სრულყოფა ქვეყნის მოსახლეობას დააწყნარებს, ამ თემაზე საუბარი შეწყდება.**

**— გგონიათ, რომ გაიმარჯვებთ?**

— ერთნაირსქესიანთა ქორწინების დაკანონების იდეის ავტორებს დიდძალი ფული აქვთ. მათ მხარში ბნელეთის ძალები უდგანან და ეს რეალური ძალებია საქართველოშიც და მის ფარგლებს გარეთაც. ჩვენ შიშველი ხელით ვებრძვით უდიდეს საინფორმაციო პროპაგანდასაც და ფულსაც, მაგრამ სიმართლე ჩვენს მხარეს არის, აგრეთვე, საქართველოს მოსახლეობაც, რაც ძალას გვმატებს. დარწმუნებული ვარ, გავიმარჯვებთ, უბრალოდ, გვინდა, მიზანს მალე მივაღწიოთ, ეს ქვეყნისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

„როდესაც ქვეყანას უტიფრობა მართავს და ხალხი ურიგდება ამას, როდესაც კორუფციის ჭაობში ვეშვებით და ხალხი უმოქმედოდაა, ეს, უბრალოდ, საზოგადოებრივი დანაშაულია“.

საზოგადოება
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# «დედაქალაქის მერია ხელისუფლების აქილევსის ქუსლად იქცა»



ვლადიმერ ლაგვილავა

**კორუფციის შესუსტება ქვეყნის განვითარების უმთავრესი საკითხია. ამ მხრივ ჩვენს ქვეყანაში ბევრი პრობლემაა. სწორედ მათზე გვესაუბრება „საქართველოს ანტიკორუფციული პოლიტიკის ინსტიტუტის“ დამფუძნებელი და თავჯდომარე ვლადიმერ ლაგვილავა.**

**— ბატონო ლადო, რა კორუფციული პრობლემების წინაშე დგას დღეს ქვეყანა?**

— ქვეყნის უმთავრესი კორუფციული პრობლემა არის ის, რომ ხელისუფლების რიგი წარმომადგენლებისა და სტრუქტურებისა ელიტურ კორუფციულ სქემებში არიან ჩართულნი. მაგალითად: **შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გამოცხადებულ ტენდერზე, რომელიც სამინისტროსთვის გამოყოფილი სატრანსპორტო საშუალებების შეკეთებას გულისხმობს, კოლოსალური თანხები იხარჯება.** 2004 წელს გამოშვებულ ავტომობილ „აუდი A6“-ზე, მის ტექნიკურ მომსახურებაზე, ტენდერის პირობების მიხედვით, უნდა დაიხარჯოს 105 850 ლარი, არადა, ამ ავტომობილის საბაზრო ღირებულება საუკეთესო შემთხვევაში 6000 დოლარს არ აღემატება. მეტიც, ახალი „აუდი A6“-ის შეძენა, რომელსაც დილერისგან სათანადო საგარანტიო მომსახურების ვალდებულება მოჰყვება, გაცილებით იაფი ჯდება, ვიდრე ამ ძველი მანქანის ტექნიკური მომსახურების ხარჯები; ანუ **ამ თანხით სახელმწიფოს შეუძლია, შეიძინოს 2016 წლის ავტომობილი საგარანტიო ტექმომსახურებით, მაგრამ ვიღაცამ გადაწყვიტა, გაამდიდროს შინაური კომპანია და ამორტიზებული 12 წლის მანქანის მომსახურებაში გაცილებით მეტი საბიუჯეტო თანხა დახარჯოს, ვიდრე ახალი ავტომობილის შეძენა დაჯდებოდა.** ამავე ტენდერში სხვადასხვა ფირმის უამრავი ავტომობილია, რომელთა შენახვაც, ტენდერის დამტკიცების შემთხვევაში, სახელმწიფოს ოთხმაგი დაუჯდება. ალბათ, ხვდებით, რა ფინანსურ მაქინაციაზე თანხმდება სახელმწიფო სტრუქტურა. ჩვენ აუცილებლად დავაკვირდებით, დამტკიცდება თუ არა ეს ტენდერი. **2015 წლის დეკემბერში დევნილთა სამინისტრომ გამოაცხადა ტენდერი სხვადასხვა ობიექტის დაცვაზე, რომელიც ითვალისწინებს 600 000 ლარის დანახარჯს. უკვე წლებია, დევნილთა სამინისტროს ტენდერში იმარჯვებს დაცვის სამსახური „გრიფინი პლუსი“. მსგავსი მომსახურების სურვილი თუ საშუალება საქართველოში მხოლოდ ამ დაცვის სამსახურს აღმოაჩნდა და ტენდერშიც მხოლოდ ის მონაწილეობს.** ამ შემთხვევაში კი გვაქვს კანონდარღვევა: „გრიფინი პლუს“-მა 2014 წელს გაიმარჯვა ტენდერში, რათა 2015 წელს დაეცვა ლტოლვილთა სამინისტროს შენობა და მისი ობიექტები. ვთქვათ, ისინის სამხედრო ჰოსპიტალში რეგისტრირებული იყო 18 ადამიანი, რომლებზეც თანხა იხარჯებოდა, რეალურად კი მუშობდა ორი კაცი. ამის თაობაზე შევატყობინეთ სამინისტროს, მაგრამ რეაგირება არ მოჰყოლია. ანალოგიური რამ განმეორდა წელსაც — ტენდერში კვლავ ხსენებულმა კომპანიამ გაიმარჯვა და ობიექტებზე, რომლებზეც ფორმალურად 18 კაცი უნდა იყოს, არის მხოლოდ ორი. კორუფციულ გარიგებასთან გვაქვს საქმე ხეების გადარგვისას, რომელშიც მონაწილეობს თბილისის მერია, ქობულეთის მერია და სხვადასხვა უწყება, რომლებსაც, წესით, კავშირი არ აქვთ ამ საკითხთან. გვაქვს, აგრეთვე, ინფორმაცია, რომ **ზუგდიდში, დადიანების სასახლის ტერიტორიაზე, არსებული ბოტანიკური ბაღიდან ბიძინა ივანიშვილი აპირებს რამდენიმე 200-წლიანი ხის წაღებას ურეკში.** ამ ხეების გადარგვა კი 10 მილიონამდე დაჯდება. ალბათ, უფრო უპრიანი იქნებოდა, ეს თანხა ბატონ ივანიშვილს სოციალური პრობლემების მოსაგვარებლად დაეხარჯა ან, სულაც, ახალი დენდროლოგიური პარკი შეექმნა ურეკში.

**დედაქალაქის მერია უკვე იქცა ხელისუფლების აქილევსის ქუსლად, მისი მთავარი „მიღწევა“ ტენდერებია. მიუხედავად იმისა, რომ ტენდერები ელექტრონული და გამჭვირვალეა, მერია ურცხვად განაგრძობს ტენდერების მორგებას მის „ახლობელ“ კომპანიებზე,** ამის მაგალითებია:

**1.** ერთ პირთან მოლაპარაკებით დადებული ხელშეკრულებები, რომელთა ღირებულება გასცდა 200 მილიონ ლარს; **2.** ეგრეთ წოდებულ ფორსმაჟორში გაფორმებული ხელშეკრულებები; **3.** ხელშეკრულებებით აყვანილი თანამშრომლები, რომელთა ხელფასებიც მერიის მაღალჩინოსანთა ხელფასებს აღემატება; **4.** ნათესავებისა და პარტიული აქტივის დასაქმება და, რაც ყველაზე საგანგაშოა, უდიპლომო და საკვალიფიკაციო გამოცდებში ჩაჭრილი თანამშრომლების მაღალ თანამდებობებზე დატოვება; **5.** პრემიები და დანამატები.

ცალკე განხილვის საგანია **დევნილთა სამინისტრო.** აქაც რამდენიმე მიმართულებითაა პრობლემა, უპირველესია, დევნილთათვის ქულების მინიჭება, პრემია-დანამატები, ტენდერები. როგორც მახსოვს, რამდენიმე თვის წინათ ერთ-ერთმა არასამთავრობო ორგანიზაციამ მინისტრის მოადგილე **მამუკა ცოტნიაშვილი** ქრთამის აღებაში დაადანაშაულა და შესაბამისი მასალა გაავრცელა, მაგრამ გამოძიებაც კი არავის დაუწყია.

**— 2016 წლის ტენდერებზე თუ გაქვთ ინფორმაცია?**

— რა თქმა უნდა. თუ თვალს მივადევნებთ ელექტრონულ ტენდერებს, საინტერესო ფაქტებს ვიპოვით. სხვადასხვა სამინისტროს ავტოპარკის მოვლაზე უკვე გამოაცხადეს ტენდერები და თანხა 20 მილიონ ლარს აღემატება. აღსანიშნავია, რომ ამ თანხაში არ შედის ახალი ავტომობილები, ეს მხოლოდ იმ ავტომობილებზე ვრცელდება, რომლებიც 2010 წლამდეა გამოშვებული და ეს რაოდენობა 60 მილიონს გადააჭარბებს. მაგალითად, აჭარის მთავრობას 9 მანქანის მოვლა ერთი წლის განმავლობაში 54 000 ლარზე მეტი უჯდება, მათი ავტოპარკი უფრო დიდია და კიდევ რამდენიმე ტენდერს გამოაცხადებენ. იგივე მდგომარეობაა სამინისტროებშიც. **დევნილთა სამინისტრო მხოლოდ მანქანის გარეცხვისთვის 2016 წელს 19 000 ლარს გადაიხდის.** მანქანის ნაწილების პრეისკურანტში კი თითქმის ყველა მანქანის ნაწილების განახლებაა შეტანილი. **საახალწლოდ დედაქალაქის მერიამ 2 200 000 ლარის პრემია და დანამატი გასცა თანამშრომლებზე.** ეს ყოველივე ძალიან მცირედ მეჩვენება იმ ფონზე, რომ 2016 წელი საარჩევნოა და წინ კიდევ ბევრი საოცარი ტენდერი გველის. ცალკე განსახილველია ე. წ. ნარუშილოვკების თემა. ეს „ნარუშილოვკები“ ცოტა ხნის წინათ აიკრძალა, მაგრამ ტენდენცია გრძელდება — საქართველოს გზებზე შეხვდებით ავტომანქანებს, რომლებიც სახელმწიფოს საკუთრებაა და მათი მხრიდან საგზაო მოძრაობის წესების დარღვევას არავინ აკონტროლებს. ესეც კორუფციაა. **როდესაც ქვეყანას უტიფრობა მართავს და ხალხი ურიგდება ამას, როდესაც კორუფციის ჭაობში ვეშვებით და ხალხი უმოქმედოდაა, ეს, უბრალოდ, საზოგადოებრივი დანაშაულია.**

საზოგადოებამ მეტი კონტროლი უნდა განახორციელოს ხელისუფლებაზე, მისი წარმომადგენლები ჩვენ მიერ დაქირავებული პირები არიან.

ესაუბრა **ნატა ხორავა**

# «ასეთი საგნის სწავლება სკოლებში მოზარდი თაობის ფსიქიკის შეუქცევად დეგრადაციას გამოიწვევს»

**განათლების სამინისტრო 2016-2017 სასწავლო წლიდან სკოლებში ახალი საგნის —„მე და საზოგადოების“ სწავლებას აპირებს. ამ ფაქტს საზოგადოების უარყოფითი რეაქცია მოჰყვა: ზოგი თვლის, რომ ეს არის ევროკავშირის დაკვეთა და მიზანმიმართული პოლიტიკა ჩვენი ბავშვების ბილწი და მამათმავლური ცნობიერების ჩამოსაყალიბებლად... ამ საკითხზე გვესაუბრება „საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოება XXI“-ს დირექტორი ზვიად ტომარაძე.**

**— სამინისტროს წარმომადგენელთა განმარტებით, „მე და საზოგადოება“ არის საგანი, რომლის მიზანიც საჯარო სკოლებში საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებაა, მაგრამ შესაძლებელია თუ არა ისეთი შინაარსის ტექსტი, როგორიცაა „ოჯახი, რომელიც ერთნაირი სქესის მშობლებისგან შედგება“, ჩავთვალოთ მხოლოდ ცნობიერების ამაღლებისკენ მიმართულ საშუალებად? თუ მას სხვა მიზანი აქვს?**

— ასეთი საგნის სწავლება სკოლებში, ბუნებრივია, გამოიწვევს მოზარდი თაობის ფსიქიკის შეუქცევად დეგრადაციას. საგნის თავდაპირველი ვარიანტი ცუდად იყო ნათარგმნი და აბდაუბდა ტექსტისგან შედგებოდა. მაგალითად, მოსწავლეს ევალებოდა, კლასში ესაუბრა ოჯახში არსებულ კონფლიქტზე...

**— ახალი საგნის —„მე და საზოგადოების“ თავდაპირველი ვარიანტი, რომელიც დაწერილია უცხოელი ავტორების მიერ ევროკავშირისა და USAID-ის პატრონაჟით, მორგებული თუ არის ჩვენს ეროვნულ ღირებულებებზე?**

— განათლების სამინისტრო შარშან ზაფხულში გვიმტკიცებდა, რომ ამ საგნის სწავლების დანერგვის იდეა სამინისტროს წიაღში იშვა. ტექსტი დამახინჯებული ქართულით იყო დაწერილი და ადვილი შესამჩნევი იყო „კალკირება“. საგანი „მე და საზოგადოება“, სავარაუდოდ, უნდა იყოს იუნესკოს საგანმანათლებლო პროგრამის ნაწილი, რომლის დანერგვაც ახლა აქტიურ ფაზაშია.



**„გლობალური სამოქალაქო განათლება (GCED)“ იუნესკოს საგანმანათლებლო პროგრამის (2014-2017) ერთ-ერთი სტრატეგიული მიმართულება და გაეროს აღმასრულებელი მდივნის გლობალური განათლების შესახებ პირველი ინიციატივის (GEFI) სამიდან ერთ-ერთი პრიორიტეტია, რომელიც 5-წლიანი პროგრამაა. ეს პროგრამა, რომელიც ამუშავდა 2012 წლის სექტემბერში, არათუ მორგებული იყო ჩვენს ტრადიციულ ღირებულებებს, პირიქით — ეწინააღმდეგებოდა მას.**

**— ხომ არ არის ეს სახელმძღვანელო გაჟღენთილი ჰომოსექსუალური მისწრაფებებით, რომლის მიზანიც მასირებული შეტევაა ჩვენი შვილების ცნობიერებაზე?**

— სახელმძღვანელოები — „კომპასი“ და „კომპასიტო“, რომლებიც 2015 წლის შემოდგომაზე განათლების სამინისტროს დაქვემდებარებული სიპის ვებგვერდზე გამოაქვეყნეს, სწორედ ჰომოსექსუალიზმისა და უზნეო ცხოვრების წესის პროპაგანდას ემსახურებოდა, თუმცა განათლების სამინისტრო დღემდე უარყოფს ამ სახელმძღვანელოების პირდაპირ კავშირს საგანთან „მე და საზოგადოება“.

**— თუ ამგვარი სახელმძღვანელოებით გაიმართება სწავლება, ემუქრება თუ არა ჩვენს ბავშვებს ცნობიერების გადაგვარება თუ პირიქით — შეძლებენ მაღალი ზნეობრივი ღირებულებების მქონე ადამიანებად ჩამოყალიბებას?**

— ნებისმიერი ქვეყანა უნდა ცდილობდეს, მომავალი თაობა პატრიოტული სულისკვეთებით აღზარდოს, აგრეთვე, ასწავლოს მას ზოგადსაკაცობრიო ღირებულებები: მეგობრობა, სიკეთის კეთება, უფროსის პატივისცემა, თანადგომა... ამის ნაცვლად, საგნის თავდაპირველი ფორმით დანერგვის შედეგად მივიღებდით უსქესო, უეროვნებო, უოჯახო, უპრინციპო ახალ თაობას, რომლის მთავარი ორიენტირი არა ოჯახის ინსტიტუტი, ზნეობრივი და ეროვნული ღირებულებები, არამედ ზღვარგადასული პირადი თავისუფლება იქნებოდა.

**მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოების პროტესტის შედეგად სასწავლო გეგმები მეტ-ნაკლებად დაიხვეწა, სტანდარტი გაკეთილშობილდა და გათვალისწინებულ იქნა ჩვენი და საპატრიარქოს შენიშვნები, მაინც ვერ ვხედავ ახალი საგნის სწავლების დანერგვის აუცილებლობას, რადგან ამ საგნის შეტანა სკოლებში არსებულ საგნობრივ ბადეს დაარღვევს და ეს ისეთი საგნების საათების შემცირების ხარჯზე უნდა მოხდეს, როგორიცაა ქართული, მათემატიკა, ისტორია...**

ესაუბრა **ნატა ხორავა**

ბაკურ სვანიძის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**უბედურება არის ის, რომ ამ სრულიად უგუნურ და დანაშაულებრივ პროპაგანდას მხოლოდ „რუსთავი 2“ არ ეწევა და სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართულ ამ მიუტევებელ დანაშაულში თითქმის ყველა ქართული მედიასაშუალება, გაცნობიერებულად თუ გაუცნობიერებლად, ჩართულია!**

# ბაკურ სვანიძე ყოფილ ქმრებს ყოფილ ცოლებზე ნადირობისკენ მოუწოდებს

## ანუ რატომ იცავენ ქალთა უფლებებს «ბაიაპატარაიები»

**ჰა! როგორი მჭექარე სათაურია? სულერთია, წინამდებარე წერილის წაკითხვის შემდეგ, ჩვენში ასე ძალიან გააქტიურებული „მოფემინისტკო-მოლიბერასტკო“ და სრულიად ტუტუცი კონკრეტული ქალბატონები მაინც ასეთ დასკვნას გამოიტანენ და ზუსტად ასეთი სათაურით გაავრცელებენ ჩემს ლანძღვა-გინებას სოციალურ ქსელებსა თუ სხვადასხვა მედიაგამოცემაში. ერთხელ უქნიათ თუ ორჯერ?!**



Baia Pataraia
16 hrs
Follow

ქალების ხოცვა გრძელდება... ჩვენი პარლამენტარები კი ხან არარსებულ ერთსქესიან ქორწინებას ებრძვიან, ხან რელიგიურ გრძნობებს იცავენ და ხან დაუნებს დაგვძახიან საპარლამენტო ტრიბუნიდან... ვინ იღებს პასუხისმგებლობას იმ ტოტალურ ძალადობასა და ჩაგვრაზე, რასაც ქალები განიცდიან საქართველოში? როდემდე უნდა წყვეტდეს ქალების ბედს კაცების (89%) პარლამენტი და კაცების (85%) მთავრობა?

ჰოდა, ამიტომ, მოდი, ბარემ ჩვენვე დავარქვათ ამ წერილს ეს სათაური და საქმეც გავუადვილოთ ჩვენს „მოფემინისტკო“ დებს.

სიმართლე ითქვას, ველოდი! ველოდი გულისფანცქალით და ამიხდა კიდეც. „კურიერი P.S“-ის ანონსი ზუსტად იმ წინასწარმეტყველივით მოვისმინე, მიწისძვრას რომ იწინასწარმეტყველებს და მერე, როდესაც მიწისძვრა მართლა მოხდება და შეშინებული მოსახლეობა თავის საშველად გარბის, უცნაურად კმაყოფილი დინჯად და ამაყად მიაბიჯებს!

**„ქალებზე გამოუცხადებელი ნადირობის ქრონიკა საქართველოში! შემაშფოთებელი სტატისტიკა! ბოლო ორი კვირის განმავლობაში ეჭვიანობის გამო 3 ქალი მოკლეს!“** — აი, ამ ტექსტით მოუწოდებდა მთელი კვირის განმავლობაში **„რუსთავი 2“** გადელებულ ქართველ მამაკაცებს, შეეჩერებინათ ქალებზე ნადირობა.

დავაზუსტოთ: **უბედურება არის ის, რომ ამ სრულიად უგუნურ და დანაშაულებრივ პროპაგანდას მხოლოდ „რუსთავი 2“ არ ეწევა და სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართულ ამ მიუტევებელ დანაშაულში თითქმის ყველა ქართული მედიასაშუალება, გაცნობიერებულად თუ გაუცნობიერებლად, ჩართულია!**

**გაუცნობიერებლად** — ისინი, ვინც არ იაზრებს, ეს ყოველივე ასე რატომ ხდება და, უბრალოდ, როგორც „აქტუალურ თემას“, ისე ჰყვება ამ დანაშაულებრივ აურზაურს.

**გაცნობიერებულად** კი — ისინი, ვისაც არც ისე ცოტა ფული გადაუხადეს, რათა ასეთი ხელოვნური აურზაური აეტეხათ.

ვინმემ შეიძლება იკითხოს: როგორ, განა მოძალადე მამაკაცების პრობლემა დედამიწაზე არ დგას და ქალების დაცვა ძალადობისაგან საჭირო არ არის? როგორ არა! საქმეც სწორედ ეგ არის, რომ ეს მსოფლიოს პრობლემაა და **არა „მხოლოდ საქართველოსი“,** როგორადაც ზოგიერთ ორგანიზაციას და მათ მესვეურ „მოფემინისტკო“ ქალებს სურთ, დაგვიხატონ.

**ამ პროპაგანდას მე დანაშაულებრივს სწორედ იმიტომ ვუწოდებ, რომ ეს უკონტროლოდ მიშვებული ჩლუნგი დედაკაცები სხედან ტელეეთერში და „უპრაგონოდ“ ასაღებენ ქალების ხოცვა-ჟლეტას „ქართველი მამაკაცების დამახასიათებელ თვისებად“.** საზოგადოდ, ყოველგვარი მანკიერების ამსახველი ფაქტისთვის მიწერა სიტყვებისა — **„მხოლოდ საქართველოში“** — ერთგვარ მომგებიან პოზად და მოდად იქცა სოციალურ ქსელში.

ისევ და ისევ — ზოგი ამას სრულიად გაუაზრებლად აკეთებს, ზოგი სრულიად შეგნებულად და განზრახულად, რადგან **ქართველებისათვის საკუთარი ერის შეზიზღება, მით უმეტეს, ქართველი ქალებისთვის ქართველი მამაკაცების შეძულება და პირიქით, ქვეყნის, სახელმწიფოს დაქცევის და განადგურების უპირველესი წინაპირობაა! ქართული სახელმწიფოს დანგრევისა და დაკნინების მსურველი კი, როგორც ჩანს, მართლაც კარგად იყენებს მსგავს ბერკეტებს.**

არაერთხელ დაგვიწერია, რომ, **ვისაც სურს, კარგად გაერკვეს, არის თუ არა „ქართული ფენომენი“ მამაკაცების ქალებზე ძალადობა, შეუძლია ყურადღებით გაეცნოს ევროპულ (დიახ! დასავლეთ ევროპულ და ამერიკულ) შესაბამის სტატისტიკას.**

მაგრამ სტატისტიკის გაცნობაზე იოლი, რა თქმა უნდა, ეთერში დაჯდომა და ყოვლად უარგუმენტო ლაყაფი, ან ამ მოლაყბეთა ტვინის დაუღლელად დაჯერებაა.

ეს მაშინ, როდესაც **სამიოდე თვის წინათ, ერთი კვირის განმავლობაში ზედიზედ, 4 შემთხვევა მოხდა, როდესაც პირიქით — ცოლებმა ქმრები მოკლეს, მაგრამ ხმაც კი არავის ამოუღია. რაც შეეხება ქმრის მიერ ცოლის მკვლელობას, ასეთი შემთხვევა, ბოლო წელიწადნახევრის განმავლობაში ერთიც არ აღრიცხულა და მხოლოდ ბოლო ორ კვირაში, ზედიზედ სამი ასეთ მკვლელობის გამო, „ფემინისტკები“ კვლავ ერთგვარი სიამოვნებით გამოცოცხლდნენ და გააქტიურეს ეს თემა...**

რა თქმა უნდა, ძნელია, იხუმრო და იხალისო ასეთ უმძიმეს თემაზე, მაგრამ სამწუხაროდ, **ეს ვითომ „ქალთა დამცველები“ ისეთ რეგვნულ და აშკარად ავადმყოფურ პროპაგანდას აწარმოებენ, რომ თავადვე აუფასურებენ და სამასხარაოდ ხდიან ამ უსერიოზულეს თემას.**

ჯერ მხოლოდ ის რად ღირს, რომ „ქალთა ჟლეტა“ ამ მართლა ტვინდაბნელებული პროპაგანდისტების მიერ „ქართველ მამაკაცთა გენეტიკურ მოწოდებად“ საღდება და ისინი მოგვიწოდებენ, რომ „ევროპელ, ღირსეულ და არამოძალადე მამაკაცებს“ მივბაძოთ...

მიმდინარე სტატისტიკა ევროპის ქვეყნებისა ვახსენე უკვე, და რაც შეეხება წარსულს — **განა არ არის დრო, რომ კაცობრიობამ დაივიწყოს და გვაპატიოს ის, რომ შუა საუკუნეებში ევროპა შეშფოთებით ადევნებდა თვალს, როგორ დავნერგეთ ქართველებმა ინკვიზიცია და, კუდიანობის ბრალდებით, როგორ ვწვავდით ცოცხლად კოცონზე ლამაზ ქალებს, რომლებიც სასულიერო პირებს ლოგინში არ უწვებოდნენ? ეტყობა, მას მერე ველარ ამოვაგდეთ ქართველებმა ჩვენი გენეტიკიდან ქალთა ჟლეტის ჩვეულება, ახლაც აქეთ გავქვს ამ მხრივ ევროპისგან ჭკუა სასწავლი, არა?**

გეთანხმებით! თემა საიროდ ნიო ნამდვილად არ არის, მაგრამ, რომ არ ისვენებს ვინმე **ბაია პატარაია,** რომელსაც რატომღაც აუჩემებია **„ქალთა უფლებებს ვიცავ“-ო?**

საინტერესოა, **რატომ აქვთ პრივატიზებული „ქალთა უფლებების დაცვის“ თემა ჩვენს ქვეყანაში ისეთ ადამიანებს, რომლებსაც ჩემი ნაცნობი ქალბატონებისა და გოგონების 95 პროცენტი ვერ იტანს, ეზიზღება და თითქმის არაფერში არ ეთანხმება მათ?! ნუთუ შესაძლებელია, რომ აი ასე, ადგეს ვინმე და განაცხადოს: „ამის და ამის უფლებებს ვიცავო“, ისე, რომ საერთოდ არც არაფერი ჰკითხოს იმას, ვის უფლებებსაც თითქოს იცავს? როდის მისცეს ქართველმა ქალებმა ბაია პატარაიას და მისთანებს მათი უფლებების დაცვის ლეგიტიმაცია? როდის სთხოვეს მას და მის „დამქაშებს“, — არიქა, საქართველოში ძალიან ვიჩაგრებით და, შენი ჭირიმე, როგორმე დაიცავი ჩვენი უფლებებიო?** არადა, რეალურად, ბაია პატარაია და მისთანები საქართველოში ქალთა უფლებებს კი არ იცავენ, არამედ უფრო სასაცილოს, აბსურდულს და სამასხარაოს ხდიან ამ თემას თავიანთი უაზრო და უგუნური ლაყაფით.

გასული კვირის განმავლობაში კი პატარაიამ და მისმა „დაქალებმა“ საერთოდ სისულელის რეკორდი დაამყარეს და „გენდერული თანასწორობა“ ისე ახლართეს „ოჯახურ ძალადობაში“, მგონი, უკვე ამ ხლართს ეშმაკიც ვეღარ გაუგებს თავსა და ბოლოს.

ინებეთ ციტატა:

**„ქალების ხოცვა გრძელდება! ჩვენი პარლამენტარები კი ხან არარსებულ ერთნაირსქესიანთა ქორწინებას ებრძვიან, ხან რელიგიურ გრძნობებს იცავენ, ხან დაუნებს დაგვძახიან საპარლამენტო ტრიბუნიდან... ვინ იღებს პასუხისმგებლობას იმ ტოტალურ ძალადობასა და ჩაგვრაზე, რომელსაც ქალები განიცდიან საქართველოში? როდემდე უნდა წყვეტდეს ქალების ბედს კაცების 89 პროცენტი პარლამენტში და კაცების 85 პროცენტი მთავრობაში?“**

აჰა! აგე, ძმაო! ჟღერს, არა?

აი, თურმე რაში ყოფილა საქმე!

**როდესაც მთავრობასა და პარლამენტში იქნებიან 50 პროცენტზე მეტი „ბაიაპატარაიები“, აი, მაშინ ვერც ერთი ქმარი ყოფილ ცოლს ბუზსაც კი ვერ აუფრენს ცხვირწინ!**

გაინტერესებთ, რა კავშირში შეიძლება იყოს პარლამენტსა და მთავრობაში მამაკაცებისა და ქალების პროცენტული შეფარდება ოჯახურ ძალადობასთან, ანუ იმასთან, წელიწადში რამდენ მანიაკ მამაკაცს მოუფრენს თავში და აფექტურ მდგომარეობაში მყოფი რამდენ ყოფილ ცოლს მოუსწრაფებს სიცოცხლეს?

სწორედ ეგ მაინტერესებს მეც!

მაგრამ სადაა პასუხი? ბაია პატარაია ამაზე პასუხს ვერ იძლევა და, სიმართლე გითხრათ, სულ ფეხებზეც ჰკიდია!

ფაქტია, რომ მას და მისნაირებს, უბრალოდ, **ნებისმიერი პრობლემის გამოყენება სურთ საიმისოდ, რომ ეს რაღაც სრულიად უგუნური „კვოტები“ დაადგინონ პარლამენტსა და მთავრობაში ქალთა და მამაკაცთა იძულებითი თანაბარი რაოდენობის შესახებ.**

**დიახ, სწორედ ეს არის უფლებების დარღვევა და იძულება ხალხისა, რომ პარლამენტში ძალით აარჩევინო თანაბარი რაოდენობით ქალები და მამაკაცები და ასევე მთავრობაშიც დაანიშნინო მაინცდამაინც გარკვეული „კვოტებით“ ქალები და მამაკაცები.**

**ეს მაშინ, როდესაც არავინ არის შეზღუდული და ამომრჩეველს არავინ უკრძალავს თუნდაც 100 პროცენტით ქალები დასვას პარლამენტში, და მთავრობაც, შესაბამისად, თუნდაც 100 პროცენტით ქალებით დააკომპლექტოს!**

აი, სწორედ ეს არის ქალთა უფლებების შეზღუდვა, მე თუ მკითხავთ.

**„თანასწორობა“** ნიშნავს თანაბარ სასტარტო პირობებს, პარიტეტულ საწყისს და არა შედეგს!

**„თანასწორობა“** ნიშნავს იმას, რომ კონკურსის დროს, სქესის მიუხედავად, ყველა კანდიდატი ჩავაყენოთ თანაბარ პირობებში, იქნება ეს კონკურსი, არჩევნები თუ საჯარო სამსახურებში დასანიშნი ტესტირებები.

და განა **ვინმე იტყვის, რომ საქართველოში სადმე არსებობს რაიმე შეზღუდვა ამ მხრივ და ქალებსა და მამაკაცებს თანაბარი სასტარტო პირობები არ აქვთ თუნდაც პარლამენტში და მთავრობაში მოსახვედრად? ასეთი „კვოტური“ ჩარევა კი მართლაც რეალური ძალადობა და უფლებების დარღვევაა!**

სხვათა შორის, სრული თანასწორობა ქალსა და მამაკაცს შორის, უკვე საუკუნეა, არსებობს საქართველოში და ბევრ მოწინავე ევროპულ ქვეყანაზე ადრეც კი დამყარდა ჩვენში!

სხვა თემაა, რომ ქალების დიდ ნაწილს, ერთგვარი ფსიქოლოგიური განსხვავების გამო სქესთა შორის, სულაც არ აქვს მისწრაფება საპასუხისმგებლო თანამდებობაზე მუშაობისა, ხოლო მამაკაცების გაცილებით დიდი ნაწილი მიისწრაფვის იმისკენ, რომ ჰქონდეს მაღალი საზოგადოებრივი მდგომარეობა და გავლენა. რა ვქნათ, ძალით მივათრიოთ ქალები და დავნიშნოთ დეპარტამენტის თავმჯდომარეებად?

ერთიც — თუკი ბუნებითაც ასეა, რომ ქალთა მიერ მამაკაცების არა მხოლოდ ფიზიკური ძალით, რამედ გარკვეული გონებრივი კრიტერიუმითაც დაჯაბნა გამონაკლისია, როგორ მოვიქცეთ?

მაგალითად, ქალებს არ ეკრძალებათ ჭადრაკში ვაჟთა ტურნირების შესარჩევ ტურებში მონაწილეობა, მაგრამ, თუკი ასეთ ტურნირებში მონაწილეობს 200 ქალი და 200 ვაჟი, ხოლო სულ ასარჩევია 100 საუკეთესო, ყოველთვის იმარჯვებს დახლოებით 97 ვაჟი და 3 ქალი, და ეს აბსოლუტურად თანაბარი პირობებიდან! ჭადრაკში კი, მოგეხსენებათ, ფიზიკური ძალა საჭირო არ არის! რა ვქნათ, დავჩაგროთ გამარჯვებული მამაკაცები ბაია პატარაიას ხათრით?

პირად მაგალითზეც გეტყვით: მერვე კლასიდან განსაკუთრებით ნიჭიერთა სპეცსკოლაში გადამიყვანეს ჩემი პედაგოგების მოთხოვნით. მიღება კონკურსით ხდებოდა და 200 ბავშვიდან იქ მოხვედრის მოსურნე 150 გოგო იყო, ბიჭი — მხოლოდ 50. შესარჩევ 25 ბავშვს შორის, ჩაბარებული ნორმატივის მიხედვით, მოხვდა 21 ბიჭი და 4 გოგო! რა უნდა ექნა სკოლის ადმინისტრაციას? ბაია პატარაიას ხათრით, უნდა დავეჩაგრეთ ის ბიჭები, რომლებმაც გოგონებზე უკეთ ჩავაბარეთ გონებრივი ნორმატივი?

პრინციპში, რატომაც არა! **შეგვიძლია, კონსტიტუციიდან ამოვიღოთ ფრაზა — „საქართველოში ძალაუფლების წყარო არის ხალხი“ და ჩავწეროთ: „საქართველოში ძალაუფლების წყარო არის ბაია პატარაია“!**

აი, მერე, ეგებ, ჩემმა ნაცნობმა უამრავმა ქართველმა მამაკაცმა გადაიფიქროს ყოფილ ცოლებზე „ნადირობა“, რომლებიც, ვერ გეტყვით, დღემდე რატომ არ დახოცეს, მათში არსებული ქართული, „ქალთა მკვლელობისადმი მიდრეკილი“ გენის მიუხედავად!

და იქნებ, მეც შემეშინდეს და გადავიფიქრო ჩემი ყოფილი ცოლის მოკვლა, რომელსაც, უკვე 8 წელიწადია, ოფიციალურად გავშორდი და რომლისთვისაც, თქვენ წარმოიდგინეთ, არც შემიგინებია, არც ხელი დამირტყამს და ჯერ კიდევ ცოცხალია!

**შუაღამე იყო უკვე, ბიძინას საძინებელში შუქი კიდევ ერთხელ აინთო და დავინახე, როგორ ქექავდა თინა ექსპრემიერის შარვალს, მერე რაღაც გასაღები ამოიღო, უმალ გადმოეშვა ფანჯრიდან და ავტოსადგომისკენ გაემართა. როგორც ამბობენ, სწორედ გარაჟში, ერთ-ერთ ავტომანქანაში ინახავს ბატონი ბიძინა ივანიშვილი საქართველოს პროდასავლურ კურსს.**

სატირა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ჩვენ ნატოში კი არ შევალთ, შევძვრებით!

**ასეთი სათაური ვინმეს შეიძლება გაჰკვირვებოდა კიდეც, მაგრამ მას შემდეგ, რაც საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ოფიციალურ დონეზე განაცხადა, — საქართველოს ნატოში თუ არ შეუშვებენ, ფანჯრიდან გადაძვრებაო, რაღა უნდა იყოს გასაკვირი?!**




**თუკი ნატოში კარიდან და ფანჯრიდან არ შეგვიშვეს, ჩვენი მამაცი თავდაცვის მინისტრი და მისი „ყოჩაღი ჯარისკაცი შვეიკი" ქმარი ნატოს ქვეშ ორმოს გამოთხრიან და იქიდან შეგვაძვრენენ ჩრდილოატლანტიკურ სამხედრო ალიანსში**

სწორედ თინა ხიდაშელის ამ განცხადებამ მისცა ზეშთაგონება ჩვენს არც ისე სპეციალურ კორესპონდენტს და მან დაიწყო გარკვევა, — კარიდან ან ფანჯრიდან შესვლის გარდა, კიდევ რა საშუალებები აქვს „რეზერვში" ჩვენს გენიოს თავდაცვის მინისტრს ნატოში შესასვლელად.

ვარაუდი სწორი გამოდგა და სხვანაირად არც შეიძლებოდა. **აბა, თინა მაგის ჩიტია, რომ კარზე ბრახუნის შემდეგ, თუკი ფანჯარაც არავინ გაუღო, თავი ჩაღუნოს, ბედს დამორჩილდეს და სახლში წამოვიდეს?**

ჩვენი კორესპონდენტი ფიქრობდა, რომ თინას აუცილებლად ექნებოდა ნატოში შესვლის კიდევ არაერთი ვარიანტი და, დიდი მცდელობის შემდეგ, ჩვენ მისი ყველა საიდუმლო გეგმა გავშიფრეთ.

სიტუაცია ასეთია: **ვინაიდან საქმე გვაქვს ისეთ უცნაურ ორგანიზაციასთან, როგორიც არის ნატო, ანუ ორგანიზაციასთან, რომლის კარიც 25 წლიწადია ღიაა და აგერ, 25 წლის მერე, როდესაც ამ კარს მივუახლოვდით, ყოველგვარი ლოგიკის საწინააღმდეგოდ, რატომღაც სწორედ ახლა იხურება!**

**ვინაიდან** საქმე გვაქვს ორგანიზაციასთან, რომელსაც, თურმე, კარს როცა კეტავს, ფანჯარა შეიძლება ღია დარჩეს და ა. შ.

**ვინაიდან** ასეთ არეულ, დაულაგებელ და და ძალიან არაპროგნოზირებულ ორგანიზაციასთან გვაქვს საქმე, ყველაფრისთვის უნდა ვიყოთ მზად.

კერძოდ, იმისთვისაც უნდა ვიყოთ მზად, რომ შესაძლოა, ნატოს არათუ დარჩეს ფანჯარა ღია, არამედ ისე საგულდაგულოდ დაგმანოს, როგორც 25 წლის განმავლობაში ღიად დატოვებული კარი ჩარაზა სასტიკად და მოულოდნელად!

გამოსავალი? რა პრობლემაა? — დავიჯეროთ, ასეთ სახელგანთქმულ ალიანსს სადმე, რომელიმე ოთახში, ბუხარი არ ექნება?! **ადგება თინა და, გამოიყენებს სანტა კლაუსის მეთოდს — საკვამურიდან ჩაძვრება ნატოში.**

აი, სწორედ ეს ვერსია გადაამოწმა ჩვენმა სპეციალურმა კორესპონდნეტმა და, უპირველესად, ნატოს ბუხრის საკვამური დაათვალიერა. არც შემცდარა — იქ მართლაც აღმოჩნდა თინა ხიდაშელისა და, როგორც მოგვიანებით გაირკვა, დავით უსუფაშვილის ნაფეხურები.

კვალის საგულდაგულოდ შესწავლის შემდეგ ექსპერტებმა დაადგინეს, რომ თინასა და მის მეუღლეს დიდხანს უწვალიათ საკვამურში ჩაძრომაზე, მაგრამ სხეულის ზოგიერთი ნაწილის მსხვილი გაბარიტების გამო შიგ ვერც ერთი ჩატეულა.

ამიტომ, როგორც ჩანს, ამ გეგმაზე იძულებით უთქვამთ უარი. ის-ის იყო ჩვენი განზრახლებული კორესპონდენტი რედაქციაში დაბრუნებას აპირებდა, რომ იქვე, ნატოს ჩარაზულ კართან და დაგმანულ ფანჯარასთან, ანაზდად შეამჩნია ბალახის უცნაური წყობა. შემოწმების შედეგად გაირკვა, რომ ბალახისა და მიწის თხელი ფენის ქვეშ საიდუმლო ხვრელია გათხრილი, რომლის მეორე ბოლო პირდაპირ ჯეიმს აპატურაის კაბინეტში ადის.

აი, მივაგენით! საიდუმლო გეგმაც გახსნილია! **თუკი ნატოში კარიდან და ფანჯრიდან არ შეგვიშვეს, ჩვენი მამაცი თავდაცვის მინისტრი და მისი „ყოჩაღი ჯარისკაცი შვეიკი" ქმარი ნატოს ქვეშ ორმოს გამოთხრიან და იქიდან შეგვაძვრენენ ჩრდილოატლანტიკურ სამხედრო ალიანსში.**

უკვე ისიც გასაგებია, რატომ აცხადებდა ასე გადაჭრით თინა ხიდაშელი, — საერთოდ აღარ მინდა არანაირი მაპი, პირდაპირ ნატოში შესვლას ვითხოვო.

ერთი ისღაა საფიქრალი, იმ ხვრელის თხრისას და იქ შეძრომისას, ემანდ პუტინმა არ მოჰკრას თინას თვალი, თორემ, გარდა იმისა, რომ გაბრაზდება... რა ვიცი... მაინც კაცია და...

ხვრელში უხერხულ პოზაში ჩამძვრალი ქალის დანახვა, ასე თუ ისე, მაინც უხერხულად გვეჩვენება...

**ცოტა ხნის წინათ თავდაცვის მინისტრმა თინა ხიდაშელმა საქართველოს ევროპული კურსი გაიტაცა და დავით უსუფაშვილთან ერთად ნატოში გაიქცა. ამის შესახებ ჩვენი სპეციალური კორესპონდენტი იტყობინება, რომელიც ფაქტის უშუალო თვითმხილველი შეიქნა.**

# თინა ხიდაშელი მეუღლესთან ერთად ნატოში გაიქცა

„ღამის 3 საათი იქნებოდა, სოლოლაკში ვცხოვრობ, ბიძინის ფერდობზე და ღამით უცნაურმა ხმაურმა გამომაღვიძა, ვიფიქრე, სიზმარი იყო და ძილი შევიბრუნე, თუმცა ხმა უფრო იმატებდა და ადამიანთა რაოდენობაც იზრდებოდა. გამოვიხედე ფანჯარაში და დავინახე თეთრი მოსკვიჩი", რომლიდანაც **თინა ხიდაშელი** და, სავარაუდოდ, მისი მეუღლე გადმოვიდნენ. თინას თეთრი ხელთათმანი და შავი სათვალე ეკეთა. მის მეუღლეს, მგონი, წავის შუბა ეცვა, რომ არავის ეცნო, და თავზე პარიკი ეხურა. მესმოდა, როგორ ეუბნებოდა, — ფრთხილად, არ გაგვიგოსო. თინამ მიუგო, — გაჩუმდი და საქმეს მიხედეო. მოგვიანებით დავინახე **ძმები ბერძენიშვილები**, რომლებიც ნაცრისფერი სახედრით მოვიდნენ. ბატონი ლევანი თმის ღერით ვიცანი, თორემ ისინიც შენიღბულები იყვნენ. დავინახე, როგორ გადაინაწილეს სამოქმედო არეალი. დავით უსუფაშვილი ივანიშვილის კართან დააყენეს და გარე პერიმეტრს ის აკონტროლებდა. ყველაფერს თინა უწევდა კურატორობას. ხელში რაღაც რკინის ხელსაწყო ეჭირა და ზევით მიიწევდა. ძმები ბერძენიშვილები, მგონი, ბატონი ბიძინას ბოსტანში განლაგდნენ და სიტუაციას იქიდან აკონტროლებდნენ. 4-ის ნახევარი ხდებოდა, ბატონი ბიძინას საძინებელში მოულოდნელად შუქი რომ აინთო. დავინახე, როგორც გამოიხედა ყოფილმა პრემიერმა ფანჯარაში და, საეჭვო რომ ვერაფერი დაინახა, უკან შებრუნდა. ამ დროს კი თინა ფანჯარაზე იყო უკვე ამძვრალი და ძლივს იკავებდა



თავს. ამასობაში ყინვამ მოიმატა, მაგრამ სანახაობა ისე საინტერესო იყო, რომ აღარაფერი მახსოვდა.

თინამ, როგორც იქნა, საძინებლის ფანჯარა ნელ-ნელა შეაღო და მოულოდნელად ბრაგვანის ხმა გავიგონე. თავდაპირველად თინა მეგონა, მაგრამ შემდეგ დავინახე, რომ ის არ იყო, კარგად დავაკვირდი და ვიცანი, — ელისო ყოფილა (ჟურნალისტი) — მინისტრს ჩუმად გამოჰყვა, როგორც ჩანს, და მის გადაღებას გეგმავდა, მაგრამ ქალბატონი ელისოს ბრაგვანზე ყველა დაფრთხა და თინაც ცუდ დღეში აღმოჩნდა. როგორც იქნა, სიტუაცია ასე თუ ისე მინელდა, ბიძინას აღარ გამოუხედავს ფანჯარაში, შეშინებული ელისო კი უმალ გაეცალა იქაურობას. ის თინამ და მისმა თანამოაზრეებმა ვერ შენიშნეს. ამასობაში 4 საათიც შესრულდა. დათო ატუზული იდგა ბიძინას კართან და სიტუაციას ზვერავდა, ბერძენიშვილები კვლავ ბოსტანში იყვნენ მობილიზებულები.

**შუაღამე იყო უკვე, ბიძინას საძინებელში შუქი კიდევ ერთხელ აინთო და დავინახე, როგორ ქექავდა თინა ექსპრემიერის შარვალს, მერე რაღაც გასაღები ამოიღო, უმალ გადმოეშვა ფანჯრიდან და ავტოსადგომისკენ გაემართა. როგორც ამბობენ, სწორედ გარაჟში, ერთ-ერთ ავტომანქანაში, ინახავს ბატონი ბიძინა ივანიშვილი საქართველოს პროდასავლურ კურსს.**

დავინახე, როგორ ცდილობდა თინა მანქანის დაქოქვას, მაგრამ არაფერი გამოსდიოდა.

**მოულოდნელად ცაზე ევროკავშირისა და ნატოს დროშა გამოისახა, ცა გაიხსნა და იენს სტოლტენბერგის მადლი გადმოესხურა იქაურობას. თინამ ნატოს სავედრებელი წაიკითხა და თანამებრძოლებთან ერთად უმალ გაუჩინარდა. ეს იყო ნამდვილი სასწაული, ვხედავდი ცაში მოელვარე და გაბრწყინებულ თინას, რომელიც გაიძახოდა „არის, აღსრულდა!", ეს ხმები ექოში მეორდებოდა", — ამბობს ჩვენი კორესპონდენტი.**

გაუჩინარებულ თინას და მის მეგობრებს სამართალდამცველები ეძებენ.

როგორც საჰაერო კონტროლის ცენტრი იტყობინება, თინა მანქანას 200 კილომეტრი საათის სიჩქარით მართავს და კატასტროფა ნებისმიერ დროს შეიძლება მოხდეს. საქმეში ჩართულია ამერიკის საელჩოც. როგორც იან კელიმ განაცხადა, ის ყველაფერს გააკეთებს თინას კურსის დასტაბილურებისთვის.

**ელიკო სილაძე**

შორია გურჯისტანამდე
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„მინისტრებმა ქამრები უნდა შემოიჭირონ. მათ, ვინც ხალხის კეთილდღეობაზე არ იფიქრებს და ფეხზე დაყენების ნაცვლად, მის გაყვლეფას დაიწყებს, განგება გადაუხდის სამაგიეროს. გვეყოფა ტყუილში ცხოვრება. ხელისუფლებავ, მიხედე გაჭირვებულ ხალხს!“

# დაჯი შელეგია: ერთ დღეს, როდესაც ფეხსაცმელს ვაცმევდი, მოხუცი მოულოდნელად თმაში მწვდა და კანიანად მომაგლიჯა

**უკონტროლო მიგრაციულმა პროცესებმა ნეგატიური ზეგავლენა იქონია საქართველოს განვითარებაზე. წამოიჭრა ისეთი პრობლემები, როგორიცაა დემოგრაფიული ვითარების გაუარესება, ტვინების, ანუ კვალიფიციური კადრების გადინება. ამის ძირითადი მიზეზი უმუშევრობა და, შესაბამისად, ელემენტარული საარსებო სახსრების უქონლობაა, ამიტომაც გარბიან ქართველები უცხოეთში ლუკმაპურის საშოვნელად. საქართველოს ხელისუფლება ამ პრობლემას ვერ უმკლავდება და არც მისი გადაჭრის გზებს ეძებს. ქართველ დედებს კი ოჯახების დასაპურებლად კვლავ შვილებისგან შორს გაუსაძლის პირობებში უწევთ მოხუცების მოვლა... დაჯი შელეგიამ სამშობლო 1999 წელს დატოვა, როცა 46 წლის იყო. ახლა აშშ-ში ცხოვრობს, კერძოდ, ბრუკლინში (ნიუ იორკის შტატი). ამჟამად უმუშევარია და თვეში ორი დღეს თუ გამოუჩნდება რამე სამსახური.**

„კიდევ რა არის სამშობლო?

— თვითმფრინავიდან რომ გადმოიხედავ, კავკასიონის უზარმაზარ თეთრ ფაფარს რომ დაინახავ და ყელში ბურთი გაგეჩხირება — ეს არის სამშობლო.

— კიდევ?

— კიდევ: ძაღლი, კატა, ხბო, წიწილა, ურემი, ნაჯახი, მიწა — ხელში რომ აიღებ და ძირს დაყრა გენანება, ის მიწა... თბილისის პატარა უბანი, დილიდან საღამომდე რომ ვერ გახვალ ქუჩის ბოლომდე, იმდენი მეგობარი შეგხვდება, მოგიკითხავს და მოგეალერსება.

— კიდევ რა?

— სოფელი, სადაც ცოლს ვერ შეირთავ, რადგან ყველა გოგო შენი დობილია და საპატარძლოს საპოვნელად იძულებული ხარ, სხვა სოფელში წახვიდე.

— როგორც ჩანს, სამშობლო ყველაფერი ისაა, ურომლისოდაც სიცოცხლე არ შეგიძლია.

...— იქნებ, შენ მაინც მითხრა, რა არის სამშობლო? — ვეკითხები ჩემს მარადიულ ბებიას.

— მაგი რომ ვიცოდე, მაშინ რა მიჭირს, ნენა... სამშობლო, ალბათ, სიცოცხლეა და ამიტომ მიდის ყველა კაცი ამ ქვეყნიდან სიცოცხლით გაუმაძღარი, — მიპასუხებს იგი“.

ნოდარ დუმბაძე, „სამშობლო“



— **ქალბატონო დაჯი, რატომ დატოვეთ საქართველო?**

— ჩემი ოჯახის წევრები არ მუშაობდნენ და იძულებული შევიქენი, მათ გამოკვებაზე პასუხისმგებლობა მე ამეღო საკუთარ თავზე. ამერიკაში იმ მიზნით წავედი, რომ ოჯახი შიმშილისგან გადამერჩინა. ეს ფსიქოლოგიურად ძალიან რთული იყო, რადგან არასდროს დამიტოვებია ძვირფასი ადამიანები... წარმოიდგინეთ, რას განვიცდიდი, როდესაც კარი მივიხურე და წავედი ოჯახიდან შორს, სიყვარულისა და სითბოსგან შორს... და უცებ აღმოვჩნდი სიცივეში...

— **კმაყოფილი ხართ სამუშაო პირობებით?**

— რთულ პირობებში მიწევს მუშაობა, იქიდან გამომდინარე, რომ ვუვლი ავადმყოფ მოხუცებს. რამდენჯერმე ვიმუშავე ფსიქოლოგიურად გაუწონასწორებელ მოხუცთან. ერთხელ 5 წლის განმავლობაში ვუვლიდი ინსულტიან და ნერვიულ მოხუც ქალბატონს, რომელსაც ამ ხნის განმავლობაში ღამეები არ ეძინა და, შესაბამისად, ვერც მე ვიძინებდი. **ერთ დღეს, როდესაც ფეხსაცმელს ვაცმევდი, მოხუცი მოულოდნელად თმაში მწვდა და კანიანად მომაგლიჯა. ეს ჩემთვის უდიდესი დამცირება იყო... მსგავსი შემთხვევა ბევრჯერ მქონია, მაგრამ ამაზე ლაპარაკი ძალიან მიჭირს. შეიძლება, კითხვა გაგიჩნდეთ, რატომ არ მიატოვე ასეთი სამსახურიო, მაგრამ რა უნდა მექნა?! ჩემ უკან ჩემი ოჯახი იდგა, რომელიც დახმარებას ელოდა, და მათ გამო ყველაფერი უნდა ამეტანა.** არამხოლოდ მე, ჩემ გარშემო ყველა ემიგრანტს ჰქონია მსგავსი შემთხვევა.

— **სამშობლოდან შორს ყოფნა ყველასთვის დიდი ტკივილია...**

— ძალიან რთულია, სიტყვებით ვერ გადმოვცემ ჩემს ტკივილს... **საქართველო 1999 წელს დავტოვე. ამდენი წელი ოჯახისგან შორს ცხოვრებას ეხუმრებით?.. ცრემლიანი თვალებით ვიძინებდი და ვიღვიძებდი. ღამეებს ვათენებდი ოჯახზე ნერვიულობითა და მონატრებით. მარტო მე არ ვარ ასე, ყველა ემიგრანტი იტანჯება ასეთი უბედური ცხოვრებით...** ძალიან თბილი ოჯახი მყავს და, როდესაც ვფიქრობ, როგორ დროს ვატარებდით ერთად, თვალზე ცრემლი მადგება. მყავს უთბილესი მეუღლე, შვილები, შვილიშვილები. ნაადრევად, მაგრამ სიყვარულით შევქმენი ოჯახი, 46 წლისამ კი მივატოვე საყვარელი ადამიანები. ბევრი ბედნიერი დღე მქონია, ჩემთვის განსაკუთრებულ იყო დღე, როდესაც პირველი შვილიშვილი შემეძინა. 36 წლისა უკვე ბებია ვიყავი... ძალიან განიცდიდა მეუღლე ჩემს წამოსვლას ამერიკაში. მენატრება ჩემი ოჯახი და ჩემი საქართველო..

— **რატომ არ ბრუნდებით საქართველოში?**

— საქართველოს ხელისუფლებამ თავისი მოქალაქეები აიძულა, დაეტოვებინათ ოჯახები და სამშობლო. სააკაშვილის მმართველობის პერიოდში ქართველებს ართმევდნენ კერძო საკუთრებას, ქუჩაში ხვრეტდნენ ახალგაზრდებს, მიწებს უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე ჰყიდდნენ, კერძოდ, თურქებზე, ინდოელებზე, არაბებზე. სწორედ „ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის პერიოდში დაიქცა ჩემი ოჯახი... მრცხვენია, რომ ამდენი წელია, ემიგრანტი ვარ. **ვფიქრობ, „ხელისუფლებას ხელს არ აძლევს ემიგრანტების დაბრუნება, რადგან მათი ფულადი გზავნილებით დგას დღევანდელი საქართველო ფეხზე“.**

## «ხელისუფლებას ხელს არ აძლევს ემიგრანტების დაბრუნება, რადგან მათი ფულადი გზავნილებით დგას დღევანდელი საქართველო ფეხზე»

დაბრუნება ძალიან ბევრჯერ გადავწყვიტე, მაგრამ არ ვარ ხელის გაწვდენას მიჩვეული, პენსიით კი საკუთარ თავსაც ვერ ვარჩენ, ოჯახზე ხომ ლაპარაკი ზედმეტია, იქიდან გამომდინარე, რომ მჭირდება საკმაო რაოდენობის წამლები. **მყავს განათლებული ქალიშვილი, რომელმაც დაამთავრა ხელოვნებათმცოდნეობის ფაკულტეტი, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერსად იშოვა სამსახური. ჩემი მეორე შვილიც უმუშევარია, მეუღლეც უმუშევარი მყავს და ყველას რჩენა მე მიწევს.** ამერიკაშიც გაჭირდა სამსახურის შოვნა, რადგან არ წყდება ემიგრანტების ნაკადი, მათ შორის, ქართველების. იმისთვის, რომ დავბრუნდეთ საქართველოში, ხელისუფლებამ უნდა ისწავლოს ხალხზე ზრუნვა, პრემიებით არ გაისქელონ ჯიბეები და დაასაქმონ ხალხი, რათა შევძლოთ ნორმალურ პირობებში არსებობა. თუ ოჯახში ორი ადამიანი მაინც იქნება დასაქმებული, დარწმუნებული ვარ, ყველა ემიგრანტს მოუნდება საქართველოში დაბრუნება.

— **როგორია ახლა საქართველო შორიდან და როგორი გსურთ, რომ იყოს მომავალში?**

— საქართველო ამჟამად დიდ გასაჭირშია. მესმის, ადვილი არ არის დაქცეული ქვეყნის ფეხზე დაყენება, მაგრამ **მინისტრებმა ქამრები უნდა შემოიჭირონ. მათ, ვინც ხალხის კეთილდღეობაზე არ იფიქრებს და ფეხზე დაყენების ნაცვლად, მის გაყვლეფას დაიწყებს, განგება გადაუხდის სამაგიეროს. გვეყოფა ამდენ ხანს ტყუილში ცხოვრება.** ხელისუფლებავ, მიხედე გაჭირვებულ ხალხს! მრცხვენია, ემიგრანტი რომ ვარ და ვერაფრით ვეხმარები თანამემამულეებს...შორიდან ისე ჩანს, თითქოს ამერიკაში მცხოვრები ემიგრანტები კარგად ვართ, მაგრამ ეს აბსურდია... იმედს არ ვკარგავ, რომ საქართველო მაინც დადგება ფეხზე...

— **რას ეტყოდით მონატრებულ ქართველებს...**

— ჩემს ქართველ ხალხს ვეტყვი, რომ სულიერად არ დაეცეს და გაუმკლავდეს ყველა პრობლემას, ყველაფერი გამოსწორდება და გაუმჯობესდება. იმედი არ მოუშალოს ჩემს ქართველ ხალხს უფალმა! იმედი მაქვს, ჩვენც მალე დაგიბრუნდებით...

ესაუბრა **ქრისტინე ტოგონიძე**

## «იმისთვის, რომ დავბრუნდეთ საქართველოში, ხელისუფლებამ უნდა ისწავლოს ხალხზე ზრუნვა, პრემიებით არ გაისქელონ ჯიბეები და დაასაქმონ ხალხი, რათა შევძლოთ ნორმალურ პირობებში არსებობა. თუ ოჯახში ორი ადამიანი მაინც იქნება დასაქმებული, დარწმუნებული ვარ, ყველა ემიგრანტს მოუნდება სამშობლოში დაბრუნება»

მსოფლიო

# ჯონ ბრენანი: «ისლამური სახელმწიფო» სირიასა და ერაყში ქიმიურ იარაღს იყენებს

**„ისლამური სახელმწიფო“ სირიასა და ერაყში ქიმიურ იარაღს იყენებს. ამის შესახებ აშშ-ის დაზვერვის სამსახურის ხელმძღვანელმა ჯონ ბრენანმა განაცხადა. მისი თქმით, ექსტრემისტულ დაჯგუფებას აქვს იმის შესაძლებლობა, რომ ქიმიური იარაღი აწარმოოს.**

„ჩვენ გვაქვს ინფორმაცია რამდენიმე შემთხვევის შესახებ, როდესაც „ისლამურმა სახელმწიფომ“ ბრძოლის ველზე ქიმიური იარაღი გამოიყენა“, — განაცხადა ბრენანმა. როგორც აშშ-ის დაზვერვის სამსახურის ხელმძღვანელმა აღნიშნა, ისლამისტებმა, ფინანსური სარგებლის მიღების მიზნით, შესაძლოა, დასავლეთის ქვეყნებში ქიმიური იარაღის ექსპორტიც სცადონ. „ამიტომაც მნიშვნელოვანია იმ სატრანსპორტო ხაზებისა და კონტრაბანდის გზების პრევენცია, რომელთაც ისინი იყენებენ.“ — აღნიშნა ჯონ ბრენანმა.



**აშშ-ის კონტროლის პალატა ფედერალურ სარეზერვო სისტემას კორუფცირებულსა და ორგანიზაციის ინტერესების კონფლიქტში ჩართულს უწოდებს. ხოლო ნობელის პრემიის ლაურეატი ჯოზეფ სტიგლიცი ამბობს, რომ მსოფლიოს ბანკი ფედერალური სარეზერვო სისტემის მსგავსი საბანკო სტრუქტურის მქონე ნებისმიერ ქვეყანას კორუფცირებულსა და არასაიმედოს უწოდებდა.**

ეს უნდა ვიცოდეთ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# XXI საუკუნის ტროას ცხენი

# როგორ ძარცვავენ ცენტრალური ბანკები თავიანთ ქვეყნებს

**ბოლო 6 თვეში ლარის მკვეთრად გაუფასურებამ მოსახლეობის დიდი ნაწილი, განსაკუთრებით ის ადამიანები, რომლებსაც ბანკებიდან კრედიტები აქვთ გამოტანილი, საშინელ დღეში ჩააგდო. ლარის კურსის დაცემას ბევრი ექსპერტი ეროვნული ბანკის, კერძოდ, მისი პრეზიდენტის — გიორგი ქადაგიძის არასწორ მოქმედებას აბრალებს. რამ გამოიწვია ლარის კურსის კატასტროფული დაცემა და მიუძღვის თუ არა ამაში წვლილი ეროვნულ ბანკს? — ამ კითხვაზე პასუხი მოცემულია ქვემოთ მოყვანილ მასალაში, რომელიც ბრიტანელი მეცნიერისა და ექსპერტის, საუთჰემპტონის უნივერსიტეტის პროფესორის — რიჩარდ ვერნერის კვლევებს ეფუძნება.**





ალან გრინსპენი



გერმანული წარმოშობის ბრიტანელმა მეცნიერმა, საუთჰემპტონის უნივერსიტეტის პროფესორმა, სავალუტო-საფინანსო და საკრედიტო-ფულად სფეროში წამყვანმა სპეციალისტმა, რაოდენობრივი შემსუბუქების კონცეფციის ავტორმა **რიჩარდ ვერნერმა განაცხადა, რომ ცენტრალური ბანკები წინასწარგანზრახვით აკოტრებენ თავიანთ ქვეყნებს, რათა გაამართლონ ეკონომიკური და იურიდიული ცვლილებები, რომლებიც მათ საშუალებას აძლევს, ძარცვონ უცხო ქვეყნების ინტერესების სასარგებლოდ.**

რიჩარდ ვერნერმა თავის კვლევაში ყურადღება გაამახვილა იაპონიის ბანკზე, რომელმაც შექმნა საპნის დიდი ბუშტი, შემდეგ კი სული შეუბერა და გახეთქა, რამაც იაპონიის ეკონომიკა კრახამდე მიიყვანა. ამასთანავე, ეს ყველაფერი წარმოდგენილი იყო სტრუქტურული რეფორმების განხორციელების ნიღბით.

**იაპონიის ბანკი ათწლეულების განმავლობაში მკაცრად მოქმედებდა ქვეყნის ეკონომიკის მიმართ, მაგრამ ამჟამად ამ ქვეყანაში ეკონომიკური კრიზისი შეინიშნება. ვერნერი აღნიშნავს, რომ ანალოგიური რამ ითქმის ევროპის ცენტრალურ ბანკზეც, რომელმაც სესხები და ლიკვიდურობა გამოიყენა, როგორც საშუალება, ევროპის ქვეყნების გასაძარცვავად.**

და მართლაც — საბერძნეთმა, იტალიამ, ირლანდიამ და ევროპის სხვა ქვეყნებმა დაკარგეს ეროვნული სუვერენიტეტი ევროპის ცენტრალური ბანკისა და ევროკავშირის სხვა წევრების, ე.წ. ტროიკის წინაშე.

**ევროპის ცენტრალური ბანკის ხელმძღვანელმა მარიო დრაგიმ ჯერ კიდევ 2012 წელს განაცხადა: „ევროკავშირს უნდა ჰქონდეს უფლებამოსილება წესრიგის დასამყარებლად და შეეძლოს, ჩაერიოს წევრი-ქვეყნების ეროვნულ ბიუჯეტში. დარწმუნებული ვარ, რომ, თუ გვსურს ნდობის აღდგენა ევროზონაში, წევრმა-ქვეყნებმა თავიანთი სუვერენიტეტის ნაწილი ევროკავშირს უნდა გადასცენ.**

**ზოგიერთი ქვეყნის მთავრობამ აქამდე ვერ გაიგო, რომ უკვე დიდი ხნის წინათ დაკარგა ეროვნული სუვერენიტეტი. და რადგან მათ წარსულში უზარმაზარი ვალი დაუგროვდათ, ახლა საფინანსო ბაზრების კეთილ ნებაზე არიან დამოკიდებულნი“.**

ევროპა აღმოჩნდა მძიმე დეპრესიაში, რომელსაც 1929-1939 წლებში აშშ-ის დიდ დეპრესიას თუ შევადარებთ, ეს კი გამოიწვია ევროპის ცენტრალური ბანკის მოქმედებამ.

**და რა მდგომარეობაშია აშშ-ის ცენტრალური ბანკი — ფედერალური სარეზერვო სისტემა?**

ფედერალური სარეზერვო სისტემა აღიარებს, რომ ის სინამდვილეში ფედერალური არ არის. ეს ეწინააღმდეგება აშშ-ში დამკვიდრებულ თვალსაზრისს, მაგრამ, განურჩევლად იმისა, არის თუ არა ფედერალური სარეზერვო სისტემა მთავრობის ნაწილი, საკითხავია, მოქმედებს კი ის აშშ-ის ინტერესების სასარგებლოდ?

მოდი, ვნახოთ:

*** ფედერალურმა სარეზერვო სისტემამ უფრო მეტჯერ გამოუყო დახმარება უცხოურ ბანკებს, ვიდრე ამერიკულ საფინანსო ორგანიზაციებს. უცხოურ ბანკებს შორის, რომლებსაც დაეხმარა ფედერალური სარეზერვო სისტემა, არის ლიბიის ბანკი, Arab Banking Corp, ბაჰრეინის, ბავარიისა და კორეის ბანკები.**

* ფედერალურმა სარეზერვო სისტემამ ფინანსური დახმარება შესთავაზა მექსიკას, აგრეთვე, დაჰპირდა მის მიერთებას თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებაზე (NAFTA).

*** ფედერალური სარეზერვო სისტემა ეხმარებოდა მდიდარ კორპორაციებს, მათ შორის, ჰეჯ-ფონდებს, „მაკდონალდსსა“ და „ჰარლი დევიდსონს“.**

* ფედერალურ სარეზერვო ფონდს ეკისრება პასუხისმგებლობა მსოფლიოს ისტორიაში უთანასწორობის ყველაზე დიდი დონის შექმნაზე.

*** ფედერალურმა სარეზერვო სისტემამ ნება დართო გიგანტურ ბანკებს, გადაქცეულიყვნენ მეგაბანკებად, ეს მოხდა ეკონომიკისა და ფინანსების დამოუკიდებელი ექსპერტების განცხადებების მიუხედავად, რომ ეკონომიკა მანამდე არ აღდგება, სანამ გიგანტური ბანკები არ დაიშლება.**

მაგალითად, Citigroup-ის ყოფილმა ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ 1998 წელს, როდესაც ბანკი საბანკო და სადაზღვევო სფეროს ორი გიგანტის შერწყმით იქმნებოდა, ფედერალური სარეზერვო სისტემის მმართველთა საბჭოს თავმჯდომარემ **ალან გრინსპენმა** მას უთხრა: „მე ზომის (ბანკის სიდიდის) საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, მე ეს, საერთოდ, არ მაღელვებს“.

*** ფედერალურმა სარეზერვო სისტემამ მსოფლიოს ყველა ბანკს გადაათქმევინა კრედიტების გაცემა საშუალო ბიზნესისთვის, რომელმაც გამოიწვია უმუშევრობის დონის ამაღლება და ნეგატიური შედეგები ეკონომიკაში.**

უფრო მეტიც — ფედერალური სარეზერვო სისტემის ძირითად პროგრამას ფინანსური კრიზისის დაძლევის შესახებ (რაოდენობრივი შემსუბუქება) მოგება მოაქვს მოსახლეობის მდიდარი ფენისათვის და ვნებს ღარიბებს, ამას ადასტურებენ ფედერალური სარეზერვო სისტემის ყოფილი მაღალჩინოსნები, რაოდენობრივი შემსუბუქების სულისჩამდგმელი იაპონიაში და რამდენიმე მეცნიერი ეკონომისტი.

**აშშ-ის კონტროლის პალატა ფედერალურ სარეზერვო სისტემას კორუფცირებულსა და ორგანიზაციის ინტერესების კონფლიქტში ჩართულს უწოდებს. ხოლო ნობელის პრემიის ლაურეატი ჯოზეფ სტიგლიცი ამბობს, რომ მსოფლიოს ბანკი ფედერალური სარეზერვო სისტემის მსგავსი საბანკო სტრუქტურის მქონე ნებისმიერ ქვეყანას კორუფცირებულსა და არასაიმედოს უწოდებდა.**

არის კი ფედერალური სარეზერვო სისტემა და სხვა ცენტრალური ბანკები აუცილებელი ეკონომიკის სტაბილიზაციისთვის?

არც მთლად. **ფედერალურმა სარეზერვო სისტემამ ქვეყანა დიდი დეპრესიისა და მიმდინარე ეკონომიკური კრიზისის პირას მიიყვანა,** — აღნიშნავს ბევრი ანალიტიკოსი, მათ შორის ნობელის პრემიის ლაურეატები, რომლებიც ამბობენ, რომ **ფედერალურმა სარეზერვო სისტემამ ასეთი სახით არსებობა უნდა შეწყვიტოს და დასძენენ, რომ ფედერალური სარეზერვო სისტემა ხელს არ უწყობს სტაბილიზაციას ეკონომიკაში.**

და, რაც დრო გადის, სიტუაცია უარესდება.

პროფესორმა ვერნერმა თავის ბლოგში აღნიშნა: „ბოლო 30 წლის განმავლობაში მსოფლიოს ყველა ქვეყანაში ცენტრალურმა ბანკებმა დიდი გავლენა მოიპოვეს, ამასთანავე, ფაქტია, რომ ისინი სულ უფრო ნაკლებად ემორჩილებიან კონტროლს.

ფაქტობრივად, როგორც ჯერ კიდევ 2005 წელს ვწერდი ჩემს წიგნში „ახალი პარადიგმა მაკროეკონომიკაში“ (New Paradigm in Macroeconomics), საბანკო კრიზისის ყოველი რეციდივის შემდეგ ცენტრალური ბანკები სულ უფრო მეტ უფლებამოსილებას მოიპოვებენ ხოლმე. ასე მოხდა 2008 წელს, კრიზისის შემდეგაც.

ამრიგად, ნათელია, რომ ჩვენ შეგვექმნა დიდი ხიფათი და პრობლემა: ყოველი დიდი კრიზისის შემდეგ ცენტრალური ბანკები მოგებული რჩებიან. გასაკვირი არ არის, რომ ცენტრალური ბანკების გავლენის ზრდასა და მათთვის მეტი უფლებამოსილების მონიჭებას თან სდევს სულ უფრო მოკლე ციკლები და ხშირი კრიზისები“.

**«ბოლო 30 წლის განმავლობაში მსოფლიოს ყველა ქვეყანაში ცენტრალურმა ბანკებმა დიდი გავლენა მოიპოვეს, ამასთანავე, ფაქტია, რომ ისინი სულ უფრო ნაკლებად ემორჩილებიან კონტროლს... საბანკო კრიზისის ყოველი რეციდივის შემდეგ ცენტრალური ბანკები სულ უფრო მეტ უფლებამოსილებას მოიპოვებენ ხოლმე. ასე მოხდა 2008 წელს, კრიზისის შემდეგაც. ჩვენ შეგვექმნა დიდი ხიფათი და პრობლემა: ყოველი დიდი კრიზისის შემდეგ ცენტრალური ბანკები მოგებული რჩებიან. გასაკვირი არ არის, რომ ცენტრალური ბანკების გავლენის ზრდასა და მათთვის მეტი უფლებამოსილების მინიჭებას თან სდევს სულ უფრო მოკლე ციკლები და ხშირი კრიზისები»**

უცხოურ პრესაში გამოქვეყნებული მასალების მიხედვით მოამზადა
**ნიკა კორინთელმა**

**ინტერვიუ**

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„მესაკუთრეებისთვის დოკუმენტებით (უხარვეზო თუ ხარვეზიანით) დარეგისტრირებული მიწის ფართობების პროცენტული რაოდენობა ძალიან მცირეა. ერთ-ერთი პრობლემა დარეგისტრირების საკითხია. კანონი გვეუბნება, თუ საჯარო რეესტრში მიწის ნაკვეთი დარეგისტრირებული არ გაქვს, დოკუმენტების არსებობის შემთხვევაშიც კი იგი შენი საკუთრება არ არის. თუმცა, ამასთანავე, ყველამ იცის, რომ მიწა მისია და, გარკვეულწილად, ვალდებულიც არის, მივიდეს და დაარეგისტრიროს. რა თქმა უნდა, ამის გაკეთება ფინანსურ ხარჯებს მოითხოვს, საბუთების მოწესრიგებას კი გარკვეული ცოდნა და დრო სჭირდება“.**

**„საქართველო და მსოფლიოს“ შეკითხვებს უპასუხებს საქართველოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე გელა სამხარაული.**

# წაართმევს თუ არა «ქართული ოცნება» გლეხებს მიწას და გაიზრდება თუ არა თხილის ფასი?


გელა სამხარაული

**— პარლამენტი განსახილველად ამზადებს კანონპროექტს „საჯარო რეესტრის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ“. როგორც ყოველთვის, როცა დღის წესრიგში პრობლემური საკითხები დგება, ამ შემთხვევაშიც, ოპოზიციური ნეგატივიზმი იჩენს თავს: საპარლამენტო უმცირესობა ავრცელებს ხმებს, რომ მიწას, რომელიც მიშა სააკაშვილმა ხალხს მისცა, „ოცნების“ ხელისუფლება ართმევს. მართლა აპირებთ მიწის ნაციონალიზაციას?**

— არა, რა თქმა უნდა, მიშას ხალხისთვის არაფერი მიუცია, მიწა მამა-პაპიდან გადმოგვეცა და ეკუთვნის ხალხს. წინა პერიოდში პირიქით — მიწები დავკარგეთ. აქედან გამომდინარე, ნურავინ იფიქრებს, რომ ყოფილი ხელისუფლებისგან ვართ დავალებულნი, მით უფრო, ამ კუთხით.

რეფორმაში მთავარი სულ სხვა რამაა: მიწების საკითხი დღეს ქვეყანაში პრობლემურია, მიუხედავად იმისა, რომ წინა ხელისუფლებების მმართველობის პერიოდში ამ მიმართულებით გარკვეული სამუშაოები განხორციელდა, რომლებიც დააფინანსა დონორმა სახელმწიფოებმა — აშშ-მა და გერმანიამ.

**— პრივატიზებას გულისხმობთ?**

— არა. საუბარია მიწის კადასტრზე. ჩვენ ვერ მივიღეთ ის შედეგი, რრომელსაც ველოდით. მართალია, დაიხარჯა თანხა, ადამიანური რესურსი, მაგრამ პრობლემა დარჩა: **დღეს უდიდესი ნაწილი ჩვენი მიწებისა დაურეგისტრირებელია.**

ამასთანავე, თუ იმ შრეებს, რომლებიც გაკეთდა და მოგვარდა, ერთმანეთს დავადებთ, დავინახავთ, რომ მათ შორისაც არ არის თანხვედრა, დიდი ცდომილებაა. **მესაკუთრეებისთვის დოკუმენტებით (უხარვეზო თუ ხარვეზიანით) დარეგისტრირებული მიწის ფართობების პროცენტული რაოდენობა ძალიან მცირეა.**

ერთ-ერთი პრობლემა დარეგისტრირების საკითხია. **კანონი გვეუბნება, თუ საჯარო რეესტრში მიწის ნაკვეთი დარეგისტრირებული არ გაქვს, დოკუმენტების არსებობის შემთხვევაშიც კი იგი შენი საკუთრება არ არის. თუმცა, ამასთანავე, ყველამ იცის, რომ მიწა მისია და, გარკვეულწილად, ვალდებულიც არის, მივიდეს და დაარეგისტრიროს.**

რა თქმა უნდა, ამის გაკეთება ფინანსურ ხარჯებს მოითხოვს, საბუთების მოწესრიგებას კი გარკვეული ცოდნა და დრო სჭირდება.

აქედან გამომდინარე, სახელმწიფოს მხრიდან მოსაფიქრებელია ერთგვარი წამახალისებელი, სტიმულის მიმცემი ღონისძიებები მოსახლეობისთვის, რომ საკუთარი ნაკვეთები დაირეგისტრიროს.

ვაკონკრეტებ: **საუბარია იმ ნაკვეთებზე, რომლებზეც მეპატრონეს ამ მიწის ფლობის გარკვეული დოკუმენტი აქვს.**

რამდენიმე დღის წინათ გაიმართა კომისიის წევრების მორიგი შეხვედრა, რომელშიც მონაწილეობდნენ ვიცეპრემიერი **დიმიტრი ქუმსიშვილი,** იუსტიციის მინისტრი **თეა წულუკიანი,** პარლამენტის წარმომადგენლობითი დელეგაცია. სწორედ ამ სხდომაზე ვიმსჯელეთ მოსახლეობის წამახალისებელ თუ სტიმულის მომცემ ღონისძიებებზე. ველოდებით, რომ უახლოესი ორი კვირის განმავლობაში მთავრობა წარმოადგენს თავის თვალსაზრისს ამ საკითხზე.

**— დღეს ვინ ფლობს მიწას საქართველოში?**

— ჩვენი მოქალაქეების უმეტესობას მიწის ფლობის არავითარი საბუთი არ აქვს. Pმსგავსი პრობლემა ყველაზე მწვავედ მთიან რეგიონებშია. მოცემულობა ასეთია: **მოსახლემ იცის და თემიც უდასტურებს, რომ ყოველ კერძო შემთხვევაში მიწის ნაკვეთი მემკვიდრეობით დარჩა, თუმცა ამის დამამტკიცებელ ვერანაირ დოკუმენტს ვერ წარმოადგენს.**

ამ შემთხვევაში ერთადერთი ოპტიმალური გამოსავალი არის ის, რომ ამ ხალხს მფლობელობაში დაუმტკიცდეს მიწის ნაკვეთები. ამისთვის კი **საჭირო იქნება კომისიის შექმნა ადგილობრივი მოსახლეობისა და ხელისუფლების წარმომადგენელთა შემადგენლობით, რომელიც იმ შემთხვევაში, თუ სადავო არავის არაფერი აქვს, დაადგენს, რომ მიწა გადაეცეს ამა თუ იმ კერძო პირს.**

პირველი და აუცილებელი პირობა არის ის, რომ ვინმე ფლობდეს ამ მიწას. დღეს მიწის პატრონი იურიდიულად არავინ არის, ამიტომაც სთავაზობს სახელმწიფო ამ სიახლეს ჩვენს მოსახლეობას, რომლის არსს ზოგიერთი სწორად ვერ ჩასწვდა.

სახელმწიფომ რომ მოახერხოს და მიწის ნაკვეთი გადასცეს მოქალაქეს, ჯერ თვითონ (სახელმწიფომ) უნდა დაირეგისტრიროს და მხოლოდ ამის შემდეგ გადასცეს. ეს შეიძლება განხორციელდეს სიმბოლურ ფასად — ერთ ლარად.

**— გასაგებია.**

— საკანონმდებლო წინადადება იყო არასწორად აღქმული. ვაკონკრეტებ: **ლაპარაკია საკანონმდებლო წინადადებაზე და არა გადაწყვეტილებაზე. საკითხი, როგორც წესი, ჯერ განიხილება საკომიტეტო მოსმენებზე დაინტერესებული პირების, სპეციალისტების მონაწილეობით ღიად და საჯაროდ, მხოლოდ ამის შემდეგ მიიღებს პარლამენტი გადაწყვეტილებას.**

**— ვინ იყო ამ სიახლის ინიციატორი?**

— ინიციატორი საქართველოს მთავრობაა, ავტორი — ეკონომიკის სამინისტრო... სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, **ხელისუფლებაში ჩვენ იმიტომ არ მოვსულვართ, რომ ვინმეს რამე წავართვათ. პირიქით, აქცენტირებულები ვართ, ჩვენი მოქალაქეებისთვის ცხოვრების გამარტივებაზე. ამის დასტურია უკვე ამოქმედებული პროგრამები, ჩვენ შემთხვევაში, სოფლის მეურნეობის მიმართულებით.** ვფიქრობ, ქვეყანაში, სადაც მოსახლეობის ნახევარზე მეტი სოფლად ცხოვრობს და, ფაქტობრივად, ამ სექტორშია თვითდასაქმებული, ცხადია, ქვეყნის გაძლიერება აქედან უნდა დავიწყოთ. ჩემი აზრით, ყველაზე მეტი დახმარება და თანადგომა სწორედ ამ ყველაზე უფრო მოწყვლად ჯგუფებს სჭირდება.

**— ესე იგი, ამჟამად მუშაობთ მიწის რეგისტრაციისა და შემდგომ მიწის ნაკვეთების ათვისების პროცესების გამარტივებაზე?**

— ეს კანონი მიწის საკუთრების მხოლოდ ფორმას დაარეგულირებს. როგორ დაამუშავებს ამ მიწას მეპატრონე, მისი გადასაწყვეტია.

ვცდილობთ, მაქსიმალურად იქნას ათვისებული ქვეყანაში არსებული რესურსი, ამიტომაც ვქმნით ისეთ პროგრამებს, რომლებიც მფლობელებს დააინტერესებს და თავიანთი მიწის ნაკვეთების ეკონომიკურ აქტივობაში ჩართვის სტიმულს მისცემს.

ცალკე პრობლემაა მიწის ბაზრის არარსებობა. ამას ბევრი მიზეზი აქვს, მათ შორის, ისიც, რომ არ გვაქვს გაკეთებული შესაბამისი აღწერა, არ გვაქვს ჩატარებული მიწის პასპორტიზაცია და ა.შ. თუ ეს რგოლები მოგვარდება, შესაბამისად, მიწასაც ფასი დაედება. **მიწის ფლობა-არფლობა მოსახლეობისთვის მისი დამუშავების მთავარი ხელისშემშლელი ფაქტორი არ არის. მართალია, იურიდიულად არ ფლობენ, თორემ ფაქტობრივად მათია. საქმე ის არის, რომ ორივე პოზიცია თანხვედრაში მოვიდეს.**

როცა სრული აღრიცხვა გვექნება, გაცილებით უკეთ შევძლებთ, დავგეგმოთ მიწის ათვისების, გამოყენების პოლიტიკა, თუნდაც მოვაწესრიგოთ მიწის ყიდვა-გაყიდვის საკითხი. **დიდი ხანია, ვკამათობთ: უნდა შეეძლოს თუ არა მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნის მოქალაქეს ჩვენი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის შეძენა.**

მე ამ მიმართულებით მკვეთრად რადიკალური პოზიცია მაქვს. **ვფიქრობ, რომ გარკვეული შეზღუდვები აუცილებელია. მიწა უნდა გავყიდოთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ზუსტად გვეცოდინება, რომ ათვისებული იქნება სასოფლო-სამეურნეო მიმართულებით, არ მიადგება ზიანი და ქვეყნის ეკონომიკისთვის გარკვეული სიკეთის მომტანი იქნება.**

**— არის კი აღნუსხული უცხოელებისთვის მიყიდული ჩვენი მიწის რაოდენობა?**

— რა თქმა უნდა, არის. საქართველოს მოქალაქისგან განსხვავებით, უცხოელი, რომელიც მიწას ყიდულობს, ამის დამადასტურებელი დოკუმენტების შედგენას ყურადღებას აქცევს. შესაბამისად, კანონის ზედმიწევნითი დაცვით აქვთ რეგისტრირებული.

ამ შემთხვევაში ზუსტი ციფრების დასახელებისგან თავს შევიკავებ. სანამ ქვეყანაში აღრიცხვა არ დასრულდება, ყველა ციფრი მიახლოებითია. **აუცილებელია, ზუსტად ვიცოდეთ, ვინ, სად და რას ფლობს, მიწის რომელ კატეგორიას რა დანიშნულება აქვს, რისთვის შეგვიძლია გამოვიყენოთ რეგიონების და ზონების მიხედვით.**

# «დაახლოებით მილიარდი ლარის ღირებულების სასოფლო პროდუქცია შემოდის ყოველწლიურად საქართველოში. წარმოიდგინეთ, ამ ოდენობის თანხა (რა თქმა უნდა, სრულად არა) საქართველოში რომ რჩებოდეს, როგორ გამდიდრდებოდა ბიუჯეტი და რა შეღავათი იქნებოდა ეს მოსახლეობისთვის»



**— ბატონო გელა, რამდენიმეჯერ ახსენეთ პროგრამები, რომლებიც ამოქმედდა სოფლის მეურნეობაში. ხომ არ გაშლიდით ამ თემას თუნდაც რომელიმე ერთის მაგალითზე?**

— ავიღოთ პროგრამა „დანერგე მომავალი“, პროექტი, რომელსაც სოფლის მეურნეობის სამინისტრო ახორციელებს. თავიდან განსაზღვრული იყო, რომ **მათ, ვისაც 5-დან 20 ჰექტრამდე ნაკვეთები ჰქონდა, დაუფინანსებდნენ ნერგების ღირებულების 70 პროცენტს, სარწყავი სისტემის ღირებულების 50 პროცენტს. განაცხადის შეტანა ნებისმიერ პირს შეეძლო. აუცილებელი პირობა იყო, მიეთითებინათ, როგორ მოხნავდნენ, ადგილმდებარეობიდან გამომდინარე, რომელ სასოფლო-სამეურნეო კულტურას შეარჩევდნენ და ა.შ.**

ჩვენ მოსახლეობის თხოვნით ამ რეგულაციაში ჩავერიეთ, რეკომენდაცია გავუწიეთ სამინისტროს წინაშე და მინიმალური მიწის ფართობის ოდენობა, საიდანაც დაფინანსება უნდა დაწყებულიყო, ერთ ჰექტრამდე დავწიეთ.

**— ვინ ჩვენ, ბატონო გელა?**

— მე და პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტი... დღეს **ჩვენს მოსახლეობას, რომელიც 1 ჰექტარ ფართობს ფლობს, შეუძლია გააშენოს ნებისმიერი მრავალწლიანი კულტურა, რომელიც სტაბილურ შემოსავალს მისცემს.** დღევანდელი ვითარებიდან გამომდინარე, შეიძლება ვთქვათ, რომ ამ, ერთჰექტრიანი მეურნის ოჯახი მხოლოდ ამ ფართობიდან ყოველწლიურად 10-დან 20 ათას ლარამდე შრომითი შემოსავლით იქნება უზრუნველყოფილი.

**— ექსპერტები ამტკიცებენ, რომ სოფლად შრომა მომგებიანი არ არის, რადგან მოწეულ პროდუქციას არ აქვს გასაღების ბაზარი.**

— პრობლემა არის ის, რომ კომუნისტების პერიოდში დამკვიდრებული სისტემა მთლიანად მოიშალა, წარმოების სრული ციკლი მიწის დამუშავებიდან მოსავლის გაყიდვამდე ერთი ადამიანის შესასრულებელი გახდა, ჩამოიშალა ის შუა რგოლები, რომელთა შორის ამ ციკლის სამუშაოები იყო გადანაწილებული.

ამ სისტემის აღდგენა ახლა დავიწყეთ, დღეს უკ- ▶

**„დიდი ხანია, ვკამათობთ: უნდა შეეძლოს თუ არა მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნის მოქალაქეს ჩვენი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის შეძენა. მე ამ მიმართულებით მკვეთრად რადიკალური პოზიცია მაქვს. ვფიქრობ, გარკვეული შეზღუდვები აუცილებელია. მიწა უნდა გავყიდოთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ზუსტად გვეცოდინება, რომ ათვისებული იქნება სასოფლო-სამეურნეო მიმართულებით, არ მიადგება ზიანი და ქვეყნის ეკონომიკისთვის გარკვეული სიკეთის მომტანი იქნება“.**

ინტერვიუ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ვე შექმნილია შრომის დანაწილების კონკრეტული პირობები, ყველა რგოლი — მოსავლის მოყვანა, შენახვა, გაყიდვა რომ განვითარდეს. თუმცა მათი მუშაობის სათანადო დონეზე ასაყვანად დიდი ინვესტიციებია საჭირო.

სოფლის მოსახლეობას ვთავაზობთ კონკრეტულ პროგრამებს. მაგალითად, **გლეხებს, რომლებსაც სურთ, გადამამუშავებელი ან მოსავლის შესანახი საწარმოები ჰქონდეთ, შესაბამისი პროგრამა სთავაზობს 10-პროცენტიან თანამონაწილეობას, ღირებულების 40 პროცენტს სახელმწიფო გრანტის სახით აჩუქებს, დანარჩენი 50 პროცენტი შეუძლია, აიღოს სესხად, რომლის პროცენტების დასაფარავად სახელმწიფო გაჰყვება.**

ამას გარდა, ვეუბნებით, რომ **მიწას ჩვენ მოვუხნავთ, სერტიფიცირებულ თესლს, ნერგს ჩვენ შევთავაზებთ (სერტიფიცირება მალე სავალდებულო გახდება), რაც გარანტირებული მოსავლის საფუძველი იქნება. მით უფრო, რომ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ გარკვეული ვალდებულებები გვაქვს დაკისრებული, რომლებსაც ეტაპობრივად მივყვებით და საბოლოო ჯამში უნდა მივაღწიოთ ევროკავშირის კანონმდებლობასთან სრულ ჰარმონიზაციას.** ამ საკითხებში ევროპას დიდი გამოცდილება აქვს, რაც წინსვლას გაგვიადვილებს.

ასე რომ, ეს რგოლები უკვე ყალიბდება საქართველოში. მაგალითად, რამდენიმე წლის წინათ ვერ წარმოვიდგენდით, რომ თხილის ექსპორტი ღვინის ექსპორტს გაასწრებდა. დღეს ეს უკვე რეალობაა და დიდ შემოსავლებზე გასვლის შესაძლებლობას გვაძლევს.

კარგია, როცა წარმატებულ მაგალითს გადმოიღებ, მაგრამ უმჯობესი იქნება, თუ საკუთარ გამოცდილებას დავეყრდნობით, პრიორიტეტებს უფრო სწორად განვსაზღვრავთ და სხვაზე დამოკიდებულების ტენდენციას შევამცირებთ.

— **თხილზე ლაპარაკობთ?**

— თუნდაც თხილზე. მაგალითად, **ნუშის მოყვანა უფრო წარმატებულია და მომგებიანი.** ამ კულტურას სჭირდება კონკრეტული ადგილის შერჩევა მეტი მოსავლიანობისთვის, თუმცა, სამწუხაროდ, ასეთ ადგილებში დღეს თხილს გააშენებენ, რადგან წარმატებული მაგალითი სწორედ ამ კულტურაზე აქვთ.

საზოგადოდ, მეურნეებმა უნდა გაითავისონ, რომ უფრო მეტის წაკითხვა და მეტის შესწავლა ყველანაირად მომგებიანია და არა მხოლოდ ამ კონკრეტულ შემთხვევაში.

— **ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლებს შარშან, შემოდგომაზე ჩაეფუშათ „ყურძნის რევოლუცია“, რომლის აგორებასაც კახეთში შეეცადნენ. ახლა იმის ნიშნები ჩანს, რომ სამეგრელოში „თხილის ამბოხისთვის“ ემზადებიან. ამის მიზეზი თხილის ფასის გაუგებარი მეტამორფოზია: თუ აგვისტო-სექტემბერში კილოგრამი 6-8 ლარი ღირდა, დღეს მისი ფასი 4 ლარამდე დაეცა. ტრადიციულად კი პირიქით იყო — ზამთარში გაცილებით ძვირად იყიდებოდა. მეურნემ ზამთრისთვის შეინახა მოწეული პროდუქცია სარეალიზაციოდ და მოგების ნაცვლად დიდი ზარალის წინაშე აღმოჩნდა. ხომ არ აქვს აქ ადგილი რაღაც კარტელური გარიგების მსგავს შემთხვევას?**

**მოსახლეობაში მკვიდრდება განწყობილება, რომ, თუ არჩევნები ამ პერიოდში გაიმართება, „ქართული ოცნება“ სამეგრელოში პირწმინდად წააგებს.**

— ჯერ რთველის შესახებ, რომელიც, ძირითადად, კახეთს ეხება, რადგან სწორედ აქედან წამოვიდა უკმაყოფილება, რატომ არ იბარებენ კილოგრამ ყურძენს ერთ ლარად. მეც ბევრჯერ განვიცადე უხერხულობა ამის გამო.

მსგავსი ბარაქიანი შემოდგომა, რომელიც შარშან გვქონდა, ბოლო წლების განმავლობაში არავის ახსოვს.

ამ საკითხით სისხლხორცეულად ვარ დაინტერესებული, როგორც თანამდებობრივი მდგომარეობიდან, ასევე ჩემი ოჯახიდან გამომდინარე. თელავში, იყალთოში, ახმეტაში, ყვარელში დღემდე ვეწევი მევენახეობას. აქედან გამომდინარე, ეს თემა ჩემთვის მტკივნეულია, ვინაიდან უშუალოდ მოქმედებს ჩემი ოჯახის კეთილდღეობაზე.

**იმ ადამიანებმა, რომლებსაც მევენახეობა-მეღვინეობა გადაიტანეს პოლიტიკურ განზომილებაში და ამ სფეროში დასაქმებული ხალხი აინტერესებდათ, როგორც მხოლოდ ამომრჩეველი, თავის დროზე სათავე დაუდეს სუფსიდირების მახინჯ ფორმას და სწორედ ისინი გახდნენ ამ არეულობის მოთავენი.**

რეალურად საქმე სულ სხვა პრობლემასთან გვაქვს. ჯერ ერთი, შესაცვლელია სუბსიდირების არსებული წესი და სხვა ფორმებია მოსაძებნი, იმიტომ, რომ ამით დღეს წავახალისებთ რაოდენობრივ ზრდას და არა ხარისხის ამაღლებას. არადა, **უმთავარესი სწორედ ხარისხია, რადგან მსოფლიო ბაზარი გაჯერებულია ღვინით, კონკურენცია ძალიან მაღალია და მხოლოდ ხარისხის გაუმჯობესება დაგვეხმარება ამ კონკურენციის დაძლევაში. უამრავი ოჯახია ისეთი, მათ შორის, ჩემს სოფელ იყალთოში, რომლებმაც თავიანთი ყურძენი სრულად ჩააბარეს სახელმწიფოს და საკუთარი მოხმარებისთვის სხვისგან იყიდეს ყურძენი.**

2013 წელთან შედარებით შარშანდელ რთველში 40 პროცენტით მეტი ყურძენი დაიკრიფა. გაზრდილი მოსავლიანობის გამო საერთო რაოდენობით იმდენი თანხა გაიცა, როგორიც მაშინ, როცა კილოგრამი ყურძენი ერთი ლარი ღირდა.

ჩვენი მიდგომა ასეთია — **მთავარია, გლეხი წაგებული არ დარჩეს, არ იზარალოს. სუბსიდირების გადაწყვეტილებაც ისე გაითვალა, რომ მყიდველის არგამოჩენის შემთხვევაში მოსავალი არ გაფუჭებულიყო. ჭარბ ყურძენს, იმას, რომელსაც მეღვინე არ იყიდის, სახელმწიფო შეიძენს. ეს თანხა კი მეურნეს გაწეული სამუშაოების ხარჯს მთლიანად აუნაზღაურებს.**

რა თქმა უნდა, კარგი იქნება, თუ მევენახე აქცენტს ხარისხზე გააკეთებს, რადგან ამ შემთხვევაში ფასი ბაზარზე გაცილებით მაღალი იქნება და, შესაბამისად, მეტი მოგებაც. მსგავსი მიდგომით მეურნის სახელმწიფოზე დამოკიდებულების კოეფიციენტი შემცირდება.

დავიწყეთ სისტემების განვითარება. მაგალითად, აგროდაზღვევა, მისი კულტურის განვითარებისა და სოფლის მეურნეობის სფეროში დასაქმებული პირებისთვის სახელმწიფოს დახმარების რისკების მინიმუმამდე დაყვანის მიზნით ამოქმედდა. სახელმწიფო თავისი სუფსიდირებით შედის აგროდაზღვევის კომპანიებთან. გლეხები მცირედ თანამონაწილენი რჩებიან. **გლეხი მოსავლის მთლიანად განადგურების შემთხვევაშიც კი არ იზარალებს.**

ამასთანავე, **ამოქმედდა სეტყვის საწინააღმდეგო სისტემა, რომელიც უპირობოდ დადებითი მოვლენაა კახელი მეურნისთვის — სეტყვით გამოწვეული ზიანი 80-90 პროცენტით შემცირდება.**

ვმუშაობთ ბაზრების ათვისებაზე. ხელისუფლებაში მოსვლისთანავე რუსეთის ბაზარი გავხსენით, რომელიც წლების განმავლობაში დახურული იყო. გამოიყო პრიორიტეტული ბაზრები: **აშშ, ჩინეთი, დიდი ბრიტანეთი, უკრაინა, ყაზახეთი, ბალტიისპირეთის ქვეყნები.** იგეგმება საექსპორტო ბაზრების დივერსიფიცირების პოლიტიკის გაგრძელება და მარკეტინგული აქტივობის მნიშვნელოვანი ზრდა ისეთ ბაზრებზე, სადაც ქართული ღვინის ექსპორტი ხორციელდება. ესაა: **ინგლისი, ლიტვა, ლატვია, ესტონეთი და იაპონია.** დივერსიფიცირების მთავარი ობიექტები აშშ, ჩინეთი და პოლონეთია. მივაღწიეთ იმას, რომ ჩინეთი ჩვენი ქვეყნის ღვინის იმპორტიორი ქვეყნების ოთხეულში (2 მილიონ 600 ათასი ბოთლი) შევიდა, რაც 3-4 წლის წინათ წარმოუდგენელი იყო.

ამ ყველაფრის ფონზე ნებისმიერი „ყურძნის რევოლუციის“ მოწყობა კახეთში იმთავითვე განწირული იყო.

ახლა **„თხილის ამბოხზე“** გადავიდეთ.

ყველა უნდა მიეჩვიოს იმას, რომ ჩვენ ვართ საბაზრო ეკონომიკის ქვეყანა. აქედან გამომდინარე, ფასს ყოველთვის ადგენს ბაზარი. დღეს ხელოვნური ჩარევა გამორიცხულია. ჩვენი ქვეყნის პრობლემა არის ის, რომ არ შეგვიძლია ისეთი სტაბილური რაოდენობითა და ხარისხით ვაწარმოოთ პროდუქტი, რომ საინტერესონი ვიყოთ დიდი საერთაშორისო ბაზრებისთვის. **ჩვენი ბაზარი ჯერ კიდევ ხასიათდება ქაოსურობით: სეზონის დროს გვაქვს ჭარბი მიწოდება, აქედან გამომდინარე, დაბალი ფასი. განვითარებული არ გვაქვს პროდუქციის შესანახი ინფრასტრუქტურა, არ გაგვაჩნია საკმარისი ცოდნა, გამოცდილება, ვერ ვფლობთ პროდუქტის გრძელვადიანი შენახვის ტექნოლოგიებს, ამიტომაა, რომ სეზონის დამთავრებისთანავე გადავდივართ იმპორტირებულ პროდუქტზე.**

თუმცა, ისიც არის, რომ ზოგიერთი მიმართულებით თვითუზრუნველყოფას მივაღწიეთ, მაგალითად, კვერცხით, კარტოფილით მოსახლეობის მომარაგების საქმეში, თანაც 100 პროცენტით. ესეც, სხვათა შორის, „აგროქართუს“ დამსახურებაა, რომელმაც დაიწყო ზრუნვა ელიტურ ჯიშებზე, აქ შექმნა სათესლე მეურნეობა, დარეგისტრირდა ქართული ჯიშის კარტოფილის სამი სახეობა. ეს ორგანიზაცია შემდგომ საჩუქრად გადაეცა სახელმწიფოს. დღეს მის ბაზაზეა შექმნილი სოფლის მეურნეობის სამინისტროს კვლევითი ცენტრი, რომელმაც საქმიანი კავშირი დაამყარა მსოფლიო მეკარტოფილეთა ასოციაციასთან, მასთან ერთად განვაგრძობთ სამეცნიერო-კვლევით მუშაობას რეგიონის მოთხოვნილების სრულად დასაკმაყოფილებლად.

დღეს ასათვისებელია შიგა ბაზარი. ცნობილია, რომ **დაახლოებით მილიარდი ლარის ღირებულების სასოფლო პროდუქცია შემოდის ყოველწლიურად საქართველოში. წარმოიდგინეთ, ამ ოდენობის თანხა (რა თქმა უნდა, სრულად არა) საქართველოში რომ რჩებოდეს, როგორ გამდიდრდებოდა ბიუჯეტი და რა შეღავათი იქნებოდა ეს მოსახლეობისთვის.**

— **მიწის ნაყოფიერებაზე ვინმე მუშაობს დღეს საქართველოში?**

— მიწის ნაყოფიერებაზე კერძო, დაინტერესებული პირების გარდა დღეს არავინ მუშაობს. აქედან გამომდინარე, **ჯერ კიდევ ბევრი გვაქვს გასაკეთებელი. თუ ეს პრობლემა ვერ მოვაგვარეთ, სასურველ შედეგს ვერ მივაღწევთ. შეიძლება ინფრასტრუქტურა მოვაწყოთ, ახალი ჯიშებიც გამოვიყვანოთ, მაგრამ, მიწა შესაბამისი ხარისხის თუ არ იქნება, ყველაფერი წყალში ჩაიყრება.**

ამჟამად ვმუშაობთ კანონზე (ალბათ, საგაზაფხულო სესიის პერიოდში წარვადგენთ პარლამენტში), რომელმაც უნდა მოაწესრიგოს მიწების ნაყოფიერების, ხარისხის გაუმჯობესების, კონსერვაციის და ა.შ. საკითხები. ყველა განვითარებულ ქვეყანაში გაწერილი აქვთ წლების მიხედვით კულტურათა მონაცვლეობის, თესლბრუნვის, მიწის ხარისხის შენარჩუნების ღონისძიებები. ეს ცოდნა უნდა შევიტანოთ ჩვენს ხალხში. დავნერგოთ და კანონის ძალით განვამტკიცოთ.

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**



# ქართველი ჯარისკაცები — საზარბაზნე ხორცი დასავლეთისთვის

**ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალურ ბლოგზე გამოქვეყნებულ სტატიაში ნათქვამია, რომ აშშ-ის შემდეგ ავღანეთში ყველაზე დიდი სამხედრო კონტინგენტი საქართველოს ჰყავს. სტატიაში ასევე აღნიშნულია, რომ ქართველი ჯარისკაცების ჩართვა ნებისმიერ მისიაში, მათ შორის, პირდაპირ საბრძოლო მოქმედებებშიც შეიძლება. ხომ არ არის ეს სიგნალი, რომ ქართველი ჯარისკაცები ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე ომის ეპიცენტრში აღმოჩნდნენ? მსგავსი შინაარსის საქებარი სტატიებისა და განცხადებების გარდა, რეალურად რას მიიღებს საქართველო, რომელსაც ნატოში მიღებაზე ჯიუტად და თანმიმდევრულად ეუბნებიან უარს? ვინ ვართ ჩვენ დასავლეთისთვის – პარტნიორები თუ საზარბაზნე ხორცი? — ამ საკითხებზე, „საქართველო და მსოფლიოს“ გენერალი ტრისტან წითელაშვილი და სამხედრო ექსპერტი ვახტანგ მაისაია ესაუბრებიან.**



**ტრისტან წითელაშვილი:**

— საქართველოს ნატოში არასოდეს მიიღებენ. და ყველაზე დიდი „ხეირი“ — ეს არის საომარ მოქმედებებში ჩვენი ჯარისკაცების ჩართვა საზარბაზნე ხორცად. დასავლელ პარტნიორებს ჩვენი ქვეყანა მხოლოდ სტრატეგიულ ტერიტორიად სჭირდებათ, რათა რუსეთზე ზეგავლენა მოახდინონ. **ხან სააკაშვილის წაქეზებით, ხან ბათუმის პორტში ნატოს ხომალდების შემოსვლითა თუ თავდაცვის სამინისტროსა და პრეზიდენტ მარგველაშვილის უცნაური განცხადებებით, ხან კიდევ ერთობლივი სწავლებით ცდილობენ, გაერკვნენ, როგორი რეაქცია ექნება ჩვენს მეზობელ ქვეყანას ამა თუ იმ სცენარის განვითარებისას.** ერთი შეხედვით, ეს უმნიშვნელო რაღაცაა, მაგრამ ამით ამოწმებენ, რა რეაგირებას მოახდენს მეორე მხარე. ეს პირველად არ მომხდარა, ეს ჩვეული ტაქტიკაა. ასეთი რაღაცები საქართველოში 2008 წელს ხდებოდა, უკრაინაში — 2012 წელს. ისინი ექსპერიმენტებს ატარებენ, ჩვენ კი ვზარალდებით. **ჩვენ მართლა გვყავს მამაცი, კარგი ჯარისკაცები, მაგრამ ისიც ვიცით, რომ ყველაზე მცირე ანაზღაურებას ქართველ ჯარისკაცებს აძლევენ, არადა, მათ ყველაზე სარისკო საქმეებზე უშვებენ.** სწორედ ეს არის ადამიანების საზარბაზნე ხორცად გამოყენება. დასავლეთს ხელს აძლევს დაძაბულობა საქართველოში, რადგან მათთვის მომგებიანი არ არის, საქართველომ რუსეთთან პოლიტიკური ურთიერთობა მოაგვაროს, დიპლომატიური ურთიერთობა აღადგინოს, რათა, ბოლოს და ბოლოს, ქვეყნის დეოკუპაცია დაიწყოს და ჩვენი ტერიტორიები მშვიდობიანად, ნებაყოფლობით დავიბრუნოთ. სხვათა შორის, რუსეთის ხელისუფლებისგან უკვე არის მინიშნებები, რომ დიალოგისთვის მზად არიან.



**ვახტანგ მაისაია:**

— საქართველო, აშშ-ის შემდეგ, ფაქტობრივად, მეორე ქვეყანაა, რომელსაც პროცენტულად ყველაზე მეტი ჯარისკაცი ჰყავს ავღანეთში. როგორც ჩანს, ქართველი ჯარისკაცების სულისკვეთება და მომზადების დონე ისე მაღალია, რომ, ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ხელმძღვანელობის აზრით, ისინი ნატოს შეიარაღებულ ძალებთან ერთად ნებისმიერ წერტილში ბრძოლას შეძლებენ. სააკაშვილმა თავის დროზე მიიღო გადაწყვეტილება, ავღანეთში ნატოს არაწევრ ქვეყნებს შორის საქართველოს გაეგზავნა ყველაზე მეტი ჯარისკაცი, რადგან ფიქრობდა, რომ ამით ბარაკ ობამას ადმინისიტრაციის გულს მოიგებდა.

მოამზადა **შორენა ციცქარაშვილმა**

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



„შეცდომად მიმაჩნია რუსეთისა და სტალინის ქება-დიდების შესახებ ჩერჩილის სიტყვის გამოქვეყნება. ყოველივე ეს ჩერჩილს იმისთვის სჭირდება, რომ სინდისი დაიმშვიდოს (რომელიც სუფთა არ აქვს) და შენიღბოს თავისი მტრული დამოკიდებულება სსრკ-ისადმი. კერძოდ, შენიღბოს ის ფაქტი, რომ სწორედ ჩერჩილი და მისი მოწაფეები ლეიბორისტული პარტიიდან არიან სსრკ-ის წინააღმდეგ ინგლისურ-ამერიკული-ფრანგული ბლოკის ორგანიზატორები“.

# სტალინი და მოლოტოვი

## დისტანციური მართვა

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №5 (334)

### ნაწილი II

**სოჭთან ახლოს, ზღვისპირა მყუდრო აგარაკზე ფაფრიანი ლომი მშვიდად იწვა და თვალებს ნაბავდა. დღისით იძინებდა, პერიოდულად კი დაცულ ტყეში სეირნობდა. ჩვეულებრივად იღებდა დოკუმენტებს, ამუშავებდა და უკან უგზავნიდა კრემლში „სამეულს“. „ოთხეულის“ მეოთხე წევრს კი ლონდონში ყურადღებას არ აკლებდა. ფოსტას არასასურველი შეტყობინებაც მოჰყვა:**

**„შესაძლებელია, აშშ-მა საბჭოეთის 20 დიდ ქალაქში ნაგასაკი და ხიროსიმა გაიმეოროს“.**

სტალინი ის კაცი არ არის, ამერიკელების მიერ დაყრილმა ჭორებმა რომ დააშინოს მოლაპარაკებების მიმდინარეობისას, მაგრამ სიფრთხილეს თავი არ სტკივა.

მოლოტოვის დისტანციური მართვიდან კურჩატოვთან გადაერთო და კატეგორიულად მოსთხოვა, დაეჩქარებინა პროექტის დასრულება. „ოთხეული“ კი დააიმედა: „თუ დასავლეთმა რამე გაბედა, ევროპას მუხლუხების ქვეშ მოვაქცევ“.

როგორც ამბობენ, სტალინი ხშირად იმეორებდა ვაჟას სტროფებს და, შესაძლოა, იმხანად გულშიც კი გაუელვა ამ სტრიქონებმა:

**„ვაჰ, დედას თქვენსა,**
**ყოვებო,**
**ცუდ დროს ჩაგიგდავთ**
**ხელადა,**
**თორო ვნახავდი თქვენს**
**ბუმბულს**
**გაშლილს, გაფანტულს**
**ველადა!“**

გაივლის ცოტა დრო, არწივი კვლავ გაშლის ფრთებს და იმ კომბალს, რომელიც ტრუმენს „რუსი ბიჭებისთვის“ ჰქონდა გამზადებული, კობა იმავე ტრუმენს თავზე გადაამტვრევს.

სექტემბრის ბოლოს კვლავ პროცედურულ საკითხებს დაუბრუნდა სესია. **თითქოს გაჭრა მოლოტოვის სიჯიუტემ, მაგრამ ბერნსი და ბევინი კვლავ თავგამოდებით იცავდნენ თავიანთ თვალსაზრისს, მოლოტოვის შეუვალ პრინციპებსა და მოთხოვნებს ბირნსმა ჰიტლერის მეთოდები უწოდა. ამის მოსმენისთანავე მოლოტოვი სწრაფად წამოიჭრა სავარძლიდან და კატეგორიულად მოსთხოვა ბერნსს, ბოდიში მოეხადა. ბერნსი დაიბნა, მაგრამ ბოდიშის მოხდას მაინც არ აპირებდა. მაშინ მოლოტოვმა თავისი დელეგაციის წევრებს საბჭოს დატოვება უბრძანა და კარისკენ გაემართა. აი, მაშინ კი იკადრეს ბერნსმა და ბევინმა, მოლოტოვს უკან დადევნებოდნენ და ბოდიშებით მიეცილებინათ მის სავარძლამდე.**

გამოცხადებული შესვენების დროს ყველაფერი მოახსენა მოლოტოვმა სტალინს, რითაც ბელადი კმაყოფილი დარჩა. შესვენების შემდეგ კონსულტაციაგავლილმა მოლოტოვმა, კიდევ უფრო მკაცრი პოზიცია დაიკავა 11 სექტემბრის დადგენილების გადასინჯვის მიმართ, რამაც კიდევ უფრო მეტად შეიყვანა ჩიხში მოლაპარაკება.

ახლა საკითხავი იყო, ვის დაედებოდა ბრალი სესიის ჩაშლაში.

მოლოტოვმა ისევ მოახსენა სტალინს თავისი თვალსაზრისი ბერნსისა და ბევინის შესახებ: ამ გამოუვალ მდგომარეობაში მათ, როგორც ჩანს, სესიის ჩაშლა სურთო. სტალინმა უპასუხა:

— ესე იგი, მზად უნდა ვიყოთ ჩვენი „პატივცემული მოკავშირეების“ ღია ანტისაბჭოთა გამოსვლისთვის. მასზე პასუხის გაცემა თავდასხმის სახით მოგვიხდება. ტრაგიკულად ნუ აღიქვამ ბევინის მაქინაციებს, მშვიდად მიიღე ყოველივე. ჩვენ არაფერს წავაგებთ, მხოლოდ ისინი დარჩებიან წაგებული.

მეორე დღეს სესიამ ისე დაასრულა მუშაობა, რომ კომუნიკეც კი არ გამოუქვეყნებიათ, საბჭოთა დელეგაციას კი სხდომების სტენოგრამაც არ წაუღია მოსკოვში.

სტალინი, როგორც მსოფლიოს პოლიტიკის საჭეთმპყრობელი, უდიდესი პოლიტიკოსი და დიპლომატი, სრულიადაც არ აპირებდა „მოკავშირეებთან“ კავშირის გაწყვეტას, მაგრამ არ უფრთხილდებოდა მათი ნერვების დაწყვეტას. ამის შედეგი იყო ის, რომ ლონდონში მოკავშირეთა ქცევით განრისხებულმა სტალინმა იაპონიიდან სასწრაფოდ გამოიწვია საბჭოეთის წარმომადგენელი, გენერალი **კუზმა დერევიანკო** და გააუქმა „კეთილი ნების“ ჟესტი ტრუმენის მიმართ, უარი თქვა **გიორგი ჟუკოვის** დაგეგმილ გამგზავრებაზე აშშ-ი, მაგრამ მოლაპარაკებების კარი მაინც ღია დატოვა.

სტალინი დასვენების პერიოდში (თუ ამას დასვენება ჰქვია — გრ. ონიანი) არავის შეხვედრია და არც არავისთვის უპასუხია ტელეფონზე, „ოთხეულის“ გარდა. ერთადერთი შემთხვევა, რომელიც დაშვებული იქნა „ოთხეულის“ მიერ სტალინთან შეთანხმებით, იყო აგარაკზე ამერიკის ელჩის — **ჰარიმანის** სტუმრობა, რომელსაც ტრუმენის პირადი ბარათი უნდა გადაეცა ბელადისთვის. ეს იმით იყო განპირობებული, რომ „ოთხეული“ ფიქრობდა, ტრუმენი, ალბათ, დათმობის წერილს უგზავნისო სტალინს.



**მოლოტოვის შეუვალ პრინციპებსა და მოთხოვნებს ბირნსმა ჰიტლერის მეთოდები უწოდა. ამის მოსმენისთანავე მოლოტოვი სწრაფად წამოიჭრა სავარძლიდან და კატეგორიულად მოსთხოვა ბერნსს, ბოდიში მოეხადა. ბერნსი დაიბნა, მაგრამ ბოდიშის მოხდას მაინც არ აპირებდა. მაშინ მოლოტოვმა თავისი დელეგაციის წევრებს საბჭოს დატოვება უბრძანა და კარისკენ გაემართა. აი, მაშინ კი იკადრეს ბერნსმა და ბევინმა, მოლოტოვს უკან დადევნებოდნენ და ბოდიშებით მიეცილებინათ მის სავარძლამდე**

27 ოქტომბერს მოსკოვში დაბრუნებულმა ჰარიმანმა საჯაროდ განაცხადა:

**„გენერალისიმუსი სტალინი თავს მშვენივრად გრძნობს და ჭორებს მისი ავადმყოფობის შესახებ, საფუძველი არ აქვს“.**

პირში ჩალაგამოვლებული დარჩა მსოფლიო პრესა, რომელიც ათას ჭორ-მართალს ავრცელებდა სტალინის ავადმყოფობის თუ გარდაცვალების თაობაზე, რომელსაც თითქოს არ უმხელენ საბჭოთა ხალხსა და მსოფლიოს.

ამერიკაში კი ჰარიმანმა შემდეგი შეტყობინება გაგზავნა:

„ისეთი განცდა მაქვს, რომ მას (სტალინს) ჩვენთან მოლაპარაკება სურს, მაგრამ განუზომელი ეჭვით აღიქვამს ჩვენს ყოველ ნაბიჯს“.

სტალინთან ჰარიმანის შეხვედრის შემდეგ „ოთხეულისაგან“ სტალინმა მიიღო ამერიკის ნოტაზე პასუხის პროექტი იაპონიისთვის კონტროლის მექანიზმის შემუშავების შესახებ. სტალინმა მოითხოვა მოლოტოვისა და ჰარიმანის საუბრის სტენოგრამა, რომელიც სასწრაფოდ გაეგზავნა მას. სტენოგრამის გულდასმით გარჩევისას სტალინმა ხაზი გაუსვა მოლოტოვის კიდევ ერთ პოლიტიკურ შეცდომას, რომელიც ხმის მიცემის პროცედურის დროს რაღაც დათმობას გულისხმობდა. მოლოტოვის წინადადებამ, რომელიც ამერიკელთათვის გასაგზავნ პასუხშიც იყო გადატანილი, სტალინს უცბად მოლოტოვის მიერ 11 სექტემბერს დაშვებული შეცდომის რეციდივი დაანახვა, რის გამოც „სასიკვდილო განაჩენი“ გამოუტანა თავის მოადგილეს და სასწრაფოდ მისწერა „ოთხეულს“:

**„მოლოტოვის მანერა, განცალკევდეს მთავრობისგან, უმძიმესი შეცდომაა, სასწრაფოდ დაიწყეთ გამოძიება“.**

სტალინის მითითებით სასწრაფოდ შეიკრიბა პოლიტბიურო, რომელმაც თავის გადაწყვეტილებაში ჩაწერა: **„არასწორად იქნეს მიჩნეული მოლოტოვის მანერა, განცალკევდეს სახელმწიფოსაგან და საკუთარი თავი მთავრობაზე უფრო ლიბერალად და დამთმობად წარმოაჩინოს“.**

მოლოტოვმა პოლიტბიუროზე მოინანია თავისი შეცდომა და განაცხადა:

— შევეცდები, მომავალში აღარ დავუშვა მსგავსი შეცდომა.

თუმცა საქმე იმით დასრულდა, რომ სტალინი აღარ ენდო აღარც მოლოტოვს და აღარც „ოთხეულს“. სტალინმა თავისი ხელით დაწერა ამერიკელებისთვის გასაგზავნი ნოტა და მოსკოვში „ოთხეულს“ გაუგზავნა შესათანხმებლად.

„ოთხეულმა“, რა თქმა უნდა, ყოველგვარი შეკითხვის გარეშე მოაწერა ხელი და ნოტაც გაიგზავნა.

ინციდენტი ახალი ამოწურული იყო, როცა მოლოტოვმა ახალი შეცდომა დაუშვა. მისი პირადი მითითებით, „პრავდამ“ გამოაქვეყნა ბრიტანეთის პარლამენტის თემთა პალატაში ჩერჩილის ერთ-ერთი გამოსვლის შინაარსი, რომელშიც მან ქებით მოიხსენია საბჭოთა ხალხი და მისი ბელადი. ჩერჩილმა განაცხადა: **„მე არ ძალმიძს, უდიდესი აღფრთოვანების გარდა, რაიმე სხვა გრძნობას განვიცდიდე ამ ჭეშმარიტად დიდი ადამიანის, თავისი ქვეყნის მამის მიმართ, რომელიც მშვიდობიან დროს განაგებდა ქვეყნის ბედს და გამარჯვებით დაიცვა იგი ომის პერიოდში“.**

ასეთი და ამაზე მეტი პანეგირიკებიც გამოუთქვამთ ომის დროს სტალინზე, მაგრამ მაშინ სტალინს არ გაუპროტესტებია, ახლა კი, ამ შექების წაკითხვის შემდეგ, განრისხებულმა „ოთხეულს“ მისწერა:

**„შეცდომად მიმაჩნია რუსეთისა და სტალნის ქება-დიდების შესახებ ჩერჩილის სიტყვის გამოქვეყნება, ყოველივე ეს ჩერჩილს იმისთვის სჭირდება, რომ სინდისი დაიმშვიდოს (რომელიც სუფთა არ აქვს) და შენიღბოს თავისი მტრული დამოკიდებულება სსრკ-ისადმი. კერძოდ, შენიღბოს ის ფაქტი, რომ სწორედ ჩერჩილი და მისი მოწაფეები ლეიბორისტული პარტიიდან არიან სსრკ-ის წინააღმდეგ ინგლისურ-ამერიკული-ფრანგული ბლოკის ორგანიზატორები“.**

ჩერჩილისთვის ნიღბის ჩამოგლეჯას მოსდევს მთავარი აზრი — გაფრთხილება საბჭოთა უმაღლეს ხელმძღვანელობას:

**„ამჟამად ჩვენთან ბევრია ისეთი პასუხისმგებელი მუშაკი, რომლებიც გულუბრყვილო აღტაცებას განიცდიან ჩერჩილების, ტრუმენებისა თუ ბერნსებისაგან ქება-დიდების გაგონებაზე და პირიქით — ხასიათი უფუჭდებათ ამ ბატონების მხრიდან არაკეთილსასურველი გამოხმაურების შემთხვევაში. ამგვარი განწყობა სახიფათოდ მიმაჩნია, რადგან უცხოელი ფიგურების მიმართ მაამებლობას ავითარებს ჩვენში. უცხოელთა წინაშე მაამებლობ-**

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**სტენოგრამის გულდასმით გარჩევისას სტალინმა ხაზი გაუსვა მოლოტოვის კიდევ ერთ პოლიტიკურ შეცდომას, რომელიც ხმის მიცემის პროცედურის დროს რაღაც დათმობას გულისხმობდა. მოლოტოვის წინადადებამ, რომელიც ამერიკელთათვის გასაგზავნ პასუხშიც იყო გადატანილი, სტალინს უცბად მოლოტოვის მიერ 11 სექტემბერს დაშვებული შეცდომის რეციდივი დაანახვა, რის გამოც „სასიკვდილო განაჩენი“ გამოუტანა თავის მოადგილეს.**



სტალინი, გიორგი მალენკოვი, ლავრენტი ბერია და ვიაჩესლავ მოლოტოვი

**«ამჟამად ჩვენთან ბევრია ისეთი პასუხისმგებელი მუშაკი, რომლებიც გულუბრყვილო აღტაცებას განიცდიან ჩერჩილების, ტრუმენებისა თუ ბერნსებისაგან ქება-დიდების გაგონებაზე და პირიქით — ხასიათი უფუჭდებათ ამ ბატონების მხრიდან არაკეთილსასურველი გამოხმაურების შემთხვევაში. ამგვარი განწყობა სახიფათოდ მიმაჩნია, რადგან უცხოელი ფიგურების მიმართ მაამებლობას ავითარებს ჩვენში. უცხოელთა წინაშე მაამებლობის წინააღმდეგ სასტიკი ბრძოლაა საჭირო. თუკი ჩვენ მომავალშიც გამოვაქვეყნებთ მსგავს გამოსვლებს, ამით დავნერგავთ მაამებლობას და მლიქვნელობას. იმაზე აღარაფერს ვამბობ, რომ საბჭოთა ლიდერებს არაფრად სჭირდებათ ქება უცხოელი ლიდერების მხრიდან. მე რაც შემეხება, ამგვარი ქება, უბრალოდ, მეჩოთირება.
სტალინი»**

**◀ის წინააღმდეგ სასტიკი ბრძოლაა საჭირო. თუკი ჩვენ მომავალშიც გამოვაქვეყნებთ მსგავს გამოსვლებს, ამით დავნერგავთ მაამებლობას და მლიქვნელობას. იმაზე აღარაფერს ვამბობ, რომ საბჭოთა ლიდერებს არაფრად სჭირდებათ ქება უცხოელი ლიდერების მხრიდან. მე რაც შემეხება, ამგვარი ქება, უბრალოდ, მეჩოთირება.**

**სტალინი“.**

პასუხად კვლავ ექოსავით გაისმა მოლოტოვის ბოდიშები:

**„მე ეს შეცდომად მიმაჩნია, რადგან იმ სახითაც კი, როგორითაც ჩვენთან გამოქვეყნდა, გამოვიდა, რომ რუსეთისა და სტალინის ქება-დიდება ჩერჩილის მხრიდან საბჭოთა კავშირის მიმართ მტრულ მიზნებს ემსახურებოდა. ყოველ შემთხვევაში, შენი თანხმობის გარეშე ამის გამოქვეყნება არ შეიძლებოდა“.**

1945 წლის 7 ნოემბრის აღლუმის შემდეგ კრემლში გამართულ სადილზე, სადაც ქვეყნის პირველკაცობა მოლოტოვს ჰქონდა მინდობილი, მასთან ჭიქით ხელში მივიდა ამერიკელი ჟურნალისტი, რომელსაც მოლოტოვი ცენზურის გაუქმებაზე ესაუბრა.

ყველაფრის მცოდნე სტალინმა უმალვე შეიტყო დარბაზობაზე მოლოტოვის მოქმედების შესახებ, რის გამოც სასწრაფოდ დაუკავშირდა კრემლში მოლოტოვს და შეუტია:

— ვინ მოგცა ცენზურის გაუქმების უფლება?

მოლოტოვმა უპასუხა, ცენზურა არ გამიუქმებიაო.

— სიმთვრალეში რას აღარ წამოაყრანტალებ ხოლმე (თვითმხილველთა თქმით, დარბაზობებზე საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა ერთი-ორჯერ მართლაც ზედმეტი გადაჰკრა)! — მრისხანედ უთხრა სტალინმა

მიღებული ახსნა-განმარტების შემდეგ სტალინმა მოსთხოვა „ოთხეულს“, დაეწყო გამოძიება, რათა ძირშივე აღეკვეთათ საბჭოთა კავშირსა და მის მთავრობაზე ახალი პასკვილების ბეჭდვის შესაძლებლობა. ძიების საქმეში „ოთხეულის“ მოხსენება სტალინს არადამაკმაყოფილებლად და ლიბერალურად მოეჩვენა, რისთვისაც „დატუქსა“ კიდეც ისინი. **შეფუცხუნებულმა „სამეულმა“ მეორე მოხსენებაში პირდაპირ დაადანაშაულა მოლოტოვი, რადგან, როგორც გამოძიებამ აჩვენა, ნოემბერში ნამდვილად შესუსტებული იყო კონტროლი მიმოწერასა და პრესაზე, საგარეო საქმეთა კომიტეტის პრესის განყოფილებისთვის კი განკარგულება გაცემული ჰქონდა მოლოტოვს.**

სტალინმა გადაწყვიტა, მოლოტოვისთვის სუბორდინაციისა და ფხიზლად ყოფნის მკაცრი გაკვეთილი ჩაეტარებინა, რომელიც სხვა მაღალი თანამდებობის პირთათვისაც სამაგალითო იქნებოდა.

სტალინმა სპეციალურად აღარ მიაქცია ყურადღება მოლოტოვს და „ოთხეული“ გარდაქმნა „სამეულად“. ამას მოწმობს მალენკოვისთვის, ბერიასა და მიქოიანისთვის მიწერილი წერილი:

„არადამაკმაყოფილებლად მიმაჩნია თქვენი პასუხი ცენზურის საკითხზე. ვხედავ მას, როგორც იმ საქმის მიფუჩეჩების მცდელობას, რომელიც, ერთი მხრივ, „სამეულის“ მიამიტობის შედეგია; ხოლო, მეორე მხრივ, ჯგუფის მეოთხე წევრის — მოლოტოვის მოხერხებულობისა. ხომ კითხულობდა მოლოტოვი ყველა ამ პასკვილს, ზიანი რომ მოაქვს ჩვენი სახელმწიფოს პრესტიჟისათვის. რატომ არ მიიღო სათანადო ზომები? არც ერთ ჩვენგანს უფლება არ აქვს, მიიღოს ერთპიროვნული გადაწყვეტილებები ჩვენი პოლიტიკის კურსის შეცვლის საქმეში. მოლოტოვმა კი მიითვისა ეს უფლება. რატომ, რის საფუძველზე? იმიტომ ხომ არა, რომ ეს პასკვილები შედის მისი მოღვაწეობის გეგმაში? თქვენგან დაშიფრული ცნობის მიღებამდე ვფიქრობდი, რომ მოლოტოვისადმი საყვედურით დავკმაყოფილებულიყავით. ამჟამად ეს უკვე საკმარისი არ არის. დავრწმუნდი, რომ მოლოტოვი არც ისე უფრთხილდება ჩვენი სახელმწიფოს ინტერესებს და მთავრობის პრესტიჟს, ოღონდ კი პოპულარობა მოიპოვოს უცხოეთის წრეებში. ასეთ ამხანაგს ვეღარ ჩავთვლი ჩემს პირველ მოადგილედ“.

სტალინმა მითითება მისცა „სამეულს“, გამოეძახებინათ მოლოტოვი და წაეკითხათ ეს წერილი, მაგრამ არამც და არამც ხელში არ ჩაეგდოთ მისთვის: „ამას თქვენ გიგზავნით და არა მას“.

**იმავე დღეს „სამეულმა“ შერისხული მოლოტოვი „ხალიჩაზე გამოიძახა“ და სტალინის დეპეშა წაუკითხა. ყველასათვის ნათელი უნდა იყოს მოლოტოვის მდგომარეობა იმ წუთებში, როდესაც „სამეული“ — ტრიბუნალს, თვითონ — ბრალდებულს, ხოლო სტალინის დეპეშა საბრალდებო დასკვნას წარმოადგენდა.**

სცენა კრიტიკულია, მაგრამ მისი დასასრული მხოლოდ და მხოლოდ სცენარის ავტორმა და რეჟისორმა იცის, რომელიც შავიზღვისპირა აგარაკიდან უყურებს სპექტაკლს. „სამეულმა“ სტალინს შემდეგი შინაარსის წერილი გაუგზავნა:

**„გამოვიძახეთ მოლოტოვი, წავუკითხეთ დეპეშა. ცოტა ხნის ფიქრის შემდეგ თქვა, რომ უამრავი შეცდომა დაუშვა, მაგრამ ამგვარი უნდობლობა უსამართლობად მიაჩნია, ცრემლი მოერია. ამის შემდეგ ჩამოვუთვალეთ ყველა შეცდომა — დაწყებული ლონდონის შეხვედრიდან, 7 ნოემბერს გამართულ ბანკეტამდე. ისიც შევახსენეთ, რომ მან თანხმობა განაცხადა ჩერჩილის ვაჟის მიღებაზე, რომელიც არ შედგა იმიტომ, რომ ჩვენ გამოვთქვით საწინააღმდეგო მოსაზრება“.**

„სამეულმა“ კარგად იცოდა, რომ მას (სტალინს) არა მხოლოდ მოლოტოვის ქმედებათა სრული სურათი სჭირდებოდა, არამედ ცდიდა „სამეულს“ ერთგულებასა და მიუკერძოებლობაში, რომელსაც შეიძლება საბედისწერო შედეგი მოჰყოლოდა.

იმავე დღეს სტალინმა თავის აგარაკზე მონანიების წერილი მიიღო მოლოტოვისგან, რომელიც მოლოტოვისეული პათოსით გვირგვინდებოდა:

**„შენი დაშიფრული დეპეშა ჩემ, როგორც ბოლშევიკისა და ადამიანის, მიმართ დიდი უნდობლობით არის გამსჭვალული, რომელსაც ვიღებ, როგორც ძალზე სერიოზულ პარტიულ გაფრთხილებას ჩემი მომავალი მუშაობისათვის. სადაც უნდა ვიმუშაო, ვეცდები, საქმით მოვიპოვო შენი ნდობა, რომელშიც ყოველი პატიოსანი ბოლშევიკი, პირად ნდობას კი არა, პარტიის ნდობას ხედავს, რაც ჩემთვის სიცოცხლეზე ძვირფასია“.**

სტალინმა ორიდღიანი პაუზა გააკეთა, რათა მოლოტოვი კიდევ მეტად მოხარშულიყო თავის წვენში და მესამე დღეს, გვიან ღამით, უპასუხა დეპეშით, რომლის ადრესატი იყო არა „სამეული“, არამედ „ოთხეული“.

სტალინმა ფინალამდე მიიყვანა სპექტაკლი თავისი დაწერილი სცენარით და მოლოტოვი ისევ თავის ახლობელთა წრეში ჩასვა. მიზანი მიღწეულია, სპექტაკლი კი დამთავრებული. ახლა საჭიროა გასული ორთაბრძოლების ზუსტი ანალიზი.

ტრიუმფატორი სტალინი ახალ-ახალ სასიამოვნო ცნობებს იღებდა დედამიწის ყველა კუთხიდან: შეიტყო, რომ ბულგარეთსა და იუგოსლავიაში პროსაბჭოურმა ძალებმა გაიმარჯვეს. ამერიკის სახელმწიფო მდივანმა კი კრემლს აცნობა, რომ თანახმაა, ლონდონის სესიისგან განსხვავებით, პოტსდამის ხელშეკრულების ფორმატში შედგეს სამი სახელმწიფოს წარმომადგენლების შეხვედრა. „დიდმა სამეულმა“ პოტსდამიდან მოსკოვში გადაინაცვლა. კრემლისთვის ეს კიდევ უფრო სასიამოვნო იმით იყო, რომ აშშ-ის გადაწყვეტილება შეთანხმებული არ იყო დიდ ბრიტანეთთან, რომელიც კიდევ ერთ კოზირს აძლევდა კრემლს მათ შორის ურთიერთობის მოსაგვარებლად.

ყველასათვის ცხადი შეიქნა სტალინის სტრატეგიის განუმეორებლობა და სიდიადე. სტალინის სიმტკიცე და დიპლომატიური ჭვრეტა კი ნათელმხილველის დონეს სცილდებოდა და კოსმოსურს უახლოვდებოდა.

სტალინი კი შავიზღვისპირა ერთ მყუდრო აგარაკზე სასხლავით ხელში ბაღში დადიოდა და ნარგავებს გამხმარ ტოტებს აცლიდა. ალბათ, მაშინაც მისი საყვარელი ვაჟას ლექსის სტროფს ღიღინებდა:

„ვაჟკაცსა გული რკინისა,
აბჯარი თუნდაც ხისაო“.

საღამოს სტალინი საწერ მაგიდას მიუჯდა და „უსტარი“ მისწერა „ოთხეულს“:

„ჩვენი სიმტკიცის წყალობით მოვიგეთ ბრძოლა მოსკოვის თათბირის შემადგენლობაზე, ვინაიდან ამ შემადგენლობიდან ჩინეთისა და საფრანგეთის გამორიცხვა იმას ნიშნავს, რომ ამერიკამ და ინგლისმა უკან დაიხიეს ლონდონში დაკავებული პოზიციიდან.

მოვიგეთ ბრძოლა ბულგარეთსა და იუგოსლავიაში. ამას მოწმობს ამ ქვეყნებში ჩატარებული არჩევნების შედეგები. ხსენებული ქვეყნების საკითხებში ყოყმანი რომ დაგვეწყო და სიმტკიცე არ გამოგვეჩინა, ბრძოლას აუცილებლად წავაგებდით.

ერთხანს თქვენ (მოლოტოვი) დაემორჩილეთ დაშინებას და ზემოქმედებას ამერიკის მხრიდან, დაიწყეთ ყოყმანი, დაიჭირეთ ლიბერალური კურსი უცხოელი კორესპოდენტების მიმართ და აშშ-ისა და ინგლისის გულის მოსაგებად საკუთარი მთავრობა სალანძღავად მიუგდეთ ამ კორესპოდენტებს. თქვენი ანგარიში ცხადია, მიამიტური იყო. მე მეშინოდა, რომ ამ ლიბერალიზმით ძირს გამოუთხრიდით ჩვენს მტკიცე პოლიტიკას და დაალალატებდით ჩვენს სახელმწიფოს. სწორედ იმ ხანებში უცხოური პრესა გაჰყვიროდა, რომ რუსებმა ვერ გაუძლეს, დათმეს და შემდგომ დათმობებზეც წავლენ, მაგრამ შემთხვევა დაგეხმარათ და დროულად დაუბრუნდით სიმტკიცის პოლიტიკას. ისეთ პარტნიორებთან საქმის დაჭერისას, როგორიც აშშ და ინგლისი არიან, სერიოზულს ვერაფერს მივაღწევთ, თუ ჩვენი დაშინების უფლებას მივცემთ და მერყეობას გამოვიჩენთ. ასეთ პარტნიორებთან რაიმეს რომ მიაღწიო, სიმტკიცისა და გამძლეობის პოლიტიკით უნდა შეიარაღდე.

სწორედ იმავე სიმტკიცისა და გამძლეობის პოლიტიკით უნდა ვიხელმძღვანელოთ სამი მინისტრის მომავალი კონფერენციის მუშაობისას“.

**სწორედ მოსკოვში გამართულმა „სამეულის“ კონფერენციამ უზრუნველყო ცხოვრებაში პოტსდამის კონფერენციის დეკლარაციების ცხოვრებაში გატარება, დემოკრატიული ქვეყნების აღიარება, იაპონიის საკითხის გადაწყვეტა, შორეული აღმოსავლეთის კომისიის შექმნა და სამშვიდობო პროცესების განმტკიცება.**

საბჭოთა კავშირის მხრიდან დათმობად კი აღიარეს, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში შეიქმნა „ატომური ენერგიის კომისია“. ასე დამთავრდა ევროპისა და მთელი მსოფლიოს გეოპოლიტიკური მოწყობის სტალინური გეგმა, რომელსაც 50 წლის განმავლობაში არც ფორმა შეუცვლია და არც შინაარსი.

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურით დევნილების კონტინგენტი ძალიან განსხვავდება ადგილობრივი მოსახლეობისაგან ახალგაზრდობის მაღალი პროცენტული მაჩვენებლითა და მამაკაცების არაპროპორციულად ჭარბი რაოდენობით. 2015 წელს რეგისტრირებული დევნილების საერთო რაოდენობიდან ნახევარზე მეტი 25 წელზე ნაკლების იყო, ხოლო 82% — 30 წელზე ნაკლების. 16-20 წლის დევნილებს შორის ქალები მეოთხედზე ნაკლებია.**

# პარალელური სამყაროები
# გერმანიის გახლეჩა

**გერმანიაში არსებობს ცნება „პარალელური საზოგადოება“, რომელიც XXI საუკუნის დასაწყისში გაჩნდა, როგორც იმის კონსტატაცია, რომ მულტიკულტურიზმი იდეოლოგიური ბლეფია. მიუხედავად ხელისუფლების ძალისხმევისა, მიგრანტი მუსლიმანები როგორმე „თანამედროვე დემოკრატიულ საზოგადოებაში ინტეგრაციისკენ“ მომართოს, გერმანელებმა სულ სხვა რამეს მიანიჭეს უპირატესობა: იცხოვრონ გვერდიგვერდ, მაგრამ არა ერთად, ანუ იცხოვრონ თავთავიანთ სამყაროში.**



ძირძველი მოსახლეობა, რომელიც ძალზე მკაცრი პოლიტკორექტული სტერეოტიპებით აღიზარდა, დელიკატურად იხევს უკან და სულ უფრო მეტ საცხოვრებელ სივრცეს უთმობს რიცხობრივად მზარდ პარალელურ საზოგადოებებს. ყველაზე თვალსაჩინო მაგალითი მეჩეთების მშენებლობაა.

**შილერისა და გოეთეს ქვეყანაში 2009 წელს 2,5 ათასი სამლოცველო სახლი და 250 მეჩეთი იყო. ოთხი წლის შემდეგ, 2013-ში, უკვე 1000 მეჩეთი ეპატიჟებოდა მსურველებს ღია კარის დღეზე. კელნიში, სადაც დეკემბრის დასასრულს ქალებზე მასობრივი თავდასხმა მოხდა, ევროპაში ყველაზე დიდი მეჩეთი დგას, ამ მეჩეთის აშენებამდე (2012 წელი) ევროპული პირველობის პალმის რტო დუისბურგის მეჩეთს ეკუთვნოდა. შარშან სექტემბერში კი საუდის არაბეთმა, რომელიც სულაც არ არის გულგრილი მსოფლიოში გაბნეული ერთმორწმუნეების მიმართ, გულუხვობა გამოიჩინა და მათ გერმანიაში კიდევ 200 მეჩეთის მშენებლობის დაფინანსება შესთავაზა.**

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ ქრისტიანულ ტაძარს მრევლის არყოლის გამო პირდაპირ გადასცემენ მუსლიმებს. ძირითადად, ეს სკანდალების გარეშე, ნებაყოფლობით ხდება, თუმცა ძალზე მასშტაბური მშენებლობები კომპრომისზე წასვლას აიძულებს მუსლიმებს, მაგალითად, კელნიში მინარეთის სიმაღლე შეზღუდეს, რათა სახელგანთქმულ ტაძარზე მაღალი არ ყოფილიყო.

„პარალელური საზოგადოება“ სტიქიურად შენდება, თუნდაც არაფორმალური, სამაგიეროდ, უმტკიცესი სოციალური კავშირების საფუძველზე. გერმანულის გარდა, პარალელური საზოგადოება ბევრია. მათ წარმოადგენენ არა მხოლოდ თურქები (ჯერჯერობით ისინი ყველაზე ბევრნი არიან), არამედ სხვებიც, მაგალითად, ლიბანელები. **თუკი გერმანული მასმედიის ზოგიერთ წერილს დავუჯერებთ, გერმანიაში დამკვიდრებულ ლიბანელთაგან თითქმის ყველას კავშირი აქვს კრიმინალთან. ნარკობიზნესი და პროსტიტუცია შემოსავლის წყაროებია, რომლებიც „ავტორიტეტებს“ შესაძლებლობას აძლევს, ძვირად ღირებული “ფერარით” იმოძრაონ, ამ შემოსავლების მიუხედავად, ისინი სოციალურ დახმარებებზეც არ ამბობენ უარს.** თუკი გერმანელების უმეტესობა საკუთარ თავს ძვირად ღირებული ავტომანქანის შეძენის უფლებას ვერ აძლევს, ხოლო სოციალურ დახმარებას მათგან მხოლოდ ისინი იღებენ, ვისაც ნამდვილად სჭირდება, ეს უკვე თვითონ გერმანელების პრობლემებია.

ცნობილია შემთხვევები, როდესაც დევნილები სპეციალურად იკლებენ წლოვანებას, რათა მიმღები ქვეყნისაგან დამატებითი შეღავათებით ისარგებლონ. ლიბანურის მსგავსი ადგილობრივი ეთნიკური თემების მოზარდები კი თავიანთი კლანების ლიდერთა დამნაშავეობრივ დავალებებს მოზრდილებზე ცუდად არ ასრულებენ.

მიუხედავად ამისა, გერმანიაში აკრძალულია ისეთი ინფორმაციის გამჟღავნება, რომელმაც, შესაძლოა, გააღრმავოს საზოგადოებაში არსებული განხეთქილება. ჩრდილოეთ რეინ-ვესტფალიის ფედერალური მიწის (სწორედ ამ მიწაზე მდებარეობს კელნიცა და დუისბურგიც) პოლიციას აქვს ინსტრუქცია, რომლიდანაც ციტატა ცოტა ხნის წინათ შვეიცარულმა გაზეთმა გამოაქვეყნა: **„იმ დამნაშავეთა ან ეჭვმიტანილთა შესახებ, რომლებიც განეკუთვნებიან რელიგიურ, ეთნიკურ ან სხვა უმცირესობებს, სამართალდარღვევების ამსახველ ცნობებში საუბარი უნდა იყოს მხოლოდ მაშინ, თუკი საამისოდ სერიოზული საფუძვლები არსებობს“.** ვინ იცის, რა დასკვნებს გააკეთებენ მოქალაქეები, თუკი დახურული სტატისტიკა ხელმისაწვდომი იქნება.

გერმანიის შინაგან საქმეთა მინისტრი **ტომას დე მეზიერი** დაუღალავად იმეორებს: დევნილთა შორის დამნაშავეობის დონე ისეთივეა, როგორიც საშუალოდ ქვეყანაში. შესაძლოა, მართლაც ასეა. მაგრამ **სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურით დევნილების კონტინგენტი ძალიან განსხვავდება ადგილობრივი მოსახლეობისაგან ახალგაზრდობის მაღალი პროცენტული მაჩვენებლითა და მამაკაცების არაპროპორციულად ჭარბი რაოდენობით. 2015 წელს რეგისტრირებული დევნილების საერთო რაოდენობიდან ნახევარზე მეტი 25 წელზე ნაკლების იყო, ხოლო 82% — 30 წელზე ნაკლების. 16-20 წლის დევნილებს შორის ქალები მეოთხედზე ნაკლებია.** ამასთანავე, ოფიციალურად ირწმუნებიან, რომ სექსუალურ საფუძველზე ჩადენილი დანაშაულის რაოდენობა არ გაზრდილა. ამგვარი დამამშვიდებელი განცხადებების ფონზე კელნიში მომხდარი შემთხვევა მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნას ჰგავდა.

სხვათა შორის, **კელნი ერთადერთი ქალაქი არის, სადაც დეკემბრის დასასრულს ქალებს დაესხნენ თავს. სისხლის სამართლის საქმეთა ფედერალური უწყების მონაცემების თანახმად, ძალადობის ტალღამ ლამის მთელ ქვეყანას გადაუარა. საერთო ჯამში, 16 ფედერალური მიწიდან ზემოხსენებული უწყების ანგარიშში არ მოხვდა მხოლოდ 4. ანგარიშში აღნიშნულია, რომ თავდამსხმელები, ძირითადად, 16-დან 25-წლამდე მამაკაცები იყვნენ.**

მუსლიმურ ქვეყნებში ქალები, უპირველეს ყოვლისა, არ უნდა დასეირნობდნენ ძლიერი სქესის წარმომადგენლის თანხლების გარეშე; მეორეც, სათანადოდ უნდა ეცვათ. წინააღმდეგ შემთხვევაში შედეგი არ დააყოვნებს. გერმანიაში ამას უკვე მიხვდნენ, რადგან არის ქალაქები, სადაც ახლა განიხილავენ დევნილებისთვის დისკოთეკებზე შესვლის აკრძალვას. ცოტა ხნის წინათ რეგენსბურგის საქალაქო საბჭო განიხილავდა შესაძლებლობას, ავტობუსებში ქალბატონებისთვის სპეციალური განყოფილების მოწყობის თაობაზე. ასე რომ, არავინ იცის, როგორი იქნება ევროპა ოციოდე წლის შემდეგ.

ჯერჯერობით კი ხელისუფლების გაუგებარმა რეაქციამ დიდად ვერ დაარწმუნა თავდამსხმელები: **მიუნხენში, კიოლნის შემთხვევიდან ერთი თვის შემდეგ, პოლიცია იძულებული შეიქნა, დახმარება ეთხოვა ქალებზე სასტიკი თავდასხმების განმეორების გამო.**

ხელისუფლება იძულებულია, გარკვეული ნაბიჯები გადადგას, რათა გერმანელების მხრიდან მედიასაშუალებების მიმართ მცირე ნდობა მაინც შეინარჩუნოს. ჯერ კიდევ სექტემბერში **ერთ-ერთი სოციოლოგიური ინსტიტუტის მიერ ჩატარებული გამოკითხვის თანახმად, ყოველმა მეხუთე გერმანელმა აღიარა, რომ არ ენდობა „მატყუარა პრესას“.**

მდგომარეობა თვალსა და ხელს შუა იცვლება. სად შეიძლება ადამიანებმა მიიღონ ინფორმაცია იმის თაობაზე, **რა ხდება სინამდვილეში ქვეყანაში, რომელმაც 2015 წელს მილიონზე მეტი მიგრანტი მიიღო? მხოლოდ შარშან გე-** ▶

**შილერისა და გოეთეს ქვეყანაში 2009 წელს 2,5 ათასი სამლოცველო სახლი და 250 მეჩეთი იყო. ოთხი წლის შემდეგ, 2013-ში, უკვე 1000 მეჩეთი ეპატიჟებოდა მსურველებს ღია კარის დღეზე. კელნიში, სადაც დეკემბრის დასასრულს ქალებზე მასობრივი თავდასხმა მოხდა, ევროპაში ყველაზე დიდი მეჩეთი დგას, ამ მეჩეთის აშენებამდე (2012 წელი) ევროპული პირველობის პალმის რტო დუისბურგის მეჩეთს ეკუთვნოდა. შარშან სექტემბერში კი საუდის არაბეთმა, რომელიც სულაც არ არის გულგრილი მსოფლიოში გაბნეული ერთმორწმუნეების მიმართ, გულუხვობა გამოიჩინა და მათ გერმანიაში კიდევ 200 მეჩეთის მშენებლობის დაფინანსება შესთავაზა**

მოკლედ

## გაერთიანებულ საემიროებში ბედნიერების მინისტრი დაინიშნა

**გაერთიანებულ არაბულ საემიროებში ბედნიერების სამინისტრო შეიქმნა. პრემიერმინისტრის განცხადებით, ბედნიერების პირველ სახელმწიფო მინისტრ ოჰუდ ალ როუმის დაევალა, საემიროები ყველაზე ბედნიერ სახელმწიფოდ აქციოს.**

პრემიერმინისტრ შეიხ მუჰამედ ბინ რაშიდ ალ მაკტუმის განცხადება ბედნიერების პირველი მინისტრის დანიშვნის თაობაზე „ტვიტერში“ გამოქვეყნდა. „ეროვნული ბედნიერება არ არის სურვილი. გეგმები, პროექტები, პროგრამები, ინდექსები აჩვენებს ჩვენი სამინისტროების შრომას ბედნიერების მისაღწევად“. ალ როუმი, ახალ თანამდებობასთან ერთად, ძველ პოსტზე მუშაობასაც გააგრძელებს. იგი პრემიერმინისტრის ოფისის გენერალური დირექტორია. 2015 წლის მონაცემებით, შვიდი საემიროსგან შემდგარი ნავთობით მდიდარი 44 წლის ფედერაცია მსოფლიო ბედნიერების ინდექსში მეოცე ადგილს იკავებს.



მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**პენტაგონის ბიუჯეტის პროექტში ყველაზე დიდი დარტყმა სამხედრო-საზღვაო ძალებს მიაყენეს. ფლოტის დეპარტამენტის ძირითადი ბიუჯეტი 2017 წელს შეადგენს 155,4 მილიარდ დოლარს, რაც 8,2 მილიარდით ნაკლებია წინა წლის მაჩვენებელზე.**

**რმანიაში დარეგისტრირდა 1 087 478 დევნილი, ანუ უფრო მეტი, ვიდრე 1953-დან 1989 წლამდე (900 ათასი ადამიანი). წინა პიკი, 438 191 ადამიანი, აღინიშნა 1992 წელს, მაგრამ 2015 წელთან შედარებით ამას უკვე, პიკი კი არა, მოკრძალებული გორაკი თუ დაერქმევა. არადა, ითვლება, რომ 2015 წელს გერმანიაში კიდევ, სულ მცირე, მეოთხედი მილიონი ადამიანი ჩავიდა, მაგრამ ისინი რეგისტრირებულნი არ არიან. და კიდევ: გაუგებარია, სად იმყოფება დარეგისტრირებული დევნილების დაახლოებით ნახევარი, რადგან მათ ვერ მიაღწიეს დანიშნულების ადგილამდე.**

გერმანული მედიასაშუალებების წერილები კი სტერილური ხასიათისაა. პოლიციას ჯერჯერობით ოფიციალურად არ დაუდასტურებია, რომ კელნში თავდამსხმელები მიგრანტები იყვნენ — ვერც ერთმა ჟურნალისტმა ვერ გაბედა, ამის შესახებ დაეწერა. ზოგიერთ მედიასაშუალებებში ხურავენ ფორუმებს, სამაგიეროდ, **ინტერნეტში გაჩნდა სპეციალური პორტალები, რომლებზეც ქვეყნის ცხოვრების ამსახველი რეალური ფაქტების ნახვა შეიძლება. მაგალითად, ის, რომ აუცილებელი შეიქნა, დაცვა გამოეყოთ ჰამბურგში მდებარე სამედიცინო სასწავლებლისთვის, რომელშიც, ძირითადად, გოგონები სწავლობენ — სტუდენტებს ახლოს მდებარე დევნილების თავშესაფარის მკვიდრნი უსაფრდებოდნენ.**

ამ პირობებში ხელისუფლება საკუთარი მოქალაქეებისგან სულგრძელ სტუმარ-მასპინძლობას ელის. **კანცლერმა განაცხადა: WIR SCHAFFEN DAS (ჩვენ ამას გავაკეთებთ!). პირდაპირ ობამასგან გადმოიღო (YES, WE CAN!). ამით მერკელმა კიდევ ერთხელ დაადასტურა თავისი არც თუ სახარბიელო რეპუტაცია პოლიტიკოსისა, რომელიც ამერიკაზე სწორებას ამჯობინებს.**

ამჯერად სახელისუფლო რიგებში ერთსულოვნება არ არის. **იულია კლეკნერმა**, რომელსაც მერკელის ერთ-ერთ შესაძლო მემკვიდრედ განიხილავენ (ჯერჯერობით იგი მერკელის მოადგილეა პარტიაში), წარმოადგინა რაღაც გეგმა სახელწოდებით A2, რომელიც ითვალისწინებს, შეიქმნას გერმანიის საზღვრებთან მიგრანტების მიღებისა და განაწილების ცენტრები, აღირიცხოს მიგრანტების დღიური რაოდენობა.

კანცლერის ყველაზე გულმხურვალე ოპონენტი, ბავარიის პრემიერ-მინისტრი **ჰორსტ ზეეჰოფერი** ვარაუდობს, რომ უმჯობესი იქნება მეზობელი ავსტრიის მაგალითისთვის მიბაძვა და მიგრანტების მიღების წლიური ზედა ზღვარის დაწესება. ბავარია, რომელიც სამხრეთით მდებარეობს, იძულებულია, დევნილების ტალღების პირველი დარტყმა მიიღოს, ამის შემდეგ კი სახელმწიფო მათ მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე გადანაწილებას ცდილობს. სწორედ ბავარიაში დასახლდა 2015 წელს ყველაზე მეტი დევნილი — 159 ათასი ადამიანი, ამიტომ, არა მხოლოდ ზეეჰოფერი, მისი წინამორბედი **ედმუნდ შტოიბერიც** მკაცრად აკრიტიკებს მერკელს.

ზეეჰოფერმა, გაგზავნა რა წერილი ფედერალური კანცლერის უწყებაში, დაიმუქრა, რომ მიმართავდა საკონსტიტუციო სასამართლოს, თუკი ხელისუფლება მიგრაციის მიმართ კურსს არ შეიცვლის. საპასუხოდ სოციალ-დემოკრატებმა მისი პარტია, ქრისტიან-სოციალური კავშირი, კოალიციის ჩაშლის მცდელობაში დაადანაშაულა.

საერთო ჯამში, გერმანიაში მერკელის პოლიტიკით უკმაყოფილება თანდათან იზრდება, ზოგი მის გადადგომას მოითხოვს. მაგრამ რჩება შთაბეჭდილება, თითქოს ხელისუფლებაში მყოფ ადამიანებს ყველაზე მეტად პარტია „ალტერნატივა გერმანიისათვის“ პოპულარობის ზრდა აღელვებთ. ამ პარტიას დღეს მხარს უჭერს მოქალაქეთა რეკორდული რაოდენობა — 13%. გერმანელების მხრიდან ამ პარტიის სასარგებლოდ არჩევანის გაკეთება ხელს არ აძლევთ ტრადიციულ პოლიტიკოსებს, რადგან ჩრდილოეთ რეინ-ვესტფალიის მიწის პრემიერ-მინისტრმა ჰანელორა კრაფტმა უკვე განაცხადა უარი პარტიის — „ალრეტნატივა გერმანისთვის“ წარმომადგენლებთან ღია დებატებზე.

ასეთ დაძაბულ მდგომარეობაში რიგითი გერმანელების რეაქცია გასაგებია: **გერმანიაში ყიდულობენ ინდივიდუალური თავდაცვის საშუალებებს, აყალიბებენ თავდაცვის ჯგუფებს. ხელისუფლების რეაქცია უკიდურესად უარყოფითია: იუსტიციის მინისტრი ჰაიკო მაასი დარწმუნებულია, რომ თავდაცვა აუცილებლად მემარჯვენე ექსტრემისტული იქნება.** როგორც საშიშ ექსტრემისტებს, დაუღალავად აძაგებენ მოძრაობა Pegida-ს, მაგრამ, როდესაც ეს მოძრაობა მორიგ დემონსტრაციას აწყობდა, ცეცხლი წაუკიდეს ავტოსადგომს, რომელზეც მოძრაობის მომხრეთა მანქანები იდგა.

თუკი პარალელურ სამყაროში მცხოვრებ ხელისუფლებას არ შეუძლია, ხალხი ელემენტარული უსაფრთხოებით უზრუნველყოს, ხალხი თვითონ პოულობს ალტერნატიულ გზას.

fondsk.ru

# პენტაგონის ახალი ბიუჯეტი



**აშშ-ის ხელისუფლებამ გამოაქვეყნა 2017 ფისკალური წლის ბიუჯეტის პროექტი, რომელიც ოთხ ტრილიონ დოლარზეა გათვლილი. ამ ნამცხვრიდან პენტაგონის წილი 582,7 ტრილიონი დოლარია, რომელიც 1%-ით აღემატება თავდაცვის სამინისტროს 2016 წლის 580,3-მილიარდიან ბიუჯეტს. ეს ბიუჯეტი მიღებულ იქნა ერაყში, სირიასა და ავღანეთში ოპერაციების გაწონასწორებისაკენ სწრაფვის, აგრეთვე, რუსეთისა და ჩინეთის აგრესიული ქმედებების ფონზე. გარდა ამისა, მიმდინარეობს იმ ჯარების მოდერნიზება, რომლებიც 2001 წლიდან მონაწილეობენ საბრძოლო მოქმედებებში.**



ოფიციალური მონაცემებით, ბიუჯეტის ყველაზე მეტი ზრდა სამხედრო-საჰაერო ძალების წილს შეეხო — 161,8 მილიარდიდან 166,9 მილიარდამდე. არმიის დაფინანსებაც გაიზარდა 146,9 მილიარდიდან 148 მილიარდამდე. ფლოტის ბიუჯეტი კი შემცირდა — 168,8 მილიარდიდან 164,9 მილიარდამდე. ეს თანხები მოიცავს საბაზო ბიუჯეტებსა და საზღვარგარეთ მიმდინარე ოპერაციების, მაგალითად, ტერორისტული ორგანიზაცია „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ ბრძოლის ხარჯების დასაფარავ 58,8 მილიარდსაც. 102,9 მილიარდი დოლარი გადადებულია დეპარტამენტის საერთო ხარჯებისთვის.

იმის გასაგებად, თუ ვინ მოიგო და ვინ წააგო ბიუჯეტისათვის ბრძოლაში, საჭიროა ინდივიდუალური პროგრამების შესწავლა. აი წინასწარი შედეგები:

პენტაგონის ბიუჯეტის პროექტში ყველაზე დიდი დარტყმა სამხედრო-საზღვაო ძალებს მიაყენეს. ფლოტის დეპარტამენტის ძირითადი ბიუჯეტი 2017 წელს შეადგენს 155,4 მილიარდ დოლარს, რაც 8,2 მილიარდით ნაკლებია წინა წლის მაჩვენებელზე.

შემცირებაში ჩართულია თავდაცვის მინისტრ **ეშტონ კარტერის** მიერ დეკემბერში გამოცხადებული სანაპირო ზოლის მშენებარე გემების რაოდენობის შემცირება 52-დან 40-მდე. გარდა ამისა, გათვალისწინებულია ავიამზიდისთვის ახალი სრული ესკადრილიის 2013 წელს შეჩერებული ფორმირების გაუქმება. შედეგად ფლოტს დარჩება ესკადრილიებით სრულად დაკომპლექტებული 10 ავიამზიდი.

თავდაცვის მინისტრის მოადგილემ **რობერტ უორკმა** განაცხადა, რომ სანაპირო ზოლის გემების რაოდენობის შემცირება გემების ამ კლასის წინააღმდეგ არაფერს ადასტურებს, უბრალოდ, პენტაგონს სხვა შეიარაღებებზე კონცენტრირება სურს.

„გემი რომ არ მოგვწონდეს, არც შევიძენდით მას, — განაცხადა უორკმა. — ეს საშუალებას მოგვცემს, მეტი სახსრები გამოვყოთ ტორპედოების, პ-8-ების (აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ძალების თვითმფრინავი ნავსაწინააღმდეგო და სადაზვერვო ოპერაციებისთვის), უფრო თანამედროვე იარაღის, ტაქტიკური ავიაციისთვის“.

ბიუჯეტის ყველაზე დიდი მატება სამხედრო-საჰაერო ძალებმა მიიღო. ეს მათ საშუალებას მისცემს, არა მხოლოდ განახორციელონ F-15C Eagle-ისა და F-15D-ის ტიპის თვითმფრინავების, არამედ სახმელეთო სტრატეგიული შემაკავებელი ძალების მოდერნიზაციაც და აშშ-ის მაღაროებში სამორიგეოდ მდგარი ბირთვული ქობინების მქონე მოძველებული რაკეტები — Minutemen-III ახალი ბირთვული რაკეტებით ჩაანაცვლოს.

მაგრამ სამხედრო-საჰაერო ძალებმაც ვერ მიიღეს ყველაფერი, რაც სურდათ. შენელდება წარმოება თვითმფრინავისა — F-35A Joint Strike Fighter. ხელმძღვანელობას გასულ წელს სურდა, უარი ეთქვა A-10 Warthog-ის ტიპის თვითმფრინავებზეც, მაგრამ გადაწყდა, რომ მათ კიდევ ორი წლით დაიტოვებენ, რადგან აქტიურად გამოიყენება ერაყსა და სირიაში.

**არმიის ბიუჯეტი დაახლოებით მილიარდი დოლარით გაიზარდა, მაგრამ შეიარაღებული ძალებისთვის ეს საკმარისი მაინც არ არის. 2018 წლის ბოლოს დაგეგმილია არმიაში ჯარისკაცების შემცირება 490 ათასიდან 450 ათასამდე. დიდი ხანია, არმიის ხელმძღვანელობა მოუწოდებს პენტაგონს, რუსეთის აგრესიული ქმედებებისა და „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ ოპერაციის გახანგრძლივების ფონზე გადახედოს ამ გეგმას, მაგრამ ჯერჯერობით თავდაცვის სამინისტრო არ აპირებს, რაიმე შეცვალოს.**

დაფინანსების ახალი პროექტი მოიცავს ძირითად ბიუჯეტს 125,1 მილიარდის ოდენობით, ერთი წლის წინათ კი იგივე ბიუჯეტი 126,5 მილიარდს შეადგენდა. სამაგიეროდ საზღვრებს გარეთ მიმდინარე ოპერაციების ხარჯების დასაფარავად არმია, წინა წლის 21,1 მილიარდის ნაცვლად, 23 მილიარდს მიიღებს.

2017 წლის ბიუჯეტის პროექტი არმიას ავიაციის მხრივაც ეხმარება. ის ითვალისწინებს 923 მილიონი დოლარის ახალი ვერტმფრენების — Black Hawk-ის შეძენას, მათ შორის დაჭრილების ევაკუაციისთვის 21 სტანდარტული ვერტმფრენის — UH-60M Black Hawk-ისა და 15 HH-60M Black Hawk-ის შეძენას.

საზღვაო ქვეითთა კორპუსი პრაქტიკულად არ დაზარალებულა. რაოდენობრივი შემადგენლობა უცვლელი დარჩება — 182 000 ჯარისკაცი. კორპუსი მიიღებს მოდერნიზაციისთვის პროექტების დაფინანსებას.

The Washington Post

**ბიუჯეტის ყველაზე დიდი მატება სამხედრო-საჰაერო ძალებმა მიიღო. ეს მათ საშუალებას მისცემს, არა მხოლოდ განახორციელონ F-15C Eagle-ისა და F-15D-ის ტიპის თვითმფრინავების, არამედ სახმელეთო სტრატეგიული შემაკავებელი ძალების მოდერნიზაციაც და აშშ-ის მაღაროებში სამორიგეოდ მდგარი ბირთვული ქობინების მქონე მოძველებული რაკეტები — Minutemen-III ახალი ბირთვული რაკეტებით ჩაანაცვლოს**

ევროპა

## ვიქტორ ორბანი: ევროკავშირის მიგრაციული პოლიტიკა ჩაფლავდა, უნგრეთი მიგრანტებს აღარ მიიღებს



**მიგრაციული კრიზისის მოგვარების ევროკავშირის პოლიტიკა ჩაფლავდა და უნგრეთი ნაციონალური კვოტის მიხედვით ლტოლვილებს აღარ მიიღებს“, — განაცხადა უნგრეთის პრემიერმინისტრმა ვიქტორ ორმანმა.**

„ბრიუსელს სურს, ევროკავშირის ტერიტორიაზე გადაიყვანოს არალეგალი მიგრანტები, შემდეგ კი გაანაწილოს ისინი ვალდებულების წესით. ეს არის ბრიუსელის ანტიკრიზისული გეგმა... უნგრეთის მთავრობა ამ გეგმას არ მიიღებს“, — მოჰყავს სააგენტო „როიტერს“ ვიქტორ ორბანის ციტატა.

ორბანის განცხადებით, 2016 წელს ევროკავშირის ქვეყნებში მიგრანტთა რაოდენობა მოიმატებს და ევროპა „დაუცველი და სუსტი“ იქნება.

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ევროპელების აღშფოთება მატულობს. მათი აზრით, 500-ევროიანი ბანკნოტების გაუქმება და ნაღდ ანგარიშსწორებაზე ლიმიტის დაწესება ბანკების დიქტატურისა და ტოტალური ფინანსური თვალთვალის დამყარებისკენ მიმავალ გზაზე მხოლოდ პირველი ნაბიჯია. ნორმალური მოქალაქეები გაუთანაბრდებიან დამნაშავეებს, ტერორისტებსა და სამართალდამრღვევებს. მათი ყველა სამომხმარებლო ჩვევა და მიდრეკილება ელექტრონულად გაკონტროლდება.**

# ევროპა ნაღდ ფულს ზღუდავს

**ევროპის ცენტრალური ბანკი ამუშავებს კონკრეტულ გეგმას იმის თაობაზე, რომ ევროზონაში ყველაზე მსხვილი — 500-ევროიანი ბანკნოტები ბრუნვიდან ამოიღოს. როგორც ევროპის ცენტრალური ბანკის ხელმძღვანელმა მარიო დრაგიმ განაცხადა, შესაბამისი ტექნიკური სამუშაოები უკვე მიმდინარეობს. 500-ევროიანი კუპიურის გაუქმება მხოლოდ პირველი ნაბიჯია ევროპაში ფულადი პოლიტიკის გამკაცრების გზაზე, რომელიც, შესაძლოა, საბოლოოდ ნაღდი ფულის მნიშვნელოვან შემცირებამდე ან სრულ გაუქმებამდეც კი მივიდეს, რაც, მრავალი ევროპელის აზრით, ეკონომიკურ თავისუფლებაზე თავდასხმაა და რომ ორუელის წინასწარმეტყველება ტოტალური კონტროლის შესახებ ცხადდება, მომხმარებლის საფულეების ელექტრონული კონტროლი კი რეალობა ხდება.**



**ავსტრიული მმართველი პარტიები აცხადებენ, რომ საუბარია სახიფათო ტენდენციაზე — პირადი თავისუფლების მკვეთრად შეზღუდვასა და ტოტალურ კონტროლზე. ისინი დარწმუნებულნი არიან, რომ მოქალაქეთა დანაზოგები კონტროლს არ უნდა ექვემდებარებოდეს, მაგრამ, როგორც ჩანს, ევროპის ცენტრალური ბანკი, რომელსაც სათავეში მარიო დრაგი უდგას, განაგრძობს თავის შემზღუდველ ფულად პოლიტიკას, მიუხედავად ავსტრიისა და გერმანული ბუნდესბანკის მხრიდან წინააღმდეგობებისა**

ევროპაში ნაღდი ფულის მოწინააღმდეგეები ირწმუნებიან, რომ „ქეშის“ შემცირება დაეხმარება კორუფციისა და ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლას, ხელს შეუშლის ტერორიზმის დაფინანსებას. გერმანელი ექსპერტების მონაცემების თანახმად, ყოველწლიურად გერმანიაში 100 მილიარდ ევროზე მეტ ფულს ათეთრებენ. ეს, უპირველეს ყოვლისა, არის არალეგალური შემოსავლები ნარკოტრაფიკიდან და პროსტიტუციიდან, ასევე, კორუფციული გადახდები და ჩრდილოვანი ბიზნესები. მათი თქმით, ნაღდი ფულით უფრო მოსახერხებელია უძრავი ქონების, ხელოვნების ნიმუშებისა და ძველი ნივთების, ასევე ოქროსა და ძვირფასეულობის შეძენა. ამასთანავე, კანონის დამრღვევებში ყველაზე მეტი პოპულარობით სწორედ 500-ევროიანი კუპიურები სარგებლობს. **ზოგიერთი ფინანსისტი, ისეთები, როგორიც, მაგალითად, DEUTSCHE BANK-ის თანათავმჯდომარე ჯონ კრაენია, მიიჩნევს, რომ ნაღდი ფული წარსულს ბარდება, მისი შენახვა ძალზე ძვირი ჯდება და არაკომფორტულია. ამასთანავე, ბანკნოტები დაავადების წარმომშობი ბაქტერიების გადამტანია. კრაენის აზრით, 10 წლის შემდეგ ნაღდი ფული აღარ იარსებებს.**

ამ თვალსაზრისს იზიარებენ სკანდინავიის ქვეყნების ხელისუფლებები და ბანკები. მათ შემოაქვთ ელექტრონული გადახდების სიტემა „უნაღდო საზოგადოების“ კონცეფციის ფარგლებში. სკანდინავიის ქვეყნებში უკვე ახლა ნაღდი ფულით გადახდების მხოლოდ 6% ხორციელდება.

ევროპის სხვა ქვეყნებში ნაღდი ფულის შეზღუდვასა და გაუქმებას ეწინააღმდეგებიან როგორც მომხმარებლები, ასევე მთელი რიგი გამოჩენილი ფინანსისტებისა. ისინი ამას განიხილავენ, როგორც მოქალაქეთა ეკონომიკურ თავისუფლებაზე თავდასხმას. **ბუნდესბანკის მმართველობის წევრი კარლ-ლუდვიგ ტილე ეჭვობს, რომ ნაღდი ფულის შემცირებამ შეიძლება ხელი შეუწყოს დამნაშავეობასთან და ტერორიზმთან ეფექტიან ბრძოლას — ტერორისტები, უკვე დიდი ხანია, არ დარბიან ფულის პორტფელებით, მათ ფულადი ანგარიშსწორების საკუთარი აწყობილი სისტემა აქვთ.**

ბუნდესბანკის პრეზიდენტი **იენს ვაიდმანიც** სკეპტიკურადაა განწყობილი მსხვილ კუპიურებზე უარის თქმისა და ნაღდი ფულით ანგარიშსწორების ლიმიტის გეგმების მიმართ. იგი დარწმუნებულია, რომ დამნაშავენი და მაქინატორები ამ შეზღუდვების გვერდის ავლის გზებსაც გამონახავენ.

ექსპერტები აღნიშნავენ, რომ ცალკეულ ქვეყნებში შეზღუდვების შემოღება უაზრობაა, რადგან დამნაშვენი საერთაშორისო მასშტაბებით მოქმედებენ. ამასთანავე, ჩნდება კრიპტოვალუტის ახალი ფორმები, ისეთები, როგორიც **ბიტკოინია.** საყოველთაოდ **ცნობილია, რომ ესპანეთსა და იტალიაში, სადაც დაწესებულია შეზღუდვები ნაღდ ანგარიშწორებაზე, კორუფციის მაჩვენებლები უფრო მაღალია, ვიდრე ავსტრიაში ან გერმანიაში.**

მეორე მხრივ, ნაღდი ანგარიშსწორებების შეზღუდვა დიდ უსიამოვნებებს მოუტანს მომხმარებლებს. **მომხმარებელთა დაცვის გერმანული საზოგადოება თვლის, რომ ნაღდ ფულზე უარის თქმა მოქალაქეებზე ტოტალიტარული კონტროლის დაწესებას ნიშნავს. ახლა, მოქალაქეებზე დიდი ელექტრონული თვალთვალის პერიოდში, არ არსებობს იმაზე უკეთესი საშუალება ინდივიდუალური თავისუფლების დასაცავად, ვიდრე ნაღდი ფულია.**

ნაღდი ანგარიშსწორებების შეზღუდვის პოლიტიკა დაიწყეს სამხრეთ ევროპის ეკონომიკურად უფრო სუსტმა ქვეყნებმა — იტალიამ, ესპანეთმა და მათზე მიბმულმა საფრანგეთმა. ამ ქვეყნებში მკაცრი ლიმიტები უკვე მოქმედებს. მაგალითად, იტალიაში 2014 წლიდან დაწესებულია ნაღდი ფულით ანგარიშსწორებისთვის მაქსიმალური დასაშვები თანხა — 3 ათასი ევრო (მანამდე — ათასი ევრო), საფრანგეთში — 3 000 ევრო საგადასახადო რეზიდენტებისთვის და 15 ათასი ევრო უცხოელებისთვის (გასული წლის დასასრულიდან — ათასი ევრო რეზიდენტებისათვის და 10 ათასი ევრო უცხოელებისთვის), ესპანეთში — 2.5 ათასი ევრო რეზიდენტებისთვის და 15 ათასი ევრო უცხოელებისთვის.

**გერმანიაში ნაღდი ფულით გადახდებისთვის შეზღუდვები აქამდე არ მოქმედებდა, ისევე, როგორც დიდ ბრიტანეთსა და ნიდერლანდებში, მაგრამ ახლახან ცნობილი შეიქნა, რომ გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის ხელისუფლება (სოციალ-დემოკრატების ინიციატივით) ცდილობს, დაწესდეს საერთოევროპული ლიმიტი ნაღდი ფულით გადახდებისთვის — 5 000 ევრო.**

ეს საგანგაშო სიგნალად გაისმა იმავე გერმანიაში ეკონომიკური თავისუფლების მომხრეთათვის. ამ პროექტში ისინი ხედავენ სახელმწიფო აპარატის, ევრობიუროკრატიისა და ფინანსური ლობის ინტერესების დამთხვევას. შედეგად ჩინოვნიკები და ბანკები მომხმარებლებზე სრულ კონტროლს მიიღებენ.

გერმანელები სხვა ევროპელებზე მეტადაც კი არიან მიჯაჭვულნი „ფიზიკურ“ ფულს — ბანკნოტებსა და მონეტებს. თუკი შვედეთსა და დანიაში მომხმარებლები აქტიურად გადადიან ელექტრონულ ანგარიშსწორებაზე, გერმანიაში ძველებურად ნაღდი ფულით ურჩევნიათ გადახდა: ბუნდესბანკის მონაცემების თანახმად, 2014 წელს ტრანზაქციების 79% ქეშით ხორციელდებოდა, მათ შორის საცალო ვაჭრობაში — 53%. გერმანიის სავაჭრო გაერთიანებების ხელმძღვანელები თვლიან, რომ მხოლოდ კლიენტებმა უნდა განსაზღვრონ ნაღდი ანგარისშსწორების მომავალი. ამ პოზიციის გათვალისწინებით, გერმანიის ფინანსთა სამინისტრომ გამოაცხადა, რომ ნაღდი ფული მომავალშიც იქნება. **ნაღდი ფულის შეზღუდვის გეგმები განსაკუთრებით დიდ წინააღმდეგობას აწყდება ავსტრიაში, სადაც მოქალაქეები ასევე ძალიან არიან მიჯაჭვულნი ქეშზე. ამ ქვეყანაში ყველა ტრანზაქციის სამი მეოთხედი ნაღდ ფულზე ხდება, ავსტრიელთა 92% კი მიიჩნევს, რომ ქეში უფრო მოხერხებული და პრაქტიკულია, ვიდრე გადახდის სხვა საშუალებები.**

**ავსტრიული მმართველი პარტიები აცხადებენ, რომ საუბარია სახიფათო ტენდენციაზე — პირადი თავისუფლების მკვეთრად შეზღუდვასა და ტოტალურ კონტროლზე. ისინი დარწმუნებულნი არიან, რომ მოქალაქეთა დანაზოგები კონტროლს არ უნდა ექვემდებარებოდეს, მაგრამ, როგორც ჩანს, ევროპის ცენტრალური ბანკი, რომელსაც სათავეში მარიო დრაგი უდგას, განაგრძობს თავის შემზღუდველ ფულად პოლიტიკას, მიუხედავად ავსტრიისა და გერმანული ბუნდესბანკის მხრიდან წინააღმდეგობებისა.**

საინტერესო ტენდენცია შეინიშნება **შვეიცარიაში:** იქ შესამჩნევლად იზრდება ნაღდი ფულის ბრუნვა, ამასთანავე, განსაკუთრებით პოპულარულია 1000-ფრანკიანი ბანკნოტები. შვეიცარიის ნაციონალური ბანკის მონაცემებით, ბოლო 5 წელიწადში ბრუნვაში მათი რაოდენობა თითქმის გაორმაგდა — 22-დან 43 მილიონ ბანკნოტამდე. მთავარი მიზეზი არის ბანკების მტრული პოლიტიკა მეანაბრეების მიმართ. ეს ბანკები დეპოზიტების პატრონებს პრაქტიკულად აღარ უხდიან პროცენტებს და უკვე დაიწყეს უარყოფითი პროცენტების დაწესებაც კი.

შვეიცარიელები არ ენდობიან ბანკებს და ურჩევნიათ, ფული ათასფრანკიანი კუპიურების სახით შეინახონ. ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ეს მოახლოებული ფინანსური კრიზისის ნიშანია. მოქალაქეების მდგრადი სიყვარული ნაღდი ფულის მიმართ არ მოსწონთ ბანკებსა და ხელისუფლებებს, რომლებიც ცდილობენ, ფულადი ანგარიშსწორებები კონტროლს დაუქვემდებარონ, მაგრამ, გერმანული ანდაზის თანახმად, ნამდვილი ფული მხოლოდ ნაღდი ფულია.

**ნაღდი ფულის გაუქმება მთავარი პირობაა იმისათვის, რომ ბანკებმა შემოიღონ BAIL IN — კლიენტების შენატანების იძულებითი გაყინვა ან ექსპროპრიაცია. ნაწილობრივ ეს მძარცველური მეთოდი გამოიცადა კვიპროსზე საბანკო კრიზისის დროს. შედეგად კლიენტები ვერ შეძლებენ ბანკებიდან ნაღდი ფულის გატანას. გარდა ამისა, ბანკები უკვე აწესებენ დეპოზიტებზე უარყოფით საპროცენტო განაკვეთებს, რომლებიც ანაბრებსა და დეპოზიტებს უაზროგად აქცევს.**

ევროპელების აღშფოთება მატულობს. მათი აზრით, 500-ევროიანი ბანკნოტების გაუქმება და ნაღდ ანგარიშსწორებაზე ლიმიტის დაწესება ბანკების დიქტატურისა და ტოტალური ფინანსური თვალთვალის დამყარებისკენ მიმავალ გზაზე მხოლოდ პირველი ნაბიჯია. ნორმალური მოქალაქეები გაუთანაბრდებიან დამნაშავეებს, ტერორისტებსა და სამართალდამრღვევებს. მათი ყველა სამომხმარებლო ჩვევა და მიდრეკილება ელექტრონულად გაკონტროლდება.

ნაღდი ფულის გაუქმება ასევე ნიშნავს იმასაც, რომ მოქალაქეები იძულებულნი იქნებიან, საკუთარი ნების წინააღმდეგაც კი გახსნან ანგარიშები ბანკებში.

გერმანულენოვან ინტერნეტ-ფორუმებზე წერენ, რომ ფინანსური დისციპლინის მთავარი დამრღვევნი არიან არა მოქალაქეები, არამედ ბანკები და ხელისუფლებები. **მომხმარებლები და ბიზნესმენები აღნიშნავენ ნაღდი ფულის უპირატესობებს: გადახდა ანონიმურია და მოლაპარაკებული მხარეები კონტროლის რისკის ქვეშ არ ექცევიან. ბანკნოტები და მონეტები დაგროვების საიმედო საშუალებებია, მრავალი ბანკი კი თავადაა საეჭვო.**

ეს ყველაფერი კიდევ უფრო აქტუალურია იმ ფონზე, როცა ევროპაში მოქმედებს უპრეცენდენტო მექანიზმი bail in-ი, რომელიც საშუალებას იძლევა, ექსპროპრირებულ იქნეს კლიენტების შენატანები ბანკის გადარჩენის მიზნით.

inoSMI.Ru

**კმაყოფილების ინდექსის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი ამერიკელმა გადასახადების გადამხდელებმა ფინანსთა სამინისტროს უბოძეს, რაც სულაც არ არის გასაკვირი. ამ სამინისტრომ 55 პუნქტი მიიღო და 20 პუნქტით ჩამორჩა შიგა რესურსების სამინისტროს. ცხადია, მიზეზი ისაა, რომ სწორედ ეს სამინისტრო აგებს პასუხს საგადასახადო სამსახურის საქმიანობაზე.**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ამერიკელებს თავიანთი ხელისუფლება ახლა უფრო მეტად სძულთ, ვიდრე ოდესმე

**აშშ-ში მომხმარებელთა კმაყოფილების ინდექსის (ACSI) ბოლოდროინდელი კვლევის თანახმად, ფედერალური ხელისუფლება შეუერთდა მრეწველობის დარგის ჯგუფს, რომელიც სიის ბოლოშია და აღმოჩნდა ამერიკელთა ტრადიციული სიძულვილის ისეთი ობიექტების გვერდით, როგორებიცაა საკაბელო ტელევიზიების კომპანიები და ინტერნეტპროვაიდერები. ფედერალური ორგანოების — ფინანსთა სამინისტროთი დაწყებული, ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტოთი დასრულებული — დაეცა, ამასთანავე, დაცემის პროცესი უკვე მესამე წელია, გრძელდება.**

ეს ციფრები ასახავს ამერიკის ხელისუფლების მიერ პოზიციების გარეკვეულწილად დაკარგვას 2011 და 2012 წლებში კმაყოფილების ინდექსის ზრდის შემდეგ, რომელიც, სავარაუდოდ, განპირობებული იყო სახელმწიფო ხარჯების გაზრდით ეკონომიკური რეცესიის ფონზე.

მართალია, სახელმწიფო სამსახურის განსაკუთრებული ბუნების გამო კერძო საწარმოებთან მისი შედარება მაინცდამაინც კორექტული არ არის, მაგრამ კვლევას მაინც მოჰყვა გარკვეული შედეგები აშშ-ის ბიუროკრატიული მანქანისთვის.

„კმაყოფილება დაკავშირებულია პოლიტიკური სისტემის უფრო საერთო ამოცანებთან. ეს სისტემა დაინტერესებულია ისეთი პარამეტრების მაქსიმალიზაციით, როგორიცაა ნდობა და მომავლის რწმენა“, — განაცხადა კვლევის ხელმძღვანელმა **ფორესტ მორგესონმა.** „მართო მოსახლეობა, რომელიც არ გენდობა და არ განიცდის სიმპათიას შენ მიმართ, გაცილებით რთულია ნებისმიერი მმართველისთვის“, — დასძინა მან.

მართალია, ფედერალური ხელისუფლების მოღვაწეობით კმაყოფილების დონემ, საერთო ჯამში, იკლო, მაგრამ კვლევამ აჩვენა, რომ მომხმარებლები სხვადასხვა აზრს გამოთქვამენ ამა თუ იმ სახელმწიფო ორგანოს მუშაობის ეფექტიანობის თაობაზე. მაგალითად, **ამერიკელთა მხრიდან მაქსიმალური შეფასება დაიმსახურა შიგა რესურსების სამინისტრომ, რომლის ინდექსმაც 75 პუნქტი შეადგინა. ეს, როგორც ჩანს, ამერიკელების მხრიდან ნაციონალური პარკების მიმართ დადებითი დამოკიდებულების გამოხატულებაა. ეს პარკები მოსახლეობის უდიდესი ნაწილის საყვარელი დასასვენებელი ადგილია.**



**ფედერალური ხელისუფლება შეუერთდა მრეწველობის დარგის ჯგუფს, რომელიც სიის ბოლოშია და აღმოჩნდა ამერიკელთა ტრადიციული სიძულვილის ისეთი ობიექტების გვერდით, როგორებიცაა საკაბელო ტელევიზიების კომპანიები და ინტერნეტპროვაიდერები**

კმაყოფილების ინდექსის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი ამერიკელმა გადასახადების გადამხდელებმა **ფინანსთა სამინისტროს** უბოძეს, რაც სულაც არ არის გასაკვირი. ამ სამინისტრომ 55 პუნქტი მიიღო და 20 პუნქტით ჩამორჩა შიგა რესურსების სამინისტროს. ცხადია, მიზეზი ისაა, რომ სწორედ ეს სამინისტრო აგებს პასუხს საგადასახადო სამსახურის საქმიანობაზე.

„თუკი დავფიქრდებით იმ სახელმწიფო ორგანოზე, რომელთანაც მოსახლეობას ყველაზე ხშირად უწევს კონტაქტი, ეს უდავოდ საგადასახადო სამსახური იქნება, — ამბობს მორგესონი. — ცხადია, საგადასახადო სამსახურის ძირითადი ფუნქცია, ანუ მოსახლეობისგან ფულის ამოღება, შეუძლებელია, კმაყოფილების დაბალ მაჩვენებლებს არ განაპირობებდეს“.

cbsnews.com

# ჯეიმს კლეპერის აღმოჩენა

**რამდენიმე დღის წინათ აშშ-ის ნაციონალური დაზვერვის დირექტორმა ჯეიმს კლეპერმა კონგრესში წარადგინა ყოველწლიური ანგარიში, რომელიც სპეცსამსახურების მიერ აშშ-ის გლობალური საფრთხეების შეფასებას შეეხება. მან განაცხადა, რომ ჩრდილოეთ კორეამ განაახლა პლუტონის წარმოება. გარდა ამისა, მიუხედავად გაფრთხილებისა, რომ დაუშვებელია კონტინენტთაშორისი ბალისტიკური რაკეტის შექმნა, ჩრდილოეთ კორეამ ამგვარი რაკეტა უკვე შექმნა.**

„ვფიქრობთ, რომ საკმაოდ დიდი ხანია, ჩრდილოეთ კორეა იყენებს რეაქტორს, რათა დაიწყოს პლუტონის მიღება რამდენიმე კვირის ან თვის განმავლობაში,“ — აღნიშნა კლეპერმა.

20 კილოტონის სიმძლავრის ბირთვული ბომბის შესაქმნელად საჭიროა 4 კილოგრამი პლუტონი. ფხენიანმა რამდენჯერმე დადო პირობა, რომ შეაჩერებდა სამუშაოებს იონბენში მდებარე ბირთვულ ცენტრში. მანამდე, 2007 წელს, იმ შეთანხმების ფარგლებში, რომელიც მიღწეულ იქნა ორი კორეის, ჩინეთის, რუსეთის, აშშ-ისა და იაპონიის მონაწილეობით გამართულ მოლაპარაკებებზე, რეაქტორი გაჩერდა.

სიტუაცია 2013 წლის მარტში შეიცვალა: გაეროს მიერ ახალი სანქციების შემოღების შემდეგ ჩრდილოეთ კორეის ხელისუფლებამ პირობა დადო, რომ აამუშავებდა რეაქტორს და ორწლინახევრის შემდეგ, 2015 წლის სექტემბერში მართლაც შეასრულა დანაპირები.

**ქვეყნის ატომური ენერგეტიკის ინსტიტუტის დირექტორმა განაცხადა, რომ იონბენეში ურანის გამამდიდრებელი ქარხანა და ხუთმეგავატიანი გრაფიტის რეაქტორი გარდაიქმნა და სრული სიმძლავრით ამუშავდა. ჩრდილოკორეელმა მაღალჩინოსანმა განაცხადა ისიც, რომ ფხენიანის მიერ ბირთვული იარაღის შექმნა იძულებითი ზომაა აშშ-ის მიერ მტრული პოლიტიკის წარმოების საპასუხოდ.**

ექსპერტების თქმით, ზემოხსენებულ რეაქტორს 4 კილოგრამი პლუტონის მისაღებად ერთი წლის განმავლობაში მუშაობა დასჭირდება, გამოდის, რომ 2016 წლის სექტემბერში ჩრდილოეთ კორეის არმია რადიოაქტიური ნივთიერების საჭირო რაოდენობას მიიღებს.

რაც შეეხება იმ კონტინენტთაშორისი ბალისტიკური რაკეტის დამზადებას, რომელმაც ბირთვულ მუხტი უნდა გადაიტანოს, ჩრდილოეთ კორეამ ბოლო პერიოდში არაერთი რაკეტა გამოსცადა კოსმოსური თანამგზავრების გაშვების ნიღბით.



**გაეროს მიერ ახალი სანქციების შემოღების შემდეგ ჩრდილოეთ კორეის ხელისუფლებამ პირობა დადო, რომ აამუშავებდა რეაქტორს და ორწლინახევრის შემდეგ, 2015 წლის სექტემბერში მართლაც შეასრულა დანაპირები**

მისტერ კლეპერმა ჩრდილოეთ კორეის მიერ თერმობირთვული ბომბის ეგრეთ წოდებული გამოცდებიც გაიხსენა.

აშშ-ის დაზვერვა გამოდის იქიდან, რომ გამოსაცდელი აფეთქება, რომელიც ჩრდილო კორეამ 2016 წლის 6 იანვარს განახორციელა, თავისი სიმძლავრით არ შეიძლებოდა მხოლოდ თერმობირთვული ყოფილიყო.

**„ჩვენ ვთვლით, რომ 6 იანვარს ჩრდილოეთ კორეამ ბირთვული აფეთქება განახორციელა, თავად ირწმუნება, რომ ეს წყალბადის ბომბის წარმატებული გამოცდა იყო“, — განაცხადა კლეპერმა.**

მოსმენებში მონაწილეობდა ცსს-ის დირექტორი **ჯონ ბრენანიც.** „კიმ ჩენ ინი ცდილობს, მთელ მსოფლიოს დაანახვოს, რომ ფლობს გარკვეულ პოტენციალს როგორც აფეთქებების, ისე საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტების მიმართულებით“, — განაცხადა მან და დასძინა, რომ ეს ყველაფერი შეშფოთებას იწვევს აშშ-ის სადაზვერვო საზოგადოებაში, ამის გამო ჩრდილოეთ კორეა ინფორმაციის შეგროვების პრიორიტეტული ზონაა.

შეგახსენებთ, იანვარში ჩრდილოეთ კორეამ, სავარაუდოდ, გამოსცადა წყალბადის ბომბი, მაგრამ ექსპერტებმა განაცხადეს, რომ ეს გამოცდა წარუმატებელი იყო, სინამდვილეში ფხენიანმა ჩვეულებრივი ბირთვული ბომბი გამოსცადა და წყალბადის ბომბად გაასაღა.

კიმ ჩენ ინის მიერ ბირთვული და სარაკეტო პროგრამების განვითარება გახდა მიზეზი იმისა, რის გამოც იაპონიამ, სამხრეთ კორეამ და აშშ-მა გადაწყვიტეს, დაამუშაონ საკითხი ახალი, განსაკუთრებულად ძლიერი სანქციების შემოღების თაობაზე. ცხადია, სანქციები გაეროს სანქციების რეჟიმის დამრღვევ ჩრდილოეთ კორეას შეეხება.

topwar.ru

ეს უნდა ვიცოდეთ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ცოლ-ქმარმა მაკარტურებმა განაცხადეს, რომ თავიანთი სინდისისა და რწმენის წინააღმდეგ ვერ წავიდოდნენ და პედერასტს ფანტაზიის ხორცშესხმაზე უარი განუცხადეს. კუდამოძუებულმა გერეტ ლიმ ცოლ-ქმარს ჩრდილოეთ ირლანდიის თანასწორობის სახელმწიფო კომისიაში უჩივლა, რომ მაკარტურებმა, რომლებმაც უარი განაცხადეს მის მომსახურებაზე, დაარღვიეს კანონი, რომელიც კრძალავს დისკრიმინაციას რელიგიური მრწამსის, რასობრივი კუთვნილებისა და სექსუალური ორიენტაციის მიხედვით.**

# უზნეობა დემოკრატიის სახელით

**გლობალიზაცია, რომელიც ახლავს სხვადასხვა კულტურის შერწყმის მცდელობას, ფასეულობების სისტემაში —კონფლიქტებს, ადამიანებს შორის გაუცხოებას იწვევს. ევროპამ, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ქადაგებდა სიტყვისა და ადამიანის თავისუფლებას, თანასწორობასა და ტოლერანტობას და რომელმაც კარგა ხანია, უგულებელყო ქრისტიანობა, დაკარგა ის ფასეულობები, რომლებმაც აქამდე მოიყვანა, სამაგიეროდ, ჩაიძირა სულიერ და ზნეობრივ ქაოსში, სადაც წინა პლანზე წამოწეულია ე.წ. ნეოლიბერალური ფსევდოღირებულებები.**

საზოგადოდ კი, დღეს ე.წ. დემოკრატიული ფასეულობები მხოლოდ ძალაუფლებისა და ეკონომიკური უპირატესობის გაძლიერების გამართლებაა, რომელსაც დასავლეთი იყენებს ქვეყნებისა და ხალხების დასამორჩილებლად. დასავლეთის თანამედროვე ფასეულობების სისტემა — ეს არის სისტემა, რომელიც აშშ-მა შექმნა სხვადასხვა ქვეყანაში მათთვის მიუღებელი რეჟიმების დასამხობად დემოკრატიის სახელით. ეს „ფასეულობები" კი ეწინააღმდეგება საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებულ ქრისტიანულ (მართლმადიდებლურ) ტრადიციებს ოჯახის, ერის, განათლების, ზნეობის შესახებ და ეწევა ჰომოსექსუალობის, გარყვნილების, ანტირელიგიური იდეების პროპაგანდას, ამის ნათელი დასტურია აშშ-ის სახელმწიფო მდივნის — ჯონ კერის მუქარა მსოფლიოს ყველა ქვეყანაში ერთნაირსქესიანთა ქორწინების დაკანონებაზე, ამის ნათელი დასტურია ფრანგული გამოცემა „შარლი ებდოს" ანტიმუსლიმანური კარიკატურები, რომელთა გამოც ტრაგედია დატრიალდა; შვედი ლესბოსელი-მღვდელმსახურის(?!) განცხადება ეკლესიებიდან ქრისტიანობის სიმბოლოს — ჯვრის ჩამოხსნის შესახებ, დანიის ქალაქ ოდენსეს ზოოპარკში შოკისმომგვრელი სანახაობის — ლომის ლეშის გაკვეთის — ჩვენება ბავშვებისთვის, მასობრივი მკვლელობები ამერიკის სასწავლო დაწესებულებებში — სკოლებსა და უნივერსიტეტებში და ა.შ.

რუბრიკაში გთავაზობთ სწორედ ისეთ ფაქტებს, რომლებიც მიუღებელია არა მხოლოდ ქართველი საზოგადოებისთვის, არამედ ყველა ნორმალური ადამიანისთვის. დარწმუნდებით, რომ ყველაფერი, რაც ბრწყინავს, ოქრო არ არის...

## ცოლ-ქმარს გეისთვის ტორტის გამოცხობაზე უარის თქმის გამო ასამართლებენ

**ჩრდილოეთ ირლანდიაში ტორტებისა და ნამცხვრების დამამზადებელი ფირმის მმართველს, რომელმაც ჰომოსექსუალს უარი განუცხადა ტორტის გამოცხობაზე, ე.წ. სექსუალური უმცირესობის დისკრიმინაციაში ადანაშაულებენ.**



დანიელ და ემა მაკარტურები

ბელფასტის ახლოს მდებარე ქალაქ ნიუტონბერიში მცხოვრები ცოლ-ქმრის — **დენიელ მაკარტურისა** და **ემას** გარშემო სკანდალი 2014 წლის ზაფხულში აგორდა. სოდომისტური ორგანიზაციის აქტივისტმა **გერეტ ლიმ** მათ შეუკვეთა ტორტი სერიალ „სეზამის ქუჩის" გმირების — ბერტისა და ერნის გამოსახულებითა და დევიზით: „ერთნაირსქესიანთა ქორწინების მხარდასაჭერად". ასე სურდა ჰომოსექსუალს „ჰომოფობიის წინააღმდეგ ბრძოლის დღის" (ჩრდილოეთ ირლანდიაში, გაერთიანებული სამეფოს სხვა კუთხეებსა და ირლანდიისგან განსხვავებით, ერთნაირსქესიანთა ქორწინება კანონით დაშვებული არ არის) აღნიშვნა, **მაგრამ ცოლ-ქმარმა მაკარტურებმა განაცხადეს, რომ თავიანთი სინდისისა და რწმენის წინააღმდეგ ვერ წავიდოდნენ და პედერასტს ფანტაზიის ხორცშესხმაზე უარი განუცხადეს.**

კუდამოძუებულმა გერეტ ლიმ ცოლ-ქმარს ჩრდილოეთ ირლანდიის თანასწორობის სახელმწიფო კომისიაში უჩივლა, რომ მაკარტურებმა, რომლებმაც უარი განაცხადეს მის მომსახურებაზე, დაარღვიეს კანონი, რომელიც კრძალავს დისკრიმინაციას რელიგიური მრწამსის, რასობრივი კუთვნილებისა და სექსუალური ორიენტაციის მიხედვით (ქართველი პარლამენტარების მიერ მიღებული ანტიდისკრიმინაციული კანონის ანალოგი — ნ. კ.).

მაკარტურების ადვოკატები ამბობენ, რომ სექსუალური ორიენტაცია არაფერ შუაშია, რადგან მეუღლეებმა არც კი იცოდნენ, რომ ლი ჰომოსექსუალია. ამის მიუხედავად, მოსამართლე **იზაბელ ბრაუნლიმ** გამოიტანა დადგენილება, რომ მეუღლეების მხრიდან უარი გერეტ ლის ნაწილობრივი დისკრიმინაციაა და მაკარტურებს უფლება არ ჰქონდათ, „თავიანთი მრწამსის შესახებ ესაუბრათ კომერციულ საქმეში".

მეუღლეებმა, რომლებმაც მოსამართლის ეს გადაწყვეტილება სააპელაციო სასამართლოში გააპროტესტეს, განაცხადეს, რომ მათ ბევრი ადამიანი უჭერს მხარს, თუმცა შეურაცხმყოფელ წერილებსაც იღებენ. ყველაფრის მიუხედავად, მაკარტურები არ ნანობენ თავიანთ საქციელს. დენიელ მაკარტურის თქმით, **„გამოდის, რომ არჩევანი არ არსებობს, თქვენ ის უნდა შეასრულოთ, რასაც გიბრძანებენ, მნიშვნელობა არ აქვს, რას გეუბნებათ სინდისი, მნიშვნელობა არ აქვს, რომ არ შეგიძლიათ. თქვენ ის უნდა გააკეთოთ, რასაც გიბრძანებენ".**

ბიზნესმენი დარწმუნებულია, რომ სკანდალი, რომელშიც გაეხვია, არის არა ჰომოსექსუალის, არამედ მისი ოჯახის დისკრიმინაცია, რომელსაც უფლება წაართვეს, მხარი არ დაუჭიროს ერთნაირსქესიანთა ქორწინებას.



## კემბრიჯის მერი და მისი მოადგილე — ყოფილი მამაკაცები

**2007 წელს დიდი ბრიტანეთის ისტორიაში (და არა მხოლოდ) პირველად ქალაქის მერად და მის მოადგილედ აირჩიეს სქესშეცვლილები — ჯენი ბეილი (მერი) და ჯენიფერ ლიდლი (თანაშემწე). ყოფილი მამაკაცები, რომლებიც ბრიტანეთის ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლები არიან, საუნივერსიტეტო ქალაქ კემბრიჯის მერიაში მოკალათდნენ.**

იმხანად 45 წლის ჯენი ბეილი ცხოვრების პირველ ნახევარში მამაკაცი იყო, 29 წლისამ კი გადაწყვიტა, სქესი შეეცვალა და 3 წლის შემდეგ ოპერაცია გაიკეთა. სწორედ



ამ პერიოდში გაიცნო მან ჯენიფერ ლიდლი — მამაკაცი, რომელმაც, აგრეთვე, შეიცვალა სქესი.

კოლეგები ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიიდან მიესალმნენ ბეილისა და ლიდლის არჩევას. ყოფილმა მერმა ჯონ ჰოპკინსმა კი განაცხადა, რომ ორივე „ძალიან ქალურია", მაგრამ თავიანთ მოვალეობებს ადვილად გაართმევენ თავს.

ჯენი ბეილი და ჯენიფერ ლიდლი ამჟამად კემბრიჯში ერთ სახლში ცხოვრობენ ბეილის უმცროს ვაჟთან ერთად.

## ემინემის ცოლისდამ სიცოცხლე ავტომანქანების სადგომზე დაასრულა

**43 წლის რეპერი ემინემი (მარშალ ბრუს მეტერს III) შეძრწუნებულია თავისი ყოფილი ცოლისდის სიკვდილით.**



40 წლის **დონ სკოტის**, ემინემის ყოფილი ცოლის (კიმის) ტყუპისცალის გვამი დეტროიტში ტრეილერების სადგომზე იპოვეს. ქალს საცხოვრებელი არ ჰქონდა და ღამეს იქ ათევდა ხოლმე. გვამის ექსპერტიზის შედეგად გაირკვა სიკვდილის მიზეზი — ჰეროინის დიდი დოზა. ნარკოტიკებზე უარს არც თვითონ ემინემი და მისი ყოფილი ცოლი ამბობდნენ. და, აი, პირველი მსხვერპლი.

დონ სკოტს დასთან და მის ქმართან დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა. მათ დონის გოგონა ალაინი იშვილეს. 4 თვის წინათ დონ სკოტმა ერთ-ერთი გამოცემისთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ 2014 წელს ემინემმა და კიმმა სახლიდან გააგდეს. **„ჰეროინი, კოკაინი, ამფეტამინები... ის ყველაფერს ყლაპავდა, რასაც ხელში ჩაიგდებდა",** — მწარედ შენიშნა ემინემმა.



**ბევრი სამხედრო ექსპერტის აზრით, იმპულსური ელექტრომაგნიტური შეიარაღების სფეროში რუსებს უკვე აქვთ ამერიკული იმპულსური ელექტრომაგნიტური იარაღის — „ჩამხშობი“ „ბოინგის“ საწინააღმდეგო საშუალება — კომპლექსი „ალაბუგა“, რომელსაც შეუძლია საიმედოდ დაიცვას რადარები, თანამედროვე ელექტრონული ტექნიკა და მთლიანად ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემა.**

პარა ბელუმ!
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95





# რუსული «ალაბუგა» ამერიკული იმპულსური ელექტრომაგნიტური «ბოინგის» წინააღმდეგ

**აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალების კვლევით ლაბორატორიაში (AFRL) დასრულდა მუშაობა იმპულსურ ელექტრომაგნიტურ იარაღზე, რომლის დანიშნულებაც მოწინააღმდეგის ელექტრონული მოწყობილობების მწყობრიდან გამოყვანაა. გამოცემა The Motly Fool-ი იუწყება, რომ მაღალი სიზუსტის ამერიკულ იმპულსურ ელექტრომაგნიტურ იარაღს საფუძვლად დაედო მოწყობილობა CHAMP-ი, რომელიც 2000-იანი წლების ბოლოს ამერიკულმა ავიამშენებელმა კონცერნმა „ბოინგმა“ შექმნა. ახალ პროექტში, აგრეთვე, მონაწილეობდნენ ამერიკული კომპანიები Raytheon-ი და Lockheed-ი.**

იარაღი — ელექტრონული შიგთავსი — ჩამონტაჟებულია „ჰაერი-მიწის“ კლასის რაკეტაში, რომელიც სამხედრო ობიექტების ან ქალაქების თავზე გადაფრენისას ასხივებს მიკროტალღებს და მწყობრიდან გამოჰყავს კომპიუტერები და მაღალი სიზუსტის ყველანაირი ელექტრონული ტექნიკა. ამერიკული მედია აღფრთოვანებით შეხვდა ახალ იარაღს და წერდა, რომ ამ იარაღს ძალიან იოლად შეუძლია, გამოიყვანოს მწყობრიდან მტრული სახელმწიფოს ჰაერსაწინააღმდეგო სისტემა. მსგავსი იარაღით ერაყის დაბომბვის წინ ამერიკელებმა წარმატებით გათიშეს მოწინააღმდეგის ელექტრონული ტექნიკა. თუმცა, **ბევრი სამხედრო ექსპერტის აზრით, იმპულსური ელექტრომაგნიტური შეიარაღების სფეროში რუსებს უკვე აქვთ ამერიკული იმპულსური ელექტრომაგნიტური იარაღის — „ჩამხშობი“ „ბოინგის“ საწინააღმდეგო საშუალება — კომპლექსი „ალაბუგა“, რომელსაც შეუძლია საიმედოდ დაიცვას რადარები, თანამედროვე ელექტრონული ტექნიკა და მთლიანად ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემა.**

„ალაბუგას“ მოქმედების რადიუსი 3,5 კმ-ია, მას შეუძლია მოწინააღმდეგის ტექნიკურ საშუალებებს ჩაუხშოს კავშირი, მწყობრიდან გამოიყვანოს მართვის სისტემა, დააკარგვინოს საცეცხლე ორიენტირები ან, სულაც, ჯართად აქციოს — „ალაბუგადან“ გაშვებული რაკეტის აფეთქების შედეგად გამოწვეული იმპულსური დასხივება სიმძლავრით ატომურ აფეთქებას არ ჩამოუვარდება, ამასთანავე, კომპლექსი მხოლოდ ელექტრომაგნიტური ტალღებით მოქმედებს და რადიოაქტიურ საფრთხეს არ შეიცავს.



# თურქეთი სირიასთან საომრად ემზადება

**ინფორმაციას იმის შესახებ, რომ თურქეთი მეთოდურად აძლიერებს თავის სამხედრო ქვედანაყოფებს სირიის არაბთა რესპუბლიკის საზღვარზე, ადასტურებს ფოტოები, რომლებიც რუსულმა ინტერნეტგამოცემებმა გაავრცელეს. ფოტოები გადაღებულია უპილოტო საფრენი აპარატებიდან.**

სირიის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის განცხადებით, 7-დან 10 თებერვლამდე თურქეთის შეიარაღებულმა ძალებმა სირიის საზღვართან თავი მოუყარეს 30 ტანკს, 20-ზე მეტ თვითმავალ საარტილერიო დანადგარსა და საველე არტილერიის სხვადასხვა კალიბრის 30 იარაღს. ეს ტექნიკა თურქებმა ფარულად გადაიყვანეს საზღვართან ახლოს განლაგებულ სამხედრო ობიექტებზე: „ჩობამბეილზე“ — 6 ტანკი, ბოზ-დაგზე — 7 ტანკი, ხოლო არბაშ-დაგში გადაისროლეს 2 თვითმავალი საარტილერიო დანადგარი. ჟანდარმერიის სამხედრო დანაყოფების ქალაქ იანანკეიში გადასროლილია 5 თვითმავალი ჰაუბიცა და 4 ტანკი. **სამხედრო ტექნიკასთან ერთად სირიის საზღვართან ახლო რაიონებში თურქეთმა მნიშვნელოვნად გაზარდა თავისი სამხედროების რაოდენობა, სხვადასხვა მონაცემით, იქ გადაყვანილია 3-დან 5 ათასამდე ჯარისკაცი, რომლებიც ბაბ-ეს-სალამის რეგიონში ლტოლვილებისთვის მოწყობილ კარვების ბანაკში განლაგდნენ, იქვეა მოწყობილი საველე ჰოსპიტალიც.**

სამხედრო ექსპერტთა აზრით, თურქეთს ჯერჯერობით არ შეუქმნია დამრტყმელი სამხედრო დაჯგუფება სირიის წინააღმდეგ აგრესიის დასაწყებად, მაგრამ, თუ ასეთი ტემპით განაგრძობს სამხედრო ტექნიკისა და ცოცხალი ძალის გადასროლას, თებერვლის ბოლოს მზად იქნება სირიაში შესაჭრელად.

# «ურან-9» — მომავლის ტანკი

**დღეს რუსულ „ურან-9“-ს მსოფლიოში ანალოგი არ მოეპოვება, — წერს ამერიკელი გამოცემა The National Interest-ის მიმომხილველი დეივ მაჯუმდარი, — ამ რობოტიზებულ ტანკს აღჭურვილობა საშუალებას აძლევს, გაანადგუროს ყველაზე თანამედროვე საბრძოლო მანქანები.**



მრავალფუნქციური საბრძოლო მანქანის — „ურან-9“-ის დანიშნულება ძირითადი ტანკების — T-90-სა და T-14 „არმატას“ შეცვლა არ არის. მას გამოიყენებენ სპეცდანიშნულების რაზმების მხარდასაჭერად და დისტანციური დაზვერვისთვის. ტანკი აღჭურვილია ორი რობოტით — სადაზვერვო და საცეცხლე მხარდაჭერის. მასზე დამონტაჟებულია 30-მილიმეტრიანი ავტომატური ქვემეხი (2A72) და მასთან დაწყვილებული 7,62-მილიმეტრიანი ტყვიამფრქვევი, აგრეთვე, ტანკსაწინააღმდეგო სამართავი რაკეტები — M120 „ატაკა“.

**რაკეტა „ატაკა“ მანქანას საშუალებას აძლევს, გაანადგუროს 8 კმ მანძილით დაშორებული თანამედროვე ტანკები. რობოტიზებული ტანკი, აგრეთვე, აღჭურვილია მართვის ლაზერული სისტემით“,** — წერს The National Interest-ი.

სამხედრო ექსპერტების შეფასებით, „ურან-9“-ს ლოკალურ საომარ და ანტიტერორისტულ ოპერაციებში გამოიყენებენ და მას მსოფლიოში ანალოგი არ მოეპოვება, მიუხედავად იმისა, რომ აშშ, უკვე 20 წელია, ცდილობს უპილოტო საბრძოლო მანქანების შექმნას.

„ტექნოლოგიურად ჯერ კიდევ არ არის სრულყოფილი, მაგრამ „ურან-9“-ს თავისუფლად შეიძლება ვუწოდოთ მომავლის ტანკი, რომელიც მთლიანად შეცვლის თავის წინამორბედს“, — წერს ექსპერტი.

# სირიის ნაპირებს «კალიბრებით» აღჭურვილი რუსული გემი მიადგა



კალიბრის საარტილერიო დანადგარით A-1900, სარაკეტო კომპლექს „კალიბრითა“ და საზენიტო-სარაკეტო კომპლექს „გიბკათი“.

**რუსეთის შავი ზღვის ფლოტის მცირე ზომის სარაკეტო ხომალდი „ზელიონი დოლ“ (პროექტი „ბუიან-M“), რომელიც აღჭურვილია ფრთოსანი რაკეტებით („კალბრი“), სირიის სანაპირო წყლებში განლაგებულ რუსულ საზღვაო ესკადრას შეუერთდა.**

**2015 წლის 7 ნოემბერს კასპიის ზღვიდან სწორედ ამ ტიპის ხომალდებიდან გაშვებული ფრთოსანი რაკეტებით გაანადგურეს სირიაში მოქმედი ტერორისტების პოზიციები.**

სირიის სანაპიროსთან ხომალდის მიზნებსა და ამოცანებს არ ამჟღავნებენ, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ მის ბორტზე არის შორი მოქმედების მრისხანე ფრთოსანი რაკეტები — „კალიბრი“, გამორიცხული არ არის, საომარ ოპერაციებში მონაწილეობა.

პროექტ 21631 „ბუიან-M“-ის მცირე ზომის ხომალდები „მდინარე-ზღვის“ კლასის მრავალფუნქციური ხომალდებია: „ბუიან-M“-ის წყალწყვა 949 ტონაა, სიგრძე — 74 მ, სიგანე — 11 მ; შეუძლია, 25 კვანძის სიჩქარე განავითაროს და ავტონომიურად იცუროს 2500 საზღვაო მილის სიშორეზე. აღჭურვილია 100 მმ

მოამზადა **ნიკა კორინთელმა**

ბესტსელერი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ფსს-ზე წერენ და ლაპარაკობენ ყოველდღიურად, მაგრამ არავინ იცის მისი მფლობელების გვარები, არავინ! არის მხოლოდ ვარაუდები. ისინი, ეს მფლობელები, თითქოს არც არსებობენ. ეს კი ნიშნავს, რომ მათი კომპრომენტაცია შეუძლებელია, მათი გაკრიტიკება შეუძლებელია.**

ნიკოლაი სტარიკოვი

# კრიზი$ი: როგორ კეთდება?

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №1-5 (330-334)

## 4. არჩევნები „კაზინოში". რა ვიცით ამერიკული დემოკრატიის თავისებურებების შესახებ?

*არ შეიძლება დათესო ერთი და მოიმკო მეორე. როგორი თესლიც დათესე, ისეთი გაიზრდება*
*ძველ ინდური სიბრძნე*

*ოქროსსარჩულიანი მოსასხამი ყველა ნაკლოვანებას მალავს*
*ლოპე დე ვეგა*

წარმოიდგინეთ, რომ განსაკუთრებული ადამიანი ხართ. სრულიად გამორჩეული. ყველასგან რადიკალურად განსხვავდებით. გარშემო ყველა გამოიმუშავებს ფულს, თქვენ კი მათ მხოლოდ ბეჭდავთ. ეს ულევ შესაძლებლობას იძლევა. ხოლო სიღრმე და უსასრულობა ყოველთვის იზიდავს კაცობრიობას. ჩვენ გვნუსხავს ცეცხლის ცეკვა, გვიზიდავს ოკეანე, გვეძახის ვარსკვლავებიანი ცა, მაგრამ ფულის უსასრულობა ჰომო საპიენსს გაცილებით უფრო იზიდავს. ფულის გამო ხდება მილიონობით დანაშაული.

როგორი მიუღებელი საქციელის ჩადენას აპირებს ის, ვინც ოცნებობს ფინანსური უსასრულობის მიღწევაზე? ჭეშმარიტად კოსმოსურის. **მეტისმეტად ბევრია მსურველი, დაიკავოს იმ ბედნიერთა ადგილი, რომლებსაც აქვთ ძალაუფლება, შეუძლიათ, აკეთონ ფული არაფრიდან. ეს ძალაუფლება უზარმაზარია, იგი ნებისმიერ შესაძლებლობას გაძლევთ. შეიძლება დაიქირაოთ საუკეთესო მეცნიერები, რომლებიც აღმოჩენებს გააკეთებენ. შეიძლება ყველაზე ნიჭიერი მწერლების, რეჟისორებისა და ჟურნალისტების ჩართვა და ისინი დეტალურად უამბობენ მსოფლიოს, რა სარგებელი მოაქვს კაცობრიობისთვის მსოფლიოს თანამედროვე წყობას. საუკეთესო ექიმები, ყველაზე მამაცი სამხედროები, ყველაზე ლამაზი ქალები, მთელი მსოფლიოს ტალანტები და თავად სამყარო — თქვენს ფეხებთანაა გართხმული.**

არის მხოლოდ ერთი პატარა „მაგრამ". თავისი სიძლიერის მიუხედავად, ფედერალური სარეზერვო სისტემის ძალაუფლება ძალიან მოწყვლადია: მხოლოდ ერთ დოკუმენტს ეფუძნება – აქტს ფედერალური რეზერვის შესახებ, რომელმაც შეერთებული შტატების ემისია კერძო კომპანიას გადასცა. ეს ძალიან მყიფე საძირკველია. **ფსს-ის ძალაუფლება შეგვიძლია, შევადაროთ უზარმაზარ ავიამზიდს, რომელიც ყველაზე თანამედროვე, ყველაზე დამანგრეველი იარაღითაა აღჭურვილი და მხოლოდ ერთი ბაგირის მეშვეობით ტივტივებს წყლის ზედაპირზე. როგორც კი გადავჭრით ამ ბაგირს, ავიამზიდი ფსკერზე წავა და ვერავითარი იარაღი, მისი კაპიტნის ვერანაირი პროფესიონალობა ვერ გადაარჩენს.** ნებისმიერ მომენტში აშშ-ში შეიძლება მიიღონ სხვა კანონპროექტი, რომელიც აღადგენს ნორმალურ სიტუაციას და სახელმწიფო თვითონ დაიწყებს ფულის ბეჭდვას. თეორიულად ეს შეიძლება, ნებისმიერ წუთს მოხდეს და ზუსტად იმგვარად, როგორც ფედერალური რეზერვის შესახებ აქტი მოევლინა ქვეყანას: კანონპროექტის წარდგენა სენატის მხარდაჭერა, პრეზიდენტის მიერ დამტკიცება და მორჩა.

ასე მარტივად? დიახ, ასე მარტივად და ამასთანავე ძალიან რთულად. როცა ბაყბაყდევმა იცის, სადაა დამალული მისი სიკვდილი, გაფაციცებით იცავს იმ ადგილს. და, ამ ზღაპრული ურჩხულისგან განსხვავებით, ფსს დაუცველ ადგილს მაქსიმალურ ყურადღებას უთმობს. არც ზარდახშა და არც კვერცხი, არამედ აშშ-ის ტელევიზიები, გაზეთები და პოლიტიკური სისტემა არის სანუკვარი ნემსის დარაჯები. **ფსს-ზე წერენ და ლაპარაკობენ ყოველდღიურად, მაგრამ არავინ იცის მისი მფლობელების გვარები, არავინ! არის მხოლოდ ვარაუდები. ისინი, ეს მფლობელები, თითქოს არც არსებობენ. ეს კი ნიშნავს, რომ მათი კომპრომენტაცია შეუძლებელია, მათი გაკრიტიკება შეუძლებელია.** არ შეიძლება მოხდეს რაიმე სკანდალი, სექსუალური ან ფინანსური, რომელიც დაუკავშირდება იმას, რაც არ არსებობს. ანონიმურობა და სრული საიდუმლოება — ეს ძალაუფლების შენარჩუნების პირველი პირობაა. **„საბეჭდი მანქანის" მფლობელების მოკვლა ან დაშანტაჟება შეუძლებელია, მათ ძალაუფლებას უეცარი დაპატიმრებით ვერ ჩამოართმევთ. შესაძლებელია მხოლოდ ლიკვიდაცია, ფსს-ისთვის დაკისრებული ფუნქციების ჩამორთმევით. თანაც, აუცილებელი არაა ყველა ფუნქციის ჩამორთმევა — საკმარისია, კონგრესს ემისიის უფლება დაუბრუნოთ. ფედერალური რეზერვი შესაძლებელია დავტოვოთ კიდეც. არეგულირეთ ეკონომიკა, ბატონებო, არეგულირეთ! დაე, იკბინებოდეს გველგესლა, თუკი შხამს ამოაცლი.**




თუ ამგვარი საფრთხე არსებობს, მაშინ აუცილებელია ქმედებათა გარკვეული რიგითობის შემუშავება, რათა „მანქანის" უსაფრთხოება უზრუნველყოფილი იყოს. ფსს-ის განადგურება მხოლოდ საკანონმდებლო გზითაა შესაძლებელი, აქედან გამომდინარე, აშშ-ის სახელისუფლო სტრუქტურების ლოიალურობა უნდა იქნას უზრუნველყოფილი. ქვეყნის პრეზიდენტი, კონგრესმენები, პოლიტიკური ელიტა ყურადღებით უნდა აირჩიონ და გადაამოწმონ. საკანონმდებლო მექანიზმის კონტროლი „ურჩხულის სიკვდილის" მაკონტროლებელია.

როგორ ხდება აშშ-ის სახელისუფლო სტრუქტურების ფორმირება? — არჩევნების გზით.

ვინ მონაწილეობს მასში? — სხვადასხვა პარტიები.

აქედან გამომდინარე, პოლიტიკური პარტიების კონტროლი აუცილებელია. ათი პარტიის კონტროლი უფრო ადვილია, თუ ორის? — რა თქმა უნდა, ორის. საოცარია, მაგრამ აშშ-ში პოლიტიკური ბრძოლა ხორციელდება მხოლოდ ორი პარტიის წარმომადგენლებს შორის – დემოკრატიულისა და რესპუბლიკურის. მხოლოდ ამ პოლიტიკური სტრუქტურების წევრები ხდებოდნენ აშშ-ის პრეზიდენტები მთელი ისტორიის მანძილზე. იქნებ შტატებში მხოლოდ ორი პარტიაა? არა, იქ ასეულობით პარტიაა. რატომ ხვდებიან თეთრ სახლში მხოლოდ რესპუბლიკელების ან და დემოკრატების წარმომადგენლები? — იმიტომ, რომ მხოლოდ ამ პარტიებს აქვთ უზარმაზარი ფინანსები და მედიასაშუალებების უსაზღვრო მხარდაჭერა. **შეიძლება საოცარი, არაჩვეულებრივი ადამიანი იყოთ, სულიერი თვისებებით დედა ტერეზას ან წმინდა ფრანცისკს აჯობოთ, მაგრამ არჩევნებზე გამარჯვების შანსი არ გექნებათ. ეს ამომრჩევლებმაც იციან. ისინი უხასიათოდ აძლევენ მესამე პარტიის წარმომადგენელს ხმას, არ სურთ დამოუკიდებელი კანდიდატების მხარდაჭერა, იმიტომ, რომ მათ გამარჯვების შანსი არ აქვთ.**

მაგალითად, **ავიღოთ 2008 წლის აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნები. როგორც ცნობილია, გაიმარჯვა ბარაკ ობამამ, მისი მეტოქე რესპუბლიკელი ჯონ მაკკეინი იყო. ეს ყველამ იცის, მაგრამ დარწმუნებულები ხართ, რომ საარჩევნო ბიულეტენში მხოლოდ ორი გვარი იყო? რუსეთის პრეზიდენტის პოსტზე იმავე წელს ოთხი კანდიდატი იყრიდა კენჭს. ნუთუ ყველაზე დემოკრატიულ ქვეყანაში მხოლოდ ორი, ანუ ორჯერ ნაკლები კანდიდატი იყო, ვიდრე „დესპოტურ" რუსეთში?** არ შეიძლება ასე იყოს, არჩევნები ხომ ამერიკული სისტემის საფუძველთა საფუძველია, ამერიკული იდეოლოგიის ბიბლია, ყურანი და თორაა. შტატებში 18 ათასი არჩევითი თანამდებობაა, დაწყებული პრეზიდენტით და მივიწყებული პატარა ქალაქის შერიფით დამთავრებული. განა შეიძლება, რომ ქვეყნის მთავარ პოსტზე მხოლოდ ორი კანდიდატი იყოს?

რა თქმა უნდა არა. კანდიდატები ბევრნი იყვნენ, აშშ ხომ დემოკრატიული ქვეყანაა. პარტიებმა ღირსეულები წარადგინეს: ***(იხ. ცხრილი №1)***

როგორც ხედავთ, ყველაფერი მოწესრიგებულია. პოლიტიკური სუპერმარკეტის მთელი ასორტიმენტი წარმოდგენილია. აქ ორნაირი სოციალისტები, მწვანეები და ამერიკული დემოკრატიის ფესვებთან დაკავშირებული „ბოსტონის ჩაის სმის პარტიაცაა". რეფორმების პარტია, აკრძალვის პარტია – ორი დამოუკიდებელი პარტიაა; მოკლედ, 11 პარტია, თუ არ ჩავთვლით რესპუბლიკურს და დემოკრატიულს. დავუმატოთ ერთი კანდიდატი, რალფ ნეიდერი, რომელიც დამოუკიდებლად იყრიდა კენჭს. საბოლოო ჯამში, ამერიკის შეერთებული შტატების მეთაურის პოსტისთვის 14 კანდიდატი იბრძოდა.

ახლა შეკითხვა — **რომელი მაძიებელი გე-** ▶

### ცხრილი №1

| პარტია | კანდიდატი |
|---|---|
| ლიბერტარიანული პარტია | რობერტ ბარი |
| სოციალისტური პარტია | ბრაიან მური |
| კონსტიტუციური პარტია | ჩაკ ბოლდუინი |
| „მწვანეთა" პარტია | სინტია მაკკინი |
| ახალი ამერიკული დამოუკიდებელი პარტია | ფრენკ მაკენალტი |
| სოციალიზმისა და განთავისუფლების პარტია | გლორია ლა რივა |
| სოციალისტური მუშათა პარტია | როჯერ კალერო |
| ამერიკის დამოუკიდებელი პარტია | ალან კეიზი |
| ბოსტონის ჩაის სმის პარტია | ჩარლზ ჯეი |
| აკრძალვის პარტია | ჯინ ამონდსონი |
| რეფორმისტული პარტია | ტედ უეილი |

ევროპა

## შენგენის ზონის გაუქმება დასავლეთის ქვეყნებს მილიარდობით დოლარით დააზარალებს




**მიგრაციული კრიზისის გამწვავების ფონზე, ევროკომისია ევროკავშირს აფრთხილებს, რომ შენგენის ზონის გაუქმების შემთხვევაში დასავლეთის ქვეყნები მილიარდობით დოლარით დაზარალდებიან.** ევროკომისიის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში ნათქვამია, რომ შენგენის ზონის დაშლა მის წევრებს 18 მილიარდამდე ევრო დაუჯდება. გარდა ამისა, სასაზღვრო კონტროლის დაწესების შემთხვევაში, ევროკავშირის ქვეყნებს 7,1 მილიარდი ევროს გამოყოფა მოუწევთ. ევროკომისიაში აცხადებენ, რომ შენგენის ზონის გაუქმების შემთხვევაში დაზარალდება სატრანსპორტო და ლოჯისტიკური დარგები, ასევე, შრომის ბაზარი, ხოლო სავიზო რეჟიმის დაწესება ტურიზმის დარგს წელიწადში 10-დან 20 მილიარდამდე ევროთი დააზარალებს.

ბესტსელერი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95




**შეიძლება საოცარი, არაჩვეულებრივი ადამიანი იყოთ, სულიერი თვისებებით დედა ტერეზას ან წმინდა ფრანცისკს აჯობოთ, მაგრამ არჩევნებზე გამარჯვების შანსი არ გექნებათ. ეს ამომრჩევლებმაც იციან. ისინი უხასიათოდ აძლევენ მესამე პარტიის წარმომადგენელს ხმას, არ სურთ დამოუკიდებელი კანდიდატების მხარდაჭერა, იმიტომ, რომ მათ გამარჯვების შანსი არ აქვთ.**

## მაკკეინი და ობამა. «მარსი» და «სნიკერსი». ჩიპი და დეილი. «კოკა-კოლა» და «პეპსი-კოლა». პრინციპი ერთი და იგივეა. ბრძოლის არასერიოზულობაზე აშშ-ის ამ ორი მთავარი პარტიის ემბლემებიც კი მეტყველებს: ვირი და სპილო. შოუ მაინც შოუა. აქ მთავარია დიზაინი, მიწოდება და ფერადი გადაწყვეტა, და არა აზრები და იდეები. ვინ უსმენს შოუს დროს იდეებს, ვინ უღრმავდება მათ?!

**ცნოთ აშშ-ის უმაღლეს პოსტზე? 99%-ით დარწმუნებული ვარ, რომ, რესპუბლიკელთა და დემოკრატთა კანდიდატების გარდა, არც ერთი. მაკკეინი და ობამა. „მარსი" და „სნიკერსი". ჩიპი და დეილი. „კოკა-კოლა" და „პეპსი-კოლა". პრინციპი ერთი და იგივეა. ბრძოლის არასერიოზულობაზე აშშ-ის ამ ორი მთავარი პარტიის ემბლემებიც კი მეტყველებს: ვირი და სპილო. შოუ მაინც შოუა. აქ მთავარია დიზაინი, მიწოდება და ფერადი გადაწყვეტა, და არა აზრები და იდეები. ვინ უსმენს შოუს დროს იდეებს, ვინ უღრმავდება მათ?!**

საარჩევნო კამპანია თითქმის მთელ 2008 წელს გრძელდებოდა. ყოველდღე გვიყვებოდნენ ტელევიზორის ეკრანიდან, გვეუბნებოდნენ რადიოთი, წერდნენ გაზეთებში მხოლოდ ორ კანდიდატზე: **ჯონ მაკკეინსა** და **ბარაკ ობამაზე.** ჩვენც სწორედ ეს ორი კანდიდატი ვიცით. ყველა გამოკითხვა, ყველა რეიტინგი მასალებს მხოლოდ ამ „ტკბილ წყვილზე" გვაწვდიდა. პირდაპირი ტრანსლაციები მხოლოდ ამ პარტიების ყრილობებიდან იმართებოდა. მაშ, რატომ გიკვირთ, რომ ამგვარი ტვინის გამორეცხვის შედეგად ხმათა მინიმუმი ერგო ყველა დანარჩენ კანდიდატს, ობამასა და მაკკეინის გარდა.

*(იხ. ცხრილი №2)*

მაგრამ ჩვენ **ხომ ყოველთვის გვეუბნებოდნენ, რომ აშშ თანაბარი შესაძლებლობების საზოგადოებაა?! ეს სად, თუ არა არჩევნებზე, უნდა დამტკიცდეს? რატომ საუბრობს მედია მხოლოდ ამ ორ კანდიდატზე, როცა თოთხმეტი კანდიდატი არსებობს?**

**იმიტომ, რომ ჟურნალისტებს შეუძლიათ წერონ ისე, როგორც საჭიროდ ჩათვლიან. ვის აინტერესებს წინასწარ განწირული სტატისტები? — არავის, ამიტომ მთელი ყურადღება მომავალი პრეზიდენტისკენაა მიმართული, რომელსაც მხოლოდ ორი ადამიანიდან ირჩევენ და არა თოთხმეტიდან. არ უნდა დააძალო არავის, ყველა ტელეარხი და ყველა გაზეთი ისედაც რესპუბლიკელთა და დემოკრატთა კანდიდატებზე დაწერს, მაგრამ არჩევნების შედეგები ვითომ არაპროგნოზირებულია?! გაიმარჯვებს ან ობამა, ან მაკკეინი. სადღაა არაპროგნოზირებულობა?**

იმისთვის, რომ არავის ჰქონდეს ძალაუფლებაზე დემოკრატებისა და რესპუბლიკელების მონოპოლიის დარღვევის მილიმიკრონული შანსიც კი, კიდევ ერთი მზაკვრული ხრიკი მოიფიქრეს. მას **პრაიმერიზი** (primaries) ეწოდება. ეს ე.წ. პირველადი არჩევნებია, ანუ ყველაზე ღირსეულის შიგა პარტიული არჩევნები, რომელიც პრაქტიკულად ამერიკის პრეზიდენტის არჩევნების პარალელურად მიმდინარეობს. უნდა აირჩიონ რამდენიმე კანდიდატი ყველა პარტიიდან, რომლებიც გადავლენ მეორე ტურში და წარადგენენ თავიანთ პარტიას აშშ-ის მეთაურის პოსტზე ბრძოლაში. მზაკვრობა ისაა, რომ კვლავ ნახევარ წელიწადზე მეტ ხანს გვიყვებიან ორ პარტიაში არჩევნების შესახებ. გამოიცანით, რომელ პარტიებზეა საუბარი? სწორია, კვლავ განუყრელი დემოკრატები და რესპუბლიკელები. დილიდან საღამომდე ტელეეკრანებზე ობამა და მაკკეინი ებრძვიან თანაპარტიელებს ერთადერთი კანდიდატის ტიტულისთვის. თვეების განმავლობაში ეს შტატების ნომერი პირველი ახალი ამბავია, ანუ სრულიად მსოფლიოსიც. არადა, არჩევნები არც კი დაწყებულა, მაგრამ არსებითად ის, დიდი ხანია, მიმდინარეობს. პიკეტები, აქტივისტები, ბროშურები, სამკერდე ნიშნები, ტელერეპორტაჟები, ინტერვიუები, გაზეთებისა და ჟურნალების პირველი გვერდები. ამერიკელებს თავიდანვე ამზადებენ – ვერც ერთი სხვა პარტია (და, მითუმეტეს, უპარტიო კანდიდატი) ვერ უზრუნველყოფს ასეთ ყურადღებას თავისი პერსონის მიმართ.

თავად პრაიმერიზიც საკმაოდ საინტერესოდაა მოწყობილი. თითქოს არავითარი მნიშვნელობა არ აქვს აშშ-ის რიგითი მოქალაქისთვის, რომელი პარტია ვის წარადგენს. ჩატარდა ყრილობები – აირჩიეს კანდიდატურა, შემდეგ მაინც მოქალაქეები მიიღებენ საარჩევნო უბანზე ბიულეტენებს და თავიანთი ხმით გამოხატავენ ამ პარტიის მიმართ დამოკიდებულებას, მაგრამ — არა, კანდიდატს იმდენ ხანს ირჩევენ, რა დროც ქალს სჭირდება ბავშვის გასაჩენად. რატომ ასე დიდხანს? რათა საბოლოოდ გამორეცხონ ამომრჩევლის ტვინი. მთელი ამ დროის განმავლობაში საწყალ ამომრჩეველს თავზე ატყდება ინფორმაციისა და პროგნოზების ნიაღვარი. და სულ მხოლოდ ორი პარტიის კანდიდატებზე. გამეორება კი, ხომ იცით, რისი დედაა...

ვინ მონაწილეობს პრაიმერიზში? ლოგიკურია, თუ წარმოვიდგენთ, რომ პარტიის კანდიდატს ამავე პარტიის წევრები ირჩევენ. არაფერიც. თურმე რამდენიმე სახის პრაიმერიზი არსებობს. **დახურულში** მხოლოდ პარტიის რეგისტრირებული წევრები მონაწილეობენ, მაგრამ, თუ შტატში **ღია** პრაიმერიზი ტარდება, მაშინ მონაწილეობა შეუძლია... შტატის ნებისმიერ მაცხოვრებელს, დამოუკიდებლად იმისა, არის პარტიის წევრი თუ არა! გენიალურადაა მოფიქრებული — **არჩევნებამდე ჯერ ერთი წელიწადია დარჩენილი, მაგრამ მაინც სრული სვლით მიმდინარეობს მხოლოდ ორი პარტიის კანდიდატების მონაწილეობით.**

მაშ, შესაძლებლობათა როგორი თანასწორობა შეიძლება იყოს?

კანდიდატების თანაბარი შანსები?

ეს რაღა დემოკრატიაა?

ყველაზე ნამდვილი, — გვიპასუხებენ ჩვენი ლიბერალები! სწორედ ეს არის დემოკრატია, ესაა ეტალონი მთელი კაცობრიობისთვის.

ახლა კი ვნახოთ, პრინციპულია თუ არა ერთი პარტიის ორ კანდიდატს შორის არჩევანი, რომელსაც გაზეთები და ტელევიზიები თვეების განმავლობაში აშუქებენ. ვინ გახდება დემოკრატების კანდიდატი? მთელი მსოფლიოსთვის ეს ამბავი ზემნიშვნელოვანია. ვინ გაიმარჯვებს, ვინაა მათ შორის უფრო ღირსეული და უკეთესი? სინამდვილეში კი არანაირი განსხვავება არაა, მათი პროგრამები არაფრით განსხვავდება. როგორ შეგვიძლია ამის დამტკიცება? უწინარესად იმით, რომ ბრძოლა მიმდინარეობს ერთი პარტიის შიგნით. ამერიკულ პარტიულებს არ ჰყავთ მემარცხენე და მემარჯვენე „უკლონისტები", მათ შორის არ არიან არც მენშევიკები, არც ბოლშევიკები. და, მეორე, იმით, რომ გამარჯვების შემდეგ ახალგამომცხვარი პრეზიდენტი ბარაკ ობამა სახელმწიფო მდივნად დანიშნავს... **ჰილარი კლინტონს**, ანუ თავის მეტოქეს, რომელსაც „სასიკვდილოდ" ებრძოდა პრაიმერიზში, რომელთანაც „პრინციპული" უთანხმოება ჰქონდა. აი, გაიმარჯვა, პრეზიდენტი გახდა — სად გაქრა ეს უთანხმოება? უთანხმოება არც არასდროს ყოფილა. ამერიკელ ამომრჩეველს მიაწოდეს მხოლოდ ფერისა და სქესის კოსმეტიკური არჩევანი (როგორც სუპერმარკეტში ავეჯის შეძენისას). რა უფრო მოგწონთ: პრეზიდენტი შავკანიანი მამაკაცი საგარეო პოლიტიკის სათავეში თეთრკანიან ქალთან ერთად თუ პრეზიდენტი თეთრკანიანი ქალბატონი საგარეო საქმეთა სამინისტროს სათავეში შავკანიან მამაკაცთან ერთად?

მაგრამ ეს არ არის ყველა სიურპრიზი, რომელიც კი ელოდება ადამიანს, თუკი მოისურვებს, კარგად დააკვირდეს ამერიკულ „დემოკრატიულ" არჩევნებს.

აშშ-ის სხვადასხვა შტატში საპრეზიდენტო არჩევნებზე ბიულეტენებში კანდიდატთა რაოდენობა სხვადასხვა იქნება!

ამ სიებში (ანუ ბიულეტენში) რომ მოხვდეს, თეთრი სახლის პრეტენდენტი აუცილებლად უნდა წარადგინოს ან საკმაოდ დიდმა პოლიტიკურმა პარტიამ, ან წარდგენილ იქნას მომხრეთა საჭირო რაოდენობის ხელმოწერებით, ამასთანავე, **ბიულეტენში კანდიდატის შეტანის ცენზს ყველა ამერიკული შტატი დამოუკიდებლად ადგენს"(?!).**

ვისი სახელია შეტანილი ბიულეტენებში ყველა შტატში და ვის აქვს გამარჯვების შანსი? გასაგებია, რომ დემოკრატებისა და რესპუბლიკელების კანდიდატებს. სწორედ ეს ორი ბატონი გამართავს ბრძოლას და საბოლოო ჯამში ამ ორიდან ერთ-ერთი გაიმარჯვებს, მაგრამ ფსს-ის დამფუძნებლებისთვის არც ესაა საკმარისი. მოულოდნელობებისგან თავის დაზღვევაა საჭირო.

როგორ? საჭიროა, რომ არა მხოლოდ აშშ-ის ორი მთავარი პარტია იყოს თქვენი. საჭიროა, რომ აშშ-ის ყველა მსხვილი პარტია თქვენი იყოს.

**„აშშ-ში ალტერნატიული პოლიტიკური ძალების „დიდ სამეულს" სამი პარტია შეადგენს: ლიბერტარიანული პარტია, „მწვანეთა" პარტია და კონსტიტუციური პარტია. საპრეზიდენტო არჩევნებზე ამ პარტიების კანდიდატთა სახელები იქნება წარდგენილი შტატების უმრავლესობის ბიულეტენებში. დანარჩენი პარტიების კანდიდატები წარდგენილები არიან ათი ან უფრო ნაკლები შტატის ბიულეტენებში".**

ანუ კიდევ სამი პარტიის კანდიდატები მოხვდებიან თითქმის ყველა სიაში, რომლებსაც იხილავს ამომრჩეველი არჩევნების დღეს. ამგვარად, მათ აქვთ გამარჯვების მოჩვენებითი შანსი. თუ ზემოთ მოყვანილი შედეგების ცხრილს დავაკვირდებით, დავინახავთ, რომ ამომრჩეველთა ხმებს, დემოკრატებისა და რესპუბლიკელების გარდა, სწორედ ამ სამი პარტიის წარმომადგენლები მიიღებენ.

ურთიერთკავშირი თვალსაჩინოა: ხარ ბიულეტენში — იღებ ხმებს, არ ხარ — არც ხმებია. თუ მხოლოდ ერთ ან ორ შტატში ხარ — მაშინ, საბოლოო ჯამში, არაფერიც არ გამოდის.

**გაგრძელება იქნება**

## ავიღოთ 2008 წლის აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნები. როგორც ცნობილია, გაიმარჯვა ბარაკ ობამამ, მისი მეტოქე რესპუბლიკელი ჯონ მაკკეინი იყო. ეს ყველამ იცის. მაგრამ დარწმუნებულები ხართ, რომ საარჩევნო ბიულეტენში მხოლოდ ორი გვარი იყო? რუსეთის პრეზიდენტის პოსტზე იმავე წელს ოთხი კანდიდატი იყრიდა კენჭს. ნუთუ ყველაზე დემოკრატიულ ქვეყანაში მხოლოდ ორი, ანუ ორჯერ ნაკლები კანდიდატი იყო, ვიდრე «დესპოტურ» რუსეთში?

### ცხრილი №2

| კანდიდატი (პარტია) | ხმათა რაოდენობა | პროცენტი | ამომრჩეველთა ხმების რაოდენობა | პროცენტი |
|---|---|---|---|---|
| ბარაკ ობამა (დემოკრატიული) | 365 | 62% | 68 162 737 | 52,78% |
| ჯონ მაკკეინი (რესპუბლიკური) | 173 | 30% | 59 223 402 | 45,85% |
| რალფ ნადერი (დამოუკიდებელი) | 0 | 0% | 723 112 | 0,56% |
| რობერტ ბარი (ლიბერტარიანული) | 0 | 0% | 531 363 | 0,41% |
| ჩაკ ბოლდუინი (კონსტიტუციური) | 0 | 0% | 189 924 | 0,15% |
| სინთია მაკკინი (მწვანეთა პარტია) | 0 | 0% | 158 551 | 0,12% |

## საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ჟან-მარკ ერო გახდა



**საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტი ყოფილმა პრემიერმინისტრმა ჟან-მარკ ერომ დაიკავა. მანამდე აღნიშნულ თანამდებობაზე იყო ლორან ფაბიუსი, რომელმაც გადადგომის შესახებ რამდენიმე დღის წინათ განაცხადა.**

ფაბიუსმა წასვლის წინ ბოდიში მოიხადა იმის გამო, რომ მისი მინისტრობის პერიოდში მსოფლიო ლიდერები არ იზიარებდნენ საფრანგეთის პოზიციას სირიის საკითხზე. კერძოდ, ოფიციალური პარიზი 2013 წელს სირიის კონფლიქტში აშშ-ის არმიასთან ერთად სამხედრო ინტერვენციას ითხოვდა. რაც შეეხება ახალ საგარეო საქმეთა მინისტრს, მისი პოზიცია სირიის საკითხთან დაკავშირებით ჯერ უცნობია. ჟან-მარკ ერო 2012-2014 წლებში საფრანგეთის პრემიერ-მინისტრის პოსტს იკავებდა, მანამდე იგი სოციალისტების საპარლამენტო ფრაქციას ხელმძღვანელობდა.



ცნობისათვის
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**დღეს კარგად არის ათვისებული კანის, თირკმელების, ღვიძლის, გულის, ნაწლავების, ფილტვების, ძვლის ტვინის, კუჭქვეშა ჯირკვლის, ძვლების, სახსრების, ვენების, გულის სარქველების, თვალის რქოვანას გადანერგვის ტექნიკა. 1998 წელს პირველად გადანერგეს წარმატებით ხელის მტევანი. ამ დარგის უდიდესი მიღწევებია 2005 წელს საფრანგეთში სახის ნაწილის გადანერგვა და 2006 წელს ჩინეთში მამაკაცის სასქესო ორგანოს, ასევე ფარისებრი და ფარისებრახლო ჯირკვლების, ელენთის ტრანსპლანტაცია.**

# ზოგი რამ ტრანსპლანტაციის შესახებ







**ტრანსპლანტაციის მიზანი ადამიანის ავადმყოფი ორგანოს ჯანმრთელით ჩანაცვლებაა. სხეულის ფუნქციადაკარგული ორგანოების გამოცვლის იდეა ადამიანს დიდი ხნის წინათ დაებადა, მაგრამ მის განხორციელებას ხელს უშლიდა იმუნიტეტის შესახებ არსებული ცოდნის სიმცირე. არავინ იცოდა, რა მექანიზმით იცილებდა იმუნური სისტემა გადანერგილ ორგანოს, რომელიც გენეტიკურად არაიდენტური ორგანიზმიდან იყო აღებული. XX საუკუნის მეორე ნახევარში მეცნიერებმა იმუნური რეაქციების დათრგუნვა ისწავლეს, რათა დონორის ორგანოს რეციპიენტის ორგანიზმთან ნორმალურად შეხორცების საშუალება მისცემოდა. ახლა მსოფლიოში თირკმლის, ღვიძლის, გულისა თუ პანკრეასის გადანერგვის მრავალწლიანი პრაქტიკა არსებობს.**

ორგანიზმის იმუნური პასუხის ხელოვნური დათრგუნვა დღემდე რჩება ტრანსპლანტაციის პრობლემად. **დღეს კარგად არის ათვისებული კანის, თირკმელების, ღვიძლის, გულის, ნაწლავების, ფილტვების, ძვლის ტვინის, კუჭქვეშა ჯირკვლის, ძვლების, სახსრების, ვენების, გულის სარქველების, თვალის რქოვანას გადანერგვის ტექნიკა. 1998 წელს პირველად გადანერგეს წარმატებით ხელის მტევანი. ამ დარგის უდიდესი მიღწევებია 2005 წელს საფრანგეთში სახის ნაწილის გადანერგვა და 2006 წელს ჩინეთში მამაკაცის სასქესო ორგანოს, ასევე ფარისებრი და ფარისებრახლო ჯირკვლების, ელენთის ტრანსპლანტაცია.** რაც შეეხება სისხლძარღვებს, კანს, ხრტილს ან ძვალს, მათ გადანერგავენ ერთგვარი ქსოვილოვანი კარკასის შესაქმნელად, რომელზეც პაციენტის ახალი ქსოვილების ფორმირება უნდა მოხდეს.

მსოფლიო ლიდერი ტრანსპლანტაციაში არის აშშ, სადაც ყოველ მილიონ მოსახლეზე ყოველწლიურად ტარდება თირკმლის — 52, ღვიძლის — 19 და გულის — 8 გადანერგვა. საკუთარი ორგანოსა და ქსოვილების (ერთი ადგილიდან მეორეზე) გადანერგვას **რეპლანტაციას**, ანუ აუტოტრანსპლანტაციას უწოდებენ, ხოლო ალოტრანსპლანტაცია ერთი სახეობის ორგანიზმიდან მეორეში გადანერგვაა, სხვა სახეობის ორგანიზმიდან გადანერგვას კი ქსენოტრანსპლანტაციას უწოდებენ.

მსოფლიოში წელიწადში ორგანოთა გადანერგვის 100 ათასზე მეტი ოპერაცია ტარდება, მათგან 80% — გვამური დონაციით.

საქართველოში ორგანოთა ტრანსპლანტაციის შესახებ 2000 წელს მიღებული კანონის თანახმად, გადასანერგად დასაშვებია გარდაცვლილის ორგანოთა გამოყენებაც, მაგრამ ეს მეთოდი პრაქტიკულად არ გამოიყენება და ამის მთავარი მიზეზია მოსახლეობის ნეგატიური განწყობა გვამის ორგანოთა დონაციის მიმართ.

## გვამური დონაცია

საქართველოში ადამიანის ორგანოთა გადანერგვის შესახებ კანონის მიხედვით, თუ არსებობს იმის დამადასტურებელი ფაქტები, რომ ორგანოს აღება გარდაცვლილის რელიგიურ რწმენასა და მის ეთიკურ პრინციპებს არ ეწინააღმდეგება, შეიძლება გადასანერგად გამოვიყენოთ. ამის პარალელურად, საჭიროა გარდაცვლილის ორგანოს აღებაზე ახლობლის თანხმობა. თანაბარი უფლებების მქონე რამდენიმე ნათესავის არსებობისას, ერთმაც რომ განაცხადოს უარი, გარდაცვლილის ორგანოს გამოყენება არ მოხერხდება.

კანონის მიხედვით, ადამიანი გარდაცვლილად ითვლება მას შემდეგ, რაც მას თავის ტვინის სიკვდილი ან გულის შეუქცევადი გაჩერება და სისხლის მიმოქცევის შეწყვეტა დაუდგინდება. გვამური დონაციისთვის მხოლოდ ტვინის სიკვდილით გარდაცვლილის ორგანო გამოდგება, სისხლის მიმოქცევის შეუწყვეტლობა საჭიროა იმისათვის, რომ ორგანოებმა სიცოცხლისუნარიანობა შეინარჩუნოს.

2000 წელს საქართველოს ჯანმრთელობის სამინისტრომ საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით ტვინის სიკვდილის განმსაზღვრელი კრიტერიუმი შეიმუშავა, ტვინის სიკვდილის დიაგნოზის სწორად დასმის შემთხვევაში, სიცოცხლის აღდგენა გამორიცხულია.

**გვამური დონაციისადმი რელიგიის დამოკიდებულება არაერთგვაროვანია. არათუ სხვადასხვა, არამედ ერთსა და იმავე კონფესიის წარმომადგენლებსაც კი ხშირად ამ საკითხისადმი განსხვავებული პოზიციები აქვთ. ზოგიერთ რელიგიაში გვამურ დონაციასთან დაკავშირებით დისკუსია დღემდე მიმდინარეობს.**

თუ გავითვალისწინებთ რამდენ ადამიანს აქვს გულის მწვავე დაავადებები, თირკმლის უკმარისობა და ციროზი, იოლი წარმოსადგენი იქნება, რამდენი ადამიანი ელოდება საქართველოში ამ ორგანოების ტრანსპლანტაციის დანერგვას.

**თანამედროვე მსოფლიოში სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის შედეგად ადამიანის თითქმის მთელი სხეული ექვემდებარება ტრანსპლანტოლოგიას. ამასთანავე, დღეს უკვე შესაძლებელია და ყოველწლიურად სულ უფრო იხვეწება ორგანოს დიდი დროით შენახვის შესაძლებლობა, რომელმაც ადამიანის სხეული აქცია მნიშვნელოვან «პროდუქტად»**

ჩვენთან დონორობაზე ოფიციალურ თანხმობას ამ დროისათვის რამდენიმე ასეული ადამიანი აცხადებს. მათგან ნახევარზე მეტი ექიმია.

**საზღვარგარეთ თუ თირკმლის გადანერგვის ოპერაციის საწყისი ფასი 50 ათასი დოლარია, საქართველოში 20 ათასი ლარი ღირს.** როგორც სპეციალისტები ამბობენ, ტრანსპლანტოლოგიის, როგორც დარგის, განვითარებაზე ლაპარაკი ზედმეტია გარდაცვლილი პირებიდან ორგანოების აღების გარეშე. დარგი ვერ განვითარდება მხოლოდ ცოცხალი დონორებისგან აღებული ორგანოებით, საუბარი აღარ არის იმაზე, რომ ცოცხალი ადამიანი ვერავის გადაუნერგავს გულს ან პანკრეასს.

## სისხლის გადასხმა – პირველი ტრანსპლანტაცია

ტრანსპლანტაციის ისტორია სისხლის გადასხმით დაიწყო. სხვადასხვა ეპოქის ექიმები სისხლის გადასხმას სხვადასხვა მეთოდით ცდილობდნენ, ზოგი მცდელობა წარმატებით სრულდებოდა, ზოგი — წარუმატებლად. ჰემოტრანსფუზია მხოლოდ მას შემდეგ ჩამოყალიბდა ნაკლებსახიფათო მანიპულაციად, რაც 32 წლის ავსტრიელმა მეცნიერმა კარლ ლანდშტაინერმა ადამიანის ერითროციტებში არსებული ორი A და B ანტიგენი და სისხლის შრატში არსებული ორი ანტისხეული აღმოაჩინა და დაადგინა, რომ სისხლის გადასხმა მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნებოდა წარმატებული, თუ ადამიანს მისი მსგავსი ანტიგენისა და ანტისხეულების შემცველ სისხლს გადაუსხამდნენ.

**სამედიცინო პრაქტიკაში ლანდშტაინერის დაკვირვება პირველად 1914 წელს, პირველი მსოფლიო ომის დროს, გამოიყენეს, როდესაც დაჭრილი ჯარისკაცებისთვის სისხლის გადასხმას სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა. ექიმებმა ისეთი სისხლის შერჩევა დაიწყეს, რომლის ერითროციტები ავადმყოფის სისხლში არ შეწებდებოდა. ეს პროცედურა, ფაქტობრივად, დონორისა და რეციპიენტის A და B ანტიგენების განსაზღვრას გულისხმობდა — დონორის სისხლსა და რეციპიენტის შრატს ერთმანეთში ურევდნენ და თუ ერითროციტები გუნდებად არ იქცეოდა, ავადმყოფს თამამად უსხამდნენ სისხლს.**

დღეს სამედიცინო ტრანსპლანტოლოგია არის ფართოდ დანერგილი და კარგად ათვისებული სამედიცინო პრაქტიკა მსოფლიოს მოწინავე ქვეყნებში და აქტიურად გამოიყენება დაავადებული პაციენტის სიცოცხლის შესანარჩუნებლად ან სიცოცხლის გახანგრძლივების მიზნით. დედამიწაზე მილიონობით ადამიანია, რომლის სიცოცხლე დამოკიდებულია სხვისი ჯანმრთელი ორგანოს არსებობაზე და საჭირო ორგანოს დროულ მიწოდებაზე. მაგალითად, **დიდ ბრიტანეთში ყოველწლიურად 9 000 ბრიტნელი მოელის ახალ ორგანოს; გერმანიაში — 14 000, ამერიკაში — 97 000, ხოლო ჩინეთში 2 მილიონი ადამიანი საჭიროებს ტრანსპლანტოლოგიურ დახმარებას.**

მსოფლიოს ჯანდაცვის ორგანიზაციების ოფიციალური სტატისტიკით, მსოფლიოში ყოველწლიურად მილიონზე მეტი ადამიანის სხვადასხვა ორგანო მოძრაობს სამედიცინო ტრანსპლანტოლოგიის მსოფლიო სისტემაში, მაგრამ მოთხოვნა გაცილებით აჭარბებს მიწოდებას, რაც დღევანდელი ტრანსპლანტოლოგიის სერიოზულ პრობლემაა. აუცილებელია, აღინიშნოს ის გარემოება, რომ **თანამედროვე მსოფლიოში სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის შედეგად ადამიანის თითქმის მთელი სხეული ექვემდებარება ტრანსპლანტოლოგიას. ამასთანავე, დღეს უკვე შესაძლებელია და ყოველწლიურად სულ უფრო იხვეწება ორგანოს დიდი დროით შენახვის შესაძლებლობა, რომელმაც ადამიანის სხეული აქცია მნიშვნელოვან „პროდუქტად“.**

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, დაუშვებელია ტრანსპლანტოლოგიური (ანუ დონორსა და პაციენტს შორის) რაიმე სახის კომერციული გარიგება, რადგან საქართველოში დონორობა უფასოა (ისევე, როგორც მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში) და ორგანოს გაყიდვა ითვლება კრიმინალურ ქმედებად (და ისჯება კანონმდებლობით).

## ორგანოები, რომლებიც იცვლება

სისხლის გადასხმის შემდგომ მეცნიერებმა თირკმელების გადანერგვაზეც დაიწყეს ფიქრი და ექსპერიმენტებს მიჰყვეს ხელი. ამას თავისი ახსნაც ჰქონდა: თირკმელი წყვილი ორგანოა, აქვს საკმაოდ მსხვილი კალიბრისა და სიგრძის სისხლძარღვები და შარდსაწვეთი. ექსპერიმენტები, რომლებიც თირკმელების გადანერგვას ისახავდა მიზნად, რამდენიმე ეტაპად მიმდინარეობდა. ამის მიზეზი ისევ და ისევ ორგანიზმის იმუნოლოგიური ბარიერი იყო, რომელიც მოცილების რეაქციის მეშვეობით რეკორდულად მცირე ხანში გამოდევნიდა ორგანიზმში მოხვედრილ ცილოვანი ბუნების სხეულს.

**თირკმლის გადანერგვა** პირველად მეოცე საუკუნის დასაწყისში საფრანგეთში სცადეს. ერთმა ნაკლებად ცნობილმა ქირურგმა, რომელმაც მანამდე იმით გაითქვა სახელი, რომ ძაღლებს თირკმელებს აჭრიდა და კისერზე აკერებდა, გადაწყვიტა, ურემიით დაავადებული ახალგაზრდა ქალისთვის ემკურნალა. მან პაციენტს დაავადებული თირკმელი ამოჰკვეთა, სანაცვლოდ კი ზედა კიდურზე თხის თირკმელი გადაუნერგა, რომელიც ორგანიზმმა მალე მოიცილა. მოგვიანებით, 1902 წელს, ავსტრიელმა მკვლევარმა **ემერიხ ულმანმა** თირკმელი ცხოველს გადაუნერგა.

**ადამიანისთვის თირკმლის პირველი გადანერგვა განახორციელა ქირურგმა ვორონოიმ 1931 წელს.** მან მსოფლიოში პირველად ცოცხალი ადამიანის თირკმელი წარმატებით გადაუნერგა მეორე ადამიანს. რეციპიენტი და დონორი ერთი კვერცხუჯრედისგან განვითარებული ტყუპი იყვნენ. 4 წლის შემდეგ მანვე ჩაუტარა გადანერგვა სხვადასხვა კვერცხუჯრედისგან გა- ▶

**კანავერო დარწმუნებულია, რომ გაღვიძების შემდეგ პაციენტი,რომელსაც თავი გადაუნერგეს, სახეს იგრძნობს, დაახლოებით ერთი წლის განმავლობაში კი ხელახლა ისწავლის სიარულს. იტალიელი ნეიროქირურგის მოსაზრებით, პროცედურა, სავარაუდოდ, 36 საათს გაგრძელდება, პროცესში კი 100 ქირურგი იქნება ჩართული და დაახლოებით ათი მილიონი ევრო დაჯდება.**

ცნობისათვის
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ ნვითარებულ ტყუპ ძმას, კიდევ ორი წლის შემდეგ დედის თირკმელი შვილს გადაუნერგა, მომდევნო ოპერაციის დროს კი დონორი უკვე საკმაოდ შორეული ნათესავი იყო — 26 წლის ქალს 60 წლის გარდაცვლილი მამაკაცის თირკმელი გადაუნერგეს.

აშშ-ში პირველად ამგვარი ოპერაცია 1950 წლის 17 ივნისს ჩატარდა. 44 წლის ქალმა გადანერგილი თირკმლით 5 წელი იცოცხლა.

დღეს მსოფლიო რეკორდი 37 წელია — სწორედ ამდენ ხანს იცოცხლა ადამიანმა გადანერგილი ორგანოთი. თირკმლის დაზიანება ძალზე სახიფათოა და უმეტესად სიკვდილით სრულდება, ქირურგ-ტრანსპლანტოლოგებს კი მაინც მიაჩნიათ, რომ ბედმა ყველაზე მეტად თირკმლით დაავადებულებს გაუღიმა.

**გულის გადანერგვა** თეორიულად გაცილებით ადრე დამუშავდა, ვიდრე სხვა ორგანოებისა. პირველი ტრანსპლანტაცია განახორციელა **ალექსი კარელმა**, რომელმაც 1905 წელს ძაღლს კისერზე გადანერგილი გული მიაკერა. მოგვიანებით დამუშავდა გულმკერდშიგა ტრანსპლანტაციის სხვადასხვა ვარიანტი ხელოვნური სისხლის მიმოქცევის გარეშე. 1967 წლის 3 დეკემბერს კეიპტაუნში ქირურგმა კრისტიან ბერნარმა გულის გადანერგვა ჩაატარა. რეციპიენტი იყო 54 წლის მამაკაცი, რომელსაც გულის კორონარული დაავადება და პოსტინფარქტული ანევრიზმა ჰქონდა, ხოლო დონორი — ავტოკატასტროფაში ქალაფუძის ტრავმით გარდაცვლილი 25 წლის ქალი.

**ფილტვების ტრანსპლანტაციას** ექსპერიმენტული მოდელის უქონლობის გამო ქირურგები საკმაოდ დიდხანს არიდებდნენ თავს. 1968 წელს ჰიუსტონში დენტონმა გულ-ფილტვის კომპლექსი გადანერგა, მაგრამ პაციენტი 24 საათის შემდეგ გარდაიცვალა. პირველი წარმატებული ოპერაცია სილიკოზით დაავადებულ პაციენტს ჩაუტარდა. გადანერგვა განახორციელა ბელგიელმა ქირურგმა გენტემ. პაციენტმა 10 თვე იცოცხლა.

**ღვიძლის გადანერგვა** ძაღლებზე ექსპერიმენტებით დაიწყო, კლინიკურ პირობებში კი პირველად ამერიკელმა ქირურგმა სტარზლმა განახორციელა 1963 წლის 1 მარტს.

**კუჭქვეშა ჯირკვლის,** ანუ პანკრეასის გადანერგვაზე ფიქრი ქირურგებმა დიაბეტის აღმოჩენის შემდეგ დაიწყეს. პიონერები მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში მეგობარი ქირურგები — ბანტინგი და ბესტი აღმოჩნდნენ. მათ გულმოდგინედ დაიწყეს ორგანოს ფუნქციების შესწავლა და ექსპერიმენტები მეტად მნიშვნელოვანი ჰორმონის — ინსულინის აღმოჩენით დაასრულეს, რომელსაც ჯირკვლის განსაკუთრებული უბნები აწარმოებს.




ქირურგებმა ჯირკვლის აქტიური უბნების გადანერგვა ვერ მოახერხეს, მათ რამდენიმე სერიოზულმა პრობლემამ შეუშალა ხელი, კერძოდ: კუჭქვეშა ჯირკვლის თვითმონელების უნარმა. აღმოჩნდა, რომ სიკვდილის შემდეგ პანკრეასი საკუთარი ქსოვილის მონელებას იწყებს, ამიტომ სხვა ორგანოებზე გაცილებით ადრე ხდება გადასანერგად უვარგისი.

გარდა იმისა, რომ რეციპიენტის ორგანიზმში მოცილების რეაქცია იწყება, საჭმლის მომნელებელი წვენები გადანერგილი ჯირკვლის შიგნით ქსოვილის მონელებისკენ ილტვოდნენ, ეს ყველაფერი კი, ბუნებრივია, ინსულინის წარმომქმნელი კუნძულების დაზიანებას იწვევდა. გადანერგილი ჯირკვლის უწვრილესი სისხლძარღვების მიერთებაც დანაწევრებულ ქსოვილებთან იმ პერიოდში იოლი არ იყო. მოგვიანებით ყოველივე ეს ქირურგმა ლილეჰაიმმა და მისმა მეგობრებმა მოახერხეს. მათ შეძლეს, კუნძულოვანი უბნები ისე გამოეყოთ ირგვლივ მდებარე ქსოვილებისგან, რომ ისინი გადასანერგად ვარგისი დარჩენილიყო. **1961 წელს ლილეჰაიმმა პირველმა გადანერგა პანკრეასი.**

1958 წელს პარიზში, ჰემატოლოგიის ინსტიტუტში, პროფესორმა მატემ **ძვლის ტვინის** პირველი ტრანსპლანტაცია განახორციელა. მანამდე მას რამდენიმეჯერ უკვე წარმატებით ჰქონდა გადანერგილი ძვლის ტვინი ცხოველებისთვის.

პირველი პაციენტი აღმოჩნდა ახალგაზრდა სტუდენტი გრანიჩი, რომლის დონორიც ფრანგი მუშა რემონ კასტანიე გახლდათ. მან ნებაყოფლობით გაიღო ძვლის ტვინი მომაკვდავი ახალგაზრდა ქალისთვის. ოპერაცია ზოგადი ანესთეზიით ჩატარდა. რამონ კასტანიეს მკერდის ძვლიდან სპეციალური შპრიცით 200 მილილიტრზე მეტი სისხლთან შერეული ძვლის ტვინოვანი ქსოვილი ამოუღეს და გრანიჩს ვენაში შეუყვანეს. მას შემდეგ ძვლის ტვინის გადანერგვამ მილიონობით ადამიანი გადაარჩინა.

მიუხედავად იმისა, რომ შესაძლებელია ცოცხალი დონორიდან ნახევარი ღვიძლის გადანერგვა, რადგან მას რეგენერაციის უნარი გააჩნია, ეს ოპერაცია საქართველოში ბოლო დრომდე მაინც არ კეთდებოდა. ღვიძლის პირველი წარმატებული გადანერგვა ჩიკაგოს სამედიცინო უნივერსიტეტში 1989 წელს განხორციელდა.

მსოფლიოში ყველაზე ხშირად თირკმლის გადანერგვის ოპერაციას აკეთებენ. თირკმელი წყვილი ორგანოა და მისი გადანერგვით დონორს პრაქტიკულად არ ადგება ზიანი. შემდეგ რაოდენობრივად მოდის ღვიძლის, პანკრეასის, გულის, ძვლის ტვინის, კანისა და რქოვანა გარსის ტრანსპლანტაცია. საქართველოში რქოვანა გარსს ტრანსპლანტაციისათვის საზღვარგარეთ ყიდულობენ, რადგან ამ შემთხვევაში იმუნოლოგიური კონფლიქტი არ არსებობს და არ საჭიროებს შეთავსებას დონორსა და რეციპიენტს შორის.

**საქართველოში ადამიანის ორგანოთა გადანერგვის შესახებ კანონის მიხედვით, თუ არსებობს იმის დამადასტურებელი ფაქტები, რომ ორგანოს აღება გარდაცვლილის რელიგიურ რწმენასა და მის ეთიკურ პრინციპებს არ ეწინააღმდეგება, შეიძლება გადასანერგად გამოვიყენოთ. ამის პარალელურად, საჭიროა გარდაცვლილის ორგანოს აღებაზე ახლობლის თანხმობა. თანაბარი უფლებების მქონე რამდენიმე ნათესავის არსებობისას, ერთმაც რომ განაცხადოს უარი, გარდაცვლილის ორგანოს გამოყენება არ მოხერხდება**

## გართულებები

მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოში ადამიანის სხვადასხვა ორგანოზე ძალზე დიდი მოთხოვნა, ტრანსპლანტალოგიის პროცესი საკმაოდ რთული სახისაა და აუცილებელია, დაცული იყოს შემდეგი პარამეტრები:

**დონორის ორგანო (რომელიც ძალზე ძვირად ფასობს, რადგან რეციპიენტის სიცოცხლე მასზეა დამოკიდებული) უნდა იყოს ჯანმრთელი და სამედიცინო თვალსაზრისით სრულად შესწავლილი, საჭირო ინფორმაციის გარეშე ორგანო გამოუსადეგარია.**

ორგანიზმიდან ამოღების შემდეგ ყოველ ორგანოს აქვს დროის მონაკვეთი, როდესაც უნდა მოხდეს ან მისი სწრაფად ტრანსპლანტირება რეციპიენტის ორგანიზმში ან ამ ორგანოს (თუ ეს ორგანო ამას ექვემდებარება) სპეციალური შენახვა. ამისთვის არსებობს სპეციალური მოწყობილობა — ჩემოდნები, რომლებშიც მუდმივი ტემპერატურის ქვეშ ინახება ორგანო.

ოპერაცია თუ არ განახორციელა მაღალკვალიფიციურმა სპეციალისტმა, ძალზე დიდია შანსი, ორგანო ,,გაფუჭდეს", მით უმეტეს, ზოგიერთი ორგანოს ამოჭრა ძალზე სპეციფიკურ ოპერაციას და ცოდნას მოითხოვს.

ტრანსპლანტი ორგანოს არსებობისას მნიშვნელოვანია მისი მატარებელი სხეულის (ადამიანის) შესახებ სამედიცინო ინფორმაციის ცოდნა — სისხლის ჯგუფი, სისხლის შედედება, გადატანილი ავადმყოფობები და ტრავმები, გენეტიკური ისტორია და სხვ., ეს საჭიროა რეციპიენტის სხეულთან შეგუების პარამეტრების გარკვევაც.

ყველა პირობის დაცვის შემთხვევაშიც კი ორგანოს გადანერგვას შეიძლება გართულებებიც ახლდეს თან. მსოფლიო სტატისტიკით, თირკმლის ტრანსპლანტაციისას სამი ათასი დონორიდან ერთი, შესაძლოა, დაიღუპოს. ღვიძლის გადანერგვის შემთხვევაში რისკი ათასიდან ერთია.

თუ 1995-1999 წლებში ორგანოს გადანერგვის ოპერაციასთან დაკავშირებული მოკვდავობის მაჩვენებელი 27%-ს შეადგენდა, ბოლო წლებში ის 5%-მდე შემცირდა.

## შავი ბაზარი

ორგანოთა ტრანსპლანტაცია დღეს მედიცინის ერთ-ერთი განვითარებული დარგია. ის საშუალებას იძლევა, ერთ ადამიანს მეორის ორგანო გადაუნერგო და სიკვდილისთვის ან ხეიბრობისთვის განწირულს, ფაქტობრივად, მეორე სიცოცხლე აჩუქო. სწორედ მისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, ორგანოთა ტრანსპლანტაცია იატაკქვეშა ბიზნესისთვის ძალზე მომგებიანი დარგია. მონაცემების მიხედვით, **მიმდინარე საუკუნის დასაწყისში ორგანოებით არალეგალური ვაჭრობის მსოფლიო ბაზრად იტალია მიიჩნეოდა — იქ თირკმლების ყიდვა 40 ათას დოლარად იყო შესაძლებელი, საიდანაც დონორს 10 ათასი ხვდებოდა, დანარჩენს კი შუამავალი იღებდა. მოგვიანებით არალეგალური ტრანსპლანტაციის მთავარ ბაზრად თურქეთი იქცა — ქირურგი იუსუფ სონმეზი სტამბოლის კლინიკებში წელიწადში 500-მდე არალეგალურ ტრანსპლანტაციას ატარებდა.**

ორგანოებით ვაჭრობა ყველა ქვეყანაში და, მათ შორის საქართველოშიც, აკრძალულია და კანონით ისჯება. დასჯიან როგორც იმ პირს, რომელიც ვაჭრობს ორგანოთი, ასევე ამ პროცესში ჩართულ ექიმსაც.

მსოფლიოს ჯანდაცვის (და სხვა საერთაშორისო) ორგანიზაციების მონაცემებით, კრიმინალური სახის ტრანსპლანტოლოგია გავრცელებულია სოციალურად, ეკონომიკურად და სამართლებრივად განუვითარებელ ქვეყნებში; ასევე რეგიონებში, სადაც მიმდინარეობს საბრძოლო მოქმედებები და სადაც მოხდა მასიური სახის დამანგრეველი ბუნებრივი სტიქიური მოვლენები (ცუნამი, მიწისძვრა), სადაც კანონმდებლობა და სპეციალური სამართლებრივი სისტემები ვერ ახერხებს ამ პროცესების რეგულირებას.

მსოფლიოში, მათ შორის, ევროპისა და აზიის სხვადასხვა ქვეყანაში, არის რაიონები (ძირითადად, დევნილთა, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ ჯგუფთა დასახლებები), რომლებშიც ორგანოებით უკანონოდ ვაჭრობას ძალზე მასშტაბური ხასიათი აქვს.

**ადამიანმა დონორობა შეიძლება გასწიოს მხოლოდ ქველმოქმედების საფუძველზე და ამ შემთხვევაშიც გარკვეული შეზღუდვები არსებობს. კანონით განსაზღვრულია იმ პირთა სია, რომლებიც შეიძლება იყოს დონორი. სტატისტიკურად კი ყველაზე ხშირად დონორები პაციენტის მშობლები არიან. მშობლებიდან ყველაზე ხშირად დედა უნერგავს შვილს ორგანოს.**

## თავის გადანერგვა

იტალიელი ნეიროქირურგი **სერჯიო კანავერო** ირწმუნება, რომ 2017 წლისათვის შესაძლებელი გახდება ტანის სრული ტრანსპლანტაცია, ანუ ადამიანის თავის გადანერგვა დონორის სხეულზე. ხმაურიანი განცხადებებით ცნობილი იტალიელი ნეიროქირურგის რევოლუციური პროექტის მიხედვით, მსგავსი ოპერაციის ჩატარება გადაარჩენს ისეთ ადამიანებს, რომლებიც განუკურნებელი დაავადებებით იტანჯებიან.

კანაველოსთვის მსგავსი ოპერაციის ჩასატარებლად ერთგვარ შთაგონების წყაროდ იქცა 1970-იან წლებში მაიმუნზე ჩატარებული ანალოგიური ოპერაცია, რომელიც ნაწილობრივ წარმატებული გამოდგა. ნაწილობრივ იმიტომ, რომ მაიმუნმა, რაოდენ უცნაურიც უნდა იყოს, ცხრა დღე იცოცხლა, სანამ ტანის იმუნურმა სისტემამ თავზე უარი არ თქვა.

ვფიქრობ, ახლა იქამდე მივედით, როდესაც ტექნიკური ასპექტები ასეთი ოპერაციის შესაძლებლობას იძლევა", — თავდაჯერებული აცხადებს კანავერო. პროექტის ავტორის თქმით, რომელმაც საკუთარ ჩანაფიქრზე პირველად 2013 წელს განაცხადა, ოპერაციისთვის პროცედურა დაიწყება პაციენტის სხეულისა და დონორის იქამდე გაყინვით, ვიდრე უჯრედები ჟანგბადის გარეშე არსებობას შეძლებენ. ამის მერე დაიწყება მეორე ეტაპი, როდესაც მოხდება მსხვილ სისხლძარღვთა და ზურგის ტვინის გამოცალკევება. ზურგის ტვინის დაბოლოებები „შეწებდება" პოლიეთილენგლიკოლით (PEG). ოპერაციის დასრულების შემდეგ ადამიანს დაახლოებით ოთხი კვირით ხელოვნურ კომაში გადაიყვანენ, რათა არტერიებისა და კუნთების შეხორცების პროცესში მოძრაობა ვერ შეძლოს.

**კანავერო დარწმუნებულია, რომ გაღვიძების შემდეგ პაციენტი,რომელსაც თავი გადაუნერგეს, სახეს იგრძნობს, დაახლოებით ერთი წლის განმავლობაში კი ხელახლა ისწავლის სიარულს. იტალიელი ნეიროქირურგის მოსაზრებით, პროცედურა, სავარაუდოდ, 36 საათს გაგრძელდება, პროცესში კი 100 ქირურგი იქნება ჩართული და დაახლოებით ათი მილიონი ევრო დაჯდება.**

„თუ საზოგადოებას ეს არ სურს, მე ამას არ გავაკეთებ. მაგრამ თუ იმავე საზოგადოებას არ სურს მსგავსი რამ აშშ-ში ან ევროპაში გაკეთდეს, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ოპერაცია სადმე სხვაგან არ გაკეთდება. ვცდილობ, ყველაფერი სწორად გავაკეთო, მაგრამ ვიდრე „მთვარეზე გავფრინდები", მინდა ვიცოდე, რომ ადამიანები გამომყვებიან".



ცნობისათვის
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**შუა საუკუნეების იტალიაში დიდი პატივისცემით ეპყრობოდნენ განათლებულ ადამიანებს, მაშინ, როდესაც საფრანგეთში სწავლულებს, მსუბუქად რომ ვთქვათ, ექსცენტრიკულებად მიიჩნევდნენ, მათ შრომასა და კვლევებს კი აგდებით ეკიდებოდნენ.**



# ხის მერსედესი

**ორმა გერმანელმა ოსტატმა დუისბურგიდან 1955 წლის Mercedes-Benz 300SL-ის ნატურალური ზომის ხის მოდელი დაამზადა.**

ორიგინალისაგან მოდელი მხოლოდ ფარების ფორმით განსხვავდება. ხის ავტომობილის სიგრძე 4,520 მეტრია, სიგანე – 1,790, ხოლო სიმაღლე — 1,300 მეტრი.

ავტომობილი შესრულებულია მასშტაბით 1:1 ტექის (ტექტონა) ხის მასალისგან. საინტერესოა, რომ ავტომობილის ბორბლები ფუნქციურია და სურვილის შემთხვევაში მანქანის გაგორებაც შეიძლება.

რამდენიმე ხნის წინათ ხის „მერსედესი" გასაყიდად eBay-ს აუქციონზეც გაიტანეს.

საწყისი ფასი 7800 ევრო იყო. გაიყიდა 5850 ევროდ.



# ვუპერტალის დაკიდებული ტრამვაი

**ეს დაკიდებული გზა ქალაქ ვუპერტალში (გერმანია) 1901 წელს აშენდა და დღეისთვის მსოფლიოში უძველეს მონორელსურ გზად მიიჩნევა. საზოგადოებრივი ტრანსპორტის მსგავს მოდელს დღეს მსოფლიოში ვერსად შეხვდებით.**

ვუპერტალის ინდუსტრიალიზაცია მე-19 საუკუნის ბოლოს დაიწყო. იმ დროისთვის ქალაქის მოსახლეობის რაოდენობამ 400 ათას ადამიანს მიაღწია და განვითარების დონით კიოლნსაც გადააჭარბა.

ქალაქის ეტლებითა და ფეხით მოსიარულეებით სავსე გზებზე ტრამვაის ხაზის მშენებლობისთვის ადგილიც არ იყო საკმარისი. დიდი ოდენობით გრუნტის წყლებისა და კლდოვანი რელიეფის გამო მეტროს იდეაც განუხორციელებელი იყო. მაშინ ინჟინრებს ტრამვაის ხაზის ჰაერში გაყვანის იდეა მოუვიდათ.

1901 წლიდან, როცა მომხმარებლისთვის საჰაერო ტრანსპორტი გაიხსნა, ტრამვაი ვუპერტალის ღირშესანიშნაობად იქცა. და ახლაც, 100-ზე მეტი წლის შემდეგ, ის ქალაქში გადაადგილების ყველაზე სწრაფი და ხელმისაწვდომი საშუალებაა.

ტრამვაის ხაზის სიგრძე 13,3 კილომეტრს შეადგენს და მდინარე ვაპერის გასწვრივ 12 მეტრის სიმაღლეზეა გადაჭიმული. ქუჩების თავზე (8 მეტრის სიმაღლეზე) გზის მხოლოდ 3 კილომეტრი გადის. გზის ამ მონაკვეთს ფეხით მოსიარულეთა მარშრუტს უწოდებენ.

ტრამვაის ხაზზე ავარია მხოლოდ ერთხელ — მისი ამუშავებიდან 98 წლის შემდეგ მოხდა. ინციდენტის დროს 5 ადამიანი დაიღუპა და 49 მგზავრმა სხვადასხვა ხარისხის დაზიანება მიიღო. ეს 1999 წლის აპრილში მოხდა, როცა ტრამვაი რელსებს ასცდა და მდინარეში ჩავარდა.

კიდევ 1950 წელს მომხდარი ერთი შემთხვევა შეიძლება გავიხსენოთ. ცირკის რეკლამირებისას ტრამვაიში სპილო ჩასვეს, რომელსაც ჰაერში სეირნობა დიდად არ მოეწონა და მთელი ძალით დაიწყო ფეხების ბაკუნი. ვაგონმა დატვირთვას ვერ გაუძლო და სპილოსთან ერთად მდინარეში ჩავარდა. სპილო დაზიანდა, მაგრამ ცოცხალი გადარჩა.

დღეს დაკიდული გზის მომსახურებით ყოველდღიურად ათასობით ადამიანი სარგებლობს. 1997 წელს რკინიგზის მოდერნიზება და სრულყოფა მოხდა. ტურისტებისთვის მოძრაობს ორიგინალური კაიზერვაგონი, რომელიც ოდესღაც სამეფო ოჯახის წევრების გადასაყვანად გამოიყენებოდა. ვაგონი კომფორტითა და უსაფრთხოებით გამოირჩევა.

# საქმიანი ეტიკეტი

**თუ ყოველდღიურ ცხოვრებაში ეტიკეტის ნორმების დარღვევამ შეიძლება ზოგჯერ მაინც უმტკივნეულოდ ჩაიაროს, ბიზნესის სამყაროში ასეთი ქცევა არა მხოლოდ საქმიანი რეპუტაციის დაკარგვას შეიძლება ნიშნავდეს, არამედ კომერციულ წაგებასაც. საქმიან ეტიკეტს რამდენიმე სიტყვით ფორმულირებული, ზუსტი და ერთმნიშვნელოვანი განსაზღვრება არ აქვს. შეიძლება ითქვას, რომ ის საქმიან წრეებში მიღებული ქცევის წესების ერთობლიობაა.**



საქმიანი ეტიკეტი, სინამდვილეში, მჭიდროდაა დაკავშირებული სამართლებრივ ნორმებთან, ხალხურ ტრადიციებსა და ჩვევებთან, ასევე მორალისა საყოველთაოდ მიღებულ ნორმებთან. თანამედროვე მეცნიერები — ისტორიკოსები და სოციოლოგები ამტკიცებენ, რომ საქმიანი ეტიკეტი პირველად იტალიაში ჩაისახა და ეს დაახლოებით XIV საუკუნის შუა წლებში მოხდა.

იტალიის კულტურა ამ პერიოდში პრინციპულად განსხვავდებოდა ინგლისში, გერმანიასა და საფრანგეთში არსებული ბარბაროსული წესჩვეულებებისგან და ის შემდგომ პერიოდში დახვეწილობის მაგალითად იქცა კიდეც. **იტალიაში კარგი მანერების დემონსტრირება უმაღლესი კლასისთვის მიკუთვნების ლამის უმთავრეს პარამეტრად მიიჩნეოდა. წახალისებული იყო თავაზიანობა და საზოგადოებაში საკუთარი დადებითი მხარით წარმოჩენის უნარი. ჯერ კიდევ შუა საუკუნეების იტალიაში დიდი პატივისცემით ეპყრობოდნენ განათლებულ ადამიანებს, მაშინ, როდესაც საფრანგეთში სწავლულებს, მსუბუქად რომ ვთქვათ, ექსცენტრიკულებად მიიჩნევდნენ, მათ შრომასა და კვლევებს კი აგდებით ეკიდებოდნენ.**

საქმიანი ეტიკეტის ჩანასახები შეიძლება ვიპოვოთ მეფის კარზე მიღებული წესების ნებისმიერ კომპლექტში: სამეფო წარმოშობის პირთა თანდასწრებით თავისუფლად მოქცევის უფლებას თავს ცოტა თუ მისცემდა, რადგან ამისთვის შეიძლება საკუთარი სიცოცხლითაც კი ეგო პასუხი.

საქმიანი ეტიკეტის კვალდაკვალ **დიპლომატიური ეტიკეტიც** გაჩნდა — ის თამამად შეგვიძლია საქმიანი ეტიკეტის უფრო „ახლო ნათესავად" მივიჩნიოთ. შეხვედრების დროს ქვეყნების მმართველებს ან, უბრალოდ, სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლებს სახელმწიფო ინტერესებიც უნდა დაეცვათ და მოსაუბრის მენტალობა და კულტურული ფასეულობებიც გაეთვალისწინებინათ.

საქმიანი ურთიერთობები მრავალრიცხოვან საერთაშორისო კონტაქტს გულისხმობს, ამიტომ ეთიკურ ნორმებზე დაყრდნობის გარეშე მისი წარმოება დაუშვებელია. შეიძლება ითქვას, საქმიანი ეტიკეტი დიპლომატიური და მაღალი წრის ეტიკეტის შეთავსების საფუძველზე ჩამოყალიბდა.

საქმიანი ურთიერთობის პროცესში, ჩვეულებრივ, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა იმას, ადამიანი მნიშვნელოვანი შეხვედრისა თუ მოლაპარაკების დროს როგორ იქცევა, როგორია მისი ჩაცმის მანერა, საუბრის სტილი, ოპონირების მეთოდები და სხვ. ასევე მნიშვნელოვანია, როგორ არის სამსახურეობრივი და სამუშაო ადგილები ორგანიზებული. ნებისმიერ ქვეყანაში საქმიანი ეტიკეტის აუცილებელი შემადგენელია კეთილგანწყობა, თავაზიანობა, ტაქტიანობა, პუნქტუალობა, ზრდილობა, სიტყვისადმი ერთგულება, მოსმენისა და თავის დაჭერის უნარი კონფლიქტურ სიტუაციებში.

საქმიან, ისევე როგორც, მაღალი წრის ეტიკეტში, მნიშვნელოვანია გეოგრაფიული და ეთნოგრაფიული თავისებურებების გათვალისწინება. მაგალითად, **ინგლისში** XVI საუკუნეში, როდესაც სამეფო ტახტზე მეფე ჰენრიხ VII იჯდა, სადილზე მოწვეული სტუმრები სახლში შესვლისას ვალდებულნი იყვნენ, ეკოცნათ სახლის პატრონის, მისი მეუღლის, ბავშვების და შინაური ცხოველებისთვისაც კი. ვრცელდებოდა თუ არა ეს წესი მსახურებზე, ამის შესახებ ისტორია დუმს.

თანამედროვე **თურქეთში** საქმიანი ეტიკეტის ფარგლებში მიღებულია სტუმრებისა თუ ბიზნეს-პარტნიორების დაპატიჟება აბანოში. იაპონელები კი საზეიმო სადილსა თუ ვახშამზე ბოდიშებით აგავსებენ მოკრძალებული სუფრის გამო იმ შემთხვევაშიც კი, თუ მაგიდაზე თავზესაყრელად იქნება ყველაზე ძვირი კერძები და დელიკატესები. ამ ბოდიშებით იაპონელები სტუმრებისადმი პატივისცემის ხაზგასმას ცდილობენ.

**ინგლისში** ქალბატონები პირველი ესალმებიან მამაკაცს, თუ მას ქუჩაში შეხვდნენ. ეს ჩვეულება ქალბატონებს უფლებას ანიჭებს, თავად გადაწყვიტონ, სჭირდებათ თუ არა ამა თუ იმ ადამიანთან ნაცნობობის საჯაროდ აღიარება. ევროპის ქვეყნების უმეტესობაში წასვლისას ყველასთან პირადად დამშვიდობებაა მიღებული, ხოლო თუ ძალიან ბევრი სტუმარია თავშეყრილი, საკმარისია მხოლოდ მასპინძლებთან დამშვიდობება. საინტერესოა, რომ ამ ჩვეულებას ყველგან „ინგლისურად წასვლას" უწოდებენ, ბრიტანელებმა კი „ფრანგულად წასვლა" უწოდეს.

# უცნაური პროფესიები

**ყველა პროფესია საჭირო და მნიშვნელოვანია, უცნაურიც კი. შესაძლოა, ამ პროფესიებს უნივერსიტეტებში არ ასწავლიან, მაგრამ საზოგადოებას მათი წარმომადგენლები სჭირდება.**

### კამათლის ინსპექტორი

კაზინო ყველაფერს იზამს, ოღონდ მოთამაშენი სახლში მოგებულნი არ წავიდნენ, მაგრამ ლას ვეგასშიც კი თამაშის წესების დაცვით თამაშობენ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ კამათელი იდეალურ მდგომარეობაში უნდა იყოს: თანაბარი კუთხეები, სწორი წონა, ბალანსი. ამ და სხვა პარამეტრებს რეგულარულად ამოწმებენ პროფესიონალი ინსპექტორები.

### გოლფის ბურთების წყლიდან ამომტანი

ამ ჯენტლმენური თამაშის მოედნები მდინარეებთან იკვეთება. იმდენად ხშირადვარდება ბურთი მდინარეში, რომ ელიტურ გოლფ კლუბებში სპეციალური მცურავები ჰყავთ, რომლებსაც ფსკერიდან ბურთის ამოღებაში წელიწადში 100 000 დოლარს უხდიან.

### კვერცხის სქესის ამომცნობი

დავალება არც ისე მარტივია, როგორც შეიძლება მოგეჩვენოთ. მის კორექტულად შესრულებაზეა დამოკიდებული ქათმის სიცოცხლე.

### დეოდორანტის ეფექტურობის შემმოწმებელი

ამ პროფესიის წარმომადგენლები თავად არ ტესტავენ დეოდორანტს. მათი მთავარი ამოცანაა, „საცდელი" ადამიანის იღლიას დააკვირდნენ და განსაზღვრონ, პროდუქტის ეფექტურობა.





### გველის „მწველავი"

გველი რძეს არ იწველება, მაგრამ ზოგი სახეობა ძალიან შხამიანია. ასეთ დროს აუცილებელია ანტიტოქსინი, რომელიც მისივე შხამზე მზადდება. სითხე გველის კბილებიდან მხოლოდ პროფესიონალს შეუძლია მოიპოვოს: ის აიძულებს ქვეწარმავალს, რომ შხამი გადმოაფურთხოს.



ხელნაკეთი რკინიგზის სიგრძე, რომელზეც მთლიანობაში 100 ვაგონი მოძრაობს, 13 კილომეტრია. მის მთელ პერიმეტრზე 400-მდე მინიატურული ხიდია განლაგებული, ირგვლივ კი მთელი ინფრასტრუქტურაა შექმნილი, რომელიც 3 ათასი მინიატურული შენობისგან, 50 ათასი ხისგან, კანიონებისგან, ქალაქებისა და სოფლებისგან შედგება. კონსტრუქციას სულ 4,83 კვადრატული მეტრი უჭირავს.

ცნობისათვის
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# მსოფლიოს ყველაზე უცნაური ბიბლიოთეკები

**მიუხედავად იმისა, რომ დღეს ინტერნეტში მილიონობით ელექტრონული წიგნია, რომლებიც მსოფლიოში იყიდება, ჯერ კიდევ არსებობენ ადამიანები, რომლებიც ბიბლიოთეკაში დადიან. თანაც, მათთვის სულ ახალი და ახალი ბიბლიოთეკები შენდება, რომელთაგანაც ზოგი არქიტექტურის შედევრი ხდება.**



## კურორტი-ბიბლიოთეკა

ბევრ ადამიანს შვებულების დროსაც კი არ შეუძლია წიგნს მოსწყდეს. სწორედ მათთვისაა ზედგამოჭრილი სასტუმრო The Library Resort, რომელიც ცოტა ხნის წინათ ტაილანდში გაიხსნა. მისი მთავარი კოზირი დიდი ბიბლიოთეკაა, რომელიც პირდაპირ აუზთანაა აშენებული.



## ბიბლიოთეკა მეტროში

დედამიწის უდიდესი მეგაპოლისების ბევრი მცხოვრები ყოველდღიურად დროის დიდ ნაწილს მიწის ქვეშ — მეტროში ატარებს. დროის მოსაკლავი საუკეთესო საშუალება კი წიგნის კითხვაა. წიგნის ასეთი მოყვარულებისთვის ნიუ იორკის მეტროპოლიტენის 50-ე ქუჩის სადგურზე არის ბიბლიოთეკა, რომელშიც მგზავრობისას საკითხავად წიგნის ამორჩევა შეგიძლიათ.



## რომბოკუბოოქტაედრი

ბელარუსის ნაციონალური ბიბლიოთეკა, რომელიც მინსკის შესასვლელში მდებარეობს, მისი მშენებლობის პროცესშივე იქცა ქალაქის ღირშესანიშნაობად. შენობა წარმოადგენს ოცსართულიან რომბოკუბოოქტაედრს, 72,6 მეტრი სიმაღლისაა და 115 ათას ტონას იწონის. ყოველდღიურად ჩამობნელებისთანავე ღამის 12 საათამდე იგი განათებულია და ფერს და გამოსახულებას ყოველ წამს იცვლის.




## წიგნის თარო

კანზასის საჯარო ბიბლიოთეკა ვინმეს მრავალდონიან პარკირების კონსტრუქციად ან გიგანტურ რესტორნად ნამდვილად ვერ მოეჩვენება. ამ შენობის ფასადი ხომ მშვენივრად ახდენს შიგთავსის ილუსტრირებას — ის თაროს წააგავს, რომელზეც წიგნებია დალაგებული.



## უსასრულო ბიბლიოთეკა

სტოკჰოლმის საზოგადოებრივი ბიბლიოთეკის პროექტი არქიტექტორ ოლივიე ჩარლზს ეკუთვნის. ამ ბიბლიოთეკის ცენტრალურ ატრიუმში იქნება უზარმაზარი კედელი წიგნებით სავსე თაროებით. სტუმრებს შეუძლიათ იარონ გალერეებში, რომლებიც კედლის გასწვრივ იქნება დამონტაჟებული და აიღონ საჭირო და სასურველი წიგნები. უსასრულობის ეფექტის გასაძლიერებლად კედლის გვერდებში სარკეები დამონტაჟდება.



## ბიბლიოთეკა ლუდის ყუთებისგან

ლუდს და წიგნს, ჩვეულებრივ, ბევრი არაფერი აქვს საერთო, თუ, რა თქმა უნდა, ეს არ არის ლუდის შესახებ ანეკდოტების წიგნი ან რაიმე ამგვარი. მაგდებურგის ერთ-ერთ რაიონში კი შექმნეს საჯარო ქუჩის ბიბლიოთეკა, რომელიც ძველი ლუდის ყუთებისგანაა აგებული.



## ბიბლიოთეკა-ნიჟარა

ყაზახეთის ნაციონალური ბიბლიოთეკა, რომელიც ამ ქვეყნის დედაქალაქ ასტანაში მდებარეობს, უფრო მეტად მფრინავ თეფშს ან ზღვის რომელიღაც მოლუსკის ნიჟარას წააგავს. შენობის ამგვარი ფორმა შემთხვევით არ აურჩევიათ, მისი წყალობით მზე მაქსიმალურად დიდხანს ანათებს ბიბლიოთეკის ინტერიერს.



## ბიბლიოთეკა ჯუნგლებში

თანამედროვე ბიბლიოთეკები არა მხოლოდ მეგაპოლისების ცენტრში შეიძლება იყოს. მაგალითად, კოლუმბიის ქალაქ მედელინში ბიბლიოთეკა პირდაპირ ჯუნგლებში, ქალაქის ფარგლებს გარეთაა განლაგებული. ის კლდეზე დგას და რომელიღაც ძველი ცივილიზაციის მიტოვებულ ქალაქს წააგავს.



## შავი ბრილიანტი

ასე უწოდებენ კოპენჰაგენის მცხოვრებნი სამეფო ბიბლიოთეკის ახალ კორპუსს, მოდერნისტულ სტილში გადაწყვეტილ შავი ფერის შენობას, რომელიც ქალაქის სხვა ნაგებობებისგან მკვეთრად გამოირჩევა.

## მსოფლიოში ყველაზე გრძელი ხელნაკეთი რკინიგზა

**ხელნაკეთი რკინიგზის სიგრძე, რომელზეც მთლიანობაში 100 ვაგონი მოძრაობს, 13 კილომეტრია. მის მთელ პერიმეტრზე 400-მდე მინიატურული ხიდია განლაგებული, ირგვლივ კი მთელი ინფრასტრუქტურაა შექმნილი, რომელიც 3 ათასი მინიატურული შენობისგან, 50 ათასი ხისგან, კანიონებისგან, ქალაქებისა და სოფლებისგან შედგება. კონსტრუქციას სულ 4,83 კვადრატული მეტრი უჭირავს.**

ამ საოცრების სეასქმნელად ამერიკელ **ბრუს უილიამსს** რამდენიმე მილიონი დოლარი და 16 წელი დასჭირდა. მთელი ამ ხნის განმავლობაში იგი დღე-ღამეში 18-19 საათს მუშაობდა, გამოსასვლელი დღეების გარეშე.

სხვათა შორის, მსოფლიოში ყველაზე გრძელი თვითნაკეთი რკინიგზის — „ნორტლენდის“ ისტორია უილიამსის უბრალო გატაცებით — მოდელების შეგროვებით დაიწყო. რკინიგზის საზეიმო გახსნის ცერემონია 1997 წელს გაიმართა. მალე ის გინესის რეკორდების წიგნში შევიდა, როგორც მსოფლიოს უდიდესი ხელნაკეთი რკინიგზა.



ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



* 1455 წლის 23 თებერვალს გერმანელმა **იოჰან გუტენბერგმა** ევროპაში პირველად დაბეჭდა წიგნი მოძრავი ლიტერების მეთოდით. ეს წიგნი იყო ბიბლია.



# ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენები კაცობრიობის ისტორიაში

რუბრიკა „ქრონოგრაფში“ გაეცნობით ინფორმაციას კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენებისა და გამოჩენილი ადამიანების დაბადებისა და გარდაცვალების თარიღებზე.

*** 1932 წლის 18 თებერვალს ჩასლავში (ჩეხოსლოვაკია) დაიბადა გამოჩენილი ჩეხი და ამერიკელი კინორეჟისორი და სცენარისტი „ოსკარის“ ორგზის ლაურეატი მილოშ ფორმანი (იან ტომაშ ფორმანი).**



მილოშ ფორმანმა გადაიღო ფილმები: „ვიღაცამ გუგულის ბუდეს გადაუფრინა“; „ამადეუსი“; „ვალმონი“; „ხალხი ლარი ფლანტის წინააღმდეგ“; „თმა“; „მიუნხენის მოჩვენება“ და სხვ.



*** 1732 წლის 22 თებერვალს ბრიჯ-კრიკში (ვირჯინია) დაიბადა ამერიკელი სახელმწიფო მოღვაწე, ამერიკის შეერთებული შტატების პირველი პრეზიდენტი (1789-1797), აშშ-ის დამფუძნებელი და პრეზიდენტობის ინსტიტუტის შემქმნელი ჯორჯ ვაშინგტონი.**

გარდაიცვალა 1799 წლის 14 დეკემბერს.

*** 1810 წლის 22 თებერვალს ვარშავასთან ახლოს, სოფელ ჟელიაზოვა-ვოლიაში დაიბადა პოლონელი კომპოზიტორი და ვირტუოზი პიანისტი, უამრავი მუსიკალური ნაწარმოების ავტორი ფედერიკ ფრანსუა შოპენი.**

გარდაიცვალა 1949 წლის 17 ოქტომბერს.






*** 2006 წლის 21 თებერვალს კოსმოსურმა ტელესკოპმა „ჰაბლმა“ თანავარსკვლავედ ვოლოპასში აღმოაჩინა ციური ობიექტი SCP06F6, რომლის ბუნების ამოხსნა მეცნიერებმა დღემდე ვერ შეძლეს.**



*** 1473 წლის 19 თებერვალს ტორუნში დაიბადა სახელგანთქმული პოლონელი ასტრონომი, მათემატიკოსი, მექანიკოსი და ეკონომისტი ნიკოლაი კოპერნიკი.**

მისმა ნაშრომმა სამყაროს ჰელიოცენტრისტული სისტემის შესახებ საფუძველი ჩაუყარა პირველ სამეცნიერო რევოლუციას.



*** 1953 წლის 21 თებერვალს ბრიტანელმა ბიოლოგმა ფრენსის კრიკმა, ამერიკელმა ჯეიმს უოტსონმა და ბრიტანელმა მორის უილკინსმა დნმ-ის (დეზოქსირიბონუკლეინის მჟავა) სტრუქტურის აღმოჩენის შესახებ განაცხადეს.**

დნმ — ეს არის მაკრომოლეკულა, რომელიც უზრუნველყოფს ცოცხალი ორგანიზმების განვითარებისა და ფუნქციობის გენეტიკური პროგრამის შენახვასა და გადაცემას თაობიდან თაობაზე.



* 1878 წლის 19 თებერვალს დაიწყო აუდიოჩაწერის ერა — ამ დღეს ამერიკელმა გამომგონებელმა **თომას ედისონმა** ხმის ჩამწერი და აღმდგენი ხელსაწყო დააპატენტა, რომელსაც ფონოგრაფი უწოდა.



*** 1935 წლის 23 თებერვალს ბათუმში დაიბადა ქართველი მოჭიდავე, მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი კლასიკურ ჭიდაობაში — როსტომ აბაშიძე.**

*** 1852 წლის 19 თებერვალს გორის რაიონის სოფელ არბოში დაიბადა ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ნიკო ლომოური.**



ნ. ლომოურის პირველი ლექსები 1871 წელს ჟურნალ „მნათობში“ გამოქვეყნდა, 1985 წელს კი მისი ლექსები და მოთხრობები ცალკე წიგნად გამოიცა.

ნიკო ლომოურის ცნობილი ნაწარმოებებია: „ალი“, „ქაჯანა“, „წინაპართა აჩრდილნი“, „ბერუა ქრისტესაშვილი“, „ყინვა და პატარა მოწაფე“, „პაწია მეგობრები“, „ხერხი სჯობია ღონესა“ და სხვ.

გარდაიცვალა 1915 წლის 30 აპრილს.

*** 1884 წლის 19 თებერვალს წალენჯიხის რაიონის სოფელ ობუჯში დაიბადა ქართველი მწერალი ლეო ქიაჩელი (ნამდვილი სახელი და გვარი — ლეონ შენგელაია).**



ლეო ქიაჩელის ცნობილი ნაწარმოებებია: „ტარიელ გოლუა“, „სისხლი“, „გვადი ბიგვა“, „მთის კაცი“, „თავადის ქალი მაია“, „ჰაკი აძბა“, „წარსული აწმყოში“, „ცოდვის შვილები“ და სხვ.

გარდაიცვალა 1963 წლის 19 დეკემბერს.



*** 1873 წლის 23 თებერვალს ვლადიკავკაზში დაიბადა ქართველი კომპოზიტორი, მუსიკისმცოდნე-ეთნოგრაფი, პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე, ქართული პროფესიული მუსიკის ერთ-ერთი ფუძემდებელი დიმიტრი არაყიშვილი.**

დიმიტრი არაყიშვილს დაწერილი აქვს რომანსები, ოპერა „თქმულება შოთა რუსთაველზე“, სიმფონიური სურათი „ჰიმნი ორმუზდს“ და სხვ.

გარდაიცვალა 1953 წლის 13 აგვისტოს.



*** 1930 წლის 18 თებერვალს ამერიკელმა ასტრონომმა კლაიდ უილიამ ტომბომ მზის სისტემის მეცხრე პლანეტა პლუტონი აღმოაჩინა, რომელიც მზისგან 40-ჯერ მეტი მანძილითაა დაშორებული, ვიდრე დედამიწა.**

2006 წელს პრაღაში გამართულ ასტრონომთა საერთაშორისო კავშირის ასამბლეაზე პლუტონს პლანეტის სტატუსი ჩამოართვეს და ახლა ის „ჯუჯა პლანეტად“ იწოდება.

22 თებერვალს სავსემთვარეობაა. მაღალია გულ-სისხლძარღვთა დაავადებების გამწვავების ალბათობა. სასიკეთო პერიოდია ქალწულის, სასწორისა და მერწყულის ნიშნებით დაბადებულთათვის.

ჰოროსკოპი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რას გვიქადიან ვარსკვლავები

17 - 23 თებერვლის ასტროლოგიური პროგნოზი

## ვერძი
21 მარტი — 20 აპრილი

გაგიჩნდებათ იდეები, რომლებიც შესაძლებლობების რეალიზაციაში დაგეხმარებათ. გადაწყვეტილებების მიღებისას კი გაითვალისწინეთ ოჯახის წევრებისა და მეგობრების რჩევები.

შესაძლოა, მიიღოთ გაუთვალისწინებელი შემოსავალი, მაგრამ ფული ეკონომიურად ხარჯეთ.

საყვარელ ადამიანთან ურთიერთობა რთულად, კონფლიქტებით წარიმართება, თუ მას ბევრ პრეტენზიას წაუყენებთ, თქვენ მიმართ გამოთქმულ პრეტენზიებს კი არად ჩააგდებთ.

მაღალია ალერგიული დაავადებების გამწვავების ალბათობა.

**დადებითი დღე: 17 თებერვალი.**
**უარყოფითი დღე: 19 თებერვალი.**

## კურო
21 აპრილი — 21 მაისი

მოგეცემათ ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების შანსი, მაგრამ, თუ კოლეგებთან და ხელმძღვანელობასთან არაფრისმომცემ დისკუსიაში ჩაებმებით, შეიძლება, ეს შანსი დაკარგოთ. მოთოკეთ ემოციები, ენას კბილი დააჭირეთ და მხოლოდ დავალებების შესრულებაზე იფიქრეთ.

მეტი მზრუნველობა გამოიჩინეთ საყვარელი ადამიანისა და ოჯახის წევრების მიმართ, წინააღმდეგ შემთხვევაში, გაგინაწყენდებიან და არც კონფლიქტია გამორიცხული.

შესაძლოა, შეგექმნათ საჭმლის მომნელებელი სისტემის პრობლემა, რაც გამოწვეული იქნება კბილების დაზიანებით, ამიტომ მიდით სტომატოლოგთან და ჩაიტარეთ პროფილაქტიკური პროცედურები.

**დადებითი დღე: 20 თებერვალი.**
**უარყოფითი დღე: 18 თებერვალი.**

## ტყუპი
22 მაისი—21 ივნისი

ნუ „ჩაიციკლებით" თქვენს გეგმებზე, შეეცადეთ, დაეხმაროთ ახლობლებს, რომლებიც თხოვნით მოგმართავენ. წარმატება გარანტირებული გექნებათ მხოლოდ იმ საქმეში, რომელიც ძალიან მოგწონთ. დასახულ მიზანს კი ახლობლების დახმარებით მიაღწევთ.

შესაძლოა, მიიღოთ დამატებითი შემოსავალი, რომელიც თქვენს ფინანსურ მდგომარეობას მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს.

საყვარელ ადამიანთან ურთიერთობისას წარმოქმნილმა გაუგებრობამ შეიძლება ძალიან გაგანაწყენოთ და ურთიერთობაზე გული აგიცრუოთ, მაგრამ კარგად უნდა დაფიქრდეთ: ღირს კი იმ ადამიანის მიტოვება, რომელსაც ძალიან ეტრფოდით?

იმუნიტეტის ასამაღლებლად ჩაიტარეთ ვიტამინოთერაპია და მიიღეთ კალორიებით მდიდარი საკვები.

**დადებითი დღე: 18 თებერვალი.**
**უარყოფითი დღე: 23 თებერვალი.**

## კირჩხიბი
22 ივნისი—22 ივლისი

შეიძლება გაგიჩნდეთ ოკულტური და ეზოტერკული მეცნიერებების შესწავლის სურვილი და შეეცადოთ, მეტი ცოდნა მიიღოთ ამ სფეროში ღრმად ჩახედული ადამიანებისგან.

დამატებითი შემოსავლების მიღების შემდეგ თქვენი ფინანსური მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება.

ნუ შეეცდებით, საყვარელ ადამიანს ოქროს კოშკების აგებას დაჰპირდეთ, სჯობს, მცირე საჩუქარი მიუძღვნათ და გაახაროთ.

თუ გულ-სისხლძარღვთა სისტემის რომელიმე დაავადება გაქვთ გადატანილი, აუცილებლად გაიარეთ კონსულტაცია სპეციალისტთან.

**დადებითი დღე: 22 თებერვალი.**
**უარყოფითი დღე: 16 თებერვალი.**

## ლომი
23 ივლისი —22 აგვისტო

კარგი პერიოდია ახალი საქმის დასაწყებად, იაქტიურეთ, გაბედულად გამოამჟღავნეთ ინიციატივა და გარშემო მყოფთა მხარდაჭერით დასახულ მიზანს აუცილებლად მიაღწევთ.

შეიძლება, გაიცნოთ გავლენიანი პიროვნება, რომელიც იდეების განხორციელებაში დაგეხმარებათ. დაძაბული სამუშაო რეჟიმის გამო, თუ ოჯახური მოვალეობებისგან თავის არიდებას შეეცდებით, საყვარელ ადამიანთან უთანხმოება გარდაუვალია. შეეცადეთ, დრო სწორად გაანაწილოთ სამსახურსა და ოჯახს შორის.

მაღალია ფარისებრი ჯირკვლების ქრონიკული დაავადების გამწვავების ალბათობა.

**დადებითი დღე: 21 თებერვალი.**
**უარყოფითი დღე: 18 თებერვალი.**

## ქალწული
23 აგვ. —23 სექტემბ.

შეძლებთ ყველა საქმის, რომელსაც კი ხელს მოჰკიდებთ, წარმატებით დასრულებას, მაგრამ ამისათვის გამოცდილი ადამიანების დახმარება დაგჭირდებათ.

გაგიჩნდებათ კარიერის კიბეზე ასვლის შანსი.

შესაძლოა, მიიღოთ დამატებითი შემოსავალი, რომელიც თქვენს ფინანსურ მდგომარეობას მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს.

მეტი დრო დაუთმეთ ოჯახის წევრებს, დაეხმარეთ მათ პრობლემების მოგვარებაში.

მაღალია სასუნთქი გზების დაავადების გამწვავების ალბათობა. შეეცადეთ, გაიმყაროთ იმუნიტეტი.

**დადებითი დღე: 21 თებერვალი.**
**უარყოფითი დღე: 23 თებერვალი.**

## სასწორი
24 სექტ. — 23 ოქტ.

აქტიურად შეუდექით დასახული გეგმების რეალიზაციას. საქმიანი განწყობა და თანამიმდევრული მოქმედება საშუალებას მოგცემთ, ყველა ამოცანას წარმატებით გაუმკლავდეთ. ეს თქვენთვის რთული არ იქნება, რადგან ოჯახის წევრები და ახლობლები მხარში ამოგიდგებიან.

მარტოხელა სასწორებს, რომლებმაც ახლახან წამოიწყეს სასიყვარულო ურთიერთობა, საყვარელი ადამიანი სასიამოვნო სიურპრიზით გაახარებს.

მოერიდეთ სტრესულ სიტუაციებს და სხეული ფიზიკური ვარჯიშით გაიკაჟეთ.

**დადებითი დღე: 18 თებერვალი.**
**უარყოფითი დღე: 21 თებერვალი.**

## მორიელი
24 ოქტ. — 22 ნოემბ.

ენერგიით აღივსებით და საკმაოდ ადვილად შეძლებთ ყველა ბარიერის გადალახვას, რომლებიც დასახული მიზნებისკენ მიმავალ გზაზე გადაგეღობებათ. მთავარია, აუჩქარებლად იმოქმედოთ და წარმატებას აუცილებლად მიაღწევთ.

საყვარელ ადამიანთან ურთიერთობისას შეეცადეთ, რომ გრძნობამ არ გაიმარჯვოს გონიერებაზე. ემოციების ამოფრქვევა კარგს არაფერს მოგიტანთ.

თქვენს ჯანმრთელობას სახიფათო არაფერი ემუქრება, თუმცა კარგი იქნება, თუ ფიზიკურად მეტად დაიტვირთებით.

**დადებითი დღე: 23 თებერვალი.**
**უარყოფითი დღე: 18 თებერვალი.**

## მშვილდოსანი
23 ნოემ. — 21 დეკ.

გაგიჩნდებათ ახალი ცოდნის მიღების სურვილი. ფილოსოფიისა და კულტურის საკითხებით დაინტერესება თქვენს თვალსაწიერს გააფართოებს.

სამსახურში დავალების შესრულებას ნუ გააჭიანურებთ, სწრაფად იმოქმედეთ და ხელმძღვანელების შექებას დაიმსახურებთ.

თუ საყვარელ ადამიანთან წაკინკლავდით, ახლა კარგი პერიოდია უთანხმოების მოსაგვარებლად.

დაიცავით კვების რეჟიმი. რაციონიდან ამოიღეთ მლაშე და ცხარე საკვები. უარი თქვით ალკოჰოლურ სასმელზე.

**დადებითი დღე: 21 თებერვალი.**
**უარყოფითი დღე: 19 თებერვალი.**

## თხის რქა
22 დეკემ. — 20 იან.

სასიკეთო პერიოდია მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლო გადაწყვეტილებების მისაღებად. მკაფიოდ განსაზღვრეთ პრიორიტეტები და შეუპოვრად იმოქმედეთ — მხოლოდ ასე მიაღწევთ დასახულ მიზანს.

შესაძლოა, გაიცნოთ ადამიანი, რომელიც დასახული პროექტების განხორციელებაში დაგეხმარებათ.

თქვენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, შესაძლოა, ურთიერთობა გაგიმწვავდეთ საყვარელ ადამიანთან. შეეცადეთ, უთანხმოება დიპლომატიური მეთოდით მოაგვაროთ. ამ პერიოდში თქვენი ენერგეტიკული პოტენციალი დაქვეითდება, ამის მიზეზი კი ის ნერვიული ატმოსფეროა, რომელიც თქვენ გარშემო შეიქმნება. თავი აარიდეთ სტრესულ სიტუაციებს და შეეცადეთ, მეტი დრო დაუთმოთ დასვენებას.

**დადებითი დღე: 17 თებერვალი.**
**უარყოფითი დღე: 19 თებერვალი.**

## მერწყული
21 იან. — 19 თებ.

აქტიურად იმოქმედეთ როგორც პროფესიული სფეროს, ისე პირადი ცხოვრების საკითხების მოსაგვარებლად.

შესაძლოა, ახალ სამუშაო ადგილზე გადასვლა შემოგთავაზონ უფრო მაღალი ანაზღაურებით, ვიდრე ახლა გაქვთ. გადაწყვეტილება ინტუიციით მიიღეთ. რეკომენდებული არ არის სარისკო ფინანსურ ოპერაციებში მონაწილეობა ან ვალის აღება.

მარტოხელა მერწყულებს ელით რომანტიული პაემანი, რომელზეც საყვარელმა ადამიანმა შეიძლება დაქორწინება შესთავაზოს.

მაღალია ტრავმირების ალბათობა. ყურადღებით მართეთ ავტომობილი!

**დადებითი დღე: 20 თებერვალი.**
**უარყოფითი დღე: 23 თებერვალი.**

## თევზები
20 თებ. — 20 მარტი

გამოიჩინეთ თქვენთვის ჩვეული მუყაითობა, მუხლჩაუხრელად იშრომეთ და შედეგიც არ დააყოვნებს — გაუმჯობესდება თქვენი ფინანსური მდგომარეობა. არ არის გამორიცხული, თანამდებობრივადაც დაწინაურდეთ. ყურადღებით გაეცანით მიღებულ ინფორმაციას, რომელიც პროფესიულ საქმიანობასთან იქნება დაკავშირებული.

საყვარელ ადამიანთან ურთიერთობისას თავი შეიკავეთ კრიტიკული შენიშვნებისგან — ეს უფრო გაამწვავებს უთანხმოებას. სჯობს, მშვიდად გაარკვიოთ საფუძვლიანია თუ არა ურთიერთბრალდებები.

სახიფათო პერიოდია იმ თევზებისთვის, რომლებსაც არტერიული წნევის ცვალებადობა აწუხებთ. გაესინჯეთ ექიმს და ჩაიტარეთ პროფილაქტიკური პროცედურები.

**დადებითი დღე: 23 თებერვალი.**
**უარყოფითი დღე: 18 თებერვალი.**

# საქართველოს პრემიერმინისტრ გიორგი კვირიკაშვილს



**ბატონო გიორგი!**

**ქვემოთ არის ჩამონათვალი იმისა, რაც ჩვენ აღმოვაჩინეთ, შევქმენით და შეგვიძლია დავამზადოთ და დავნერგოთ სახალხო მეურნეობაში. მადლობელი დაგრჩებით, თუ გაეცნობით და გვიპასუხებთ. საჭიროების შემთხვევაში მზად ვართ თქვენთან შესახვედრად.**

**1.** სოფლის მეურნეობის პროდუქტების, მათ შორის, ციტრუსების კონვექციური შრობით, შუალედური დაწნეხვითა და საბოლოო დაფქვით ფხვნილის მიღების ხაზი.

**2.** სინათლის ღუმელებით ბაზალტის უწყვეტი ბოჭკოს (ბუბ) მიღება, მისგან ქსოვილის წარმოება, ბაზალტოპლასტიკური არმატურის, მილებისა და სხვა პროფილების პროდუქციის დამზადება, სეტყვის საწინააღმდეგო და სარწყავი სისტემების მოწყობა.

**3.** შუალედურ შედეგებზე ორიენტირებული ახალი სისტემის სათბური.

**4.** ქსოვილზე თესვით საბოლოო შედეგზე ორიენტირებული სოფლის მეურნეობის კულტურების ყოველდღიური მოყვანის ორსართულიანი კომპლექსი.

**5.** შავი ზღვიდან გოგირდწყალბადის (HS) ამოღება და მისი გამოყენება თბოელექტროსადგურებში, როგორც იაფი და საუკეთესო თბომატარებელის.

**6.** მართვადი ბირთვული რეაქციის ენერგიის მისაღები მოწყობილობა (მოდული).

იმ შემთხვევაში, **თუ ჩვენ მიერ წარმოდგენილი ბიზნესგეგმების მიხედვით გამონახავთ სახსრებს, დაგვაფინანსებთ და უზრუნველყოფთ შესაბამის რაიონებში ჩვენ მიერ შერჩეული მიწის ნაკვეთების გამოყოფას სათანადო საწარმოების ასაშენებლად, გაძლევთ პირობას, 7 წელიწადში საქართველოში დაუსაქმებელი არ დარჩება არც ერთი ადამიანი; სოფლის მეურნეობის კულტურების, მათ შორის, ციტრუსების, ყურძნისა და ატმის მოსავლის ვერც ერთ გრამს ვერ გააფუჭებს ვერც გვალვა და ვერც სეტყვა; ერთი კილოვატი ელექტროენერგია ეღირება დაახლოებით ერთი ცენტი, სოფლის მეურნეობის პროდუქტების ღირებულება შემცირდება, სულ ცოტა, 20-ჯერ, ხორბლის ღირებულება კი იქნება დიდი-დიდი 1 თეთრი. დანარჩენ სიკეთეს ხალხისა და ქვეყნისათვის საზღვარი არ ექნება.**

**პატივისცემით,**

**ევგენი უშვერიძე,**
შპს „საკონსტრუქტორო საწარმოო გაერთიანება-69“-ის გენერალური დირექტორი, უკრაინის საინჟინრო მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

**მერაბ ჯიბლაძე,**
ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ამერიკის ფიზიკოსთა საზოგადოების წევრი



„საქართველო და მსოფლიოს“ რედაქცია 80 წლის იუბილესა და აკაკი წერეთლის სახელობის პრემიის მინიჭებას ულოცავს ჟურნალისტსა და პუბლიცისტს, ბატონ არმაზ სანებლიძეს.

კვლავაც წარმატებებს, დიდხანს სიცოცხლესა და ჯანმრთელობას ვუსურვებთ იუბილარს!

## სისხლიანი გარჩევა ბენზინგასამართ სადგურზე

**თბილისში, დიღმის მასივში, დავით აღმაშენებლის ძეგლის მიმდებარე ტერიტორიაზე, მკვლელობა მოხდა. ერთ-ერთ ბენზინგასამართ სადგურზე, სავარაუდოდ, 5-მა პირმა სროლა ატეხა. შედეგად დაიღუპა ბენზინგასამართი სადგურის თანამშრომელი.** როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროში აცხადებენ, დაჭრილია კიდევ ერთი ადამიანი. დაჭრილი და გარდაცვლილი პირები ძმები არიან.

## ძვალ-სახსართა პათოლოგიისა და გახდომა-გასუქების ცენტრი

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზიური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა. მკურნალობა საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე უახლესი მეთოდებით.

ზრდის სწრაფი და ეფექტიანი პროგრამები 2-დან 25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ის მომატებით, მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

გახდომა-გასუქება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, აკრძალვების, ვარჯიშების გარეშე, ნივთიერებათა ცვლისა და კუჭ-ნაწლავის მოწესრიგებით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, ყველაფერი — მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე.

**ტელ: 599-722-138; 247-58-83**
**მის.: წერეთლის №142, I სართ.**
**კაბინეტი №6. ქალბატონი ქეთევანი**

## თურქეთში საქართველოს მოქალაქე მოკლეს

**ინფორმაციას თურქეთში საქართველოს მოქალაქის მკვლელობის შესახებ თურქული მედია ავრცელებს. როგორც გამოცემა Milliyet-ი იუწყება, ცხედარი მიტოვებულ სახლში იპოვეს. გარდაცვლილს ჭრილობა თავზე აღენიშნება.**

ამავე სახლში აღმოჩენილია მოპარული ნივთები.

მკვლელობა თურქეთის ქალაქ მალათიას ერთ-ერთ რაიონში მოხდა.

გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ რედაქცია იუწყება, რომ გარდაიცვალა

ეთერ კასრელიშვილი

პანაშვიდი 16 და 17 თებერვალს, 16:00 საათზე, გამოსვენება 18 თებერვალს, 14:00 საათზე
მისამართი: ირაკლი უჩანეიშვილის ქ. №22 (ბაგები).

## პორტუგალიის პარლამენტმა ერთნაირსქესიანთა ოჯახებს შვილის აყვანის უფლება მისცა



**პორტუგალიის პარლამენტმა გადალახა ქვეყნის პრეზიდენტის ვეტო კანონპროექტზე, რომელიც ერთნაირსქესიან წყვილებს შვილის აყვანის უფლებას აძლევდა.** ქვეყნის პრეზიდენტმა კანონის ხელმოწერაზე უარი იმ მოტივით განაცხადა, რომ პრობლემა ფართო საზოგადოების მეტ ანალიზსა და განსჯას იმსახურებდა. პრეზიდენტის აზრით, კანონპროექტი ასევე არ ითვალისწინებდა ასეთ ოჯახებში ბავშვთა უფლებების სათანადო დაცვას.

## ს ი ა ხ ლ ე !

### ტიბეტური მედიცინით მკურნალობა

ლიცენზია N 035121



- გასტრიტი, წყლული, კოლიტი, ქოლეცისტიტი, ჰეპატიტი, ბუასილი, ჭიებით ინვაზია
- იმპოტენცია, პროსტატიტი, გაძნელებული შარდვა, შარდ-კენჭოვანი დაავადება.
- ფიბრომა, მენსტრუალური ციკლის მოშლა, უშვილობა, მასტოპათია, გართულებული კლიმაქსი.
- უძილობა, მეხსიერების და შრომის უნარის დაქვეითება, ნევროზი, შიშები, დეპრესია.
- თავის, ხერხემლის, წელის ტკივილები, ოსტეოპოროზი, ართროზები, სკოლიოზი.
- წონაში დაკლება, სიმაღლეში ზრდა
- ალერგია
- ათეროსკლეროზი, ჰიპერტონია
- ფრჩხილების სოკოვანი დაავადება.

მკურნალობის შერჩევა ინდივიდუალურად გენეტიკის, სისხლის ჯგუფის, ცხოვრების წესის და სხვა მახასიათებლების გათვალისწინებით.

☎ 599-54-18-30, 0790-98-63-33

## სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი «კელპი» გთავაზობთ შემდეგი დაავადებების მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას:

1. შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენარეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);
2. პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქტიული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);
3. ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;
4. ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);
5. ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები, კონსულტაცია უფასოა.

**ტელ: 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი)**
**მის: აღმაშენებლის 154, «მწვანე ოფისი»**

## სიმაღლეში მომატება!

### გაქვთ კომპლექსი სიდაბლის გამო?



დარეკეთ ახლავე!

574 47 39 04
0790 30 94 35

საქართველო და მსოფლიო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია

http://www.geworld.ge

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაგრატიონის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru

ISSN 2233-3894